იპონიის თვითიზოლაციის პერიოდი, რომელიც ორ საუკუნეზე მეტი წელის მანძილზე გრძელდებოდა, 1854 წელს დასრულდა. კერძოდ, არაერთი უშედეგო მცდელობის შემდეგ, საბოლოოდ კი უკვე ომის მუქარით, აშშ-მ აიძულა იაპონიის ხელისუფლება, რომ გაეხსნა ქვეყანა გარე სამყაროსათვის. რამდენადაც XIX საუკუნის შუა ხანებისთვის იაპონია მძიმე კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორც პოლიტიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური კუთხით, მას არ ძალუმდა ადეკვატური წინააღმდეგობა გაეწია აშშ-ს სამხედრო ძალებისთვის. აქედან გამომდინარე, იაპონიის ხელისუფლება იძულებული იყო დასავლეთის სახელმწიფოებთან უთანასწორო ხელშეკრულებათა მთელი სერიისთვის მოწერა ხელი - უპირველეს ყოვლისა აშშ-თან, შემდეგ რუსეთთან, ჰოლანდიასთან, ინგლისთან და საფრანგეთთან. ამრიგად, იაპონიის გახსნის უპირველესი შედეგი ის იყო, რომ ის დასავლეთის მძლავრ სახელმწიფოთა არა თანასწორუფლებიანი პარტნიორი, არამედ მათზე დამოკიდებული ქვეყანა ხდებოდა. თუმცა, მედლის მეორე მხარეს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ დასავლური გავლენის წყალობით, იაპონიამ სწრაფი ტემპით დაიწყო დრომოჭმული ფეოდალური ურთიერთობებიდან კაპიტალიზმზე გადასვლა. ამას მოჰყვა სხვა პროგრესული ხასიათის მოვლენები იაპონიის ისტორიაში: სამხედრო-ფეოდალური სისტემის - შიოგუნატის დამხობა და იმპერატორის პოლიტიკური ძალაუფლების აღდგენა, ბურჟუაზიული ხასიათის რეფორმები და სხვა ინოვაციური გარდაქმნები. ყოველივე ამან ნიადაგი შეამზადა ზემოთ ხსენებული უთანასწორო ხელშეკრულებების გასაუქმებლად, რაც იაპონიამ წარმატებით განახორციელა XIX საუკუნის მიწურულს.

## დისკუსია.

იაპონია გარე სამყაროსთვის დაიხურა XVII საუკუნის 30-იან წლებში. კერძოდ, 1639 წელს იმხანად მმართველმა ტოკუგავას ხელისუფლებამ (რომელიც ხელისუფლების სათავეში 1603 წელს მოვიდა), ქვეყნის თვითიზოლაციაში მოქცევა დააანონსა, რასაც ფრიად დრამატული მოვლენები უძღვდა წინ. საქმე ის იყო, რომ იაპონიაში მოზღვავებული ევროპელი ვაჭრების, დიპლომატების, კათოლიკე მისიონერების და სხვა უცხოელთა მეტისმეტი აქტიურობა უკვე აშკარა საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ერთიანობას. განსაკუთრებით სახიფათო გახდა მისიონერთა საქმიანობა, რომელთა გავლენის სფეროები იაპონიაში სულ უფრო ფართოვდებოდა. ისინი მასობრივად ნათლავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, უნებართვოდ აგებდნენ ეკლესიებს, არღვევდნენ ადგილობრივ კანონებს, ესპანელი ფრანცისკანელები კი იაპონიაში ესპანეთის გაბატონებაზეც მიანიშნებდნენ (The Cambridge History of Japan: 1997: 359-361). ასე რომ, მისიონერთა საქმიანობა იაპონიაში პოლიტიკური აგრესისა და კოლონიზაციის ავანგარდად იქცა. ბუნებრივია, რომ ამის გამო იაპონიის ხელისუფლებამ კათოლიკე მისიონერთა დევნა და ანტიქრისტიანული ედიქტების გამოცემა დაიწყო, თუმცა სავაჭრო ურთიერთობები დასავლეთ ევროპასთან გარკვეული ხნის მანძილზე უწინდებურად გრძელდებოდა, რამდენადაც ეს ქვეყნისათვის ძალზე მომგებიანი იყო (გელაშვილი, 2012: 241-242).

ქრისტიანობის წინააღმდეგ მიმართულმა სამთავრობო რეპრესიებმა იაპონიაში აჯანყებების მძლავრი ტალღა ააგორა. მათგან ყველაზე მასშტაბური იყო 1637-1638 წლების შიმაბარას (ქ. ნაგასაკისთან მდებარე ნახევარკუნძული) აჯანყება, რომელშიც 37 000 გაქრისტიანებული იაპონელი მონაწილეობდა. სახელისუფლო სამხედრო ძალების მიერ აჯანყება უსასტიკესი მეთოდებით იქნაჩაბობილი, რაშიც მათ ქმედითი დახმარება გაუწია ჰოლანდიის ფლოტმა (Jansen, 2000: 77-78). აღნიშნული აჯანყება აღმოჩნდა ბოლო წვეთი ქვეყნის თვითიზოლაციისკენ მიმავალ გზაზე. კერძოდ, 1639 წელს შიოგუნმა იემიცუმ ბრძანებულება გამოსცა ქვეყნის დახურვის შესახებ, 1641 წლიდან კი შეწყდა ყველანაირი ურთიერთობები უცხოურ სახელმწიფოებთან. იაპონიამ მინიმა-

ლური დოზით ურთიერთობები შეინარჩუნა მეზობელ კორე-ასთან და ჩინეთთან, ევროპის სახელმწიფოებიდან კი - მხოლოდ ჰოლანდიასთან. ამ უკანასკნელმა ეს შედავათი იაპონიის მთავრობისგან მიიღო როგორც სამადლოებელი, იაპონელ ქრისტიანთა ზემოთ ხსენებული აჯანყების ჩახშობაში გაწეული დახმარებისათვის.

ისტორიულ პერსპექტივაში იაპონიის თვითიზოლაციას ჰქონდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები. ერთი მხრივ, აზიის მეზობელ სახელმწიფოებისგან განსხვავებით, იაპონიამ შეძლო დასავლეთის კოლონიური ექსპანსიისგან თავის დაღწევა, გარკვეული დოზით ბიძგი მიეცა ადგილობრივი საწარმოო ძალების განვითარებას და ეროვნული ტრადიციული ფასეულობების წინ წამოწევას, მეორე მხრივ კი იზოლაციის პოლიტიკამ ხელი შეუწყო ფეოდალური ურთიერთობების მოძველებული ფორმების სტაბილიზაციას, დასავლეთის სახელმწიფოებისგან მკვეთრად ჩამორჩენას, დამუხრუჭდა ქვეყნის ეკონომიკური პროგრესი და ქვეყანა ხელოვნურად გამოეთიშა მსოფლიო ბაზარს, თავად იაპონელი საზოგადოება კი უამრავი აკრძალვების და შეზღუდვების ქსელში მოჟეცა. მთავრობის მიერ გამოცემული ბრძანებულებები წარმართავდა ადამიანთა ყველა ქმედებას, აფიქსირებდა ცალკეულ სოციალურ ფენათა უფლება-მოვალეობებს, მათ ქცევას, ჩაცმულობაც კი კონტროლდებოდა. ფეოდალური რეგულაციები და მკაცრი ცენზურა ეხებოდა ასევე კულტურის დარგებს (Ebrey and others, 2009: 284-285).

აღსანიშნავია, რომ იზოლაციის მიუხედავად, დროთა ვითარებაში იაპონიაში სხვადასხვა გზით, ევროპიდან გარკვეული ინფორმაციების შეღწევა-გავრცელება დაიწყო. შესაბამისად, ღვივდებოდა იაპონელთა ინტერესი დასავლური სამეცნიერო დარგების (მედიცინის, ასტრონომიის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის), ყოფა-ცხოვრების და ზოგადად, სიახლეების მიმართ. კიდევ უფრო გაძლიერდა ეს პროცესი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც ნათლად გამოიკვეთა ტოკუგავას რეჟიმის საყოველთაო კრიზისი. ამის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს ქვეყნის თვითიზოლაციის წარუმატებელი შედეგები წარმოადგენდა. ამ ფონზე ასპარეზზე გამოჩნდნენ ახალი იდეების მატარებელი განმა-

ნათლებლები, სხვადასხვა სპეციალობის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც აცნობიერებდნენ, რომ აუცილებელი იყო დასავლეთთან ურთიერთობების დამყარება და საამისოდ მათ ხელისუფლების წინაშე წამოაყენეს მოთხოვნა ქვეყნის გახსნის ანუ თვითიზოლაციის დასრულების თაობაზე. გააქტიურდა ფეოდალური ოპოზიციაც, რომელიც უშუალოდ შიოგუნატის წინააღმდეგ გამოდიოდა და მოითხოვდა მის ჩანაცვლებას კანონიერი საიმპერატორო ერთმმართველობის აღდგენით (Martthy, 1973: 59-61; Jansen, 2000: 247). როგორც ისტორიიდან ცნობილია, XII საუკუნის მიწურულს ფეოდალური შიდა ომების შედეგად, იაპონიაში ორხელისუფლებიანობა დამყარდა - ოდითგანვე არსებული საიმპერატორო მმართველობა და 1192 წელს წარმოქმნილი სამხედრო-ფეოდალური ხელისუფლება - შიოგუნატის ინსტიტუტი. შვიდსაუკუნოვანი ბატონობის შემდგომ მწვავედ დადგა დღის წესრიგში შიოგუნატის გაუქმების საკითხი. ყოველივე ზემოთქმულს ზედ ერთვოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით აგორებული გლეხთა და ქალაქის მოსახლეობის აჯანყებათა მძლავრი ტალღა. არსებული რეჟიმის შენარჩუნებას მთავრობა რეფორმების მთელი სერიით (1830-1843) შეეცადა, რომლებიც ძირითადად მიმართული იყო შიოგუნატის მთავარი საყრდენი ძალის - სამურაების სამხედრო ფენის სტატუსის განმტკიცებისკენ. რეფორმები ეხებოდა ასევე მოსახლეობის ზნეობრივ და მორალურ მხარეებს. კერძოდ, იკრძალებოდა ფუფუნება, სახლების მდიდრულად მორთვა, მოთხოვნა იყო განსაკუთრებული ეკონომიის გაწევა ჩატოლობაში, კვებაში, გართობაში, სამკაულების ტარებაში, კიდევ უფრო გამკაცრდა ცენზურა წიგნების, ასევე თეატრალურ წარმოდგენების მიმართ (История Японии, I, 1999: 578-579). აღნიშნულმა რეფორმებმა, მათი შინაარსიდან გამომდინარე, კიდევ უფრო გამოააშკარავა არსებული რეჟიმის კრიზისი, შიოგუნატი ინერციით აგრძელებდა არსებობას. ამის მიუხედავად, მთავრობა პოზიციებს არ თმობდა და მხოლოდ გარკვეულ დათმობებზე წავიდა. კერძოდ, მან თხოვნით მიმართა ჰოლანდიას, რომ იაპონიაში გამოეგზავნათ სხვადასხვა მანქანადგარების მოდელები, პრესა, მოეწოდებინათ ინფორმაცია ევროპაში მიმდინარე ინოვაციური პროცესების შესახებ. გარდა

ამისა, უცხოურ ხომალდებს უფლება მიეცათ იაპონიის კონკრეტულ ნავსადგურებში წყალი, საწვავი და სურსათი მოემარაგებინათ (გელაშვილი, 2012: 278).

პარალელურ რეჟიმში, შორეულ აღმოსავლეთში ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის კოლონიური აგრესიის მატებასთან ერთად, მათი ყურადღების ცენტრში უკვე იაპონია მოექცა. ისინი სულ უფრო დაუინებით ცდილობდნენ ბოლო მოეღოთ მისი თვითიზოლაციისათვის, განსაკუთრებულ აქტიურობას ამ მიმართულებით აშშ და რუსეთი ამჟღავნებდნენ (McOmie, 2006: 31-33; Meyson, Kaitper, 2020: 259-261). XIXსაუკუნის 30-იანი წლებიდან გახშირდა უცხოური ხომალდების იაპონიის ნაპირებთან მოახლოების მცდელობები, თუმცა ვერ ხერხდებოდა მასთან ურთიერთობის დამყარება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ქვეყნა დახურული იყო გარე სამყაროსათვის. აშშ უკვე ღიად აფიქსირებდა, რომ მას ესაჭიროებოდა სტრატეგიული დანიშნულების ბაზები და ნედლეულის ახალი ბაზრები შორეულ აღმოსავლეთის რეგიონში და ამაში უპირველეს ყოვლისა, იაპონია მოიაზრებოდა. აშშ ჩქარობდა, რათა ევროპის ქვეყნებისათვის დაქსწრო იაპონიაში შეღწევა. არაერთი უშედეგო დიპლომატიური მცდელობების შემდეგ, აშშ-ს მთავრობამ იაპონიის მიმართ ძალისმიერი მეთოდის გამოყენება გადაწყვიტა. ამ მიზნით, 1852 წელს იაპონიაში გაიგზავნა 12 სამხედრო ხომალდი გამოცდილი საზღვაო ოფიცრის და პოლიტიკური მოღვაწის მეთიუ პერის (1794-1858) მეთაურობით (Wiley, 1990). 1853 წლის 8 ივლისს მისი ესკადრა ურაგას ყურეში შევიდა, დედაქალაქ ედოს (თანამედროვე ტოკიო) სიახლოვეს. ხომალდები ქვემეხებით იყო შეიარაღებული, რომელთა ლულები სანაპიროსკენ იყო მიმართული. ამ გარემოებამ თავისი წინასწარ გათვლილი როლი წარმატებით შეასრულა, რამდენადაც დიდი პანიკა გამოიწვია როგორც იაპონიის საიმპერატორო კარზე, ისე შიოგუნატის მთავრობაში და მთლიანად მოსახლეობაში. ამერიკელთა მოულოდნელი ათდღიანი ვიზიტი 8-დან 17 ივლისამდე, შოკისმომგვრელი აღმოჩნდა იაპონელებისათვის (McOmie, 2006: 91). კომოდორი პერი აღჭურვილი იყო აშშ-ს პრეზიდენტის, ფილმორის წერილით, რომლის თანახმად, პრეზიდენტი ითხოვდა იაპონიის

გახსნას და მოლაპარაკებების დაწყებას, სავაჭრო ურთიერთობების დამყარების მიზნით. პერიმ იაპონიის ხელისუფლებას პასუნისათვის დაბრუნება ერთი წლის შემდეგ დაუთქვა. თუმცა, ის ვადაზე ადრე დაბრუნდა - 1854 წლის 11 თებერვალს შტორმიან დილას აშშ-ს 9 ხომალდი, რომლებზეც 1 600 ადამიანი და 250 ქვემები იყო, ქ. კანაგავაში შევიდა.

ხაზგასასმელია, რომ იაპონიის იმჟამინდელი ეკონომიკური, სამხედრო და ფინანსური სისუსტის პირობებში, ტოკუგავას მთავრობას არ ძალუმდა წინ აღდგომოდა აშშ-ს სამხედრო ძალებს. შესაბამისად, ის კომპრომისზე უნდა წასულიყო, რათა თავიდან აეცილებინა ქვეყანაში შეიარაღებული ძალების შეჭრა. ამასთან ერთად, ხელისუფლება შიშობდა, რომ იაპონიას ჩინეთის ბედი არ გაეზიარებინა, სადაც ინგლისის მიერ გაჩაღებული ომის შედეგად (1839-1842 წწ.), ინგლისმა, საფრანგეთმა და აშშ-მ მყარი პოზიციები მოიპოვეს (Адамчик и др., 2004: 624-625). მართალია, იმ ეტაპზე ისინი იაპონიის ნავსადგურებში ვერ შედიოდნენ, მაგრამ გამუდმებით არსებობდა მათგან მოსალოდნელ საფრთხე. ასეთ დაძაბულ ვითარებაში, სამხედრო ძალის მუქარის ფონზე, დაიწყო ხანგრძლივი - ექსპორიანი მოლაპარაკებები, რომლებიც საბოლოოდ, 1854 წლის 31 მარტს „მშვიდობისა და მეგობრობის“ ხელშეკრულების გაფორმებით დასრულდა. აღნიშნული ხელშეკრულება, რომელიც ასევე კანაგავას ხელშეკრულების სახელწოდებითა ცნობილი, შედგებოდა 12 მუხლისგან და შედგენილი იყო ოთხ ენაზე: ინგლისურ, იაპონურ, ჰოლანდიურ და ჩინურ ენებზე (История Японии, I, 1999: 612). მისი ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობდა: ამერიკული ხომალდებისთვის ორი ნავსადგური იხსნებოდა - შიმოდა და ჰაკოდატე; ამერიკელებმა მიიღეს გაცვლითი ვაჭრობის უფლება; იაპონური იენის გვერდით, მიმოქცევაში ნებადართული გახდა ნებისმიერი სხვა ვალუტა (რაც ერთიანი ფულადი სისტემის არარსებობის პირობებში, ნეგატიურად აისახებოდა ფულად-საფინანსო სისტემაზე); შიმოდაში უნდა გახსნილიყო აშშ-ს საკონსულო; არახელსაყრელი ამინდის შემთხვევაში, ამერიკულ ხომალდებს იაპონიის ნების-მიერ ნავსადგურში შესვლის უფლება ეძლეოდათ. აღნიშნულის

გარდა, აშშ-მ კიდევ სხვა პრივილეგიებიც მიიღო იაპონიაში (Jansen, 2000: 278-279).

ინფორმაცია იაპონიის გახსნის შესახებ მყისიერად გავრცელდა ევროპაში და იაპონიისგან აშშ-თვის მინიჭებული პრივილეგიების ანალოგიური უფლებები მოითხოვეს ინგლისმა, რუსეთმა და ჰოლანდიამ. მძიმე პრესის ქვეშ მოქცეული იაპონიის ხელისუფლება იძულებული იყო მათთანაც გაეფორმებინა კაბალური ხელშეკრულებები, რომელიც ძირითადად აშშ-თან დადებული ხელშეკრულების პირობებს იმეორებდნენ. განსხვავება ის იყო, რომ რუსეთის შემთხვევაში დაემატა ნაგასაკის ნავსადგურის გახსნა, ასევე კურილის და სახალინის კუნძულების საკითხები (McOmie, 2006: 135-136). ამრიგად, ბოლო მოეღო იაპონიის თვითიზოლაციის ხანგრძლივ პერიოდს, რითაც ქვეყნის ისტორიის ახალი ფურცელი გადაიშალა.

ისევე, როგორც თვითიზოლაციის შემთხვევაში, ამჯერადაც აღნიშნულ დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას, მოჰყვა დადებითი და უარყოფითი შედეგები. დადებითი ის იყო, რომ იაპონელთათვის გაიხსნა გარე სამყარო და გაფართოვდა მათი თვალსაწიერი, ქვეყანა თანდათან ჩაება საერთაშორისო ურთიერთობებში, ჰორიზონტზე გამოჩნდა დასავლური ღირებულებები და ახალი პერსპექტივები, რასაც დიდი ენთუზიაზმით შეეგება ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი. ქვეყნის გახსნის უმთავრეს უარყოფით შედეგს კი წარმოადგენდა ის, რომ იაპონია ერთბაშად რამდენიმე უცხოური სახელმწიფოს გავლენის ქვეშ მოექცა. უფრო მეტიც, ზემოთ ხესნებული დასავლეთის სახელმწიფოები მიღწეულით კმაყოფილნი არ იყვნენ და აშშ-ს ლიდერობით, დამატებით კიდევ ახალ მოთხოვნებს უყენებდნენ იაპონიის ხელისუფლებას. შედეგად, 1857-1860 წლების მანძილზე მათ იაპონიას თავს მოახვიეს სპეციალური სავაჭრო ხელშეკრულებები, რომლებიც კიდევ უფრო ბდალავდა ქვეყნის ეროვნულ სუვერენიტეტს. კერძოდ, თავისუფალი ვაჭრობისათვის მათთვის გაიხსნა ხუთი ახალი ნავსადგური, იაპონიამ დაკარგა საბაჟო ავტონომია, ამერიკელებმა მიიღეს იაპონიაში მუდმივი ცხოვრების უფლება და კიდევ სხვა პრივილეგიები, რომლებიც ქვეყნის საშინაო საქმეებში აშკარა ჩარევას ნიშნავდა (გელაშვილი,

2016: 57-58). ყოველივე ამას ჯაჭვური რეაქციის სახით მოჰყვა შიდა ბაზარზე უცხოური იაფფასიანი საქონლის მოზღვავება, რამაც განაპირობა ადგილობრივი ეკონომიკის ჩამოშლა, მანუფ-აქტურების სტაგნაცია, უმუშევრობა, იაპონელი ვაჭრების და მრეწველების გაკოტრება და ა. შ. (Богданович, 2003: 137; Totman, 2005: 286-287).

ასე რომ, იაპონიის გახსნის შემდგომი საწყისი ეტაპი ქვეყნი-სთვის საკმაოდ მძიმე და წინააღმდეგობებით აღსავსე აღმოჩნდა. ისევე როგორც ჩინეთში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, იაპონიაშიც დასავლური კაპიტალის შეღწევამ ფეოდალური ურთიერთობების რღვევის პროცესი დააჩქარა. ამ ფონზე მასობრივი ხასიათი მიიღო ტოკუგავას მთავრობისა და ქვეყნაში მოზღვავებულ უცხოელთა წინააღმდეგ მიმართულმა ამბოხებებმა, რომელთა ლოზუნგს წარმოადგენდა „იმპერატორის თაყვანისცემა, ბარბაროსების გაძევება“ (Jansen, 2000: 307-308). ჩამოყალიბდა ურთიერთდაპირისპირებული ორი ბანაკი - შიოგუნატის მომხრე და ანტიშიოგუნური კოალიცია, რომელთა შორის გაჩაღებული ბრძოლის საფუძველზე, ქვეყანა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გაეხვა. საბედნიეროდ, აღნიშნული დრამატული პერიპეტიები ხანმოკლე აღმოჩნდა. მოვლენათა განვითარებამ რადიკალურად იცვალა გეზი იაპონიის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შედეგად. კერძოდ, 1866 წლის მიწურულს გარდაიცვალა იმპერატორი კომეი და მის ნაცვლად გამეფდა 15 წლის მუცუპიტო (1867-1912), რომლის ზეობის ხანას ეწოდა „მეიჯი“ ანუ „განათლებული მმართველობა“ (Keene, 2002). დაახლოებით იმავე პერიოდში გარდაიცვალა შიოგუნი იემოჩი და იაპონიის უკანასკნელი შიოგუნი გახდა იოშინობუ (1866-1867). სწორედ ამ მოვლენებმა დააჩქარა იაპონიაში შიოგუნატის დამხობა და ბურჟუაზიული ხასიათის რეფორმების გატარება, რომლებიც იაპონიის ისტორიაში მეიჯის რესტავრაციის სახელით შევიდა. 1868 წლის 3 იანვარს ახალგაზრდა იმპერატორმა ტოკუგავას შიოგუნატი დამხობილად აცხადა. შექმნილ ვითარებაში შიოგუნი იოშინობუ იძულებული გახდა იმავე წლის 3 მაისს კაპიტულაცია ეღიარებინა (Мейсон, Кайгер, 2020: 331-332). ამრიგად, დასრულდა ტოკუგავას დინასტიის

მმართველობა იაპონიაში და აღდგენილ იქნა იმპერატორის პოლიტიკური ძალაუფლება. რაც შეეხება 1867/1868 წლების რევოლუციურ გარდაქმნებს, მათ იაპონიის ისტორიაში, უდაოდ, პროგრესული როლი შეისრულეს. მართალია, აღნიშნული რეფორმები სიღრმისეულად არ ეხებოდა ფეოდალური ურთიერთობების ცალკეულ სეგმენტებს, მაგრამ მთლიანობაში მათ ბევრი ინოვაცია შეიტანეს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში - ფულად - საფინანსო, სასამართლო, განათლების, შეიარაღებული ძალების სისტემებში, ადამიანთა უფლებებს საკითხებში და სხვ. (Мејсон, Кайгер, 2020: 335-338). ახალი ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმების მთავარ მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის ჩამორჩენილობის სწრაფად ლიკვიდაცია და დაბრკოლებების აღმოფხვრა კაპიტალისტური განვითარების გზაზე. შედეგად, გაძლიერდა წინააღმდეგობების მუხტი უცხოელ მოძალადეთა მიმართ, ქვეყანა დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგა და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შემზადდა ნიადაგი დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ თავს მოხვეული უთანასწორო ხელშეკრულებებისგან გასათავისუფლებლად, რაც XIX საუკუნის მიწურულს, უკვე მომძლავრებულმა იაპონიამ, წარმატებით განახორციელა. რამდენადაც ეს უკვე განხილვის სხვა თემას წარმოადგენს, მას ცალკე ნაშრომი მიეძღვნება.

### დასკვნა.

ამრიგად, იაპონიის ხანგრძლივი თვითიზოლაცია (1639-1854) აშშ-ს ძალისხმევით დასრულდა. გახსნის შემდგომი საწყისი ეტაპი ქვეყნისათვის წინააღმდეგობებით აღსავსე და რთული იყო, რამდენადაც ის ერთბაშად სრულიად უცხო გამოწვევების პირისპირ აღმოჩნდა. თუმცა, გარკვეული ხნის შემდგომ, იაპონია წარმატებით გაუმკლავდა არსებულ პრობლემებს როგორც საშინაო, ისე საგარეო ფრონტზე. ეს პროცესი დააჩქარა შიოგუნატის, როგორც დრომოქმული ფეოდალური ინსტიტუტის გაუქმებამ, ტოკუგავას დინასტიის მმართველობის დამხობამ, 1867/1868 წლების მეიჯის რეფორმებმა, ასევე მასშტაბურმა ანტიფეოდალურმა ბრძოლამ, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან იყო შერწყმული. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად,

თანდათან იაპონიის ტრანსფორმაცია მოხდა, ჩამორჩენილი ქვეყნიდან ის შორეული აღმოსავლეთის რეგიონის უძლიერეს და გავლენიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.

### დამოწმებული ლიტერატურა:

- გელაშვილი, ნ. (2012). იაპონია საუკუნეთა ლაბირინთუბში. თბილისი: გამომცემლობა, უნივერსალი.
- გელაშვილი, ნ. (2016). აშშ-იაპონიის პირველი სავაჭრო ხელშეკრულება. ამერიკის შესწავლის საკითხები. N 6. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- Ebrey, P., Walthall, A., Palais, J. (2009). *East Asia – a Cultural, Social and Political History*. USA: Publishing house Wadsworth.
- Jansen, M. B. (2000). *The Making of Modern Japan*. London: Harvard University Press.
- Keene, D. (2002). *Emperor of Japan Meiji and his World – 1852 – 1912*. New-York: Columbia University Press.
- Marthly, N. (1973). *The Rize of Modern Nationalism in Japan*. Delhi.
- McOmie, W. (2006). *The Opening of Japan, 1853–1855*. USA: Publishing house Global Oriental.
- The Cambridge History of Japan*. (1997). Edited by J. W. Hall, M. B. Jansen, M. Kanai, D. Twitchett. vol. 4. Published by: Cambridge University Press.
- Totman, C. (2005). *A History of Japan*. New York: Blackwell.
- Wiley, P. B. (1990). *Yankees in the Land of Gods: Commodore Perry and the Opening of Japan*. New-York.
- Адамчик, В. В., Адамчик, М. В., Бадан, А. Н., Войнич, И. Е. (2004). *История Китая*. Минск: Харвест.
- Богданович, Т. А. (2003). Очерки из прошлого и настоящего Японии. *История Японии*. Москва: Русская панорама.
- История Японии*. (1999). Отв. редактор Жуков, А. Е. т. I. Москва: ИВ РАН.
- Мейсон, Р. Г., Кайгер, Д. Г. (2020). *Краткая история Японии*. Москва: Азбука Колибри.

## R E F E R E N C E S

- gelashvili, n. (2012). *Iaponia saukuneta labirintebshi [Japan in the Labyrinths of Centuries]*. Tbilisi: Gamomtsemloba, Universali.
- gelashvili, n. (2016). *ashsh-iaponiis pirveli savachro khelshekruleba [Japanese first trade treaty with US]*. Amerikis shestsavlis sakikhebi [Journal of American Studies]. N 6. Tbilisi: TSU.
- Ebrey, P., Walthall, A., Palais, J. (2009). *East Asia – a Cultural, Social and Political History*. USA: Publishing house Wadsworth.
- Jansen, M. B. (2000). *The Making of Modern Japan*. London: Harvard University Press.
- Keene, D. (2002). *Emperor of Japan Meiji and his World – 1852 – 1912*. New-York: Columbia University Press.
- Marthy, N. (1973). *The Rize of Modern Nationalism in Japan*. Delhi.
- McOmie, W. (2006). *The Opening of Japan, 1853-1855*. USA: Publishing house: Global Oriental.
- The Cambridge History of Japan*. (1997). Edited by J. W. Hall, M. B. Jansen, M. Kanai, D. Twitchett. vol. 4. Published by: Cambridge University Press.
- Totman, C. (2005). *A History of Japan*. New York: Blackwell.
- Wiley, P. B. (1990). *Yankees in the Land of Gods: Commodore Perry and the Opening of Japan*. New-York.
- Adamchik, V.V., Adamchik, M.V., Badan, A.N., Vojnich, I.E. (2004). *Istoriya Kitaya*. [History of China]. Minsk: Harvest.
- Bogdanovich, T. A. (2003). *Ocherki Iz Proshlogo I Nastoyashhego Yaponii. Istoriya Yaponii*. [Essays from the Past and Present of Japan. History of Japan]. Moskva: Russkaya Panorama.
- Istoriya Yaponii*. [History of Japan]. (1999). Otv. Redactor Zhukov, A. E. t.I. Moskva: IV RAN.
- Mejson, R.G., Kajtrr, D. G. (2020). *Kratkaya Istoriya Yaponii*. [A Brief History of Japan]. Moskva: Azbuka Kolibri.

# THE END OF JAPAN'S SELF-ISOLATION IN 1854 AND ITS AFTERMATH

**Nana Gelashvili**

Doctor of historical sciences, professor,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Tbilisi, Ilia Chavchavadze Avenue №1, 0179,  
Georgia, +995599934977, nana.gelashvili@tsu.ge,  
ORCID: 0000-0003-2293-2637

## **Abstract**

The presented paper is dedicated to one of the most important issues in the history of Japan. In particular, the completion of the country's self-isolation in 1854 or its so-called "opening" with the efforts of the United States and discussion of the following events. Indicated issues in the paper are presented in light of international relations as well as political and socio-economical situation in Japan. To avoid the threat of losing country's political independence and ideological unity, the ruling Tokugawa government pursued a strict anti-Western and anti-Christian policy, which eventually culminated in the closure of the country. Japan was in self-isolation for more than two centuries - from 1639 to 1854. It maintained minimal relations with neighboring Korea and China, and from European countries - only with the Netherlands.

With insistence of the United States, on March 31, 1854, the first „Peace and Friendship Treaty“ was signed between Japan and the United States, under which the U.S. gained a number of privileges in Japan. Following the footsteps of the U.S similar concessions were demanded from Japan by the great European powers and Russia. Due to the difficult political and economic situation, government was forced to conclude kabbalistic agreements that violated the sovereign rights of the country with them. It is true that Japan found itself in a network of unequal treaties, however, the main thing in this case was that a whole new page of the country's history was unfolded. In the

end, the direct result of Japan's opening was positive innovation processes developed in the country in political, socio-economic and cultural spheres , which are discussed and analyzed in the paper presented.

**Keywords:** Japan; USA; self-isolation; Tokugawn; Shogunate.

## ბათუმი და აჭარა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში

სულხან კუპრაშვილი  
ისტორიის დოქტორი,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესორი, ქ. ქუთაისი, ი. აბაშიძის გამზირი № 4/37,  
4600, საქართველო, +995577131523, email:

Sulkhan.kuprashvili@atsu.edu.ge  
<https://orcid.org/>: 0000-0003-0294-4956

გოდერძი ვაჭრიძე

ისტორიის დოქტორი,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი, ქ. ქუთაისი, პ.  
ინგოროვას ქ., № 4/37, 4600, საქართველო  
+995577131512, email: Goderdzi.vatchrifze@atsu.edu.ge  
<https://orcid.org/>: 0000-0003-8770-4438

### აბსტრაქტი.

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს შესწავლილი და  
გაანალიზებული იქნას ქუთაისის გუბერნიის არსებობის პერი-  
ოდში როგორ მიმდინარეობდა ბათუმსა და ზოგადად აჭარის  
რეგიონში რუსეთის იმპერიის სამხედრო, პოლიტიკური და ეკო-  
ნომიკური დაკვიდრების პროცესი, რა სიძნელეები ხვდებოდა  
საიმპერიო ხელისუფლებას აღნიშნული პოლიტიკის გატარების  
საქმეში. 1883 წლიდან ხელახლა აღდგენილ ქუთაისის საგენე-  
რალ-გუბერნატოროს შემადგენლობაში საიმპერიო ხელისუფლ-  
ებამ შეიყვანა ბათუმის ოლქი, რომელიც ბათუმის და ართვინის  
ოკრუგებად დაიყო და სოხუმის განყოფილება, რომელიც ოკრ-  
უგად გადაკეთდა. შემოღებული იქნა ქუთაისის სამხედრო გუბ-  
ერნატორის თანაშემწის თანამდებობა, რომლის რეზიდენცია

ბათუმში იყო. 1903 წელს ქუთაისის გუბერნიას გამოეყო ბათუმის, ართვინის და სოხუმის ოკრუები. ბათუმის და ართვინის ოკრუები გაერთიანდა და შეიქმნა ბათუმის ოლქი, რომელსაც მართავდა სამხედრო გუბერნატორი. ბათუმის ოლქში რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების კოლონიური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ უმნიშვნელოვანეს ცნობებს გვაწვდის ქუთაისის გუბერნატორის ანგარიშები და გუბერნიის ყოველწლიური მიმოხილვები, რომლებიც მდიდარ ფაქტობრივ მასალას შეიცავენ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალი ისტორიის შესასწავლად.

ნაშრომში ქუთაისის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტების, მე-19 საუკუნის რუსი ისტორიკოსებისა და შესაბამისი ქართულენოვანი ლიტერატურის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ ქუთაისის გუბერნატორის ანგარიშები და გუბერნიის მიმოხილვები საშუალებას გვაძლევენ თვალი გავადევნოთ, როგორ მიმდინარეობდა რეგიონში რუსეთის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური დამკვიდრების პროცესი, რა სიძნელეები ხვდებოდა საიმპერიო ხელისუფლებას, აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით მხარის რუსიფიკაციის პოლიტიკის გატარების საქმეში.

**საძიებო სიტყვები:** ქუთაისის გუბერნია; ბათუმის ოლქი; გუბერნატორის ანგარიშები; გუბერნიის მიმოხილვები.

### შესავალი.

რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას დაპყრობილი ქვეყნების მიმართ საერთო ნიშნები ჰქონდა და მძლავრი იმპერიის შექმნას ისახავდა მიზნად. ბუნებრივია, ასეთ პოლიტიკას ატარებდა რუსეთის იმპერია დასავლეთ საქართველოშიც, რომლის კოლონიზაციაც XIX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო და 1877 - 1878 წლების რუსეთ - თურქეთის ომის შემდეგ გადამწყვეტ ფაზაში შეიყვანა სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს დაკავების შემდეგ. იმის გამო, რომ აღნიშნულ რეგიონს განვითარების საერთო დონის მიუხედავად, ბუნებრივ-გეოგრაფიული, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, სამეურნეო-ეკონომიკური და სხვა სახის თავისებურებები ჰქონდა, მათი გაუთვალისწინებლობა დამატებით სირთულეებს

უქმნიდა რუსეთის ადგილობრივ მმართველობას. ცენტრალური მთავრობა იძულებული იყო, თავისი კოლონიური პოლიტიკა ცალკეული რეგიონებისათვის მოერგო და ამით უზრუნველყო მისი განუხრელი გატარება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამ პოლიტიკის რეგიონალური ნიშნით შესწავლა განსაკუთრებით აქტუალურია. ეს საშუალებას მოგცემს უფრო ღრმად ჩავწედეთ დასავლეთ საქართველოში, კონკრეტულ შემთხვევაში ბათუმის ოლქში რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის მძარცველურ, დამპყრობლურ არსს და ხასიათს.

### მეთოდი.

სტატიაზე მუშაობისას კვლევა წარიმართა შემდეგი მეთოდოლოგით: საარქივო მასალების შესწავლა, კვლევა და ანალიზი; ისტორიულ მოვლენათა აღწერა - ანალიზი; შედარებითი კვლევის მეთოდოლოგია; შეფასებითი კვლევის მეთოდოლოგია.

### შედეგები.

მე - 19 საუკუნის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერია იწყებს დამკვიდრებას საქართველოში, აქტიურად მიმდინარეობდა რუსული მმართველობის სისტემის დანერგვა. პარალელურად ხდებოდა ახლად დაპყრობილი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პრიორიტეტების შესწავლა. ამ საქმეს ემსახურებოდა სხვადასხვა საცნობარო ხასიათის გამოცემების შექმნა. ამგვარი ტიპის გამოცემებს წარმოადგენენ „ქუთაისის გუბერნატორის ანგარიშები“ და „ქუთაისის გუბერნიის მიმოხილვები“, რომლებიც მიუხედავად გარკვეული ტენდენციურობისა მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ მთლიანად დასავლეთ საქართველოს მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ისტორიის შესასწავლად.

### დისკუსია.

1840 წელს ამიერკავკასიაში გატარდა ადმინისტრაციული რეფორმა, რომლის მიზანი იყო სრული რუსული მმართველობის შემოღება და მისგან ადგილობრივი მოსახლეობის მთლიანად ჩამოცილება. დროებითი და შერეული რუსული რეფორმის მმართველობები, რომლებიც სამხედრო - საოკუპაციო რეჟიმს განახორციელებდა, ერთიანი სამოქალაქო მმართველობით შეიცვალა. 1840

წლის 10 აპრილის კანონის მიხედვით, რომელსაც სენატორ განის პროექტი დაედო საფუძვლად, შეიქმნა საქართველო-იმერეთის გუბერნია, რომელიც მაზრებად იყოფოდა (ესაძე, 1907: 67-73). გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა ქუთაისის მაზრა, რომლის მთავარი ქალაქი ქუთაისი იყო. ამგვარად, ქუთაისის მაზრა იმერეთის ყოფილი სამეფოს მთელ ტერიტორიას მოიცავდა. თვით მაზრის შიდა ადმინისტრაციულ დაყოფაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, იმერეთის ოლქად ქცეულ ტერიტორიაზე შექმნილი ოკრუგები უბნებად იწოდებოდა.

მმართველობის აღნიშნული სისტემა უვარგისობის გამო მალე გაუქმდა. იმპერატორ ნიკოლოზ I-ის 1844 წლის 27 ნოემბრის ბრძანებით, შეიქმნა კავკასიის სამეფისნაცვლო და მეფისნაცვლად დაინიშნა გრაფი მიხეილ ვორონცოვი (ესაძე, 1907:83). მეფისნაცვლის ინიციატივით, 1846 წლის 14 დეკემბერს კავკასიაში მორიგი ადმინისტრაციული რეფორმა გატარდა. ამიერკავკასია გაიყო 4 გუბერნიად და საქართველომ შეადგინა ორი - თბილისის და ქუთაისის გუბერნიები (ესაძე, 1907: 86). ქუთაისის გუბერნია ადმინისტრაციული თუ ტერიტორიული ცვლილებებით 1846 წლის 10 დეკემბრიდან 1921 წლის 10 აპრილამდე არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკის გუბერნიებად დაყოფა გაუქმდა 1919 წლის 30 იანვრის კანონის საფუძველზე (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1990: 225), ქვეყნის გუბერნიებად დაყოფა პრაქტიკულად მაღაში დარჩა 1921 წლამდე.

ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შევიდა ყოფილი საქართველო-იმერეთის გუბერნიის სამი მაზრა: ქუთაისის, გურიის და ახალციხის. ამასთან ადრინდელი ქუთაისის მაზრა გაიყო სამად: ქუთაისის, რაჭის და შორაპნის მაზრებად. გურიის მაზრას ეწოდა ოზურგეთის მაზრა, ხოლო ახალციხის მაზრაში შევიდა ამ უკანასკნელის მხოლოდ ორი - ხერთვისის და აბასთუმნის უბანი. ამგვარად, ქუთაისის გუბერნია დაყოფილი იყო შემდეგ მაზრებად: 1. ქუთაისის მაზრა, ცენტრი ქუთაისი; 2. შორაპნის მაზრა, ცენტრი საქარა; 3. რაჭის მაზრა, ცენტრი ონი; 4. ოზურგეთის

მაზრა, ცენტრი დაბა ოზურგეთი და 5. ახალციხის მაზრა, ცენტრი ქალაქი ახალციხე. ქუთაისის გუბერნიასთან მითვლილი იყო ასევე სამეგრელოს, საბატონო სვანეთის სამფლობელოები და სამურზაყანოს საბოქაულო (ლავრენტიევ, 1858: 215-220).

1847 წელს ქუთაისის გუბერნიას შეუერთეს თავისუფალი (უბატონო) სვანეთის ათი საზოგადოება და შეიქმნა პატარა იფარის საბოქაულო, ხოლო დარჩენილმა ორმა - ლატალის და ლენჯერის საზოგადოებებმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს 1853 წელს.

1848 წელს სამურზაყანოს საბოქაულო უშუალოდ დაექვემდებარა ქუთაისის გუბერნატორს. 1849 წელს ახალციხის მაზრას შეუერთდა ახალქალაქის უბანი, რომელიც მანამდე თბილისის გუბერნიის ალექსანდროპოლის მაზრაში შედიოდა.

ყირიმის ომის დროს (1853-1856 წწ.) დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე თავმოყრილი იყო რუსეთის ჯარების დიდი რაოდენობა და საამარი ოპერაციები მიმდინარეობდა, რამაც გამოიწვია ქუთაისის გუბერნიის სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების გაერთიანების აუცილებლობა. ახლო აღმოსავლეთის მიმართ რუსეთის დაპყრობითი გეგმების მიხედვით, დასავლეთ საქართველო სამხედრო-სტრატეგიული პლაცდარმი უნდა გამხდარიყო. კავკასიის მეფისნაცვლის თავად ა. ბარიატინსკის წარდგნის საფუძველზე, 1857 წელს იმპერატორ ალექსანდრე II-ის ბრძანებით, შეიქმნა ქუთაისის საგენერალ-გუბერნატორო. მასში შევიდა ახალი ტერიტორიები - აფხაზეთის სამფლობელო და წებელდის საბოქაულო.

ქუთაისის საგენერალ-გუბერნატოროს ტერიტორია ორად იყო გაყოფილი: პირველი შეადგენდა საკუთრივ ქუთაისის გუბერნიას ხუთი მაზრით. მის მართვა-გამეობას, რუსული კანონმდებლობის საფუძველზე, განახორცილებდა სამოქალაქო ნაწილის სამხედრო გუბერნატორი, რომელიც გენერალ-გუბერნატორს ემორჩილებოდა. მეორე - სამეგრელოს, აფხაზეთის, თავისუფალი და საბატონო სვანეთის სამთავროებს, სამურზაყანოს და წებელდის საბოქაულოებს. ეს მიწები, სადაც ნომინალურად ჯერ კიდევ არსებობდა ადგილობრივი მმართველობა, გენერალ-გუბერნატორს ემორჩილებოდნენ. გარდა ამისა, მის დაქვემდება-

რებაში იყო საპორტო ქალაქები: რედუტ-კალე და სუხუმ-კალე. გენერალ-გუბერნატორი ითვლებოდა ამ მხარეში განლაგებული სახმელეთო და საზღვაო ძალების სარდლად.

1864 წელს აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვა-შიძის სამშობლოდან გადასახლების შემდეგ, შეიქმნა სოხუმის განსაკუთრებული ოკრუგი, რომელიც ოთხ უბნად გაიყო და ქუთაისის საგენერალ-გუბერნატოროში შემოვიდა (Маевский, 1856: 66; ესადვე, 1907: 96-164). 1866 წელს სამურზაყანოს და წებელდის მიწებისგან შეიქმნა სოხუმის განსაკუთრებული სამხედრო განყოფილება.

1867 წელს ქუთაისის საგენერალ-გუბერნატორო გაუქმდა და გუბერნიას მართავდა სამხედრო გუბერნატორი. გუბერნიის შემადგენლობაში შევიდა სამეცრელოს გაუქმებული სამთავროს ტერიტორია, რომელიც დაიყო სენაკის, ზუგდიდის და ლეჩხუმის მაზრებად. ქუთაისის გუბერნიას გამოეყო და თბილისის გუბერნიის დაქვემდებარებაში გადავიდა ახალციხის მაზრა.

1874 წელს გაუქმდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობა და გუბერნიის მართვა რუსეთის შიდა გუბერნიების მართვის საერთო წესს დაემორჩილა.

1878 წელს შეიქმნა ბათუმის ოლქი, რომელიც გაიყო ბათუმის, ართვინის და აჭარის ოკრუგებად და უშუალოდ მეფისნაცვალს დაქვემდებარა.

1883 წელს ქუთაისის საგენერალ-გუბერნატორო აღდგენილი იქნა და მის შემადგენლობაში შემოვიდა ბათუმის ოლქი, რომელიც ბათუმის და ართვინის ოკრუგებად დაიყო და სოხუმის განყოფილება, რომელიც ოკრუგად გადაკეთდა. შემოღებული იქნა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწის თანამდებობა, რომლის რეზიდენცია ბათუმში იყო.

1903 წელს ქუთაისის გუბერნიას გამოეყო ბათუმის, ართვინის და სოხუმის ოკრუგები. ბათუმის და ართვინის ოკრუგები გაერთიანდა და შეიქმნა ბათუმის ოლქი, რომელსაც მართავდა სამხედრო გუბერნატორი (Свод законов Российской Империи, 1876: 85; გურული, 2018: 394-397).

ქუთაისის გუბერნატორის ანგარიშები და გუბერნიის ყოველწლიური მიმოხილვები მდიდარ ფაქტობრივ მასალას შეიცავენ

დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალი ისტორიის შესასწავლად. ისინი საშუალებას გვაძლევენ თვალი გავადევნოთ, როგორ მიმდინარეობდა რეგიონში რუსეთის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური დამკვიდრების პროცესი, რა სიძნელეები ხვდებოდა საიმპერიო ხელისუფლებას, აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, მხარის რუსიფიკაციის პოლიტიკის გატარების საქმეში. გუბერნატორები თავიანთ ანგარიშებში ხაზგასმით აღნიშნავენ „რუსული ელემენტის“, რუსების ისტორიულ მისიაზე - გუბერნიის ადგილობრივი მოსახლეობა გამოიყვანონ საუკუნებრივი ჩამორჩენილობიდან. ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორის ა. ოგოლინის აზრით, მხარის რუსეთის ცენტრთან სრულ შერწყმას ხელს სწორედ ის გარემოება უშლის, რომ გუბერნიაში ძალზე მცირე „რუსული ელემენტი“ და გუბერნატორი პირობას დებს იმპერატორის წინაშე, რომ შეეცდება ეს ნაკლი გამოასწოროს (ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 130: 7). 1892 წელს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი წერდა: „ყველაზე მცირერიცხოვანი დასახლებები არის ბათუმის ოკრუგში. თუ საშუალოდ გუბერნიაში ერთ დასახლებაზე მოდის 87 კომლი, ბათუმის ოკრუგში ეს ციფრი შესაბამისად შეადგენს 28 კომლს. სულ არის ორი რუსული დასახლება: ერთი ჩურუქ-სუში (ქობულეთთან) და მეორე ხოლოდნაია სლობოდა ბათუმის ახლოს“ (გურული, 2018: 396). რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობას, გუბერნატორი თვლიდა, რომ „ტუზემცები“ არც ზნეობრივად და არც გონებრივად ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად მონაწილეობა მიეღოთ მხარის მართვაში (ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივი, ფ. 130:45).

გუბერნატორები გაზვიადებულად წარმოადგენდნენ მათი საქმიანობის შედეგებს, მიუთითებდნენ მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებაზე და მაღავდნენ ქვეყნის შიგნით არსებულ ნამდვილ ვითარებას. ამის გამო, გუბერნატორების ანგარიშებში დაცული ფაქტობრივი მასალა კრიტიკულად უნდა იქნას შესწავლილი. გუბერნატორი წლიურ ანგარიშს ადგენდა დადგენილი სტანდარტის მიხედვით, ანგარიში საფუძვლად ედო გუბერნიის მიმოხილვასაც. ამგვარად, „ანგარიშში“ და „გუბერნიის მიმოხილ-

ვებშიც“ ფაქტობრივად ერთი და იგივე მონაცემები იყო შეტანილი.

გავეცნოთ რა ინფორმაციას შეიცავს ქუთაისის გუბერნიის შესახებ 1894 წლის „მიმოხილვა“.

„მიმოხილვის“ მიხედვით, სახელმწიფო ქონების ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს გამგებლობაში 1.108.055 დესეტინა მიწა იყო, 283.954 დესეტინით მეტი, ვიდრე გასულ წელს, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ სამმართველოს გადაეცა მანამდე სამხედრო-სახალხო მმართველობის განკარგულებაში მყოფი მიწები. სახელმწიფო ქონების სამმართველოს გამგებლობაში მყოფი მიწები ასე ნაწილდებოდა, ფართობი მოცემულია დესეტინებში: ქუთაისის მაზრა - 68.375, შორაპნის მაზრა - 28.927, ლეჩხუმის მაზრა - 111.100, ოზურგეთის მაზრა - 67.199, სენაკის მაზრა - 5.659, ზუგდიდის მაზრა - 6.934, სოხუმის ოკრუგი - 365.461, ბათუმის ოკრუგი - 159.600 და ართვინის ოკრუგი - 191.500 (Օნავ, 1894: 4). 1894 წელს სახელმწიფო ქონებისგან მიღებული იქნა 62.164 მანეთის შემოსავალი.

გუბერნიის სხვადასხვა რეგიონში კლიმატის და ბუნებრივი პირობების მიხედვით, მოყვათ: ხორბალი, ქერი, სიმინდი. მსხვილი მეურნეობები და ფერმები არ იყო. გუბერნიისათვის დამახასიათებელი იყო მცირემიწიანობა და მიწის ნაკვეთების დაქსაქულობა, არ ხდებოდა მიწის განაყოფიერება და ხელოვნური მორწყვა. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქუთაისის გუბერნიაში გავრცელება დაიწყო თამბაქოს კულტურამ. პირველ რიგში, თამბაქოს პლანტაციები გაჩნდა სოხუმის, ბათუმის და ართვინის ოკრუგებში. ამ რეგიონებში მოყვანილი თამბაქო წარმატებით უწევდა კონკურენციას თურქულ თამბაქოს. გარდა სამრეწველო პლანტაციებისა, გუბერნიაში იყო 10.634 წვრილი სასოფლო-სამეურნეო პლანტაცია. „მიმოხილვაში“ საინტერესო მონაცემებია ჩაის კულტურის გავრცელების შესახებ, კონკრეტულად ბათუმის ოლქში. აქ ჩაის გავრცელების პიონერი იყო გადამდგარი ინჟინერი, პოლკოვნიკი ალექსანდრე სოლოვიცევი, რომელმაც 1886 წელს ხანკოუდან გამოიწერა და ბათუმის მახლობლად დარგო ჩაის ბუჩქები. 1894 წელს ადგილობრივი ადმინისტრაციის თანდასწრებით დაიწყო ჩაის პირველი კრეფა. ა. სოლოვიცევს გარდა,

ჩაის პლანტაციების გაშენება დაიწყო კონსტანტინე პოპოვმა, რომელსაც ჩაი გაშენებული ჰქონდა 200 დესეტინაზე ჩაქვში, კაპრეშუმსა და სალიბაურში. ა. პოპოვმა იმოგზაურა ჩინეთში, ჩამოიყვანა სპეციალისტები და წარმატებით შეუდგა ჩაის წარმოებას.

„მიმოხილვის“ მიხედვით, გუბერნიაში იყო 7.031 ფაბრიკა და ქარხანა, მაგრამ „ფაბრიკას“ და „ქარხანაში“ იგულისხმება, მაგალითად სპირტის სახდელი პრიმიტიული წარმოება, სხვადასხვა სახის აგურის, კირის, ღვინის მცირე მოცულობის წარმოებები, წისქვილები და სხვ. ამ „ფაბრიკა-ქარხნების“ მოცულობა ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 7.031 ფაბრიკასა და ქარხანაში დასაქმებული იყო 8.607 მუშა და მათი გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 23.948.990 მანეთს არ აღემატებოდა. ამ თანხის დიდი ნაწილი ბათუმის საწარმოებში დამზადებულ ნავთის საექსპორტო ტარაზე მოდიოდა.

„მიმოხილვაში“ კარგად არის წარმოდგენილი გუბერნიის როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვაჭრობა. ქუთაისის გუბერნიას, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, განსაკუთრებით ამიერკავკასიის რეინიგზის გაყვანის შემდეგ, აღმოსავლეთის ქვეყნებთან რუსეთის სატრანზიტო ვაჭრობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბათუმი და ფოთი უცხოეთის და რუსეთის საქონლის გატანის და შემოტანის ძირითადი პუნქტები გახდნენ. ბათუმის მთავარ სასაწყობო საბაჟოდან 1894 წელს შემოტანილი იქნა 4.174.279 ფუთი საქონელი, რომლის ღირებულება 3.072.826 მანეთი იყო, ხოლო გატანილი იქნა 51.341.329 ფუთი საქონელი (სიმინდი, ხის მორები, აბრეშუმის ნაწარმი, მარგანეცი და სხვ.) 19.440.357 მანეთის ღირებულებით.

რაც შეეხება სხვა ხარჯებს:

სახაზინო და საზოგადოებრივი შენობები - 1894 წელს ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს სამშენებლო განყობილებამ ბათუმში შეაკეთა სამხედრო გუბერნატორის თანაშემწის ბინა, რაც 788 მანეთი დაჯდა.

გზები - გუბერნიის სამმართველოს სამშენებლო განყობილებამ გზების და ხიდების კეთილმოწყობაზე 167.362 მანეთი დახარჯა: შევეთდა ბათუმ-არდაგანის გზის მდ. ჭორობზე ართვინთან

ხიდისკენ მიმავალი მონაკვეთი, შეკეთდა ნაქერალადან ტყიბულისკენ მიმავალი გზა, სოხუმ - ზუგდიდის გზაზე, მდ. მერკულზე აიგო ერთი ხის ხიდი, ნაქერალას გადასასვლელზე სამი ხიდი, დაიწყო ლაჯანურის გზის გაფართოება და დამუშავდა ბათუმსა და ოზურგეთს შორის გზის პროექტი.

პორტები - გრძელდებოდა ბათუმის და ფოთის პორტების კეთილმოწყობა. სახელმწიფო საბჭომ ასიგნაციის სახით, ბათუმისთვის 750.000 მანეთი გამოყო. აღსანიშნავია, რომ ბათუმისაგან განსხვავებით ფოთს ახალი დაფინანსება არ მიუღია.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

- გურული, ვ. (2018). „საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918)“. წიგნი II. თბილისი.
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1992. (1990). თბილისი.
- ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფონდი N 130.
- Лаврентьев, В. (1858). *Статистическое описание Кутаисского генерал-губернаторства*. СПБ.
- Маевский, В. (1856). *Кутаисская губерния, военно-статистическое описание*. Тифлис.
- Обзор Кутаисской губернии на 1894. (1893). Кутаиси.
- Кавказский календарь на 1895 год. (1894). СПБ.
- Свод законов Российской Империи. (1876). СПБ.
- Эсадзе, С. (1907). *Историческая записка об управлению Кавказа*. т I. Тифлис.

### References

- Guruli, V. (2018). „Sakartvelos Axali Istorija (1801-1918)“ [The New History of Georgia (1801-1918)]. Ts'igni II. Tbilisi.
- Sakartvelos Demok'rat'iuli Resp'ublik'iis Samartlebrivi Akt'ebis K'rebuli, 1918-1992. [Collection of Legal Acts of the Democratic Republic of Georgia, 1918-1992].* (1990). Tbilisi.

- Kutaisis Tsent'raluri Sakhelmts'iifo Arkivi.* Fondi N 130. [Kutaisi Central State Archive]. Fonds N 130.
- Lavrentiev, V. (1958). *Statisticheskoe Opisanie Kutaisskogo General-Gubernatorstva.* [Statistical Description of the Kutaisi Governorate. St. Petersburg]. SPB.
- Maevskij, V. (1856). *Kutaisskaya Guberniya, Voenno-Statisticheskoe Opisanie* [The Kutaisi Governorate, Military-Statistical Description]. Tiflis.
- Obzor Kutaisskoy Gubernii na 1894.* (1893). [Description of the Kutaisi Governorate 1894]. Kutaisi.
- Kavkazskij Kalendar' na 1895 god.* (1894). [Kavkazsky Calendar 1895]. SPB.
- Svod Zakonov Possijskoj Imperii.* (1876). [Collection of Laws of the Russian Empire]. SPB.
- Jesadze, S. (1907). *Istorucheskaya Zapiska ob Uprableniyu Kavkaza.* T. I. [Historical Entry of the Rule of the Caucasus]. Vol. I. Tiflis.

## **Batumi and Adjara as Part of the Kutaisi Governorate**

**Sulkhan kuprashvili**

Doctor of History, Professor of Akaki Tsereteli State University  
Kutaisi, Abashidze st., №4/37, 4600, Georgia,  
+995577131523, email: Sulkhan.kuprashvili@atsu.edu.ge  
<https://orcid.org/>: 0000-0003-0294-4956

**Goderdzi Vatcridze**

Doctor of History, Associate Professor of  
Akaki Tsereteli State University  
Kutaisi, Ingorokva st., №58, 4600, Georgia,  
+995577131512, email: Goderdzi.vatchrifze@atsu.edu.ge  
<https://orcid.org/>: 0000-0003-8770-4438

### **Abstract**

The aim of the present paper is to study and analyze the process of military, political and economic establishment of the Russian Empire in Batumi and the Adjara region in general during the existence of the Kutaisi Governorate (Guberniya), and the difficulties that the imperial government faced in pursuing this policy. The imperial government included the Batumi Oblast as part of the Kutaisi Governorate, which was restored in 1883, and divided it into the Batumi and Artvini Okrugs, and the Sukhumi district which was re-formed into the okrug. The position of an Assistant to the Military Governor of Kutaisi was created whose residence was in Batumi. In 1903, Batumi, Artvini and Sukhumi Okrugs were detached from the Kutaisi Governorate. The Batumi and Artvini Okrugs were united and re-formed into the Batumi Oblast which was governed by the Military Governor. The reports of the Governor of Kutaisi and the annual reviews of the Governorate provide the most important information about the main directions of the colonial policy of the Russian imperial government in the Batumi Oblast which contain rich factual material for the study of the new history of western and southwestern Georgia.

The paper shows that the reports of the Governor of Kutaisi and the reviews of the Governorate provide an insight into the process how Russia's military, political, and economic establishment in the region took place, and what difficulties the imperial government faced in pursuing the policy of Russification of the region compared to eastern Georgia based on the documents preserved in the Kutaisi Central Archive, works by 19th-century Russian historians and relevant Georgian-language literature.

**Keywords:** the Kutaisi Governorate; the Batumi Oblast; Governor's reports; reviews of the Governorate.

ფილიპე „კეთილის“ „ხოხბის ნადიმი“ და არშემდგარი  
ანტიოსმალური ჯვაროსნული ლაშქრობა კონსტანტინოპოლის  
დასაბრუნებლად

ლევან ჯანჯავა  
ისტორიის მაგისტრი,  
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის  
დეპარტამენტი, ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის  
გამზირი №1, 0179, საქართველო, +995555155870,  
levan.janjhava526@hum.tsu.edu.ge,  
<https://orcid.org/0000-0002-7986-7891>

### აბსტრაქტი.

„ჯვაროსნული ლაშქრის“ დეფინიციის ცვლილება 1291 წლიდან, ანუ წმინდა მიწაზე ჯვაროსნული ომების დასრულების შემდეგ დაიწყო. მიუხედავად იმისა „ჯვაროსნული ლაშქრის“ ინტერპრეტაცია არ შეცვლილა, იგი დარჩა როგორც: ევროპის ქრისტიანული აღიანსი აღმოსავლეთის სარაცენთა წინააღმდეგ. „ჯვაროსნული ლაშქამა“ XV საუკუნეში ახალი სახელი, „ანტიოსმალური აღიანსი“ მოირგო. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ჯვაროსნული ლაშქარი“ გამოიყენებოდა თითქმის ყველა ანტი-მუსლიმური კამპანიების დასახასიათებლად, 1291 წლის შემდეგაც.

როდესაც კონსტანტინოპოლი დაეცა ევროპა აშკარად შეშფოთებული უყურებდა ოსმალეთის აღზევებას. ჰორიზონტზე მეპ-მეთ ფატიჰის იმპერია მოჩანდა. ევროპა არანირად არ იყო მზად ახალი კაიზერ-ი რუმის წინააღმდეგ ლაშქრობას, განსაკუთრე-

ბით თუ გავითვალისწინებთ რომ კონსტანტინოპოლის დაცემამდე მხოლოდ რამოდენიმე თვით ადრე დამთავრდა ას წლიანი ომი.

მხოლოდ ბურგუნდიის ჰერცოგმა, ფილიპე III კეთილმა გადადგა ეს გულადი ნაბიჯი. კონსტანტინოპოლის დაცემიდან რამოდენიმე კვირაში მან მის გამორჩეულად საყვარელ ლილის სასახლეში გამართა ნადიმი. ნადიმს, რომელსაც სახელად „ხოხბის ნადიმი“ ეწოდა, ასზე მეტი სტუმარი ეწვია. სტუმრები თავადები და ევროპული ჯარების მაღალი რანგის წევები იყვნენ. სტუმრების დიდი ნაწილი კი ფილიპეს ოქროს საწმისის ორდენის წევრები იყვნენ.

ხოხბის ნადიმი გამოიჩევა იმით რომ იმ საღამოს, ფილიპმა ფიცი დადო რომ იგი ყველაფერს იზამდა რათა კონსტანტინოპოლი და შემდეგ იერუსალიმი გაენთავისუფლებინა მუსლიმთა აგან.

მიუხედავად მისი უდიდესი ძალისხმევისა და მცდელობისა, ფილიპმა ევროპა ვერ დაიყოლია. იგი გარდაიცვალა შიშით, რომ მას ღმერთი განსჯიდა რათა მან ვერ მოახერხა კონსტანტინოპოლის დაბრუნება.

**საძიებო სიტყვები:** ფილიპე კეთილი; ხოხბის ნადიმი; ჯვაროსნული ლაშქარი; ანტი-ოსმალური ალიანსი; მეპმეთ II; ოქროს საწმისის ორდენი.

### **შესავალი.**

ფილიპე III კეთილის ხოხბის ნადიმზე ბევრი არ არის ცნობილი, განსაკითრებით ქართულ ენაზე. კონსტანტინოპოლის დაცემით ევროპას ოსმალეთის სახით ახალი თავსატეხი გამოუჩნდა. მიუხედავად XV საუკუნის წყაროებისა, სადაც შეიძლება შეგვხვდეს არაერთი ევროპელი მონარქის აღწერა, თუ როგორ გულადად დახვდა იგი რომის აღმოსავლეთ იმპერიის დაცემას და ოსმალეთის გაბატონებას აღმოსავლეთ ევროპაში, სინამდვილეში, მხოლოდ ერთი, ბურგუნდიის ჰერცოგი, ფილიპ კეთილი გვევლინება რეალურ უშიშარ ფიგურად, რომელმაც „გაბედა“ და მეპმეთ II-ს წინააღმდეგ ევროპის გაერთიანება ისურვა. მაგრამ ამაოდ მიუხედავად ფილიპეს მონდომებისა, ევროპის არცერთ

გეგმაში არ შედიოდა ახალი მუსლიმი ძალის წინააღმდეგ ლაშქარი.

### მეთოდი.

სტატიაში გამოყენებულია წყაროების კოპილაცია რათა რაც შეიძელბა ახლოდან შევისწავლოთ ხობის ნადიმის მიზანი და ფილიპ კეთილის ანტი-ოსმალური კოალიციის შექმნის მოტივაცია.

### შედეგები.

მიუხედავად იმისა რომ ჯერჯერობით მხოლოდ რამოდენიმე წყარო იქნა შესწავლილი. პილიპე კეთილის ანტი-ოსმალური სენტიმენტის კიდევ უფრო სიღრმისეული შესწავლა არის შესაძლებელი. ამ ფენომენზე ქართულ ენაზე ყურადღების გამახვილება საჭირო რამ არის, რადგან სრულიად შესაძლებელია რომ ზუსტად ქართულმა ისტორიოგრაფიულმა საზოგადებამ აღმოაჩინოს და დააკავშიროს ის ინფორმაცია რომელიც ჯერ კიდევ არ დაუკავშირებია დასავლურ ისტორიოგრაფიას ფილიპე კეთილზე.

### დისკუსია.

ჯვაროსნული ლაშქრობების პოლიტიკა ძალზედ კომპლექსური საკითხია. 1095 წელს, პაპი ურბან II-ის (1089-1099) კლერმონის საკულესიო კრებაზე სიტყვით გამოსვლამ და მისივე „წმინდა სიტყვით“ პირველი ჯვაროსნული ომის გამოცხადებას ერეტიკოსთა წინააღმდეგ, ორ საუკუნოვანი, უზარმაზარი და იმ დროისათვის, გლობალური მნიშვნელობის პოლიტიკური თამაშის წარმოქმნა მოჰყვა.

შემდეგი ორი საუკუნის განმავლობაში, მხოლოდ იერუსალიმის სახელს თუ ექნებოდა სიტყვა „მშვიდობასთან“ რაიმე კავშირი. ამ პერიოდის განმავლობაში, მხოლოდ სისხლი თუ მორწყვავდა ლევანტის მშრალ ნიადაგზე ამოსულ ყვავილებს.

ცხადია, რომ ჯვაროსნების მოწინააღმდეგე მუსლიმები ქრისტიანების მიერ ერეტიკოსებად იყვნენ მოხსენიებულნი და ამ ტერმინის მორგება არაერთ ხალიფატს თუ სასულტნოს მოუწია. ერეტიკოსების სახელი ქრისტიანებმა პირველ რიგში სელჩუკებსა და ფატიმიანთა წარმომადგენლებს უწოდეს, ხოლო შემდეგ, ეს წოდება, აიუბიანთა დინასტიის მესვეურებს ხვდათ წილად.

სწორედ ამ უკანასკნელის წინააღმდეგ შედგა ევროპული ჯვაროსული ცხრა ლაშქრობიდან ხუთი.

მერვე ჯვაროსნულმა ლაშქრობამ, რომელიც 1270 წელს მოეწყო, ევროპელები ლევანტს ცოტახნით დაშორა და ისინი ხმელთაშუა ზვის გადაღმა, მაღრიბში, ბერბერელი ჰაფსიდების წინააღმდეგ გააღაშქრა. „ერეტიკოსი“ ჰაფსიდების დამარცხება ევროპელებმა ვერ მოახერხეს, მაგრამ მათი გეგმა სისრულეში ოსმალებმა სამი საუკუნის თავზე მოიყვანეს.

წმინდა მიწისათვის ჯვარსნული ომის ბოლო მოწინააღმდეგი ერეტიკული ძალა, აიუბიდთა სასულტნოს ფერფლიდან დაბადებული ეგვიპტის მამლუქების სახელმწიფო (1250-1517) აღმოჩნდა, რომელიც არამარტო დაუმარცხებელი, არამედ ლევანტში ჯვაროსნების ბოლო მეტოქე აღმჩნდა.

მამლუქთა მიერ 1291 წელს აკრას აღებითა და ქრისტიანების იმ ტერიტორიებიდან განდევნით, ჯვაროსნულმა ლაშქრობამ დაკარგა თავისი წონა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უცხოურ წყაროებში მოხსენიებული სიტყა - ინგლისურად „Crusade“ და ფრანგულად „Croisade“ წმინდა მიწისათვის მოლაშქრე ჯვაროსნული კამპანიებისაგან ძალზედ განსხვავდება. როგორც ვახსენეთ, ტერმინი „ჯვაროსანული ლაშქარი“ აკრას დაცემის შემდეგ ექსკლუზიურად ევროპის კონტინენტზე, რომის პაპების მიერ რეგიონალური კონფლიქტების გადასაწყვეტად შექმნილი სამხედრო ალიანსების ზედმეტსახელი გახდა.

წმინდა მიწაზე ჯვაროსნული ომების წარუმატებლობების მიუხედავად, ევროპელებმა კვლავ განაგრძეს ბრძოლა მუსლიმთა წინააღმდეგ. ევროპელთა ლაშქარი უკვე აღარ ატარებდა კლასიკურ „ჯვაროსნულ“ იერსახეს. მათ მაინც მოუხდათ ძველ მტერთან მამლუქებთან ბრძოლა, როგორც ასევე ანატოლიურ ბეილიქებთან, როგორბიც იყვნენ ქარასისა და აიდინის ბეილიქები. ამ თემებს არ შევეხებით.

აღსანიშნავია, რომ 1299/1300 წელს, ევროპის აღმოსავლეთ პორიზონტზე, ახალი მოწინააღმდეგე, ოსმალეთი გამოჩნდა, რომელმაც არა მხოლოდ ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიები შთანთქა არამედ, ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, კონსტანტინოპოლის ქალაქ-სახელმწიფოდ აქცია. XIII საუკუნის ბოლოდან

მოყოლებული ქრისტიანულ ევროპას დიდი ხანია ერეტიკოსთა წინააღმდეგ ლაშქრობა არ გამოუცხადებია. რა თქმა უნდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროპას მოუწია ძველ და შედარებით ახალ მტერთან ბრძოლა, მაგრამ სიმართელს ვერ გავიქცევთ, ჯვაროსნული ომის ეპოქა უკვე წარსულს იყო მიბარებული. ევროპის სახელმწიფოები სარაცინთა წინააღმდეგ მრავალი წელია არ გაერთიანებულან.

ბურგუნდიელი ჰერცოგის, ფილიპე III „კეთილის“ (1419-1467) ძალისხმევით, ტერმინი „ჯვაროსნული ომი“ გადაიქცა „ანტიოსმალურ ალიანსად“. ფილიპე კეთლის ძალისხმევამ ევროპას დაანახა, რომ ოსმალებთან ომი გარდაუვალი იქნებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ XIV საუკუნის ევროპა დაყოფილია ოჯახურ და პოლიტიკურ სფეროებად. იმ დროს, სიტყვა „ჯვაროსნული“ რაიმე მნიშვნელოვანს აღარ ნიშნავდა. ოსმალები აღმოსავლეთ პორიზონტზე ბალკანეთის ნახევარკუნძულს იპყრობდნენ და მის მეზობელ სახელმწიფოებს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ. ამ დროს, სხვა თუ არავინ, ფილიპე კეთილი, უძლიერესი ბურგუნდიის საჰერცოგოს მთავარი, მისი ცხოვრების ბოლო წლებს ევროპის ანტიოსმალური სენტიმენტის ამაღლებაში ატარებს.

1453 წლის 29 მაისს ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, განადგურდა ბიზანტიის იმპერია და მასთან ერთად ევროპის აღმოსავლეთი კარიბჭე. მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიულად ოსმალეთი კონსტანტინოპოლის დაცემამდე უკვე ფლობდა ევროპაში ტერიტორიებს, ქალაქის აღებით, მათ ერთი რამ დაამტკიცეს, რომ ახლა ისინი ევროპასთან ისე ახლოს იყვნენ როგორც არასდროს.

ჩვენთვის, კონსტანტინოპოლის დაცემიდან ცხრა თვის თავზე, ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქ ლილში მომხდარი ეპიზოდი იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. კონსტანტინოპოლის დაცემამ, რა თქმა უნდა, ევროპა არამარტო შეაშფოთა, არამედ რეალურად დაანახა, რომ ადრე თუ გვიან ახალ ძალასთან, ოსმალებთან, მოუწევდათ ომი. კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის დაბრუნების პოლიტიკის ღრმა მორწმუნედ ბურგუნდიის ჰერცოგი ფილიპ III კეთილი გამოვიდა ისტორიის ავანსცენაზე.

ფილიპე კეთილის ანტიოქიალურ სენტიმენტს მხოლოდ ევროპული თავდაცვითი სტრატეგიის იერსახე არ ჰქონია. ფილიპეს ოსმალებთან პერსონალური დავა ჰქონდა, რომელიც ჰერცოგის დაბადების წელს, მამამისს, ჟან I „უშიშ“ (1404-1419) გადახდა.

1396 წელს, ჯვაროსნული ძალა, რომელშიც ევროპის თითქმის ყოველი ძლიერი სახელმწიფოს წარმომადგენლობა შედიოდა, ოსმალებთან ნიკოპოლის ბრძოლაში სასტიკად დამარცხდნენ. მიუხედავად ბაიაზიდ I-ს (1389-1402) ჯარის დიდი დანაკარგისა, ჯვაროსნულმა ალიანსმა გაცილებით მძიმე დანაკარგი განიცადა, მრავალი ევროპელი ტყვედ ჩავრდა. მაგრამ ყურადღება უნდა მიექცეს კერძოდ ერთ ტყვეს, ფილიპე კეთილის მამას, ჟან I „უშიშ“ (sans peur), რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად ნიკოპოლის სისხლიან ბრძოლაში მოიპოვა მისი ზედმეტსახელი, ბაიაზიდს მაინც ჩაუვარდა ტყვედ. აღსანიშნავია ისიც, რომ მის ზედმეტსახელთან ერთად ჟან „უშიში“ დღემდე კრიტიკის სუბიექტია, რადგან მისმა დაუგეგმავმა და იმპროვიზირებულმა სტრატეგიებმა, საბოლოოდ მისივე ჯარების განადგურება გამოიწვია.

ნიკოპოლის ბრძოლა არამარტო ჯვაროსნული ალიანსის კრახით, არამედ ოსმალების განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. ჯვაროსნული ალიანსის კრახი მდგომარეობდა იმაში, რომ ჯარის იმ უმცირესობისგან განსხვავებით, ვინც ცოცხლები გადაურჩნენ ბრძოლას, ტყვედ იყვნვევ აყვანილნი. ტყვეთა შორის სამი ათასამდე ქრისტიანი ოსმალებმა დასაჯეს სიკვდილით. ტყვეთა შორის ბურგუნდიის მომავალი ჰერცოგი და ფილიპე კეთილის მამა ჟან „უშიშიც“ იყო. ჟანი ბაიაზიდ I-ს პირად ტყვედ ჩავარდა. მიუხედავად დამარცხებული ბურგუნდიისა და ევროპის დაჟინებული მოთხოვნებისა, ბაიაზიდის მიერ ჟანის განთავისუფლება მხოლოდ მამის, ფილიპე II „გულადის“ (1363-1404) მიერ უზარმაზარი გამოსასყიდის გადახდის შემდეგ მოხერხდა. ბაიაზიდის მიერ ჟანის დამცირების ეპიზოდს კიდევ ერთხელ შევეხებით.

1454 წლის 17 თებერვალს, ფილიპე მის რჩეულ „ლილის სასახლეში“ დიდ ნადიმს მართავს და ეპატიუება იმ თავადებს, რომლებიც მხარს დაუჭერენ ოსმალთა წინააღმდეგ ჯვაროსნული

ლაშქრობის ახალ იდეას. ეს ნადიმი ცნობილია როგორც „Vœu du faisant“, ქართულად „ხოხბის ნადიმი“. ამ უკანასკნელს აგრეთვე მეორე სახელით - „ხოხბის ფიცის ბანკეტით“ - იცნობენ. ფილიპეს მიერ მოწყობილ ამ ნადიმს ფრანგული ისტორიულ-ლიტერატურული დატვირთვა აქვს, რადგან იგი „ჩიტის ფიცის“ სახეს იღებდა, ტრადიცია რომელიც XIV-ე საუკუნის საფრანგეთში გავრცელებული იყო. თავადების მიერ ფილიპეს წინაში ფიცის დადების სიმბოლიკა კი - ხოხობი გახდა (Lafort une-Martel, 1984: 15, 39).

ნადიმი ძალზედ ექსტრავაგანტული იყო. აღსანიშნავია, რომ ფილიპე ხელოვნებისა და კულტურის მოყვარული ჰერცოგი გახლდათ, „ხოხბის ნადიმმა“ კი მისი თეატრალური მრავალ-ფეროვნება უფრო სიღრმისეულად გაგვაცნო. ნადიმზე გაიმართა წარმოდგენა და მსახიობი, რომელიც წმინდა ეკლესიის პერსონიფიკაციას წარმოადგენდა, ჰერცოგსა და მის სტუმრებს ევედრებოდა გადაერჩინა წმინდა მიწა და ეხსნა კონსტანტინპოლი სარაცინებისაგან (იგულისხმებიან ოსმალები). კოსტუმირებული ფიგურა ციხესიმაგრეში იყო გამოკეტილი, რომელიც ხის სპილოს ზურგზე იყო შემოდებული, სპილოს კი წინ გიგანტი სარაცინი მიუძღვდა. როგორც ინტერაქტიული თეატრი, ფილიპე და დამსწრეები ეკლესიის პერსონიფიკაციას დაპირდნენ, რომ წმინდა ეკლესიას სარაცინებისაგან გაანთავისუფლებდნენ (Lafortune-Martel, 1984: 111-113).

წყაროები მიგვითითებენ, რომ ფილიპეს სურდა მის მიერ წამოწყებული ჯვაროსნული ლაშქრობა სარაცინთა წინააღმდეგ დამსგავსებოდა იასონის მითს. ფილიპეს ეს მოსაზრება თანხმობაში მოდის ისტორიულ ფაქტოლოგიასთან, რადგან 1430 წელს მან ოქროს საწმისის ორდენი დაარსა, სადაც შედიოდნენ რჩეული კარისკაცები, თავადები, პრივილეგირებული ჯარის კაპიტნები და ა.შ.

„ხოხბის ნადიმს“, რა თქმა უნდა, ასევე ესწრებოდნენ ოქროს საწმისის ორდენის წარმომადგენლებიც, რომლებიც შეადგენდნენ ფილიპეს ნადიმის ასამდე სტუმარს. არსებობს მოსაზრება, რომ მიუხედავად ძალზედ თავდადებული სენტიმენტისა, ფილიპე-სთან ერთად დარაზმულიყვნენ ოსმალების წინააღმდეგ, იყვნენ

ერთეულები, რომელთა სახელებიც უცნობია, ვინც ორჭოფობდნენ ფილიპეს კამპანიის შესაძლებლობის შესახებ. მაგრამ მაინც, ნადიმზე, ფილიპემ მაგიდაზე მოყვანილ ხოხობზე დაიფიცა რომ იგი ოსმალების წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის წამოსაწყებად ყველაფერს იღონებდა, რასაც ნადიმის სხვა წევრთა ერთხმიერი თანხმობა მოჰყვა (Vaughan, 1970: 297).

ფილიპეს ჯვაროსნულ გეგმას, მხოლოდ „ხოხობის ნადიმის“ წევრები არ უჭერდნენ მხარს. მის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარდამჭერად საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი, ფრიდრიხ III (1452-1493), გვევლინება, რომელმაც 1454 წლის გაზაფხულზე ფილიპე რეგენსბურგში, იმპერიულ კრებაზე მიიწვია ჯვაროსნულ მოტივაციებზე სასაუბროდ. მიუხედავად ფილიპეს აღტაცებებისა, მისი რეგენსბურგში ჩასვლისას გაირკვა, რომ იმპერატორი, რომელმაც ფილიპე დაიბარა, რეგენსბურგში არ აღმოჩნდა, რამაც რა თქმა უნდა, ფილიპეს იქ ჩასვლა უმიზეზო გახადა და არანაირი საუბარი ჯვაროსნულ ლაშქრობაზე არ მომხდარა (Vaughan, 1970: 358-9).

ფილიპემ ანტიოსმალური ლაშქრის შეკრება რეგენსბურგიდან დაბრუნების შემდეგ გადაწყვიტა. 1454-59 წლებში ფელიპე სადაც შეძლებდა ყველგან ანტიოსმალური ლაშქრობის იდეას ლობირებდა. 1455 წელს თითქოსდა ფილიპე უკვე მზად იყო მისი გრანდიოზული გეგმის განსახორციელებლად, როდესაც მისმა მტერმა, საფრანგეთის მეფე შარლ VII ვალუამ (1429-1461) დართო ფილიპეს ნება ფრანგი მოქალაქეების რეკრუტირებაზე, მისივე ბურგუნდიული ლაშქრისათვის.

მიუხედავად ამისა, ფილიპეს გეგმა შეანელა პაპ ნიკოლოზ V-ის (1447-1455) სიკვდილმა, მაგრამ, ჰერცოგისთვის საბედნიეროდ, ახალი პეპი - კალიქსტ III (1455-1458) ჯვაროსნული ლაშქრობის მხარდამჭერი აღმოჩნდა. ევროპულმა და კერძოდ ფრანკო-ბურგუნდიულმა შიდა პოლიტიკურმა გართულებებმა კვაროსნული ლაშქრის გეგმა დროებით გვერდზე გადადო (Vaughan, 1970: 366).

ფილიპეს ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის გამოცხადების მონდომება, მიუხედავად იმისა, რომ უკვე საჯარო ინფორმაცია იყო, პირველი არ ყოფილა. ფილიპე მისივე

დაარსებულ „ოქროს საწმისის“ ორდენის წევრთა შორისაც არ იშურებდა სიტყვებს, რათა გამოხატა მისი ემოცია, როგორც წმინდა ეკლესიის დამცავი და ოსმალების დამმამარცხებელი ჰერცოგი.

მაგრამ ბოლოს, მისი მონდომების ამბავი თვით ოსმალეთის სულტან მეჰმედ II-ს (1444-1446 / 1451-1481) მიუვიდა. 1455 წელს ოცდაოთხი წლის მეჰმედმა, სამოცი წლის ფილიპეს ულტი-მატუმის მაგივრად წერილი გაუგზავნა, სადაც იგი ბურგუნდიელ ჰერცოგს პირობას აძლევს, რომ თუ იგი გაიღაშქრებდა ოსმალეთის წინააღმდეგ, მასაც იგივე ბედი დაადგებოდა, რაც მის მამასა და წინა ბურგუნდიელ ჰერცოგს უნ „უშიშს“, ნიკოპოლის ბრძოლის დროს. როგორ ზემოთ აღვნიშნეთ, 1396 წელს, ნიკოპოლის ბრძოლისას, მეჰმედის დიდმა ბაბუამ, სულტან ბეიაზიდ I-მა უნი ტყვედ ჩაიგდო. უნის განთავისუფლება მხოლოდ გამოსასყიდის გადახდის შემდეგ მოხდა. აღსანიშნავია რომ, მეჰმედი ფილიპეს „შენობით“ მიმართავს და მისივე წერილში თავს არა როგორც ოსმალეთის სულტანს, არამედ როგორც „ალექსანდრესა და ჰექტორის შთამომავალ, ბაბილონის სულთან და ტროას მეფეს....“ მოიხსენიებს. მისი თავის დახასიათება წერილში რამოდენიმე ხაზს იკავებს (Die Chroniken der fränkischen Städte, Nürnberg, 1872: 212-213).

საინტერესოა თუ რამდენად შეანელა მეჰმედის ასეთმა პერსონალურმა წერილმა ბურგუნდიული ლაშქრის განვითარება, რადგან აშვარად ჩანს, რომ 1455 წელს ფილიპე ჯერ კიდევ მოლაპარაკებების და ლობირების პროცესში იყო, მათ შორის ალფონსო V „არაგონელთანაც“ (1416-1458). 1456 წლის ივლისში კალიქსტ III-მ ფილიპეს, რომელიც მაშინ პაპაში იმყოფებოდა, ჯვაროსნული ალამი გაუგზავნა. ამ ძღვენით, პაპმა ფაქტობრივად ჰერცოგს შეახსენა ჯვაროსნული ლაშქრობის დიდი მისია (Vaughan, 1970: 367).

1458 წელს კალიქსტ III გარდაიცვალა და მის ადგილი პიუს II-მ (1458-1464) დაიკავა. აღსანიშნავია, რომ მე-XV საუკუნეში მოღვაწე არც ერთ პაპს არ უცდია ჯვაროსნული ლაშქრის წამოწყება ისე, როგორც ეს უნდოდა პიუს II-ს.

იმისათვის რომ ევროპის წამყვანი ძალები პაპს შეხვედრო-დნენ და ესაუბრათ მომავალ ჯვაროსნულ ლაშქარზე, პისუ II-მ 1459 წელს მანტუაში კრება მოიწვია. მაგრამ როგორც რეგენსბ-ურგში, მანტუას კრებაც, 1460 წელს, კრახით დამთავრდა. აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოები არა მთავრებს, არამედ ელჩებს აგზა-ვნიდნენ მანტუაში, თვით ფილიპეც კი არ დასწრებია კრებას. ერთი რამ ცხადი იყო, იმ ელჩებიდან ვინც პაპს მანტუაში ეწვ-ივნენ, აცნობეს რომ მათ სახელმწიფოებს ჯვაროსნულ ლაშქრო-ბაში თითქმის არანაირი სურვილი არ ჰქონდათ. საბოლოოდ, კრება დამთავრდა არაფრისმთქმელი წინადადებით, რომლითაც პაპმა ოსმალებს ომი გამოიცხადა (Vaughan, 1970: 216).

ამას მეტმედ სულტანმა კიდევ ერთი წერილით უპასუხა. წერი-ლში იგი აღწერდა, რომ რომს იგივენაირად მოექცეოდა, როგორც კონსტანტინოპოლის. და ყველაზე საინტერესო, მეტმედის წერი-ლში ასევე ხაზგასმით ეწერა, რომ იგი ღმერთის დახმარებით ბურგუნდიის ჰერცოგს მისივე ქალაქში მოაჭრიდა თავს (Leroux De Lincy, 1857: 49).

მანტუამ დაგვანახა, რომ სინამდვილეში, ფილიპეს ანტიოსმა-ლურმა გამოსვლამ ვერ გაამართლა. ფილიპე ცხოვრების ბოლ-ომდე ცდილობდა ეს ლაშქარი აღემართა, მაგრამ გავიდა დრო და 1464 წელს ფილიპეს ბოლო იმედი პისუ II გარდაიცვალა. თვით ფილიპე კი 1467 წელს გარდაიცვალა, ისე რომ მან კონსტანტინო-პოლისა და იერუსალიმის „განთავისუფლება“ ვერასდროს შეძ-ლო. ამბობენ, რომ მისი ცხოვრების ბოლო წლებში იგი ღმერთს ტირილით ევედრებოდა, რომ შეენდო მისთვის, რადგან მან მისი წმინდა მისია ვერ შეასრულა.

მიუხედავად ყველაფრისა, ევროპელებსა და ოსმალებს შორის მრავალწლიანი კონფლიქტი მაინც დაიწყო. ევროპელები ბოლოს მაინც გაერთიანდნენ ოსმალების წინააღმდეგ, რამაც ევროპაში ანტიოსმალური კამპანიები წარმოქმნა, რომელიც XVII საუკუ-ნეში დიდ თურქულ ომში გადაიზარდა.

## დასკვნა

როგორც აღვნიშნეთ, სიტყვა ჯვაროსნული XIV საუკუნის დასაწყისიდან უკვე აღარაფერ მნიშვნელოვანს არ ნიშნავდა. ფილიპე გრძელ თურქულ ომს ვერ მოესწრო, მაგრამ ჩვენი

აზრით, მან მოახერხა და ევროპის ანტიოქიალურ გამოლვიძებაში დიდი როლი ითამაშა.

საინტერესო იქნებოდა, თუ როგორი სცენარი გათამაშდებოდა ფილიაქს რომ შესძლებოდა „ხოხბის ნადიმის“ თეატრალური შესრულების რეალობაში მოყვანა. რაც არ უნდა მოხდეს, ისტორიამ ეს პატარა ეპიზოდი მხოლოდ რამოდენიმე მემატიანის ჩანაწერებით შემოგვინახა. ასე გადაიქცა ტერმინი „ჯვაროსნული ომი“, „ანტიოქიალურ ალიანსად“. ფაქტი ისიც იყო, რომ 1337-1453 წლებში მიმდინარე „ას წლიანმა“ ომმა ევროპის ძლიერი სახელმწიფოები დააუძლურა, რამაც ოსმალეთის იმპერიის დამპყრობლური ინტერესები კიდევ უფრო გააძლიერა დასუსტებული ქრისტიანული მიწებისაკენ და ვინც ამის წინააღმდეგ ხმა ამოიღო, ისინი არა დიდი სამეფოები, არამედ პატარა საპერცოგოები, ქალაქ-სახელმწიფოები და აღმოსავლეთ ევროპის სამეფოები აღმოჩნდნენ. რაც შეეხება ბურგუნდიელი ჰერცოგის ანტიოქიალურ ლაშქრობას, საინტერესო იქნებოდა ეს რწმენა სხვებსაც რომ გაეთვალისწინებინათ რამდენად შესაძლებელი იქნებოდა ოსმალების დამარცხება. შესაძლოა კონსტანტინოპოლი ჯერ კიდევ არ იყო დაკარგული.

### ბიბლიოგრაფია:

- Caron, M. (2003). *Les vœux du faisan, noblesse en fête, esprit de croisade*. Turnhout, Belgium: Brepols;
- Die Chroniken der fränkischen Städte, Nürnberg*. (1872). Leipzig;
- Escouchy, M. (1863). *Chronique de Mathieu D'Escouchy*. Paris;
- Huizinga, J. (1919). *The autumn of the Middle Ages*;
- Lafortune-Martel, A. (1984). *Fête noble en Bourgogne au XVe siècle*. Montréal: Bellarmin;
- Leroux De Lincy, A. (1857). *Chants historiques et populaires du temps de Charles VII et de Louis XI*. Paris: Aubry;
- Smith, R. and DeVries, K. (2005). *The artillery of the Dukes of Burgundy, 1363-1477*. Woodbridge, Suffolk: The Boydell Press;
- Vaughan, R. (1970). *Philip the Good*. Longmans.

## **Philip the Good, Feast of the Pheasant and the failed plan to launch a crusade to retake Constantinople**

**Levan Janjgava**

M.A History,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Department  
of Modern and Contemporary History, Tbilisi, Ilia  
Chavchavadze Avenue №1, 0179, Georgia, +995555155870,  
[levan.janjgava526@hum.tsu.edu.ge](mailto:levan.janjgava526@hum.tsu.edu.ge),  
<https://orcid.org/0000-0002-7986-7891>

### **Abstract.**

The definition of the Crusades have experienced a change since the crusades of the holy land 1095-1291. The very interpretation of what the crusades were never changed in principle, a holy alliance of the European Christianity against the Saracen of the east. Nevertheless, there is a significant gap between the Crusades and the Anti-Ottoman Alliance. It has become obvious that the crusades have been used as an umbrella term even for the post-1291 campaigns against the Muslim states.

As Constantinople fell, the European powers remained in awe. 1453 not only saw the fall of the Eastern Roman Empire but the end of the Hundred Years' War. With Europe fresh out of a conflict of their own, not many were keen on living up to their Crusading past. A new enemy was on the horizon, the Ottoman. Mehmed Fatih had proven to Europe that he was no mere conquering Muslim like those that Europe had previously faced. Mostly all in Europe feared confrontation with the new Kayser-i Rum. All but one, Philip the Good, Duke of Burgundy. A Valois of tremendous power and influence found himself at the helm lobbying a campaign against the Conqueror Sultan and retake Constantinople and even Jerusalem.

Only weeks after the fall of Constantinople, Philip the Good hosted a feast in his favored castle Lille, attended by some hundred lords and high army officials, out of which many were members of Philips' own

Order, the Order of the Golden Fleece. The feast came to be known as the “Feast of the Pheasant” and marks the beginning of Philips arduous quest to unite Europe against a common enemy.

Philip's quest was riddled with disappointments however. Not only did he receive direct threats from Mehmed II upon hearing of Philip's plan to retake Constantinople, but his closest allies who initially lent their words that they would join or facilitate Philip's cause, either pulled out or died.

In the end, Philip died never amounting to a Crusade against the Ottomans. He died pleasing to god that he could forgive him for his inability to carry out his holy mission. Nevertheless, although he died never going into a battle against the Ottoman, his plan played a role in transforming the Crusades into an Anti-Ottoman Alliance, which many know, began the new epoch of European-Ottoman wars.

**Keywords:** Philip the Good; Feast of the Pheasant; Crusades; Anti-Ottoman Alliance; Mehmed II; Order of the Golden Fleece.

## ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიის სათავეებთან

იზოლდა ბელთაძე

ასოცირებული პროფესორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ბათუმი, 6010. ნინოშვილის  
ქ. 32/35. საქართველო, +995 599 11 01 11.

izo.beltadze@bsu.edu.ge

Orcid ID :0000-0002-7488-5732

### აბსტრაქტი.

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა XVI-XVIII საუკუნეების ინგლისის კონომიკური ისტორიიდან, ინგლისის ერთ-ერთი მდიდარი საპაიო კომპანიის ოსტ-ინდოეთის წარმოშობის წინაპირობები, მისი თავდაპირველი კაპიტალი, მოგება და მნიშვნელობა ინგლისის კოლონიურ ექსპანსიაში.

ირკვევა, რომ ინგლისში ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიის დაარსება განაპირობა მთელმა რიგმა ფაქტორებმა: მაუდის მრეწველობის, ვაჭრობის განვითარებამ (1507 წლიდან - ი.ბ), ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის არსებობამ (რომელიც ეწეოდა მხოლოდ კონტინენტურ ვაჭრობას), რომლისგანაც გამოიყო მდიდარი ვაჭრები საპაიო კომპანიაში გასაერთიანებლად, კაპიტალიზმის განვითარებამ, საზღვაო გზების გადანაცვლებამ აღმოსავლეთში, ინგლისური მაუდის გასაღების და ნედლეულის (აბრეშუმის, ბამბის) ბაზების ძიებამ.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო საპაიო კომპანიის შექმნას, რომელსაც ბრუნვები ჰქონდა უფრო დიდი კაპიტალი, და ქვეყნისათვის მოჰქონდა უფრო დიდი მოგება, ვიდრე ლონდონის ავანტიურისტთა კომპანიას.

ეს კომპანია დაარსდა 1600 წელს ინგლისის დედოფალ ელისაბედ პირველის დროს (1558-1603 წწ), რომელმაც ქარტიით მიი-

ღო მონოპოლიური უფლება აზიაში, აფრიკაში, ამერიკაში და ყველა კუნძულზე დაწყებული კეთილი იმედის კონცხიდან მაგელანის სრუტემდე. ეს კომპანია თავიდანვე ეწეოდა საქონლის არაექვივალენტურ, ბარტერულ გაცვლას, რითაც იღებდა დიდალ მოგებას, რაც ფარავდა საბაჟო გადასახადების და საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

სამრეწველო რევოლუციის შემდეგ კი, XVIII - დან ინგლისი-დან ოსტ-ინდოეთში შეჰქონდათ ლითონები, გამოჰქონდათ ისევ სანელებლები, ბამბის და აბრეშუმის ნედლეული, მარილი, ჩაი, კალიუმის ნიტრატი, ოპიუმი და სხვა საქონელი.

ოსტ-ინდოეთის კომპანია შემდეგში არ შემოიფარგლებოდა მარტო ინდოეთთან ვაჭრობით. ისუკავშირდება ირანს და იაპონ-იასაც. კომპანიის მოგება იმდენად დიდი ყოფილა, რომ XVIII ს-ში მის კაპიტალსმიულწევია 6 მლნ ფუნტ სტერლინგამდე.

ამრიგად, ოსტ - ინდოეთის საპაიო კომპანიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინგლისური მაუდის გასაღების ბაზრების პოვნაში, აღმოსავლური ნედლეულის აბრეშუმის, ბამბის შემოტანაში, საბრუნავი კაპიტალის გაზრდაში, რაც მიიღეს აღმოსავლეთის პროდუქტების: პილპილის, მიხაკ-დარიჩინის, ინდიგოს, ჯავზის და სხვა საქონლის ზედმეტ ფასებში გაყიდვის გზით, კოლონიური იმპერიის შექმნაში, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დაუფლებაში.

**საძიებო სიტყვები:** საპაიო; კომპანია; პროტექციონისტური; ექსპანსია; ვაჭარ-ავანტიურისტთა; ლევანტის.

### შესავალი.

ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიის მნიშვნელობა დიდია XVI-XVIII საუკუნეების ინგლისის ეკონომიკური განვითარების ისტორიაში. აღიშნული კომპანიის წარმოშობის შესწავლა და მისი საქმიანობის ანალიზი ბევრ საინტერესო საკითხს მოჰქონდა.

ოსტ-ინდოეთის კომპანიაზე მუშაობდა არაერთი უცხოელი მკვლევარი, მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხთან დაკავშირებით, არ მოგვეპოვება ფუნდამენტალური სამეცნიერო შრომები.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა თუ როგორ და რა მიზნით შეიქმნა ეს კომპანია, რაში გამოიხატებოდა ინგლისის სამეფო ხელისუფლების პროტექციონისტური პოლიტიკა, როგორი იყო აღნიშნული კომპანიის მოგება, როგორც ქვეყნიდან ინგლისური საქონლის გატანით, ისე აღმოსავლეთის ნედლეულის შემოტანით, რამაც სახელმწიფოს მოუტანა დიდაღლი მოგება და ინგლისი გამოიყვანა კოლონიური ექსპანსიის გზაზე.

### მეთოდი.

სტატიაში კრიტიკული ანალიზის მეთოდის საფუძველზე მოცემულია ოსტ-ინდოეთის კომპანიის წარმოშობისა და მნიშვნელობის ისტორია. ნაშრომი ეყრდნობა უცხოელი ავტორების: დ.ეშლის, ე. ბრაბრუქის, თ.რების, ნ. მეშერიაკოვას, ვოლტარჟევსკის და შეგოლევის შრომებს.

### შედეგები.

ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიის როლი დიდი იყო XVI-XVIII სს-ის ინგლისის ეკონომიკურ განვითარებაში, ინგლისური მაუდის გასაღების ბაზრების პოვნაში, აღმოსავლეური ნედლეულის შემოტანაში ქვეყნის შიგნით, საბრუნავი კაპიტალის გაზრდაში, რაც მიიღეს აღმოსავლეთის პროდუქტების ზედმეტ ფასებში გაყიდვის გზით, კოლონიური იმპერიის შექმნაში, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დაუფლებაში. სწორედ აქედან გამომდინარეობდა სამეფო ხელისუფლების პროტექციონისტური პოლიტიკა აღნიშნული კომპანიის მიმართ.

### დისკუსია.

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა XVI-XVIII საუკუნეების ინგლისის ეკონომიკური ისტორიიდან, ინგლისის ერთ-ერთი მდიდარი საპაიო კომპანიის ოსტ-ინდოეთის წარმოშობის წინაპირობები, მისი თავდაპირველი კაპიტალი, მოგება და მნიშვნელობა ინგლისის კოლონიურ ექსპანსიაში.

XVI საუკუნეს, განსაკუთრებული ადგილი უკავია ინგლისის ისტორიაში. ტიუდორთა პროტექციონისტურ პოლიტიკას თან ახლდა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარება. ამ ასწლეულის თავისებურება ის გახლდათ, რომ ინგლისის ეკონომიკაში

გაცხოველებით მიმდინარეობდა კაპიტალისტური წყობის დამყარება (7, 1999: 322-355).

XVI საუკუნეში ინგლისის მრეწველობის ძირითად დარგად კვლავ მაუდის წარმოება რჩებოდა. ინგლისის სიმდიდრის ზრდა სწორედ მასზე იყო დამოკიდებული. XVII საუკუნეში მისი წარმოება წარმატებით მიმდინარეობდა. თხელი ძვირად ღირებული მაუდის „ე. წ. დრაპერიეს“ დამზადება წარმოებდა უოლშირის, სომერსეტშირის და კენტერშირის საგრაფოებში. მაგალითად მარტო გლოსტერშირში XVII საუკუნის 20-იან წლებში იყო 1500 საფეირო დაზგა, ხოლო მაუდის წარმოებაში დასაქმებული იყო 24 ათასი კაცი. ყოველწლიურად ამზადებდნენ 25 ათას ნაჭერ მაუდს (Мещерякова, 1978: 220). ყოველივე ეს მიუთითებს მაუდის წარმოების დიდმასშტაბზე მთელს ინგლისში.

მაუდის მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო იყო დაქირავებული მუშახელის გაზრდა, ინგლისური უხეში მაუდის (უხეში მაუდი გაჰქონდათ, ხოლო ნაზ მაუდს ქვეყნაში ტოვებდნენ. მისი დამზადება იმდენად ძვირი ჯდებოდა, რომ ინგლისელებს მიაჩნდათ, რომ უმჯობესი იყო თვითონ ეტარებინათ ძვირფასი მაუდის ქსოვილი, ვიდრე გაეტანათ, რადგან მოგება არ რჩებოდათ.- ი.ბ.) გასაღების ბაზრების პოვნა კონტინენტის გარეთ, ბამბის და აბრეშუმის ნედლეულის შემოტანა, საბრუნავი კაპიტალის გაზრდა, რაც შეიძლებოდა მიეღოთ აღმოსავლეთის პროდუქტების: პილპილის, მიხავ-დარიჩინის, ინდიგოს, ჯავზის და სხვა საქონლის ზედმეტ ფასებში გაყიდვის გზით.

ამ პრობლემების მოგვარებაში დიდი როლი ითამაშა ე. წ. საპაიო (საწილო) კომპანიებმა, მათ შორის ოსტ-ინდიეთის კომპანიამ, რის შესახებაც გვექნება მსჯელობა ქვემოთ.

ეს ის პერიოდია, როცა ინგლისი იწყებს გასვლას ოკეანეში და ხანგრძლივ მოგზაურობებს, რასაც ესაჭიროებოდა მეტი კაპიტალი. სწორედ დიდი კაპიტალის მქონე ვაჭრები გაერთიანდნენ საპაიო კომპანიაში. უფრო მეტიც ასეთ პირობებში ვაჭრებისათვის ხელსაყრელი იყო ჰერიტენის პაი (წილი) ერთდროულად სხვადასხვა კომპანიაში და მიეღოთ შესაბამისი მოგება.

ინგლისში მანამდე არსებული ე.წ. ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია (1407 წ. შეიქმნა) ეწეოდა კონტინენტურ ვაჭრობას, რომელთან შედარებით საპაიო კომპანია უფრო მეტ კაპიტალს ფლობდა.

სწორედ ინგლისის სხვადასხვა ქალაქების, განსაკუთრებით კი ლონდონის, ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიიდან გამოიყო მდიდარი ვაჭრები და გაერთიანდა საპაიო კომპანიებში. საპაიო კომპანიები კი ინგლისს შედარებით უფრო დიდ მოგებას მისცემდა, რაც გამართლდა კიდეც. საპაიო კომპანიებმა დიდი როლი შეასრულეს ინგლისი კოლონიურ ექსპანსიაში - ი.ბ.

ერთი სიტყვით, ინგლისი კოლონიურ ექსპანსიაში ხედავდა გამდიდრების წყაროს. სავაჭრო ბურჟუაზია და ინგლისის არისტოკრატია მიისწრაფოდა, რათა ხელში ჩაეგდოთ ფულადი სიმდიდრე, რისთვისაც სამეფო ხელისუფლებამ გადადგა სათანადო ნაბიჯი. მარტო 1575-1630 წლებში ზღვის გაღმა ექსპედიციისათვის ინვესტირებულ იქნა 3 მლნ ფუნტი სტერლინგი.

ასევე 1601 წლის 31 დეკემბერს დედოფალ ელისაბედ პირველის (1558-1603 წწ) დროს მიიღეს ქარტია, რომლის მიხედვით გადაწყდა ექსპედიციის გაზავნა ოსტ-ინდოეთში, აზიის და აფრიკის ქვეყნებში, ნავსადგურებში და ქალაქებში, სადაც გადიოდა სავაჭრო გზები. კომპანიამ მიიღო ვაჭრობის მონოპოლიური უფლება აზიაში, აფრიკაში, ამერიკაში და ყველა კუნძულზე დაწყებული კეთილი იმედის კონცხიდან მაგელანის სრუტემდე. ხელისუფლება იძლეოდა გარანტიას იმისა, რომ არავის გარდა კომპანიისა არ მიანიჭებდა ვაჭრობის უფლებას ოსტ-ინდოეთში. კომპანიის მონოპოლიური უფლების დარღვევის შემთხვევაში გატარდებოდა მკაცრი ზომები, მოახდენდნენ საქონლის კონფისკაციას, ერთი ნაწილი გადაეცემოდა სამეფო ხელისუფლებას, ხოლო მეორე ნაწილი კი კომპანიას. დამრღვევნი დაისჯებოდნენ დაპატიმრების და ასევე ფულადი ჯარიმით ერთი ათასი ფუნტი სტერლინგის ოდენობით. ქარტიის მოქმედების ვადა განისაზღვრებოდა 15 წლით. თუ ოსტ-ინდოეთის კომპანია ქვეყანას მოგებას არ მოუტანდა, მაშინ ის უნდა გაეუქმებინათ ორი წლის განმავლობაში, ხოლო თუ კომპანია მომგებიანი იქნებოდა, მაშინ ქარტია უნდა მიეღოთ ისევ 15 წლის ვადით (4, 1934:454-55).

დოკუმენტიდან ჩანს სამეფო ხელისუფლების პროტექციონის-ტური პოლიტიკა სავაჭრო ბურუუზიის მიმართ, მაგრამ ამავე დროს მასში ჩადებული იყო ქვეყნისათვის მოგების ინტერესიც. თუ კომპანია ქვეყნას მოგებას არ მოუტანდა უნდა გაუუქმებინათ, ხოლო თუ მოგებას მაშინ გაუგრძელდებოდა ვადა.

ოსტ-ინდოეთისთავდაპირველი კაპიტალი ერთი მონაცემების მიხედვით შეადგენდა 30 133 ფუნტ სტერლინგს 6 შილინგსა და 8 პენსს, ხოლო სხვა მონაცემებით 72 ათას ფუნტს (11:9) ან 70 ათას ფუნტ სტერლინგს (Шеголев, 1938: 226). კომპანიის პირველი გუბერნატორი იყო თომას სმიტი, რომელიც ასევე იყო ლევანტის კომპანიის გუბერნატორიც (Олтаржевский, 1998:10; Rabb, 1966: 194).

ოსტ-ინდოეთის კომპანია ითვლიდა 1261 ვაჭარს. საშუალოდ პაი უდრიდა 200 ფუნტ სტერლინგს, სხვა კომპანიები რიცხო-ბრივად ჩამორჩებოდა (Мортон, 1950: 115).

თავდაპირველად კაპიტალის ჩადება ხდებოდა ყოველი სავაჭრო მოგზაურობისას შეტანილი პაის მიხედვით, ხოლო შემდეგ ხდებოდა ახალი კაპიტალის დადება მომდევნო სავაჭრო ექსპედიციის დაფინანსებისათვის. მალე აქციონერებმა (მეპაიიებმა) დაიწყეს კაპიტალის დადება უფრო ხანგრძლივი ვადით რამდენიმე ექსპედიციისათვის, რის შედეგადაც დაგროვდა მუდმივი კაპიტალი, რამაც მას უპირატესობა მისცა სხვა კომპანიებთან შედარებით და შეიქმნა პირობები მუდმივი სავაჭრო ოპერაციებისათვის (Кенингем, 1909: 175).

ოსტ-ინდოეთის კომპანიის პირველი მოგზაურობის დროს სამხრეთ აფრიკაში თორმეტი დღის განმავლობაში იყიდეს 1000 სული ცხვარი და ხარი. ერთი ხარის ფასი შეადგენდა ორ რკინის ბეჭედს (6 დიუმის დამერტით), ცხვრის ფასიც იმდენივე იყო, ხოლო მაგადასკართან ახლოს ინგლისელებმა 2,5 ფუნტი ბრინჯი შეიძინეს ლამაზი ქვით ან ფერადი მძივით, ხოლო ქოქლის და ბანანი შეიძინეს ერთი მძივით (Олтаржевский, 1998: 14).

როგორც ჩანს, ინგლისელები ბარტერულ გაცვლას არაექვივალენტურად ახდენდნენ. აქ უდავოდ მოგება დიდი ექნებოდათ.

ოსტ-ინდოეთის კომპანიამ თავისი არსებობის პირველ ხანებში 12 მოგზაურობის შედეგად მიაღწია 100%-იან მოგებას. 12

ექსპედიციის საერთო კაპიტალი შეადგენდა 460 ათას ფუნტ სტერლინგს (Олтаржевский, 1998: 17).

ამ თანხიდან დიდი ნაწილი მოხმარდა გემების აღჭურვას და აღმოსავლეთის საქონლის შესყიდვას.

ვ. ოლტარჯევსკი სამართლიანად მიუთითებდა, რომ ოსტ-ინდოეთის კომპანიის მთავარი პრინციპი იყო საქონლის არა ექვივალენტური გაცვლა (Олтаржевский, 1998: 15). ე. ი. საქონლის შესყიდვა ხდებიდა იაფად და კონტინტზე ჰყიდდნენ მვირად, რაც კომპანიის ვაჭრებს უტოვებდა დიდ მოგებას.

სწორედ საქონლის არა ექვივალენტური გაცვლის მეთოდის გამოყენებით ოსტ-ინდოეთის კომპანიის ვაჭრები იღებდნენ მოგებას, რაც მნიშვნელოვნად ფარავდა საბაჟო გადასახადების, საქონლის ტრანსპორტირების და სხვა სახის ხარჯებს. მაგალითად ერთ ფუნტ პილპილს ინგლისელები ყიდულობდნენ 3 პენსად, ხოლო ინგლისში ჰყიდნენ 8 შილინგად და 6 პენსად (Ashley, 1890: 24).

ინგლისელები რომ არა ექვივალენტურად ცვლიდდნენ საქონელს აღმოსავლეთში, ამას ადასტურებს ქვემოთ მოტანილი ცხრილი, სადაც არის გამოსახული საქონლის ფასები ოსტ-ინდოეთში და გასაყიდი ფასები ინგლისში.

საქონლის დასახელება	გასაყიდი ფასი ოსტ- ინდოეთში	გასაყიდი ფასი ინგლისში
პილპილი	3 პენსი	8 შილინგი და 6 პენსი
მიხაკი	9 პენსი	6 შილინგი
ჯავზი	4 პენსი	2 შილინგი
ინდიგო	14 პენსი	6 შილინგი

ინგლისური ოსტ-ინდოეთის კომპანიის გარდა არსებობდა ჰოლანდიის აღმოსავლეთ კომპანია, რომლის საწყისი კაპიტალი შეადგენდა 540 ათას ფუნტს, მაშინ როდესაც ოსტ-ინდოეთის იყო 68 ათასი ფუნტი. ჰოლანდიური კომპანია დაარსდა 1602 წელს, ხოლო საფრანგეთის აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანია დაარსდა 1664 წელს. არსებობდა აღმოსავლეთ ინდოეთის სხვა კომპანიები:

დანიური, ფლამანდრული, პრუსიული, შვედური, მაგრამ ამ კომპანიებს არ ჰქონიათ დიდი გავლენა.

XVIII საუკუნის ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ ინგლისურმა და ჰოლანდიურმა კომპანიებმა ძირითადად ძვირფასი ლითონები შემოიტანეს, მათ ნაცვლად შეიძინეს სანელებლები, ქსოვილები, მარილი, ჩაი და სხვა საქონელი. მათ თავიანთი კონკურენტები პორტუგალიელები გაამევეს და ძალიან მალე დაიკავეს წამყვანი პოზიციები ევროპასა და აზიას შორის საზღვაო ვაჭრობაში. ამ ორმა კომპანიამ რევოლუცია მოახდინა როგორც ბიზნესის ორგანიზაციაში, ასევე ევროპისა და ინდოეთის ოკეანების სავაჭრო სისტემაში.

ჰოლანდიური და ინგლისური კომპანიები თავიანთი დროის უდიდეს ბიზნესებს შორის იყვნენ, დამსაქმებლები და გემთმშენებლები.

1620-იანი წლებისთვის ბრიტანული კომპანიის ფლოტი 2500 ადამიანი მსახურობდა, მათ შორის ორიათასი ინგლისელი.

XVIII საუკუნეში ისტ-ინდოეთის კომპანია ძლიერ ჰოლიტიკურ ძალად გადაიქცა. იგი არ შემოიფარგლებოდა მარტო ინდოეთის სავაჭრო ურთიერთობით. ის დაუკავშირდა ირანსა და იაპონიას, სადაც მას ჰქონდა ფაქტორია 1613-1623 წლებში.

ამ პერიოდში მისმა კაპიტალმა 6 მილიონ ფუნტ სტერლინგს მიაღწია. შემდეგი 1850 წლისათვის ოსტ-ინდოეთის კომპანია აკონტროლებდა ინდოეთის სუბკონტინენტის დიდ ნაწილს. კომპანია ვაჭრობდა ბამბით, აბრეშუმით, ჩაით, ინდიგოთი, კალიუმის ნიტრატით და ოპიუმით. კომპანია ასევე აწეოდობდა ინდოეთის სამხედრო და პოლიტიკურ კონტროლს. კომპანიამ არსებობა დაასრულა 1874 წელს, საფონდო დივიდენტების გაცემის აქტით.

## დასკვნა

ამრიგად, ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინგლისური მაუდის გასაღების ბაზრების პოვნაში, აღმოსავლური ნედლეულის აბრეშუმის, ბამბის შემოტანაში, საბრუნავი კაპიტალის გაზრდაში, რაც მიიღეს აღმოსავლეთის პროდუქტების: პილპილის, მიხაკ-დარიჩინის, ინდიგოს, ჯავზის და სხვა საქონლის ზედმეტ ფასებში გაყიდვის გზით,

კოლონიური იმპერიის შექმნაში, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავ-ლეთ აზიის დაუფლებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- Ashley, D. (1890). *An introduction to English Economic History*. London;
- Brabrook, E. W. (1889). *The Worshipful Company of Mercers of the city of London and some of its eminent members*. London;
- Statutes of the Realm from original records and authentic manuscripts*. (1816). vol. II. London;
- Select Statutes and other Constitutional Documents Illustrative of the Reign of Elizabeth and James*. (1934). I, Oxbord;
- Rabb, T.K. (1966). *Investment in English overseas Enterprise 1575-1630*-E.H.R, 2 and series, V XIX. I.;
- Whos who in history*. (1964). Gen. ED. C.R.N. Routh, vol 2 England 1485 to 1603, new-york;
- Всемирная история*. (1999). Т.10. Минск;
- Кенингем, У. (1909). *Рост английской промышленности и торговли в ранний период и средние века*. Москва;
- Мещерякова, Н.М. (1978). *Основные черты генезиса капитализма в промышленности Англии XVI первой половины XVII века*. в кн.: «Проблемы генезиса капитализма». Москва;
- Мортон, А.А. (1950). *История Англии*. Москва;
- Олтаржевский, В.П. (1998). *Английская Ост-Индийская компания в XVI-XVII*. Иркутск;
- Шеголев, П.П. (1938). *Очерки из истории западной Европы XVI-XVII вв.* Москва;
- ბელთაძე-ხინივაძე, ი. (2009). *ინგლისის სავაჭრო კომპანიები და კოლონიური უქანასია (XV-XVII ს. დასაწყისი)*. თბილისი.

### REFERENCES

- Ashley, D. (1890). *An introduction to English Economic History*. London;

- Brabrook, E.W. (1889). *The Worshipful Company of Mercers of the city of London and some of its eminent members*. London;
- Statutes of the Realm from original records and authentic manuscripts*. (1816). vol. II. London;
- Select Statutes and other Constitutional Documents Illustrative of the Reign of Elizabeth and James*. (1934). I, Oxbord;
- Rabb, T.K. (1966). *Investment in English overseas Enterprise 1575-1630*-E.H.R, 2 and series, V XIX. I.;
- Whos who in history*. (1964). Gen. ED. C.R.N. Routh, vol 2 England 1485 to 1603, new-york;
- Vsemirnaya Istoryya [World history]*. (1999). T.10. Minsk;
- Keningem, U. нингем, (1909). *Rost Anglijskoj Promyshlennosti I Torgovli v Rannij period I Srednie Veka. [The growth of English industry and commerce in the early period and the Middle Ages]*. Mockva;
- Meshheryakova, N.M. (1978). *Osnovnye Cherty Genezisa Kapitalizma v Promyshlennosti Anglii XVI Pervoj Polovyny XVII veka. v kn.: «Problemy Genezisa Kapitalizma». [The main features of the genesis of capitalism in the industry of England in the 16th-first half of the 17th century]*. Mockva;
- Morton, A.A. (1950). *Istoriya Anglii. [History of England]*. Mockva;
- Oltarzhevskij, V.P. (1998). *Anglijskaya Ost-Indijskaya Kompaniya v XVI-XVII. [English East India Company in the 18th century]*. Irkutsk;
- Shegollev, P.P. (1938). *Ocherki iz Istorii Zapadnoj Evropy XVI-XVII v.v. [Essays on the history of Western Europe in the 16th-17th centuries]*. Mockva;
- Beltadze-Khinikadze, I. (2009). *Inglijis Savach'ro K'omp'aniebi da K'oloniuri Eksp'ansia (XV-XVII s. Dasats'qisi)*. [English Trading Companies and Colonial Expansion (Early XV-XVII centuries)]. Tbilisi.

## **With the heads of an East - India trading company**

**Izolda Beltadze**

Asoc. Professor

Batumi Shota Rustaveli State University,  
Georgia, Batumi, 6010. Ninoshvili st. 32/35.

+995 599 11 01 11. izo.beltadze@bsu.edu.ge

Orcid ID :0000-0002-7488-5732

### **Abstract.**

We aimed to learn from the economic history of England in the sixteenth and eighteenth centuries, the preconditions for the origin of the East India Company, one of the richest companies in England, its initial capital, profit and importance in the colonial expansion of England.

It turns out that the establishment of the East India Company in England was due to a number of factors: the development of the Maud industry, trade (from 1507 BC) the existence of the London Merchant-Adventure Company (which was engaged only in continental trade), from which the company was separated into a rich , The development of capitalism, the relocation of sea lanes to the east, the search for the English Maud key and the bases of raw materials (silk, cotton).

All of this contributed to the creation of the Joint Stock Company, which had a larger working capital, and brought greater profits to the country than the London Adventure Company.

This company was founded in 1600 during the reign of Queen Elizabeth I of England (1558-1603), who by charter gained monopoly rights in Asia, Africa, America and all the islands from the Cape of Good Hope to the Strait of Magellan. From the very beginning, this company engaged in non-equivalent, barter exchange of goods, thus making large profits, which covered the costs of customs duties and transportation of goods.

After the Industrial Revolution, metals were imported from England to the East Indies from the 18th century onwards, producing spices, cotton and silk raw materials, salt, tea, potassium nitrate, opium, and other commodities.

The East India Company was no longer limited to trading with India alone. It is also associated with Iran and Japan. The company's profits were so great that in the eighteenth century its capital reached 6 6 million.

Thus, the East India Company played an important role in finding key markets for English Maud, importing oriental raw silk, cotton, and increasing working capital obtained through Eastern products such as pepper, cloves, cinnamon, indigo, nutmeg, etc. In the creation of the empire, in the conquest of South and Southeast Asia.

**Keywords:** Action; Company; Protectionist; Expansion; Merchant-Adventurer; Levant.

## ალი ხამენეის პოლიტიკური პორტრეტი

მაია კაპანაძე  
ისტორიის დოქტორი,  
კავკასიის საეთაშორისო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი,  
ქ. თბილისი, ჩარგლის ქუჩა 73, 0179,  
საქართველო, +995558766887  
maia.kapanadze@ciu.edu.ge.  
<https://orcid.org/0000-0002-7460-5374>

თამთა კოდუა  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის  
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო  
საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი,  
ქ.თბილისი ჩარგლის ქუჩა 73, 0179, საქართველო,  
+995557230024 tamta.kodua@ciu.edu.ge  
<https://orcid.org/0000-0002-4563-7131>

### აბსტრაქტი.

ირანის სულიერი ლიდერი ამ სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა. ის არა მარტო სულიერი, არამედ პოლიტიკური ლიდერიცაა. მის ხელში საკმაოდ დიდი ძალაუფლებაა თავმოყრილი, რომელიც ქვეყნის კონსტიტუციითაა გამყარებული.

საკმაოდ საინტერესოა ირანის ისლამური რესპუბლიკის ამჟამინდელი ლიდერი ალი ხამენეი. გამორჩეულია მისი პოლიტიკური საქმიანობაც. აქედან გამომდინარე, ის ყურადღებას იბყრობს, არა მხოლოდ სულიერი, არამედ, როგორც პოლიტიკური ლიდერისა. აღსანიშნავია, რომ ალი ხამენეი სანამ ირანის რაპბარი (სულიერი ლიდერი) გახდებოდა, რვა წლის განმავლობაში ქვეყნის პრეზიდენტი იყო და ირანის პირველ სულიერ

**ლიდერ აიათოლა რუპოლა ხომეინისთან ერთად განაგებდა ქვეყანას.**

ალი ხამენეი საკმაოდ აქტიურად ერევა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც მისი ლეგიტიმური უფლებაა. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 2015 წელს, ირანისთვის სანქციების მოხსნის საკითხში, ქვეყნის მაშინდელ პრეზიდენტ ჰასან როუზანისთან ერთად. ის აქტიურადა ჩართული იმ მოლაპარაკებებში, რომელიც მიმდინარეობს ირანის სანქციებთან დაკავშირებით.

**საძიებო სიტყვები:** ირანი; რაპბარი; ლიდერი; ხამენეი; კონსტიტუცია; პოლიტიკა.

### **შესავალი.**

ირანის სულიერი ლიდერი „რაპბარი“, ანუ წინაძლოლი ატარებს უმაღლესი შიიტური სასულიერო პირის, აიათოლას ტიტულს. უნდა აღინიშნოს, რომ არ არის სავალდებულო ირანის სულიერი ლიდერი იყოს დიდი აიათოლა, როგორც ეს ირანის პირველი სულიერი ლიდერი აიათოლა რუპოლა ხომეინი იყო.

ირანის ისლამური რესპუბლიკის დღევანდელი სულიერი ლიდერი 1989 წლიდან არის აიათოლა ალ-უზმა ჰაჯჯი სეიდ ალი ჰუსაინ ხამენეი. საინტერესო და ამავე დრო ამ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ალი ხამენეის პოლიტიკური მოღვაწეობის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი, რადგან მართალია, ის სულიერი ლიდერია, მაგრამ ხამენეი უდიდეს როლს ასრულებს ირანის პოლიტიკაში, იქედან გამომდინარე რომ სასულიეროსთან ერთად მას დიდი საერთო ძალაუფლებაც გააჩნია.

### **მეთოდი.**

სამეცნიერო სტატია დაეფუძვნა კვლევის შემდეგ მეთოდებს: შედარებით-ისტორიულ, მიზეზობრივ-შედარებით, სისტემურ ანალიზს.

### **შედეგები.**

ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერ ლიდერს ალი ხამენეის ამ მნიშვნელოვან თანამდებობაზე არჩევიდან დღემდე, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს. ის ამ მხრივ საკმაოდ აქტიურია და კონსტიტუციით განსაზღვრულ უფლება - მოვალეობებს უკვე 30 წელზე მეტია ასრულებს. ალი

ხამენეი ქვეყნის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურაა და აქე-დან გამომდინარე, ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადა-წყვეტილებების მიღებაში სერიოზულად ერევა. მისი როლი ქვე-ყნის პრეზიდენტებთან ერთად ირანისათვის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას დიდია.

#### დისკუსია.

ალი ხამენეი დაიბადა ჰიჯრის 1358 წლის 28 საფარს 1939 წლის 17 ივლისს. შიიტების ერთ-ერთ წმინდა ქალაქ მაშქადში. მამამისი ჯავად ჰუსაინ ხამენეი სასულიერო პირი იყო. ალი ხამენეის საკმაოდ მძიმე ბავშვობა ჰქონდა. ის ასე აღწერს თავის ბავშვობის დროინდელ ცხოვრებას: „ვცხოვრობდით მაშქადში. ჩვენი სახლი შედგებოდა სულ ერთი ოთახისაგან, რომელსაც ჰქონდა ათი ნაბიჯი სიგრძე და ექვსიც - სიგანე. ოთახის ქვეშ კი იყო მიწური სათავსო, სადაც ჩავდიოდით ხოლმე, როდესაც მამასთან, როგორც მუჯთაჰიდსა<sup>3</sup> და ალიმთან,<sup>4</sup> მოდიოდნენ მოაჯენი. საკმაოდ გვიჭირდა. ბევრჯერ უვახშმოდ დაგვიძინია“ (Ali Khamenei, 2014:1).

ალი ხამენეიმ ოთხი წლის ასაკში სწავლა „დარ ალ-თა'ლიმ დინიათ“-ში დაიწყო, სადაც შეისწავლა წერა-კითხვა, ანგარიში და ყურანი. 15 წლისამ „ჯამი ალ-მოყადამათ“-ში დაასრულა სწავლა. 18 წლის ალი ხამენეიმ კი დარსდარს-ე ხარიჯი დაამ-თავრა. მომავალმა რაჰბარმა მშობლების რჩევით სასულიერო კარიერა აირჩია. ალი ხამენეი მალევე გაემგზავრა ქალაქ ნაჯაფში (ერაყი), შიიტების ერთ-ერთი წმინდა ქალაქის მოსალოცად (Ganji, 2013:1).

ალი ხამენეი 1958-1964 წლებში ირანის შიიტების წმინდა ქალაქ ყუმში, სადაც ზის დიდი აიათოლა, აიათოლების ბორუ-ჯერდის (ხომენეიმდე დიდი აიათოლა), ხომეინის, იაზდისა და თაბათაბა'ის შეგირდი იყო. მან სასულიერო განათლების მიღება ყუმშიყუმში აიათოლა რუჰოლა ხომეინის ხელმძღვანელობით დაიწყო.

ალი ხამენეი 1963 წლიდან ჩაერთო მონარქიის წინააღმდეგ საპროტესტო აქციებში, რის გამოც ირანის უსაფრთხოების სამსა-

<sup>3</sup> მუჯთაჰიდი- ეს არის უმაღლესი მუსლიმი სამართალმცოდნე

<sup>4</sup> ალიმი- მუსლიმი მეცნიერი

ხურებმა ის რამოდენიმეჯერ დააპატიმრა. ხამენეის ახლო ურთიერთობა ქონდა დევნილ ხომეინისთან (Muhsin, 2014: 2. ჭიპაშვილი, 1989: 257-260). ის აქტიურად იყო ჩართული ირანში XX საუკუნის 70-იან წლებში მიმდინარე მოვლენებში, მონარქიის წინააღმდეგ მიმართულ გამოსვლებში.

ისლამური რესპუბლიკის პირველი პერიოდი აღი ხამენეის აქტიურობა ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. ის თავიდანვე იყო ჩართული ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1979 წელს აღი ხამენეი დაინიშნა რევოლუციურ საბჭოში. ოდნავ მოგვიანებით კი აღი ხამენეი გახდა თავდაცვის მინისტრის მოადგილე და ასევე ხომეინის პირადი წარმომადგენელი თავდაცვის უმაღლეს საბჭოში (ჭიპაშვილი, 1989: 315).

აღსანიშნავია, რომ ის ასევე მეთაურობდა ისლამური რევოლუციის გვარდიის კორპუსსაც. აღი ხამენეი იყო ერთ-ერთ მთავარი მომლაპარაკებელი ირანში აშშ-ს დიპლომატების ტყვედ აყვანის დროს შექმნილ კრიზისში (Muhsin, 2014: 2).

1981 წელს, ირან-ერაყის ომის მსვლელობის დროს აღი ხამენეი მცირე ხნით აიათოლა ხომეინის წარმომადგენელი გახდა უმაღლეს საბჭოში. მაგრამ ის მალევე გაემგზავრა ფრონტზე თავდაცვის მინისტრის დაღუპვის შემდეგ, სადაც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ბრძოლაში.

1981 წელს თეირანში ერთ-ერთ მეჩეთში მას თავს დაესხნენ ტერორისტები, მაგრამ მმიმე ჭრილობების მიუხედავად, იგი გადარჩა. იმავე წელს, ტერორისტების მიერ ირანის ისლამური რესპუბლიკის მეორე პრეზიდენტ მუჰამად აღი რაჯა'ის მოკვლის შემდეგ ხამენეი აირჩიეს ქვეყნის მესამე პრეზიდენტად. ის ამ თანამდებობაზე ორი ვადით (1981-1989 წწ) იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ხამენეი პირველი სასულიერი პირი იყო, რომელიც გახდა ირანის პრეზიდენტი. მისი ორი წინამორბედი: ბანისადრი და რაჯა საერო პირები იყვნენ. ქვეყნის უზენაესი ლიდერი, რაპბარი აღი ხამენეი 1989 წლიდანაა.

აიათოლა ხომეინის მემკვიდრედ გამოცხადებული იყო აიათოლა მონთაზერი, მაგრამ სიტუაცია მოუკლოდნელად შეიცვალა. ხომეინის გარდაცვალებიდან ცოტა ადრე გამოცხადდა, რომ მისი

მემკვიდრე აიათოლა მონთაზერის ნაცვლად გახდებოდა ხამენეი, რომელიც ჰოჯათ-ოლო ესლამი-დან უცბად აიათოლა გახდა, მ. ი. რომ, ის ცნობილი სწავლული არ ყოფილა. ამის გამო ხომეინის არა ერთმა აიათოლამ განუცხადა პროტესტი, რომელიც უშედეგო აღმოჩნდა (Khosrokhavar, 2002: 10).

ახლა მოკლედ მიმოვიზილავთ, ირანის ისლამური კონსტიტუციის მიხედვით რაპბარის უფლება-მოვალეობებს:

რაპბარი, კანონის წინაშე ქვეყნის მოქალაქეებთან თანასწორია;

ის, განსაზღვრავს ქვეყნის საერთო პოლიტიკურ კურსს;

მისი ბრძანებით ტარდება რეფერენდუმი;

ის არის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი;

ის აცხადებს ომს. დებს ზავს და ახდენს შეიარაღებული ძალების მობილიზაციას;

მას შეუძია დანიშნოს, გადააყენოს და მიიღოს გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ;

სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების;

ის, ასევე აწესრიგებს ხელისფულების სამ შტოს შორის წამოჭრილ უთანხმოებას;

აწერს ხელს იმ განკარგულებას, რომლის მიხედვითაც რესპუბლიკის არჩეული პრეზიდენტი ინიშნება თანამდებობაზე;

არჩევნებამდე პრეზიდენტების კანდიდატურას, სანამ ისინი მიიღებენ არჩევნებში

მონაწილეობას, რაპბარმა უნდა მოიწონოს;

თუ კი რესპუბლიკის არჩეული პრეზიდენტი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, მისი

გადაყენების უფლება აქვს რაფბარს.

ის გამოსცემს ამნისატიას და შეუძლია სასაჯელის შემსუბუქებაც (ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია, 2011: 63).

თუ კი რაპბარი ვერ ასრულებს თავის კანონიერ მოვალეობას, ან ვერ აკმაყოფილებს კონსტიტუციის შესაბამის მუხლებს, ამ შემთხვევაში იგი თანამდებობიდან იქნება გადაყენებული. ეს შეუძლია გააკეთოს ექსპერტთა საბჭომ, რომელიც ასევე ირჩევს რაპბარს. ექსპერტთა საბჭოში შედის 12 წევრი აქედან 6 მუდმივი

და 6 არჩევითია, წევრების ნახევარს თავად რაჟბარი ამტკიცებს (ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია, 2011: 67).

როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, მას შემდეგ, რაც ხომეინის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, გაურკვეველი რჩებოდა, ვინ გახდებოდა მისი მემკვიდრე, ანუ მომავალი რაჟბარი, რომელიც მისი იდეების გამგრძელებელი იქნებოდა, მიმდევარი „ველააიათ-ე ფაყიذ“ - თან დაკავშირებით. 1989 წელს სწორედ ალი ხამენეი დაინიშნა მომდევნო რაჟბარად (ჭიპაშვილი, 1989: 317-319), თუმცა მას არ ჰქონდა სულიერი ლიდერისთვის საჭირო კვალიფიკაცია. ხამენეი იმ დროს, ჯერ კიდევ არ იყო უმაღლესი სასულიერო პირი - აიათოლა. მას მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ „ჰოჯათ-ოლლ-ესლამი“-ის წოდება. ეს პრობლემაც ხომეინის გარდაცვალებამდე მოგვარდა.

ალი ხამენეიმ რევოლუციის გუშაგთა კორპუსზე შეინარჩუნა სრული კონტროლი, რომლის ელიტარული დანაყოფი „ყოდსი“ უშუალოდ მის კონტროლს დაექვემდებარა. მასვე ემორჩილება ბასიჯებიც (Arjomand, 2009: 38).

ალი ხამენეი მხარს უჭერს ძლიერ ცენტრალიზებულ მთავრობას მისი ლიდერობის ქვეშ. რათა თავიდან იქნას აცილებული საგარეო ფაქტორების გავლენა შიდა პოლიტიკაზე. 1989 წლის ივლისის რეფერენდუმზე დამტკიცდა კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები, რომლის შედეგადაც გაუქმდა პრემიერ-მინისტრის პოსტი, გამლიერდა პრეზიდენტის ინსტიტუტი და რაჟბარს მიენიჭა მნიშვნელოვანი უფლება-მოსილება ზედამხედველობისა და პოლიტიკურ საქმეებში ჩასარევად (Adelkhah, 2000: 57).

ხამენეის კარგი ურთიერთობა ჰქონდა მის მომდევნო პრეზიდენტ ჰოჯათ-ოლ-ესლამ ალი ანსარი რაფსანჯანთან (1989-1997 წწ.), ის იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რევოლუციური ფიგურა, რის გამოც ხამენეი და რაფსანჯანი დაახლოვებულები იყვნენ.

თუმცა, ალი ხამენეის ურთიერთობა რეფორმისტ პრეზიდენტ სეიდ მოჰამად ხათამისთან, რომელიც 1997 წლიდან 2005 წლამდე იკავებდა პრეზიდენტის პოსტს, მეტ-ნაკლებად დაეძაბა. ხამენეის კონსერვატიზმისა და შეერთებული შტატებისადმი ღრმა

უნდობლობის საწინააღმდეგოდ, ხათამის ჰქონდა ლიბერალიზმის წებული დღის წესრიგი და ემხრობოდა შეერთებულ შტატებთან დაახლოებას (Muhsin, 2014: 3).

ურთიერთობა დაიძაბა ხამენეისა და ქვეყნის მექავსე პრეზიდენტ მოჰამად აჰმადი ნეჟადის შორის, ამ უკანასკნელის პრეზიდენტობის მეორე ვადის პერიოდში. ითვლებოდა, რომ აჰმადი ნეჟადი ცდილობდა შეესუსტებინა სასულიერო პირების (სულიერი ლიდერის, რაჰბარის) ძალაუფლება. დამაბულობა მათ შორის განსაკუთრებით, საზოგადოებაში 2011 წლის აპრილში გამოჩნდა, როდესაც აჰმადი ნეჟადმა 11 დღის განმავლობაში უარი თქვა კაბინეტის სხდომებზე და მის საპრეზიდენტო ოფისში მოხსენებაზე, მას შემდეგ რაც ხამენეიმ დაზვერვის მინისტრის გადაყენებას ვეტო დაადო (Ganji, 2013: 3).

2012 წლის მარტში აჰმადი ნეჟადი მეჯლესმა გამოიძახა სესიაზე უპრეცედენტო დაკითხვაზე მისი პოლიტიკისა ხამენეისთან ბრძოლის გამო. აჰმადი ნეჟადმა საპრეზიდენტო ვადა 2013 წელს დაასრულა, მას 2017 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში ხელახლა კენჭისყრა აღი ხამენეიმ აუკრძალა. მალე მოჰამად აჰმადი ნეჟადისთვის ცხადი გახდა, რომ აღი ხამენეის წინააღმდეგ წასვლა მისთვის წამგებიანი იქნებოდა, ამიტომაც მან შეცვალა დამოკიდებულება რაჰბარისადმი. მათ შორის უთანხმოება მოგვარდა. აღი ხამენეის, როგორც ქვეყნის სულიერ ლიდერს, კონსტიტუციით აქვს მინიჭებული დიდი ძალაუფლება, რომლის შეზღუდვის შესაძლებლობა ნეჟადის, მას ამის როგორი დიდი სურვილიც არ უნდა ჰქონოდა, ვერ შეძლებდა. აღი ხამენეი. მისთვის მინიჭებულ უფლებებს ყოველთვის იყენებს და აქტიურად ერთვება ირანის პოლიტიკაში.

ხამენეის ბოლო პერიოდის ჩართულობა ირანის პოლიტიკაში. ყურადღებას გავამახვილოთ აჰმადი ნეჟადის მომდევნო პრეზიდენტ ჰასან როუჰანის პრეზიდენტობის დროინდელ პერიოდზე. კონკრეტულად აქ იგულისხმება ბირთვული შეთანხმებასთან დაკავშირებით, პრეზიდენტსა და რაჰბარს შორის პოზიციების თანხვედრა, რომელიც 2015 წელს ირანისათვის კარგად დასრულდა. ამ წლის ივლისში 6 ქვეყანასა და ირანს შორის შედგა შეთანხმება ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. 2013

წლიდან პრეზიდენტ ჰასან როუჰანის მოუხდა დარწმუნება აღი ხამენისა იმამი, რომ აღნიშნული შეთანხმების მიღწევა აუცილებელი იყო ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისიდან გამოსაყვანად (Iran's Nuclear Program, 2021:2). უნდა ავღნიშნოთ, რომ როუჰანი ბირთვული პროგრამასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა. ის კარგად იყო ამ საკითხში ჩახედული და მან სულიერ ლიდერთან ერთად ეს საქმე საკმაოდ წარმატებულად დაასრულა.

2018 წელს ზემოთხსენებულ ბირთვული შეთანხმების გამო კვლავ შეიქმნა პრობლემები, ირანსა და აშშ-ს შორის. შეთანხმება ჯერ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დატოვა, შემდეგ ირანმაც ამასთან დაკავშირებით აღი ხამენეიმ უკავშირება გამოთქვა და ამ შეთანხმების პირობის დარღვევაში აშშ-ს დაადანაშაულა.

ერაყის დედაქალაქ ბაღდადში აშშ-შ მიერ 2020 წლის 3 იანვარს რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ელიტარული დანაყოფის, ყოდსის მეთაურის ყასემე სოლეიმანის მკვლელობამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ერთხელ კიდევ დაიძაბა. ირანის პრეზიდენტზე მეტად აღი ხამენეი აქტიურობდა და გამოთქვამდა პროტესტს შექმნილი მდგომარეობის გამო (Murphy, 2022: 1). უნდა აღინიშნოს, რომ როუჰანზე მეტი მკაცრი განცხადებებით ხამენეი გამოირჩეოდა. ის ხმამაღლა აცხადებდა, რომ ყასემე სოლეიმანის მკვლელობის გამო, დამნაშავე უნდა დასჯილიყო.

ირანის ახალი პრეზიდენტი ებრაჰიმ რაისი, ქვეყნის უზენაეს ლიდერთან დაახლოებული ულტრაკონსერვატორი სასულიერო პირია, რომელსაც საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს აღი ხამენეი უჭერდა, ამან დიდწილად განსაზღვრა მისი გამარჯვება.

საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიისას, ებრაჰიმ რაისიმ თავი წარმოაჩინა, როგორც საუკეთესო კანდიდატმა კორუფციასთან წინააღმდეგ ბრძოლისა და ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად. ის პრეზიდენტად არჩევამდე იყო ირანის მართლმსაჯულების სისტემის ხელმძღვანელი, რომელიც ულტრაკონსერვატიული პოლიტიკური შეხედულებებით გამოიირჩევა. ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები აშშ-სა და ირანს შორის ებრაჰიმ რაისის პრეზიდენტად არჩევისას კვლავ განახ-

ლდა. აღნიშნული მოლაპარაკებები ამჟამადაც მიმდინარეობას. ალი ხამენეი კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებიდან გამომდინარე, ყველა მნიშვნელოვან პროცესშია ჩართული. აქედან გამომდინარე ცხადია, ამ მოლაპარალების გაგრძელებაც და მიმდინარეობაც მასთან შეთანხმებით ხდება.

### დასკვნა.

ხამენეი როგორც პოლიტიკური ლიდერი განსხვავდება მსოფლიოს სხვა ლიდერებისგან თავისი უფლებამოსილებით. ის არის განსხვავებული ლიდერი მთელს მსოფლიოში, რადგანაც მის ხელში თავმოყრილია, როგორც სასულიერო, ისე საერო ძალაუფლებაც.

ალი ხამენეი ორივე მათგანს საკმაოდ კარგად იყენებს. ის აქტიურადაა წარმოდგენილი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და დიდ როლს ასრულებს ირანის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

### დამოწმებული ლიტერატურა:

- ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია (2011). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“;
- ჭიპაშვილი, გ. (1989). „ირანის სახელმწიფო წყობილება“. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“;
- Adelkhah, F. (2000). *Being Modern in Iran*. New York: Columbia University Press;
- Arjomand, S. (2009). *After Khomeini: Iran Under His Successors*. New York: Oxford University Press;
- Ali Khamenei rahbar of Iran (2014).<https://www.Britannica.com/biography/Ali-Khamenei>;
- Khosrokhavar, P. (2002). *Postrevolutionary Iran and the New Social Movements*. In Hooghund,E..(ed.).
- Muhsin. S. *Mahdi Portrait of Ali Khamenei Supreme Leader in Iran* (2014). <https://www.institutmontaigne.org/en/blog/portrait-ali-khamenei-supreme-leader-iran>;
- Ganji, A.. (2013). *Who Is Ali Khamenei?*<https://www.Foreignaffairs.com/articles/iran/2013-08-12/who-ali-khamenei>;

*Iran's Evolving Nuclear Program and Implications for U.S. Policy* (2021).<https://www.csis.org/analysis/irans-evolving-nuclear-program-and-implications-us-policy>;

Murphy, F. (2022). *Talks to salvage Iran nuclear deal resume quietly in Vienna*. <https://www.reuters.com/world/middle-east/talks-salvage-iran-nuclear-deal-resume-quietly-vienna-2022-02-08/>.

## REFERENCES

- Iranis Islamuri Resp'ublik'iš K'onst'iťutsia* (2011). [*Constitution of the Islamic Republic of Iran*]. Tbilisi: gamomtsemloba „Metsnierieba“;
- Ch'ip'ashvili, G. (1989). „*Iranis Sakhelmts'ifo Ts'qobileba*“ [„Iranian state system“]. Tbilisi: gamomtsemloba „Metsnierieba“;
- Adelkhah, F. (2000). *Being Modern in Iran*. Now York: Columbia University Press;
- Arjomand, S. (2009). *After Khomeini: Iran Under His Successors*. New York: Oxford University Press;
- Ali Khamenei rahbar of Iran* (2014). <https://www.Britannica.com/biography/Ali-Khamenei>;
- Khosrokhavar, P. (2002). *Postrevolutionary Iran and the New Social Movements*. In Hooghund, E..(ed.).
- Muhsin. S. *Mahdi Portrait of Ali Khamenei Supreme Leader in Iran* (2014). <https://www.institutmontaigne.org/en/blog/portrait-ali-khamenei-supreme-leader-iran>;
- Ganji, A.. (2013). *Who Is Ali Khamenei?*<https://www.Foreignaffairs.com/articles/iran/2013-08-12/who-ali-khamenei>;
- Iran's Evolving Nuclear Program and Implications for U.S. Policy* (2021).<https://www.csis.org/analysis/irans-evolving-nuclearprogram-and-implications-us-policy>;
- Murphy, F. (2022). *Talks to salvage Iran nuclear deal resume quietly in Vienna*.<https://www.reuters.com/world/middle-east/talks-salvage-iran-nuclear-deal-resume-quietly-vienna-2022-02-08/>.

## **Political portrait of Ali Khamenei**

**Maia Kapanadze**

Doctor of History,

Associate Professor, Caucasus International University,  
Tbilisi Chargli Street 73, 0179, Georgia, +995558766887

maia.kapanadze@ciu.edu.ge.

<https://orcid.org/0000-0002-7460-5374>

## **Tamta Kodua**

Caucasus International University

Doctoral Program in Political Science,

Tbilisi Chargli Street 73, 0179, Georgia,

+995557230024 tamta.kodua@ciu.edu.ge

<https://orcid.org/0000-0002-4563-7131>

### **Abstract**

The spiritual leader of Iran is an important figure for this state. He is not only a spiritual but also a political leader. He has quite a lot of power in his hands, which is enshrined in the country's constitution.

Quite interesting is the current leader of the Islamic Republic of Iran Ali Khamenei. His political activities are also distinguished. Therefore, he attracts attention, not only as a spiritual but also as a political leader. It is noteworthy that before Ali Khamenei became the Rahbar (spiritual leader) of Iran, he was the president of the country for 8 years and ruled the country together with the first spiritual leader of Iran, Ayatollah Ruholla Khomeini.

Ali Khamenei is quite active in the political life of the country, which is his legitimate right. He played a key role in lifting sanctions on Iran in 2015, along with then-President Hassan Rouhani. He is still actively involved in the ongoing negotiations on sanctions against Iran.

**Keywords:** Iran; Rahbar; Leader; Khamenei; Constitution; Politics.

## თურქეთი და ევროკავშირში მისი გაერთიანების პრობლემა

ლაშა ხოზრევანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/  
ნინოშვილის 32/35, 6010. საქართველო,  
+995595231187, khozrevanidze\_lasha@yahoo.com,  
<https://orcid.org/0000-0001-8841-4344>

### აბსტრაქტი.

მეოცე საუკუნის ოციან წლებში თურქეთიში დაიწყო ქვეყნის მომავლისთვის განსაკუთრებული პოლიტიკური პროცესები. კერძოდ, პრეზიდენტის თანამდებობა დაიკავა ქემალ ათათურქმა და შექმნა თურქეთის რესპუბლიკა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თურქი ხალხის ევროპულ ვექტორზე გადაყვანას. ყოველივე ზემოაღნიშნულმა ახალი ფანჯარა გაუხსნა თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებს.

აღსანიშნავია, რომ თურქეთისა და ევროკავშირის ურთიერთობების ისტორია საფუძველს იღებს ჯერ კიდევ 1987 წლიდან, მაშინ როდესაც ოფიციალურმა ანკარამ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი შეიტანა. ზემოხსენებული პროცესის წარმატებით დაგვირგვინებისთვის 1990-2000 წლებში თურქეთის რესპუბლიკამ ქვეყნის შიგნით არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა, რომლებიც პასუხობდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნისთვის წაყენებულ დეკლარირებულ კრიტერიუმებს. ზემოხსენებულმა რეფორმებმა არ დააყოვნა და ევროკავშირისგან თურქეთმა პირველი სიგნალი მიიღო, რაც აისახა 1995 წელს თურქეთის რესპუბლიკის ევროპის საბაჟო კავშირში გაწევრიანებით.

2002 წელს თურქეთის ხელისუფლებაში უმრავლესობით მოვიდა „სამართლიანობისა და აღმავლობის პარტია“, რომელიც პარტიის ძირითად პოლიტიკურ იდეოლოგიად სწორედ ევროკავშირში გაწევრიანებას ისახავდა მიზნად. სახელისუფლებო პარტიამ გააგრძელა დაწყებული პოლიტიკური რეფორმები ქვეყნის შიგნით, რომელიც მოიცავდა საკანონმდებლო ბაზის დახვეწას, ასევე ვრცელ პაკეტს საკონსტიტუციო ცვლილებებისა, რომელიც უნდა გამხდარიყო თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებისთვის საჭირო კრიტერიუმების დაკმაყოფილების საფუძველი.

სტატიაში არის განხილული მთელი რიგი პრობლემები და მოყვანილია ის ისტორიული წინაპირობები, რომლებიც ხელს უშლიან თურქეთის რესპუბლიკის ევროკავშირში გაწევრიანებას. ეს იქნება ქვეყნის შიდა პოლიტიკური კრიზისები თუ საკანონმდებლო ხარვეზები.

**საძიებო სიტყვები:** თურქეთი; ევროკავშირი; ქემალ ათათურქი; ერდოღანი; „სამართლიანობისა და განვითარების პარტია“.

### შესავალი.

თურქეთის რესპუბლიკას, ევროკავშირში გაწევრიანებაში მთელი რიგი დამაბრკოლებელი საგარეო და საშიანო ფაქტორები უშლიდა და უშლის ხელს (ეს იქნება ეკონომიკური საკითხები ევროკავშირთან მიმართებაში თუ ევროკავშირის სარეკომენდაციო საკანონმდებლო სივრცის არარსებობა, რომელიც ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად უდგას თურქეთს მიზნის მისაღწევად). მნიშვნელოვან პრობლემურ საკითხად რჩება თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობების საბერძნებელის პოზიცია და კვიპროსის საკითხი, ასევე დღემდე უდიდეს გამოწევად რჩება ქვეყნაში ადამიანის უფლებების დაცვა. ამას ემატება ევროკავშირის წევრი რიგი ქვეყნების სკეპტიკური დამოკიდებულება თურქეთის მიმართ, რომლებიც თავს იკავებენ თურქეთის სიდიდის მქონე ქვეყნის კავშირში მიღებაზე. რიგი წამყვანი ქვეყნები დღემდე თვლიან, რომ თურქეთის რელიგიური ფაქტორის გამო ის განსხვავდება ევროკავშირის ფასეულობებისგან.

## **მეთოდი.**

წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზობრივ-შედარებითი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, კონტენტ-ანალიზი, სისტემური ანალიზი.

## **შედეგები.**

ბოლო წლებში თურქეთის რესპუბლიკაში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა (დაიწყო რეპრესიები და პოლიტიკური ნიშნით განსხვავებული აზრის მქონე მოქალაქეების, მათ შორის საჯარო მოხელეების დევნა და პოლიტიკური სარჩულით დაპატიმრებები), ასევე თურქეთის ავტორიტარულ საპრეზიდენტო სისტემაზე გადასვლამ, მნიშვნელოვნად შეაფერხა თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობები, რაც აისახა ევროკავშირის მხრიდან თურქეთზე ფინანსური დახმარების შეწყვეტით. გარდა ზემოაღნიშნულისა, ევროპარლამენტარებმა მხარი დაუჭირეს თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების შეწყვეტას.

მიუხედავად დღეს არსებული არც თუ სახარბიელო ურთიერთობებისა, ვფიქრობ, სამომავლოდ ამ ორ სუბიექტს შორის კიდევ ერთხელ გაიხსენბა ახალი პოლიტიკური ფანჯარა და აღდგება მჭიდრო კავშირები, რომელიც როგორც თურქეთი-სათვის, ასევე ევროკავშირისათვის მნიშვნელოვანი იქნება. ამ ყველაფერს კიდევ უფრო უმაგრებს საფუძველს უკრაინა-რუსეთის ომი და თურქეთის რეგიონალური მნიშვნელობა ომის შემდგომ პოლიტიკურ პროცესებში.

## **დისკუსია.**

თურქეთი ერთადერთი ქვეყანაა მუსლიმურ სამყაროში, რომელიც ევროკავშირთან ურთიერთობებს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

სანამ უშეაღლოდ გადავალთ მათ ურთიერთობებზე, მოკლედ მიმოვიზილოთ, თუ რას წარმოადგენს თავად ევროკავშირი. ევროპის გაერთიანების იდეა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში გაჩნდა, მაგრამ მისი განხორციელება მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

1949 წელს ლონდონში დაარსდა პირველი ინტეგრირებული ორგანო - ევროპის საბაჟო. მაგრამ იმ დროს ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობა მზად არ აღმოჩნდა დაეთმო სახელმწიფო სუვერენიტეტი ევროპული პოლიტიკური კავშირისთვის. ამის გამო ევროპელებმა დროებით თავი შეიკავეს პოლიტიკური კავშირისაგან და გადაწყვიტეს მისი განხორციელება ეკონომიკური ინტეგრაციით დაწყოთ. 1950 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა წამოაყენა საფრანგეთსა და გერმანიის ქვანახშირისა და ფოლადის მრეწველობის მართვის ერთობლივი ორგანიზაციის შექმნის წინადადება. მისი აზრით ასეთი კავშირი შეარიგებდა ფრანგებსა და გერმანელებს და მომავალში გამორიცხავდა ომებს მათ შორის.

1952 წელს შეიქმნა „ქვანახშირისა და ფოლადის მრეწველობის ევროპული თანამეგობრობის კავშირი“. ამ ორგანიზაციაში, საფრანგეთისა და გერმანიის გარდა, გაერთიანდნენ იტალია და ბერძოლუქსის ქვეყნები, სულ ექვსი სახელმწიფო. მალე ეს ორგანიზაცია გასცდა მრეწველობის ერთი დარგის ჩარჩოებს (ანთელავა, 2004: 13).

1957 წელს, რომში „სამთა კავშირის“ წევრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის“ შექმნის შესახებ. 1967 წელს შეიქმნა სამივე ევროპული ორგანიზაციის - „სამთამადნო კავშირი“, „ეკონომიკური თანამეგობრობა“ და „ევროატომი“ - ერთიანი ხელმძღვანელობა. ამგვარად ჩამოყალიბდა „ევროპის თანამეგობრობა“.

ევროპის თანამეგობრობის სრულყოფის ხანგრძლივი პროცესი დასრულდა 1992 წლის მარტში, ევროპის კავშირის ხელშეკრულების ხელმოწერით და იგი საბოლოოდ ძალაში შევიდა 1993 წლის 1 ნოემბერს, როდესაც კავშირმა იურიდიული სტატუსი მიიღო.

რა მიზანს ისახავდა ევროკავშირის შექმნა?

გაერთიანება მიზნად ისახავდა საერთო ბაზრის დაარსებით და წევრი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის შეჯერებით გაერთიანების სივრცეში ჰარმონიული ეკონომიკური საქმიანობის უწყვეტი და გაწონასწორებული გაფართოების, სტაბილურობის ამაღლების, ცხოვრების დონის გაუმჯობესებისა და გაერთიანე-

ბის წევრ ქვეყნებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარების უზრუნველყოფას.

ხელშეკრულების მიხედვით, ევროკავშირში გაწევრიანების უფლება აქვს ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოს, რომლისთვისაც მისაღებია მისი ფასეულობები და აკმაყოფილებს დემოკრატიის ნორმებს. „კოპენჰაგენის კრიტერიუმების“ მიხედვით საჭიროა „კანდიდატმა ქვეყანამ მიაღწიოს ინსტიტუტების სტაბილურობას, რომლებიც დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების პატივისცემასა და უმცირესობების უფლებების დაცვის გარანტი იქნება“.

ყველაზე მეტად ფასეული, რაც ევროკავშირმა შეიმუშავა, არის საზღვრების თავისუფალი გადალახვის პრინციპი, ანუ წევრ ქვეყნებს შორის საქონლის, მუშახელის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გა დაადგილება - ე. წ. „ოთხი თავისუფლება“. შიდა საზღვრებში თავისუფალ გადადგილებას 1995 წელს ხელმოწერილი „შენგენის ხელშეკრულება“ არეგულირებს.

რაც შეეხება თურქეთთან ურთიერთობებს, საკითხი ცოტა სხვაგარადაა და უამრავი სპეციფიკურობით ხასიათდება. თურქეთს უკვე რამდენი ათეული წელია არ უდებენ კარს ევროპის ერთა თანამეგობრობაში.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ევროპის ეკონომიკური კავშირის შექმნიდან მოკლე პერიოდში, 1959 წლის ივლისში, თურქეთმა კავშირში გაწევრიანებაზე პირველი განაცხადი გაკეთა. იმავე წელს კავშირმა მას ასოცირებული ურთიერთობა შესთავაზა. ორმხრივი მოლაპარაკებები 1963 წლის 12 სექტემბერს „ანკარის შეთანხმების“ („თურქეთის რესპუბლიკასა და ევროპის ეკონომიკურ კავშირს შორის ასოციაციის შექმნის შესახებ“) ხელმოწერით დასრულდა. ამ შეთანხმებით დაიწყო თურქეთ-ევროპის კავშირის ურთიერთობების ისტორია. შეთანხმება ძალაში 1964 წლის 1 დეკემბერს შევიდა.

„ანკარის შეთანხმება“ მოიცავდა საბაჟო კავშირის შექმნას, რაც მხარეებს ეკონომიკურ და სავაჭრო სფეროებში დააახლოებდა. ამავე დროს, კავშირი თურქეთს ფინანსურად უნდა დახმარებოდა, რისთვისაც სპეციალური პროტოკოლები უნდა შემუშავებულიყო.

პირველი ფინანსური პროტოკოლით, რომელიც 1963-1970 წლებს მოიცავდა. ევროპის ეკონომიკურმა კავშირმა თურქეთს 157 მილიონი ეკუუს სესხი გამოუყო. უკვე 1972 წელს, კავშირის წილი თურქეთის იმპორტში 1963 წელთან შედარებით 29 %-დან 42 %-მდე გაიზარდა.

მეორე და მესამე ფინანსურ პროტოკოლს ხელი 1970 და 1977 წლებში მოეწერა. 1970 წლის 23 ნოემბერს ხელი მოეწერა ასევე დამატებით პროტოკოლს, რომელიც საბაჟო კავშირის შექმნის-აკენ წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

შეთანხმების მიხედვით, ევროპის ეკონომიკურ კავშირს თურქეთთან იმპორტზე ტარიფები და რაოდენობრივი ბარიერები უნდა გაეუქმებინა. დამატებითი პროტოკოლი კი მხარეებს შორის ადამიანური რესურსების თავისუფალი გადაადგილების საშუალებასაც იძლეოდა. სწორედ ამიტომ, საფუძველი ჩაეყარა თურქულ მიგრაციულ პროცესებს ევროპის ქვეყნებისაკენ.

1980-1983 წლებში თურქეთის ურთიერთობები ევროკავშირთან გაფუჭდა. ქვეყანაში 1980 წლის 12 სექტემბერს მომხდარი სამხედრო გადატრიალების გამო ევროპის ეკონომიკურმა კავშირმა თურქეთთან ურთიერთობების გაყინვა და მეოთხე ფინანსური პროტოკოლის დაბლოკვა გადაწყვიტა. ურთიერთობების დარეგულირება მხოლოდ 1983 წელს სამოქალაქო ხელისუფლების აღდგენისა და ეკონომიკის სფეროში რეფორმების დაწყების შემდეგ გახდა შესაძლებებლი.

1987 წლის 14 აპრილს თურქეთმა კავშირში გაწევრიანებაზე განაცხადი შეიტანა. ევროკავშირის შეთანხმების 237-ე მუხლის თანახმად, ამის უფლება ევროპის ყველა ქვეყანას ჰქონდა. ეს განაცხადი გადაეგზავნა დასკვნის მოსამზადებელ კომისიას. მან, თავის მხრივ, ეს საკითხი გადაუეზავნა დეპარტამენტებს ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების შესაძლო შედეგების გამოსავლენად და ყველა საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შეგროვება დაგვალა.

კანდიდატი ქვეყანა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებულ დემოკრატიისა და საერთო განვითარების ნორმებთან ახლოს უნდა ყოფილიყო. ამასთან, კომისია უნდა დარწმუნებული იმაში, რომ ახალი წევრის მიღება დამატებით პრობლემებს არ შექმნიდა.

ორივე სავარაუდო შემთხვევის გაანალიზებით შემდეგი სურათი გამოიკვეთა: პირველი, თურქეთი უზარმაზარი გეოგრაფიული რეგიონი იყო, მოსახლეობით იგი წევრი ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს საგრძნობლად აღემატებოდა და, მეორე, მისი განვითარების დონე საერთოევროპულზე შესამჩნევად დაბალი იყო. ეს ორი ფაქტორი თურქეთისთვის არასახარბიელო შედეგის მომტანი აღმოჩნდა ევროკავშირთან დაახლოების მცდელობის გზაზე.

კომისიამ დასკვნა მოამზადა 1989 წლის 18 დეკემბრისთვის. მასში ნათქვამი იყო, რომ „არსებულ პირობებში თურქეთთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყება სასარგებლო არ იქნებოდა“. კომისიამ მოიყვანა როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური მიზეზები. ასევე, საბერძნეთსა და თურქეთს შორის დავის „ნეგატიური ეფექტი“ და „კვიპროსზე არსებული მდგომარეობა“, თუმცა ევროკავშირი აცხადებდა, რომ უნდა გაგრძელებულიყო თურქეთთან თანამშრომლობა, ხელი უნდა შეეწყოთ მის ევროპასთან დაახლოებისათვის, დახმარებოდნენ ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური მოდერნიზაციის სწრაფ დასრულებაში (მაკარაძე, 2000: 47).

ორმხრივი თანამშრომლობა თანდათან გაღრმავდა და 1995 წლის 6 მარტს ევროკავშირმა და თურქეთის ასოციაციის საბჭომ საბაჟო კავშირის შექმნის საბოლოო ეტაპზე გადასვლისა და ფინანსური თანამშრომლობის განახლების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. საბჭომ ასევე გადაწყვიტა ურთიერთობათა ახალი სფეროების ათვისება და პოლიტიკური დიალოგის გაქტიურება.

1995 წლის 13 დეკემბერს გადაწყდა საბაჟო კავშირის შექმნა. ეს შეთანხმება ძალაში შევიდა 1996 წლის 1 იანვარს. ინსტიტუციონალურ დონეზე კი შეიქმნა საკონსულტაციო ორგანო - საბაჟო კავშირის ერთობლივი კომიტეტი. ეს ფაქტი მნიშვნელოვან მოვლენად იქნა შეფასებული თურქეთში. როცა 1995 წელს პრემიერ-მინისტრი თ. ჩილერი ბრიუსელიდან ჩამოფრინდა და საზეიმოდ განაცხადა: „თურქეთმა ხელი მოაწერა ისტორიულ შეთანხმებას ევროკავშირთან“, თურქეთში ამბობდნენ, რომ თ. ჩილერმა გააკეთა ის, რაც თავის დროზე მ. ქ. ათათურქმა, რომელმაც მიმართა

აზიური და ამასთან მუსლიმური ქვეყნის გზა პარიზისა და მთელი ევროპისაკენ“.

ამავე დროს, ევროკავშირის წარმომადგენელი ალენ ჟუპე აცხადებდა, რომ - „ევროკავშირის აზრით, თურქეთში მიღწეული პროგრესი არა საკმარისი, რადგანაც ქვეყანაში ისევ აქვს ადგილი ადამიანის უფლებების დარღვევას, იკრძალება გაზეთების გამოცემა, იდენტური სახელისტები და ინტელიგენციის წარმომადგენლები, ციხეში სხედან დეპუტატები თურქეთის პარლამენტის ე.წ. საზოგადოებრივი დემარშის გამო“.

შენიშვნების მიუხედავად ანკარა კმაყოფილებას გამოთქვამდა. თურქული პრესა წერდა, რომ საბაჟო კავშირის ხელმოწერის შემდეგ მკვეთრად გამოცოცხლდა ფინანსურ-ეკონომიკური ცხოვრება. ამასთან, თურქეთში აღნიშნავდნენ, რომ თავს არ იტყუებდნენ ფუჭი იმედებით და რომ მატერიალური დახმარება ქვეყანას თავისთავად წაიყვანდა ევროკავშირისაკენ, ამისათვის კი თურქეთს რეფორმები უნდა გაევრობლებინა.

თურქეთის კანონმდებლობა სახელმწიფო მონოპოლიებთან მიმართებაში უნდა დახვეწილიყო, რაც თურქეთსა და ევროპის კავშირის ქვეყნებში წარმოებული პროდუქციის მიმართ დისკრიმინაციის დაუშვებლობას გულისხმობდა. უახლოესი წლების განმავლობაში თურქეთის მხრიდან ეკონომიკური ურთიერთობების ხელისშემლელი ბარიერები უნდა მოშლილიყო.

აღსანიშნავია რომ თურქეთი ერთადერთი მუსლიმური ქვეყანაა, რომელსაც ევროკავშირში შესვლა სურს. 1996 წელს ორმხრივ ურთიერთობებში უსიამოვნო მომენტი გაჩნდა. თურქეთს დაეძაბა ურთიერთობა საბერძნეთთან, რამაც ევროკავშირთან ურთიერთობებზეც იქონია გავლენა. 1996 წლის 15 ივლისს გენერალური საქმეების საბჭომ მიიღო MEDA-ს პროგრამაში გათვალისწინებული პროექტები ხმელთაშუაზღვის 12 სახელმწიფო-სათვის, მათ შორის თურქეთისთვისაც. მაგრამ, იმავე წლის 19 სექტემბერს ევროპარლამენტის რეზოლუციით დაიბლოკა თურქეთში მათი განხორციელების იდეა. ეს რეზოლუცია ძირითადად იყო განპირობებული თურქეთში ადამიანის უფლებების სფეროში არსებული ვითარებით. უკავ სანტერის ხელმძღვანელობით ევროკომისიის მიერ შემუშავებული დოკუმენტი „პროგრამა 2000

წლისათვის“ ფაქტობრივად თურქეთს ევროკავშირის გაფართოების პროცესიდან გამორიცხავდა, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებდა საბაჟო კავშირის დამაკმაყოფილებელ მუშაობას და თურქეთის შესაძლებლობას პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში ევროკავშირის ნორმების შესრულების შესახებ.

მანამდე კი იყო 1997 წლის 12 დეკემბრის ლუქსემბურგის სამიტი. თურქეთი ამ სამიტზე კანდიდატ ქვეყანად დასახელებას ელოდა, ამიტომ უარყოფითმა შედეგმა ქვეყნის ოფიციალური პირების უკმაყოფილება გამოიწვია. პოლიტიკურ ელიტაში დაიწყეს საუბარი ევროპასთან ურთიერთობების შენელებაზე. ლუქსემბურგის სამიტის შემდეგ ევროკავშირის ლიდერებისათვის გამართულ სადილზე თურქეთის პრემიერ-მინისტრ მესუთ ილმაზმა მიპატიუება არ მიიღო და ღიად გამოხატა უკმაყოფილება. მან გერმანიის მაშინდელ კანცლერს ჰ. კოლს ანტითურქულ განწყობილებაში დასდო ბრალი, რამაც ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური კრიზისი გამოიწვია.

სავსებით გასაგებია საბერძნეთის წინააღმდეგობა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების მიმართ, გერმანიის წინააღმდეგობა კი თურქეთის კანდიდატურის მიმართ ძირითადად განპირობებული იყო გერმანიაში თურქი მიგრანტების მოზღვავებით. თურქული დიასპორა გერმანიაში უკვე რამდენიმე მილიონ ადამიანს ითვლიდა და გერმანიას გარკვეულ შიდა პრობლემებს უქმნიდა.

გერმანიაში თურქი მიგრანტების შემოსვლის პროცესს საფუძველი ჩაეყარა 1961 წელს დადებული ორმხრივი შეთანხმებით. მას შემდეგ, რაც გერმანიაში შავ მუშებზე მოთხოვნა გაიზარდა, ქვეყნის მთავრობამ განვითარებად ქვეყნებიდან იაფი მუშახელის მოზიდვა გადაწყვიტა და ღია კარის პოლიტიკის შესახებ განაცხადა. ამას მოჰყვა თურქეთთან ხელშეკრულების გაფორმება, რომლის მიხედვითაც თურქი მუშები დროებით სამუშაოდ გაიგზავნებოდნენ დასავლეთ გერმანიაში. ასე დაიწყო თურქი მუშახელის უწყვეტი გადინების პროცესი, მაგრამ არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ მთელ ევროპაში. დროებით გასული მუშახელის ევროპაში ყოფნამ კი შემდგომ მუდმივი ხასიათი შეიძინა.

შედარებით მისაღები მდგომარეობაა თურქთა ახალგაზრდა თაობაში. ისინი არ გამოთქვამენ გერმანულ საზოგადოებისაგან მოწყვეტის სურვილს, პირიქით, კმაყოფილი არიან, რომ საშუალება აქვთ განათლება მიიღონ ევროპის ერთ-ერთი განვითარებული ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, ფლობენ გერმანულ ენას და აქვთ გარკვეული წარმატებებიც, ასევე ადგილი აქვს შერეული ოჯახების შექმნასაც.

არაერთი თურქი წარმატებით მოღვაწეობს გერმანიის ეკონომიკის, განათლების, პოლიტიკის სფეროში. ხოლო გერმანიის ურთიერთობა თურქეთთან, ოფიციალურ დონეზე, თავშეკავებული და კეთილგანწყობილია. გერმანია დიდ ტექნიკურ დახმარებას უწევს თურქეთს თანამედროვე საბრძოლო იარაღის დამზადებაში. ხორციელდება ერთობლივი პროექტები.

თურქეთთან საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში პირველობას დღემდე გერმანია ინარჩუნებს. გერმანული კაპიტალი აქტიურად მონაწილეობს თურქეთის სავჭრო - ეკონომიკურ გარიგებებში, მრეწველობასა და ფი ფინანსურ ოპერაციებში. აქ საწარმოები აქვს დაარსებული გერმანიის ცნობილ ფირმებს. უცხოეთის ბანკებს შორის კი წამყვანი ადგილი უკავია – ვესტ-დოიჩე ლანდეს ბანკს, დოიჩე ბანკს, დრეზდენ ბანკს და სხვ. თურქეთში ასობით გერმანული ფირმა ეწევა საქმიანობას (600 - ზე მეტი). აქ ჩადებულმა ინვესტიციებმა რამდენიმე მილიარდ მარკას მიაღწია.

ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები თურქეთის რელიგიურ განსხვავებაზე ამახვილებენ ყურადღებას, თუმცა არა ოფიციალურ საუბრებში. ერთ-ერთი ევროპელი, ვინც ამის შესახებ ღიად თქვა, იყო საფრანგეთის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ჟაკ ატალი. მან განაცხადა, რომ: „თურქეთის ევროკავშირში შესვლის ძირითადი ხელისშემშლელი მიზეზი რელიგიური განსხვავება – ისლამია“.

ხშირად დავის საგანი ხდება თავად ტერმინი ევროპაც. იგი მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინია თუ საერთო ფასეულობების მატარებელი გაერთიანება. მეორე განსაზღვრების შემთხვევაშიც თურქეთის ადგილს ქრისტიანულ სახელმწიფოთა კლუბში ხშირად ვერ ხედავენ. ამ საკითხის ირგვლივ დავა კიდევ უფრო

აქტუალური გახდა XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, მაშინ როცა თურქეთის ხელისუფლებაში პროისლამური მიმართულების ძალები მოვიდნენ. ეს ევროპას აიძულებდა კიდევ ერთხელ დაფიქრებულიყო, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდა.

თურქეთის პრეზიდენტი თ. ოზალი მიზეზს მუსლიმობაში ხედავდა: „ევროკავშირში არ მიღების ჭეშმარიტი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მუსლიმები ვართ, ისინი ქრისტიანები, მაგრამ ისინი ამას ღიად არ ამბობენ“. ყოფილი პრემიერი თ. ჩილერი ამბობდა: „ევროპის კულტურას ქრისტიანულ - ბერძნულ - რომაული სინთეზი უდევს საფუძვლად. ერთი კედელი უკვე დავანგრიეთ, ახალ კედელს ნუღარ ავაშენებთ. ნუ ვივლით რელიგიური დაყოფის გზით. თურქეთი თავისი დემოკრატიული სისტემის და ფასეულობების სტაბილურობის ერთ-ერთი გარანტიაა. ევროპას კი სტაბილურობა ესაჭიროება. აღმოსავლეთს დასავლეთისათვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობაა აქცს. ჩვენი ევროპელი მოკავშირეები ამჟამად თურქეთს ისეთ ბუფერულ ქვეყანად მიიჩნევთ, რომელიც ევროპისათვის სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან რეგიონებს შორის მდებარეობს. მათ მიერ თურქეთის მუდმივად ბუფერულ რეგიონად მიჩნევა გონივრული გადაწყვეტილებაა, თუმცა სერიოზული ეჭვები მაქსი, რომ თურქები ამ მდგომარეობაში ყოფნას ბოლომდე დასჯერდნენ“.

ევროკავშირის მორიგი სამიტი 1998 წლის 15-16 ივნისს გაიმართა კარდიფში. მისი გადაწყვეტილება შედარებით რბილ ტონში იქნა მიღებული, მაგრამ თურქეთისთვის ის მაინც უარს ნიშნავდა. ამ სამიტის უმთავრესი შედეგი ევროკავშირის კომისიის მიერ შემუშავებული „ევროპული სტრატეგიის“ დამტკიცება იყო.

1998 წლის სექტემბერში ეკონომიკურ კომისიასა და თურქეთის ხელისუფლებას შორის „ევროპული სტრატეგიის“ განხორციელების დეტლეაბის გასარკვევად პირველი ტექნიკური დისკუსია გაიმართა, რამაც თურქეთის მზადყოფნა დაადასტურა თანამშრომლობაზე.

ანკარა აღნიშნავდა, რომ ევროკავშირის მომავალი სამიტი გადამწყვეტი მნიშვნელობის იქნებოდა თურქეთ-ევროკავშირის

ურთიერთობებისთვის. მართლაც, დაძაბული ურთიერთობების ფონზე, მდგომარეობა დადებითისაკენ შემობრუნდა. 1999 წლის 10 დეკემბრის ამ სამიტზე თურქეთი სხვა ქვეყნებთან ერთად ევროკავშირის წევრობის სრულუფლებიან კანდიდატ ქვეყნად გამოაცხადდა.

თურქეთ - ევროკავშირის ურთიერთობაში მეტად მნიშვნელოვანი იყო 2000-2001 წლები. 2000 წლის დეკემბერში ევროკავშირის მორიგ სამიტზე ბრიუსელში გამოქვეყნდა და თურქეთს დელეგაციას გადაეცა ევროკავშირის გაფართოების კომიტეტის მიერ მომზადებული დოკუმენტი „ევროკავშირში თურქეთის შესვლის საკითხებზე პარტნიორობის შესახებ“ (ხოზრევანიძე, 2019: 56).

ეს დოკუმენტი შეიცავდა იმ კრიტერიუმების ჩამონათვალს, რომლებსაც თურქეთი გარკვევით უნდა შეესაბამებოდეს. გადასაჭრელ რთულ საკითხებს შორის (კვიპროსის პრობლემა, ეგეოსის ზღვაში საბერძნეთთან ტერიტორიული გამიჯვნა, ქურთების უფლებები), ერთ-ერთი ყველაზე მწვავე იყო კვიპროსის პრობლემა. დოკუმენტი პარტნიორობის შესახებ თურქეთს ავალებდა „აქტიურად დაეჭირა მხარი გაეროს გენერალური მდივნის ძალისხმევისთვის“ კვიპროსის საკითხის გადასაჭრელად. თუმცა თურქეთი ჩრდილოეთ კვიპროსს განიხილავს როგორც თავისი სამხედრო სტრატეგიული ინტერესების უზრუნველყოფის საკვანძო ელემენტს.

თურქეთის კიდევ ერთი მწვავე პრობლემა, ასახული დოკუმენტში, იყო ქურთების საკითხი. აქ აღვნიშნავთ, რომ თურქეთის კონსტიტუციაში სიტყვა „უმცირესობის“ გაგება რომელიმე ეთნოსის მიმართ არ არსებობს და ქვეყნის ქურთ მოსახლეობას წარმეული აქვს იურიდიული წინაპირობა, რათა მიაღწიოს თავისი უფლებების დაკმაყოფილებას. 2001 წლის 13 ნოემბერს კომისიის მიერ გამოქვეყნებული იქნა ანგარიში თურქეთთან დაკავშირებით. დასკვნით ეტაპზე გადასვლის შეფერხების მოტივაცია ის იყო, რომ თურქეთი მოლაპარაკების დასაწყებად არ აკმაყოფილებდა პოლიტიკურ კრიტერიუმებს, ამდენად, მას არ შეეძლო დასკვნით ეტაპზე გადასვლაც. ანგარიშში დადებითად იყო შეფასებული ქვეყნის მთავრობის მიერ გაწეული ძალისხმევა

კონსტიტუციის შეცვლასთან დაკავშირებით, რომლის მიზანი იყო დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლების გაფართოება. მაღალი შეფასება მიეცა ადამიანის ახალ უფლებებს, აგრეთვე თავისუფლებებს, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებს მიენიჭა. მაგრამ კრიტიკის საგნად ისევ დარჩა უშიშროების საბჭოს ფართო უფლებამოსილება, ქვეყანაში სიკვდილის დასჯის შენარჩუნება. ჩიხში იყო კვიპროსის პრობლემის გადაწყვეტის პროცესიც. მთლიანობაში ხაზი გაესვა იმას, რომ თურქეთი ერთადერთი კანდიტატი ქვეყანაა, რომელმაც არ მიუღწევია კო-პენპაგენის კრიტერიუმებისთვის, გარკვეული ცვლილებების მიუხედავად.

თურქეთის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებულ 2001 წლის ოქმში დადგენილია შემდეგი მოთხოვნები: თურქეთში სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენებაზე მორატორიუმის მხარდაჭერა, ხოლო შემდგომში სიკვ-დილით დასჯის გაუქმება და ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის ოქმი №6-ის რატიფიკაცია.

თურქეთმა „ქვეყანა კანდიდატის“ მანდატით აიღო ვალდებულებები, რომელსაც ის განახორციელებდა. მათ შორის ოთხი ქურთული წარმოშობის ქალი - პარლამენტარის გათავისუფლება იყო. 2004 წელს თურქეთის მეჯლისმა მიიღო გადაწყვეტილება და ათწლიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლა პარლამენტარი ქალბატონები: ორხან დოგანი, ჰათივ დიკოლი, სალჰიმ სადაკი და სახაროვის პრემიის ლაურეატი ლეილა ზანე. მანამდე ოთხმა ადვოკატმა შესაბამისი სარჩელით მიმართა თურქეთის სასამართლოს. სარჩელი დაუკმაყოფილებელი დარჩა. ბრიუსელმა კი ეს ფაქტი გამოწვევად მიიღო: „ევროკავშირი შეურაცხყოფილია, ჩვენ ანკარისაგან დემოკრატის ვითხოვდით“, - აღნიშნა ევროპარლამენტის წევრმა ლუიჯი ვინჩიმ.

მთელი ამ წლების განმავლობაში ეს ოთხი ქურთი პატიმარი ქალბატონი თურქეთში არსებული უკანონობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული. ევროკავშირი ამ ფაქტზე აქცენტირებით მიუთითებდა, რომ თურქეთი არ იყო მზად ევროკავშირის წევრობისათვის.

2004 წლის ევროკავშირის გაფართოების შემდეგ ისევ განახლდა საუბარი ამ ალიანსში თურქეთის გაწევრიანების შესაძლე-

ბლობაზე, მაგრამ ევროპის ქვეყნებს შორის ვერ ხდებოდა პოზიციების შეჯერება მათი განსხვავებული დამოკიდებულების გამო. მაგალითად, კლაუდია როზიმ, გერმანიის მთავრობაში ადამიანთა უფლებებზე პასუხისმგებელმა და ხელმძღვანელმა თურქულ - გერმანული მეგობრული ჯგუფისა, განაცხადა, რომ დაიცავს თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების იდეას, „რადგანაც გერმანიას სჭირდება ძლიერი თურქეთი“. თურქი ჟურნალისტებისათვის გამართულ შემაჯამებელ შეხვედრაზე კ. როზი გამოვიდა ანგელა მერკელის წინადადების წინააღმდეგ, რომელიც თურქეთის ევროკავშირში პრივილეგირებულ პარტნიორობაზე თანხმდებოდა მხოლოდ. „თურქეთი ევროპის კატეგორიებში მრავალ ასპარეზზე იკავებს ადგილს. ვერ ვხვდები რატომ არის, რომ თურქეთი ზოგჯერ ევროპას ეკუთვნის, ზოგჯერ კი არა“, - განაცხადა იგივე როზიმ. მან შეაფასა ბოლო პერიოდში თურქეთში განხორციელებული რეფორმები და აღნიშნა: „ერთი პერიოდი ვერც კი წარმომედგინა, რომ თურქეთში გაუქმდებოდა სიკვდილით დასჯა“ (მენთეშაშვილი, 2004:38).

ანგელა მერკელმა, როცა ის გერმანიის კანცლერი გახდა, თავისი ევროპული ტურნე საფრანგეთში ჩასვლით დაიწყო (2005 წლის ნოემბერი). მან პირველი ოფიციალური შეხვედრა გამართა პრეზიდენტ ჟაკ შირაკთან. მოლაპარაკების შემდეგ გამართულ პრეს - კონფერენციაზე იგი შეეხო თურქეთსაც და განაცხადა: „თურქეთის ევროკავშირთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ვფიქრობ, მოლაპარაკებები მისი გაწევრიანების შესახებ ხანგრძლივი აღმოჩნდება“. გერმანიის მხარე დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა და ეკიდება ამ საკითხს.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა კი არაერთხელ დააფიქსირა თანადგომა თურქეთის ევროპულ ოჯახში მიღებაზე. მისი თქმით: „ჩვენთან ერთად თურქეთის ყოფნა ევროპის ინტერესებში შედის“.

აშშ ასევე მხარს უჭერს თურქეთის გაწევრიანებას ევროკავშირში. მისი მხარდაჭერა თურქეთისათვის მეტად მნიშვნელოვანია. აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უმცროსი) აღნიშნავდა, რომ „თურქეთი ევროპის ძალაა“, ასევე „თურქეთის წევრობა ამავდროულად ისლამის ნაწილსა და დასავლეთს შორის ურთი-

ერთობების წინსვლისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს“ . ჯ. ბუში თურქეთს ცივილიზაციებს შორის ხიდად მოიხსენიებს: „ისლამის სამყაროში თავისუფლების მომავალი ამ ქვეყნის მოქალაქეების მიერ უნდა განისაზღვროს და არა სხვების“.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტ. ბლერმა დადებითი პოზიცია თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე BBC - ის პირდაპირ ეთერში გააკეთა.

საინტერესოა მსოფლიო ბანკის ზოგიერთი მონაცემიც, რომლის მიხედვითაც თურქეთის ეკონომიკა ევროპის არაერთი ქვეყნის ეკონომიკაზე დიდია. მაგალითად, მისი ეკონომიკა ბევრად აღემატებოდა ევროკავშირის 4 ახალი წევრი ქვეყნის ანალოგიურ მონაცემებს, იგი ცხრაჯერ მეტი იყო იმავე ბულგარეთის ეკონომიკაზე. მიუხედავად 2001 წლის კრიზისისა, თურქეთს ამავე წლის მონაცემების მიხედვით გააჩნდა 445 მილიარდი დოლარის ღირებულების მსყიდველობითი უნარი. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ თურქეთი ევროკავშირის წევრი გახდებოდა, ეკონომიკის სიდიდის მიხედვით წევრ ქვეყნებს შორის მეექვსე ადგილს დაიკავებდა.

თუმცა, მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ მსოფლიო ეკონომიკის მაჩვენებლების 2004 წლის მოხსენებაში თურქეთი (ერთ სულ მოსახლეზე 2 626 ლირა) ერთგნული შემოსავლების მიხედვით საშუალო, ქვედა ჯგუფის ქვეყნებში მოხვდა. სწორედ ეს გახდა თავის დროზე ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ევროკავშირის დიდი გაფართოების პროცესს 2004 წელს იგი გამოეთიშა. ეს მონაცემები თურქეთის ეკონომიკის დიდ პერსპექტივებზე მეტყველებს. მაგრამ, ესოდენ დიდი ეკონომიკური პოტენციალის ქონის პირობებშიც შედარებით არადამაკმაყოფილებლად ჩანდა მიღწევები დემოკრატიის სფეროში გატარებული რეფორმების თვალსაზრისით.

თურქეთის ევროკავშირში მიღების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად, რა თქმა უნდა არაოფიციალურად, ასახელებენ მისი მოსახლეობის რაოდენობას. ამ ეტაპზე ის დაახლოებით 80 მილიონით განისაზღვრება.

დემოგრაფიული სურათის შესწავლის საფუძველზე, თურქეთში უახლოეს მომავალში ვარაუდობენ მისი მოსახლეობის რაოდენობის გაზრდას. ზრდის ახლანდელი ტემპების შენარჩუნების შემთხვევაში მისი რაოდენობა უახლოეს ათ წელიწადში შესაძლოა მიუახლოვდეს 100 მილიონს. თურქეთი ასეთ შემთხვევაში იქნება ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა ევროპის სივრცეში. მაგრამ მისი ამჟამინდელი რაოდენობაც კი შემაშფოთებელია ევროკავშირის ხელმძღვანელობისათვის. კავშირში გაწევრიანების შემთხვევაში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით თურქეთი მოიპოვებს უფლებას გავლენა იქონიოს ევროკავშირის გადაწყვეტილებაზე. ევროპის ქვეყნებს კი თურქეთისათვის ამ უფლების მინიჭება (ათის კვოტის ფლობა) არ სურთ. ევროპა ასე ადვილად ვერ შეეგუება მისთვის ამხელა ბერკეტების გადაცემას.

თურქეთისათვის მოულოდნელობებით აღსავსე იყო 2004 წლის ევროკავშირის ბრიუსელის სამიტი. ამ სამიტმა თავის მხრივ ევროპას ახალი საზღვრები და ახალი პოლიტიკური რეალობა შესთავაზა და ამ რეალობაში თურქეთის ადგილი და როლი არ იყო ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც მოელოდნენ ანკარაში. ევროკავშირის საზღვრებში მოექცა კიდევ ათი ქვეყანა. თურქეთში მტკივნეულად აღიქვეს მასში კვიპროსის ბერძნული ნაწილის გაწევრიანება,\* ვინაიდან ამ შემთხვევაში საბერძნეთს ერთით მეტი ხმის უფლება ექნება კავშირში თურქეთის წინააღმდეგ. (ხოზრევანიძე, 2019: 56).

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი კანდიდატი ქვეყანაა, ჯერ კიდევ არაა მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება მისი ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე. ქვეყანაში მიმდინარე წარმატებული დემოკრატიული ცვლილებები ეკონომიკის, განათლების, სამართლისა და სხვა სფეროებში, ვერ წყვეტს თურქეთის ევროპასთან გაიგივების, ევროპის ერთიან ცივილიზაციაში მისი მოაზრების საკითხს.

ევროკავშირსა და თურქეთს შორის მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ არაერთ თურქ სახელმწიფო მოღვაწეს სკეპტიკური

\* კვიპროსის ბერძნული ნაწილი, მალტა, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, უნგრეთი, პოლონეთი.

განცხადების გაკეთებისაკენ უბიძგა. მაგალითად, 2002 წელს მეჯლისის თავმჯდომარემ ომერ იზგიმ განაცხადა, რომ თურქეთს ევროკავშირის გარდა სხვა არეალშიც გააჩნია ალტერნატივა. ამ განცხადებით მან ფაქტობრივად მხარი დაუჭირა ეროვნული უშიშროების საბჭოს გენერალური მდივნის თუნჯერ კილინჯის მოსაზრებას - „ევროკავშირი თურქეთის ერთადერთი ალტერნატივა არ არის“.

ო. იზგიმ თურქულ - ამერიკული საზოგადოების ფედერაციის პრეზიდენტის ეგემენ ბაღიშისა და მისი თანმხლები პირების მიღებისას აღნიშნა: „შესაძლებელია ევროკავშირის არჩევანი თურქეთი არ არის, მაგრამ თურქეთს ევროკავშირის გარდა სხვა არეალშიც გააჩნია არჩევანი. რასაკვირველია, ეს არეალები ვერ ჩამოყალიბდება მოკავშირეობის ისეთი ფორმებით, როდესაც წევრად, როგორც კილინჯი ამბობს, ირანიც მოიაზრება. მაგრამ თურქეთს თავისი ღერძის გარშემო ყოველთვის აქვს არჩევანი ჰქონდეს დიდი ძალა ისეთი სახით, რომელიც არ ეწინააღმდეგება მისი სისტემის იდეოლოგიას“.

თურქი ექსპერტები ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი და პროგნოზებსაც აკეთებდნენ იმაზე, თუ რა სიკეთის მოტანა შეეძლო მათი ქვეყნის შესვლას ევროკავშირში. მრეწველობისა და ვაჭრობის იმდროინდელ მინისტრ ალი ჯონკუნის განცხადებით, ასეთ შემთხვევაში თურქეთში ინვესტიციების რაოდენობა სწრაფად გაიზრდება. კერძო სექტორის აღორძინებით კი შესაძლებელი გახდება ქვეყნის ეკონომიკის წინაშე მდგარი სერიოზული პრობლემების გადაჭრა. მ. ილმაზის შეფასებით, ევროკავშირში თურქეთის სრული წევრობის საკითხის განხილვისთანავე ქვეყანაში უცხოური კაპიტალის შემოსვლის ბუმი დაიწყება. მისი თქმით, თურქეთს თავისუფლად შეუძლია უზრუნველყოს წელიწადში საშუალოდ 10 მილიარდი დოლარის უცხოური კაპიტალის შემოსვლა ქვეყანაში.

სავაჭრო პალატების გაერთიანებულმა კავშირმა გამართა კონფერენცია დევიზით „ევროკავშირის სრული წევრობის ზემოქმედება თურქეთის ეკონომიკასა და ბიზნესის სამყაროზე“. კონფერენციის გახსნისას მ. ილმაზმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „თურქეთში უცხოური კაპიტალის შემოსვლა ახლო პერიოდში

უფრო დიდ მნიშვნელობას მოიპოვებს. ეკონომიკური კრიზისიდან მთლიანად გამოსვლა შეიძლება მოხდეს ევროკავშირთან შეგუების პროცესის დაჩქარებით და უფრო მაღალი საფეხურების დაძლევით“. მან ამის ნიმუშად ესპანეთი, პორტუგალია და საბერძნეთი მოიყვანა. „ყველა კანდიდატი ქვეყნის მდგომარეობა ასეთი იყო, თურქეთისაც ასეთივე იქნება“ განაცხადა მან.

2004 წლის 26-29 ივნისს სტამბოლში გამართულმა ნატოს სამიტმა თურქეთსა და დასავლეთს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების წინააღმდეგობრივი ხასიათი აჩვენა. ერთის მხრივ, თურქეთი ნატოს მნიშვნელოვანი წევრია. ამ კონტექსტში ანკარამ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს რადიკალური ისლამის წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე, ერაყსა და ავღანეთში სტაბილურობის დამყარებაში. მეორეს მხრივ, ევროკავშირის დამოკიდებულება მასში თურქეთის გაწევრიანებაზე პესიმისტურია. თუმცა, თავის მხრივ, თურქეთის ისლამურ სამყაროში სტაბილიზაციის დამყარებისა და პოლიტიკურ ცვლილებებზე უმტკივნეულოდ გადასვლის თვალსაზრისით, შეუძლია მისაბაძი მაგალითი გახდეს. მას ამ მიმართულებით ბევრად მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე წებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს.

დღეისთვის თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება სულ უფრო ბუნდოვანი ხდება, მაშინ, როდესაც ეს ქვეყანა აქამდე არნახული ენერგიით აფართოებს საკუთარ კონტაქტებს უმეტესად მუსლიმურ ქვეყნებთან, ამ ფონზე დიდი ხნის განმავლობაში ისმება კითხვა - ხომ არ იხრება ეს მაშტაბური საერო მუსლიმური სახელმწიფო უფრო აღმოსავლეთისაკენ, ვიდრე დასავლეთისაკენ?

როდესაც აშშ-ს პრეზიდენტი ბ. ობამა 2012 წლის 25 აპრილს თურქეთს სტუმრობდა (ამ სიმბოლურმა ჟესტმა ხაზი გაუსვა თურქეთის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას), მან განსაკუთრებით აღნიშნა ამ ქვეყნის, როგორც ხიდის როლი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, აღიარა მისი შუამავლობის მნიშვნელობა არაბ - ისრაელის კონფლიქტში, ასევე, მთელი თავისი პოლიტიკური წონით აშკარად მხარი დაუჭირა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას. ზოგიერთი ექსპერტი ვაშინგტონსა და ბრიუსელში ეჭვევეშ აყენებს თურქეთის, როგორც პარტნიორის

სანდოობას. ბევრი თურქი კი საკუთარ თავს ეკითხება, ხომ არ არის უმჯობესი მათ თვითონ უარი სთქვან უარი ევროკავშირზე, ვიდრე ამას ბლოკი გაკეთებს.

ამას ისიც ემატებოდა, რომ თურქეთი ბოლო ხანებში გარკვეულწილად ნაკლებად ავლენდა სურვილს შეესრულებინა ხიდის როლი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ასე, ამ ქვეყანამ ისრაელის სამხედრო-საპატიო ძალებს მანევრებში მონაწილეობაზე უარი უთხრა. ამან კი, თავის მხრივ, კიდევ უფრო დამაბა ურთიერთობა ანგარასა და თელ-ავივს შორის, რომელიც უკვე მანამდეც საკმარისად გართულებული იყო. ამის დადასტურერებისთვის საკმარისა გავიხსენოთ თუნდაც ის მძაფრი კრიტიკა, რომლითაც თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეფ თაიფ ერდოღანი გამოვიდა შვეიცარიის ქალაქ დავოსში მსოფლიოს ლიდერების წინაშე ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესის წინააღმდეგ ღაზას სექტორში თელ-ავივის სამხედრო მოქმედებების გამო.

მაღალჩინოსანი თურქი ჩინოვნიკები ამბობენ, რომ ბატონმა ერდოღანმა, რომელიც ისრაელსა და სირიას შორის შუამავლის როლს ასრულებდა ღაზას სექტორში კონფლიქტის დაწყებამდე სულ რაღაც რამდენიმე კვირით ადრე, ჩათვალა, რომ მას უღალატეს, რამეთუ ისრაელმა წამოიწყომ აგრესია, დასრულებული უდანაშაულო მუსლიმების უაზრო მკვლელობით. იმავდროულად, ზოგიერთ დასავლეთელ დიპლომატს მიაჩნდა, რომ თურქეთმა ირანთან დაკავშირებული ქმედებებით შეშფოთების საფუძველი მისცა მათ.

როდესაც გამოქვეწდა ირანის წინანდელი საპრეზიდენტო არჩევნების ოფიციალური შედეგები, თურქეთი იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორის აღმოჩნდა, ვინც პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადი ნეჯადს მიულოცა ხელახალი არჩევა. თეირანში ვიზიტისას კი, ბატონმა რ. ერდოღანმა განაცხადა, რომ დასავლეთი ორმაგი სტანდარტების პრაქტიკას მიმართავს, როდესაც ზეწოლას ახდენს ირანზე ამ ქვეყნის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. „მათ, ვინც ბირთვული განიარაღებისკენ მოუწოდებს, პირველ რიგში ეს პროცესი საკუთარ ქვეყნებში უნდა დაიწყოს“, - ხაზგასმით აღნიშნა მან.

საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ხმამაღლა აპროტესტებდა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას და ამტკიცებდა, რომ ეს ქვეყანა გეოგრაფიულად ევროპას არ განკუთვნება. ამ საკითხზე ასევე ეჭვი გამოსთვა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმაც. ბევრმა თურქმა მიიჩნია, რომ ევროკავშირში მათი ქვეყნის მიღება არ სურთ მუსლიმების დიდი რაოდენობის გამო.

შეკითხვაზე, თუ რატომ დაინტერესდა თურქეთი სხვა მიმართულებით, ანალიტიკოსების ნაწილი პასუხობს, რომ ქვეყანას ამისკენ სხვადასხვა კულტურული და ეკონომიკური ფაქტორები უბიძგებნ.

სტამბოლის შეხვედრაზე კი ევროპის საკითხების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე რობერტ უესლერმა ზემოაღნიშნულ შეკითხვაზე განაცხადა: „ევროპა დააკვირდი საკუთარ ქმედებებს და საკუთარ მოსაზრებებს“ . პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორი ერსინ კალაიჩიოლლუ აღნიშნავდა, რომ გლობალურ ფინანსურ კრიზისს ევროპული ეკონომიკის შემცირება მოჰყვა, რამაც თურქეთს, მსხვილ ექსპორტიორს, ახალი ბაზრების მოძიების დაწყება აიძულა. ამ პოლიტოლოგაც და მის სხვა კოლეგებსაც მიაჩნდათ, რომ მმართველი „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის, როგორც მუსლიმური ფესვების მქონე სოციალურად კონსერვატიული პარტიის ლიდერები თავს გაცილებით კომფორტულად ერ - რიადში, დამასკოსა და ბაღდადში გრძნობენ, ვიდრე პარიზში, ლონდონშია და რომში, თუმცა დღეს ეს სიტყვები ნაკლებად შეეხება დამსაკოსა და ბაღდადს.

ევროკავშირთან მოლაპარაკებების ნაწილობრივ ჩავარდნასაც კი შორსმიმავალი შედეგები მოჰყვება. თურქეთი - აშშ-სა და ევროპისთვის შეუცვლელი პარტნიორია, როგორც ქვეყანა, რომელიც ირანს, ერაყს და სირიას ესაზღვრება. ამასთან, თურქეთი დემოკრატიის, კაპიტალიზმისა და ისლამის ერთობლიობის უზარმაზარი სიმბოლოა.

დღეს მოლაპარაკებები თურქეთის ევროკავშირში შესვლის შესახებ საკმაოდ გართულებულ ვითარებაშია. ბევრ სხვაწსთან ერთად, პრობლემად რჩება კვიპროსის საკითხის გადაუჭრელობა, ამას ემატება კიდევ მეტოქეობა საბერძნეთთან ეგეოსის

ზღვის შელფის გამო. პირველად მრავალი წლის განმავლობაში საქმიანი წრების წამყვანმა წარმომადგენლებმა, რომლებიც ყოველთვის პროექტები იყვნენ, დააფიქსირეს თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ევროკავშირში თურქეთის მიღების გაჭიანურებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ჰასან არატმა, თურქეთის ერთ-ერთი უმსხვილესი დეველოპერული კომპანიის ხელმძღვანელთა წარმომადგენელმა, განაცხადა: „ჩვენ თურქები - ამაყი ხალხი ვართ და არ გვინდა იმ სახლში შესვლა, სადაც ჯერ დაგვპატიუს, მაგრამ შემდეგ ყოველ ჯერზე მასპინძელი ცხვირწინ კარს გვიკეტავს“.

ქვეყნის შელახული თავმოყვარეობის მიუხედავად, თურქეთის ოფიციალური წარმომადგენლები და ანალიტიკოსები ამტკიცებდნენ და ამტკიცებენ, რომ მათი ქვეყანა არ აპირებს დასავლეთის მიტოვებას. თურქეთის იმდროინდელი მინისტრი ევროპის საკითხებში ეჯემენ ბაჯისი არ ეთანხმებოდა იმ მოსაზრებას, რომ თურქეთის პოლიტიკა აღმოსავლეთისკენ იცვლის ორიენტაციას. თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ის აცხადებდა, რომ ზოგიერთი მისი ქვეყნის მხრიდან მეზობლებთან ინტეგრაციის მხარდამჭერი იყო, ახლა კი ეჭქვეშ აყენებს იმ მოლაპარაკებათა გაგრძელების მიზანშეწონილობას, რომლის დასრულებაც, როგორც ჩანს, ჯერ-ჯერობით არ განიხილება. მისი სიტყვებით, აღმოსავლეთ ქვეყნებთან კონტაქტების გააქტიურება, სირიასთან საზღვრის გახსნა (ეს იმ დროს ეხებოდა), სომხეთთან დიპლომატიური ურთიერთობების ნორმალიზებაზე ისტორიული შეთანხმების ხელმოწერა (ესეც შეიცვალა), ასევე ირანთან ურთიერთქმედებათა გაფართოება - ეს ყველაფერი თურქეთს მისი დასავლელი მოკავშირებისთვის უფრო ეფექტურ შუამავლად აქცევს. „ნებისმიერი ზიდი, თუკი მას ერთი საყრდენი მყარი აქვს, მეორე კი სუსტი, დიდხანს ვერ იარსებებს“, - აღნიშნა ბატონმა ბაჯისმა.

თურქეთის პრემიერ-მინისტრ ერდოღანის იმდროინდელი მთავარი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში იბრაჟიმ კალინი ამბობდა, რომ „თურქეთის ახალი, უფრო გახსნილი საგარეო პოლიტიკის დასავლეთელი კრიტიკოსები ორმაგ სტანდარტებს იყენებენ. როდესაც შეერთებული შტატები რუსეთს წინა-

დადებებს სთავაზობს, ამას ყველა ადიდებს და დიპლომატიის ახალი ეპოქის დასაწყისს უწოდებს, მაგრამ როდესაც თურქეთი ირანთან საკუთარი კავშირების გაფართოვებას ცდილობს, ყველა კითხულობს, ეს ხომ არ ნიშნავს ორიენტაციის შეცვლას - ო?“ (ხოზრევანიძე, 2019:80).

ბევრი გავლენიანი თურქი სამხედრო დარწმუნებული იყო და არის იმაში, რომ ევროკავშირის მიერ წამოყენებული პირობების უმრავლესობის შესრულება ქვეყნისათვის დამღუპველია. ბოლო დროს მათ ეთანხმებოდნენ საზოგადოების სხვა ფენის წარმომადგენლებიც. ქვეყანაში უფრო და უფრო პოპულარული გახდა აზრი იმის შესახებ, რომ სინამდვილეში გაწევრიანების პირობით ევროკავშირი ანკარას აცდუნებს და ცდილობს თურქეთი აიძულოს წავიდეს დათმობაზე ქურთების და კვიპროსის საკითხებში, საბოლოოდ გადაწყვიტოს ტერიტორიული დავები საბერძნეთ-თან ეგეოსის ზღვაში ძეგებარე კუნძულების და შელფის გამო შემდეგ კი კარს მიუხურავს დასუსტებულ და დანაწევრებულ ქვეყანას.

### დასკვნა.

ამგვარი დასკვნა არც თუ ისე მართებული ჩანს სხვადასხვა მიზეზების გამო. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი არის აშშ-ს მისწრაფება რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოს თავისი გამორჩეულად წამყვანი პოზიციები, დღეს არაბიპოლარულ სამყაროში რომ უკავია. მისწრაფება - რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოს თავისი ლიდერობა ფაქტიურად ერთპოლუსიან სამყაროში და არ დაუშვას სხვა ზესახელმწიფოს წარმოქმნა (გინდ ჩინეთის, გინდ რუსეთის, გინდ ვინმე სხვის სახით) აიძულებს მას ეძებოს სანდო მოკავშირეები. ერთ-ერთ ამგვარად აშშ-ს თურქეთიც მიაჩნია, ამიტომ ყველანაირად შეეცდება გააძლიეროს ამ უკანასკნელის პოზიციები ევროკავშირში მიღებითაც. მითუმეტეს, რომ ბევრი მისი ერთგული მოკავშირე ევროკავშირში - ასეთი ვითარება გახდება საწინდარი მისი გავლენის გაზრდისა მთლიანად თვით ამ აღიანსზე. თუ ამას დავუმატებთ ახალ მომენტებსაც - სულ ცოტა ხნის წინ დაწყებულ თურქეთის კონფლიქტს რუსეთთან და მეტად მძიმე პრობლემას, გამოწვეულს თურქეთის გავლით ევროპაში უკვე ჩასული და გზად მიმავალი

ლტოლვილების მიზეზით, რამაც კინაღამ ეჭვის ქვეშ დააყენა თვით ევროკავშირის ერთიასნობა, გასაგები იქნება, რომ დასავლეთი და, პირველ რიგში აშშ, ასე იოლად ვერ დაუშვებენ უარისთვე მას თურქეთისთვის ევროკავშირში მიღებაზე, თუმცა იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ მოცემული საკითხის ამნაირი გაურკვეველი მდგომარეობა საკმაოდ მომგებიანი ჩანს ევროკავშირისთვის, რადგან საშუალებას იძლევა თურქეთმა უფრო მეტად დააფასოს დემოკრატიული ღირებულებებიმ, ქვეყანაში შენარჩუნდეს და გაძლიერდეს არაექსტრემისტული ძალების გავლენა. ეს კი უფრო უსაფრთხოს გახდის ევროპის სამხრეთ საზღვრებს.

#### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

- ანთელავა, გ. (2004). თანამედროვე ევროპა და თურქული მიგრაცია (1960-1990-იანი წლები). თბილისი;
- ბატიაშვილი, ზ. (1999). ცნობარი თურქეთზე. საქართველოს სტრატეგიული კვლევების ცენტრი. ბიულეტენი, №23, თბილისი;
- გაჩეჩილაძე, რ. (2003). ახლო აღმოსავლეთი (სივრცე, ხალხი, პოლიტიკა). თბილისი;
- კომახია, მ. (2000). თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობები. თბილისი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი, №41;
- მაკარაძე, ე. (2000). თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები XXსაუკუნის 90-იანი წლები. ბათუმი;
- მენთეშაშვილი, ზ. (2004). საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია XXI საუკუნეში. საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, ტ. I. თბილისი, თსუ გამომცემლობა;
- ხოზრევანიძე, ლ. (2019). თურქეთის საგარეო პოლიტიკის თანამდედროვე ასპექტები. ბათუმი;

## **REFERENCES:**

- Antelava, G. (2004). *Tanamedrove Evrop'a da Turkuli Migratsia (1960-1990-iani Ts'lebi)* [Modern Europe and Turkish Migration (1960-1990)]. Tbilisi;
- Bat'iashvili, Z. (1999). *Tsnobari Turketze* [Reference on Turkey]. Sakartvelos St'rat'egiuli K'vlevebis Tsentr'i. Biulet'eni, №23, Tbilisi;
- Gachechiladze, R. (2003). *Akhlo Aghmosavleti (Sivrtse, Khalkhi, P'olit'ik'a)* [Middle East (space, people, politics)] Tbilisi;
- K'omakhia, M. (2000). *Turket-Evrok'avshiris Urtiertobebi* [Turkey-EU Relations]. Tbilisi, Sakartvelos St'rat'egiuli K'vlevebisa da Ganvitarebis Tsentr'i. Biulet'eni, №41;
- Makaradze, E. (2000). *Tanamedrove Turketis Akt'ualuri Sak'itkhebi XX Sauk'unis 90-iani Ts'lebi.* [Current issues in modern Turkey 90s of the XX century]. Batumi;
- Menteshashvili, Z. (2004). *Sagareo P'olit'ik'a, Saertashoriso Urtiertobebi da Dip'lomat'ia XXI Sauk'uneshi* [Foreign Policy, International Relations and Diplomacy in the XXI Century]. Sagareo P'olitika da Dip'lomat'ia, T'I. Tbilisi, TSU Gamomtsemloba;
- Khozrevanidze, L.(2019). *Turketis Sagareo P'olit'ik'is Tanamedrove Asp'ekt'ebi* [Modern Aspects of Turkish Foreign Policy]. Batumi.

# **The problem of Turkey and its unification in the European Union**

**Lasha Khozrevanidze**

Doctor of International Relations,  
Batumi Shota Rustaveli State University,  
st. Batumi, Rustaveli / Ninoshvili 32/35,  
Georgia, +995595231187,  
<https://orcid.org/0000-0001-8841-4344>  
khozrevanidze\_lasha@yahoo.com

## **Abstract.**

In the twenties of the twentieth century, special political processes for the future of the country began in Turkey. In particular, Kemal Ataturk took over the presidency and created the Republic of Turkey, which laid the foundation for the transfer of the Turkish people to the European vector. All of the above opened a new window on Turkey-EU relations. It should be noted that the history of relations between Turkey and the EU dates back to 1987, when official Ankara applied for EU membership. For the successful coronation of the above process in 1990-2000. The Republic of Turkey has implemented a number of important reforms within the country that have met the declared criteria for an EU member state. The above-mentioned reforms were not delayed and Turkey received the first signal from the EU, which was reflected in the Republic of Turkey's accession to the European Customs Union in 1995.

The "Justice and Prosperity Party" came to power in Turkey with a majority in 2002, with the aim of joining the European Union as the main political ideology of the party. The ruling party continued its ongoing political reforms within the country, which included improving its legislative framework, as well as a comprehensive

package of constitutional amendments that were to become the basis for meeting the criteria for Turkey's EU membership.

The article discusses a number of problems and lists the historical preconditions that prevent the Republic of Turkey from joining the European Union. It will be internal political crises or legislative gaps in the country.

**Keywords:** Turkey; EU; Kemal Ataturk; Erdogan; Justice and Prosperity Party.

**ისტორია, პოლიტიკა, წყაროთმცოდნეობა**  
**HISTORY, POLITICS, PRIMARY SOURCE STUDIES**

---

---

ჩინეთის საგარეო პოლიტიკა სსრკ-ს დაშლამდე (1980-1991)

**მარინე ჯიბლაძე**

ჩინური ფოლოლოგის დოქტორი, პროფესორი  
თავისუფალი უნივერსიტეტი, ისტორიის  
მიმართულების დოქტორანტი, ივნე ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისი,  
ილია ჭავჭავაძის გამზირი №1, 0179, საქართველო,  
+995599414716, marine.jibladze@tsu.ge,  
<https://orcid.org/0000-0002-9001-0426>

**აბსტრაქტი.**

ნაშრომში განხილულია საბჭოთა კავშირის ნგრევის პერიოდ-ამდე ჩინეთის საგარეო პოლიტიკა. კვლევის მიზანია, გავაკეთოთ სსრკ-ს დაშლამდე პერიოდში ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზი, კერძოდ კი, განხილულია ჩინეთის ურთიერთობები აშშ-სთან და სსრკ-სთან და ამ ურთიერთობების სამკუთხედი განსხვავებულ დროსა და ვითარებაში. მეთოდების ერთობლიობა, რომელშიც შედის ისტორიულ-აღწერითი მეთოდი, რეტროსპექტიული მეთოდი, ისტორიული პროცესების სისტემური ანალიზი. ჩინეთი მიუხედავად გზაზე შექმნილი დაბრკოლებებისა და გარკვეული სირთულეებისა, თანმიმდევრული, წინდახედული და, საჭიროების შემთხვევაში, სწრაფი მოქმედებებით, მალევე იქცა ერთ-ერთ მძლავრ და გავლენიან მოთამაშედ საერთაშორისო არენაზე. სტაბილურობამ და სწორმა საგარეო

პოლიტიკამ, ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებამ და მაქსიმალურმა კონცენტრირებამ განვითარებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, ჩინეთს მოუტანა სტაბილური ეკონომიკური წინსვლა.

სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ვავლენთ საგარეო პოლიტიკაში ჩინეთის მკვეთრი რეაგირებისა და ცვლილებების მოხდენის უნარს; საგარეო პოლიტიკაში დიპლომატიური სვლების თავისებურებების დეტალებს; საკუთარი ინტერესის პრინციპული, მაგრამ მოქნილი დაცვის მექანიზმს; ფრთხილ, წინდახედულ და, ამავდროულად, ქმედით პოლიტიკას საერთაშორისო არენაზე; დიპლომატიური ნაბიჯების თანმიმდევრობის სპეციფიკას; პრიორიტეტებს გეოპოლიტიკურ გარემოში სსრკ-ს დაშლამდე.

რაც შეეხება ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას, შესაძლებელია დიპლომატიურ საქმიანობაში სამომავლო შესაძლებლობების გონივრული გაზრება და გამოყენება. ნაშრომი ღირებულია როგორც თეორეტიკოსი მკვლევრებისთვის, ისე პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** ჩინეთი; აშშ; საბჭოთა კავშირი; საგარეო პოლიტიკა; დიპლომატია; გეოპოლიტიკა.

### შესავალი.

წინამდებარე საკვლევი თემის არჩევა განაპირობა ჩინეთთან ჩემმა პროფესიულმა კავშირმა და თემის აქტუალობამ, იქიდან გამომდინარე, რომ ჩინეთი დღესდღეობით არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშე მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე და ამავე დროს, წარმოადგენს საქართველოს მნიშვნელოვან პარტნიორს.

ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ისტორიის შესწავლისას, ვეცნობით ამ მიმართულებით მათი მოქმედების სპეციფიკასა და მახასიათებლებს.

რაც შეეხება კვლევის არეალის შემოსაზღვრას, ნაშრომში დროის ფარგლებია - სსრკ-ს დაშლამდე პერიოდი - 1980-1991 წლამდე; გეოგრაფიული არეალია - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, აშშ, სსრკ; სფერო - დიპლომატია და საგარეო პოლიტიკა.

კვლევის მიზანი და შეკითხვები. წინამდებარე კვლევის მიზანია, გავაკეთოთ სსრკ-ს დაშლამდე პერიოდში ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზი. მიზნის მისაღწევად, საჭიროა ვუპასუხოთ შემდეგ საკლვევ შეკითხვებს:

რა ხდებოდა ჩინეთის საგარეო პოლიტიკაში სსრკ-ს დაშლა-მდე და რა ადგილი ეკავა ჩინეთს საერთაშორისო არენაზე? ჩსრ აშშ-თან ურთიერთობების პრიორიტეტები რაში მდგომარეობდა? რამ განაპირობა ჩინეთის ისევ სსრკ-თი დაინტერესება? როგორ შეიცვალა ვითარება და როგორია ჩინეთის ქმედებები ცივი ომის დასრულების პირობებში. პირველადი და მეორეული წყაროების მეშვეობით, გავიგებთ, თუ რა ადგილი ეკავა ჩინეთს იმდრო-ინდელ გეოპოლიტიკურ ველზე.

კვლევის ობიექტი: ჩინეთი

კვლევის საგანი: საგარეო პოლიტიკა და დიპლომატიური სვლები სსრკ-ს დაშლამდე.

ლიტერატურის მიმოხილვა. ჩვენ მოვიძიეთ წინამდებარე საკვლევ თემასთან დაკავშირებული ლიტერატურა, რის საფუძვე-ლზე შევაგროვეთ საკვლევი საკითხის შესახებ ცოდნა, გვვიცანით და შევადარეთ ერთმანეთს განსხვავებული პოზიციები თუ შეხედულებები, გამოვავლინეთ საკვლევ საკითხთან დაკავშირებით არსებული პრობლემები და აქამდე გამოუკვლეველი ასპექტები. კონკრეტულად კი, შევაგროვეთ, შევაფასეთ და ანალიზი გავუკეთეთ პუბლიკაციებს, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენ საკვლევ საკითხთან.

ჩვენ გავეცანით სხვადასხვა უცხოელი ავტორების პუბლიკაციებს. პუბლიკაციების გაცნობის პროცესში იგრძნობა, რომ მკვლევარები ხშირად ტენდენციურები არიან, თავიანთი ქვეყნების ინტერესებისა და პოლიტიკური ხედვის გათვალისწინებით ახდენდნენ მიმდინარე მოვლენების შეფასებასა და პოსტსაბჭოთა პერიოდის ინტერპრეტაციას.

ჩატარებულმა სამუშაომ მოგვდა საშუალება უკეთ დაგვენახა პრობლემა; მოგვეხდინა საკვლევი საკითხის გააზრება და სწორად ფორმულირება, საკვლევი შეკითვების შედგენა.

საკითხის აქტუალობა. წინამდებარე ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავე-

ბისა და ქვეყნის შესახებ ცნობადობის ამაღლების საჭიროებით ყველა სფეროში. ნაშრომში მოცემულ მოვლენებსა თუ პროცესებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დიპლომატიის ისტორიაში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის დღიდან, მისკვენ მიპყრობილია მთელი მსოფლიოს ყურადღება სხვადასხვა ფაქტორების გამო. ეს არის ქვეყანა, რომელმაც დიპლომატიური ურთიერთობები ქვეყნებთან თანმიმდევრულად და წარმატებულად ააგო. შესაბამისად, მოცემული საკითხის აქტუალობას წარმოადგენს ტრადიციებზე აგებული ჩინეთის სტრატეგიებისა და ფრთხილი, თანმიმდევრული, მაგრამ ამავე დროს გაბედული სვლების განხილვას, მიდგომების გამოვლენასა და გაანალიზებას.

### მეთოდები.

გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა პასუხობს წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზნებსა და შეკითხვებს, ობიექტსა და საგანს.

ისტორიულ-აღწერითი მეთოდი, რომლის მეშვეობითაც დავადგინეთ და მოვაწესრიგეთ ისტორიული ფაქტები და მოვლენები, აღვწერეთ და მივიღეთ თეორული შედეგები, რაც დაგვეხმარა ისტორიული მოვლენების ანალიზში.

რეტროსპექტიული მეთოდი, რაც ითვალისწინებს წარსულში ისტორიული მოვლენების მიზეზის მოძიებას, მიდგომის არსია - შედეგიდან მიზეზამდე.

ისტორიული პროცესების სისტემური ანუ შესასწავლი მოვლენებისა და პროცესების ძირითადი ელემენტების დაფიქსირება და მათი ურთიერთქმედების კვლევა. პროცესების სისტემური კვლევის მეთოდები კლასიფიცირებულია სხვადასხვა მიზნებით, რომელიც ასახავს პროცესების მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, სხვადასხვა ობიექტის განვითარების ძირითად ეტაპებს, პროცესების განვითარების დინამიკას და ა.შ. რომელიც ლოგიკურად ასახავს ძირითად ასპექტებს, პროცესების მახასიათებლებს და გამოხატულია სქემების, გრაფიკების, ცხრილების და მათი განმარტების თეორიული კონცეფციები.

ჩავატარეთ მოვლენებისა და პროცესების ანალიზი შესაბამისი მეთოდების ერთობლიობის გამოყენებით და შევადგინეთ მათზე ზუსტი წარმოდგენა.

### დისკუსია.


ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნიდან მოყოლებული ჩინეთის საგარეო პოლიტიკისთვის დამახასიათებელია ცვლილებები სხვადასხვა გეოპოლიტიკური სტრატეგიების შემუშავებით, სიტუაციის ანალიზისა და პრობლემების ფორმულირების, ქვეყნის პრიორიტეტების განსაზღვრისა და მკაფიო მიზნების დასახვის საფუძველზე.

1949 წლიდან პირველი სვლები იყო: საერთაშორისო აღიარების მოპოვების მცდელობა მხოლოდ შესაძლებელი, ხელმისაწვდომი და, იმავდროულად, ხელსაყრელი გზებით - იმ ეტაპისთვის კი, ეს იყო საბჭოთა კავშირთან, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება და აქტიური ურთიერთობა ყველა მიმართულებით, იმ დროისთვის მათი საერთო მიზანი იყო - კაპიტალისტურ სამყაროსთან ბრძოლა. ჩინეთი ამ გზით იწყებს ტერიტორიული საკითხების მოგვარებას და შეინიშნება საერთაშორისო არენაზე შეღწევის მცდელობა. შემდგომი ეტაპი იყო საბჭოთა კავშირითა და სოციალისტური ბანაკით შემოფარგვლაზე უარის თქმა და ურთიერთობების გაფართოება აზისა და აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან, საბჭოთა კავშირის რევიზიონიზმსა და იმპერიალიზმთან ბრძოლის ეტაპზე გადასვლა. 1970-იან წლებში საბჭოთა კავშირთან დამაბული ურთიერთობების ფონზე, ჩინეთი დაუახლოვდა აშშ-ს, რაც მას კიდევ უფრო უფართოებს დიპლომატიური ურთიერთობების არეალს, მალევე მას უკვე 120 ქვეყნასთან აქვს დიპლომატიური ურთიერთობები დამყარებული.

გამოდის, რომ სსრკ-სთან დაპირისპირებამ ჩინეთს მოულოდნელად კურსი შეაცვლევინა, და გადაერთო აშშ-ზე. ამავდროულად, ჩინეთმა გათვალა, რომ ამ გზით ის იზოლაციიდან გამოვიდოდა და ამას სხვა ქვეყნების მხრიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის აღიარება მოყენდა. ამ ნაბიჯმა კი აშშ-თან დაახლოვა ჩინეთი და აქცია მის პარტნიორად, მართალია, ზოგჯერ

არც თუ ისე თანაბარ პირობებზე. კურსის შეცვლამ მეტი სარგებელი შესძინა მას: ჩინეთი გამოდის იზოლაციიდან, ჩინეთმა სხვა ქვეყნების მხრიდან აღიარება მოიპოვა და მიიღო ეკონომიკური სარგებელი.

### სურათი N 1 ჩსრ-ს საგარეო პოლიტიკის სქემა (1980 წლამდე)



მიუხედავად ქვეყნის სიდიდისა, სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალისა, ჩინეთს აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარებაში ხელს უშლიდა შიდა პოლიტიკური პრობლემები.

ჩინელი მკვლევრების მიერ ჩსრ საგარეო პოლიტიკის შეფასებით, 1971 წლამდე ჩინეთი საერთაშორისო ურთიერთობების არა მონაწილე, არამედ უფრო დამკვირველებელი იყო და ჯერ კიდევ საერთაშორისო სისტემის გარეთ იმყოფებოდა (Qin Yaqing, 2009).

1979 წელს ტენგ სიაოფინგმა დაიწყო საგარეო პოლიტიკის დეიდეოლოგიზირება და ეკონომიკური რეფორმების გატარება, რამაც მისი მემკვიდრეებისა და იდეის გამგრძელებლების ძალისხმევით, ჩინეთი აქცია რიგით მეორე მსოფლიო ეკონომიკის მქონე ქვეყნად და უდიდესი გავლენა მოახდინა როგორც ჩინე-

თზე, ისე მთელ მსოფლიოზე (H. Kissinger, 2020). იგი მალევე შეუერთდა საერთაშორისო ორგანიზაციებს და თავად იქცა მსოფლიო წესრიგის გამზიარებლად; იყო მრავალი საერთაშორისო მაღალი დონის დონისმიერის ორგანიზატორი თუ ინიციატორი მომავალში მსოფლიო არენაზე მამოძრავებელ ძალად ქცევის იმედით.

მთავარი განსხვავება ჩსრ-ს სხვადასხვა საგარეო პოლიტიკას შორის თეორიული კონცეფციებია. 1980 წლამდე ჩინეთის მთავარი კონცეფცია იყო „პოლიტიკა განსაზღვრავს ცხოვრების ყველა სფეროს“, რომელიც 1980 წლიდან ტენგ სიაოფინგმა ჩაანაცვლა კონცეფციით „ეკონომიკა განსაზღვრავს ცხოვრების ყველა სფეროს“ (Yu Han, 2016).

მარქსიზმ-ლენინიზმის ორთოდოქსურ მოძღვრებას მან მცირე დოზით თავისუფალი ბაზრისა და კერძო საკუთრების გაება შემატა, შედეგად კი, ჩინეთმა ყველაზე შთამბეჭდავი ტრანსფორმაცია განიცადა (William Keylor, 2011).

ჩინეთი აყალიბებს თავის დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას, რის შესახებაც ტენგ სიაოფინგი 1982 წელს XII ჩინეთის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე აცხადებს. იქ ყდერდება პოზიცია, რომ მშვიდობიანი პოლიტიკა ნიშნავს მშვიდობიანი გარემოს შექმნას ჩსრ-ის ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად. ტენგის საგარეო პოლიტიკა აგებული იყო ობიექტურ რეალობაზე და ითვლისწინებდა გეოპოლიტიკური და საგარეო-პოლიტიკური ინტერესების გაფართოებას, აღარ შემოიფარგლებოდა რეგიონალური ინტერესებით („ჟენმინ ჟიპაო“, 1982.09.02 <http://cpc.people.com.cn/GB/64162/64168/64565/65448/4429495.html>.

ჩინეთმა უპირობოდ აირჩია ეროვნული ეკონომიკის განვითარების დასავლურ-ლიბერალური მოდელი, რომელიც მას საერთაშორისო სავაჭრო და საფინანსო სისტემაში უფრო სრულ ინტეგრაციას კარნახობდა (William Keylor, 2011).

კულტურული რევოლუციის საგანმანათლებლო სისტემაზე ნეგატიური გავლენის გამო, ტენგ სიაოფინგის ეკონომიკური მოდერნიზაციის პროექტში მონაწილეობისთვის ჩინეთში შესაბამისი დარგის საკმარისი სპეციალისტი არ გააჩნდა. ერთადერთი გამოსავალი იყო ჩინელი ახალგაზრდების დასავლეთში


გაგზავნა უნარ-ჩვევების ასათვისებლად. 1988 წლამდე 50 000-მდე სტუდენტი გაემგზავრა დასავლურ უნივერსიტეტში და მათ შორის, უმრავლესობა - აშშ-ში. თუმცა დასავლეთიდან დაბრუნებული სტუდენტები გარკვეულ პრობლემასაც წარმოადგინდა ჩინეთისთვის, რადგან ჩინეთის განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენასთან ერთად, ისინი დასავლურ კულტურულ ფასეულობებსა და პოლიტიკურ იდეებსაც გაეცნენ. „დასავლური“ ჩვევებისა და ხედვების მქონე ახალგაზრდების გამოჩენას აღიქვამდნენ ჯერ კიდევ ფართოდ გავრცელებული მაოზმის პურიტანული ეთიკის დარღვევად და ხელისუფლებისთვის საფრთხეს (William Keylor, 2011).

მაშინ, როდესაც 1980-იანი წლების ბოლოს, ჩინეთი ცდილობდა გააქტიურებულიყო საერთაშორისო არენაზე, ამას ხელი გარკვეული პერიოდით შეუშალა სტუდენტური დემონსტრაციის ჩახშობამ 1989 წელს, იგივე „თიერანამენის ინციდენტმა“.

თიერანამენის ინციდენტმა ჩინეთს გაუფუჭა ურთიერთობები დასავლეთთან და იგი აღმოჩნდა დასავლეთის, განსაკუთრებით კი აშშ-ს ზეწოლისა და სანქციების ქვეშ. დასავლეთმა ემბარგო დაადო ჩინეთის შეიარაღებას, სამხედრო ტექნოლოგიებსა და ა.შ. სწორედ მაშინ, გარკვეული პერიოდით შეფერხდა ჩინეთის საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრირების პროცესი.

დასავლეთთან დაძაბული ურთიერთობისდა მიუხედავად, ტენგს ღია კარის პოლიტიკის რეფორმების გზა მაინც არ შეუცვლია. როცა ჩინეთი რთული საშინაო და საგარეო ვითარების წინაშე დადგა, ტენგმა გადადგომამდე, ჩინეთის საგარეო პოლიტიკის კურსად გამოაცხადა ე.წ. „ოც იეროგლიფიანი კურსი“ (Geng Xiangdong, 2014) :

### სურათი N 2 „ოც იეროგლიფიანი კურსი“-ს სქემა



კისინჯერს თავის წიგნში „ჩინეთის შესახებ“ ნახსენებია აქვს „24 იეროგლიფიანი კურსი“, ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ციენ ციჩენის წიგნში „ათი დიპლომატიური ამბავი“ მოყვანილია 28 იეროგლიფიანი კურსი: 冷静观察、稳住阵脚、沉着应付、韬光养晦、善于藏拙、决不当头、有所作为, რაც გულისხმობს, რომ დაემატა „დავრჩეთ მორიდებულები და თავმდაბლები“ და „ნუ გვექნება პრეტენზია ლიდერობაზე“ (Qian Qichen, 2003).

თეორიულად, ეს ნიშნავდა სიფრთხილის გამოჩენას, რომ არ არის საჭირო შესაძლებლობების დემონსტრირება, ლიდერობაზე პრეტენზია არ უნდა გამოთქვა, რათა მსოფლიოს არ ჰქონდეს ჩინეთის შიში და არ დაიწყოს მისთვის ხელშეშლა. რომ ჩავშალოთ, პრაქტიკულად, ეს ნიშნავდა იმას, რომ ჩინეთი გააგრძელებდა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე ყველა ქვეყანასთან ურთიერთობების განვითარებას, უფრო კონკრეტულად კი, ეკონომიკურ ურთიერთსარგებლიანობაზე ურთიერთობების აგებას, არ აწარმოებდა იდეოლოგიურ დავას, თავს შეიკავებდა კონფრონტაციისგან, მაგრამ, იმავდროულად, არ მოითმენდა ჰეგემონიასა და ძალისმიერ პოლიტიკას. ამით პოლიტიკურ საკითხებზე შეინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს, რაც სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებდა. ძირითადად, ფოკუსირდებოდა საშინაო საქმეებსა და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაზე. თუმცა საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო ასპარეზზე უნდა გამოჩენილიყო კონკრეტული ქმედითი ნაბიჯებით და ეთქვა თავისი სიტყვა.

ამ დროისთვის ჩინეთის გენერალური მდივანი უკვე მიანგ წემინი იყო, თუმცა მხოლოდ 1990 წელს გადავიდა მასზე ყველა თანამდებობრივი მოვალეობა. აშშ-თან ურთიერთობა ჯერ კიდევ დაძაბული რჩებოდა. აშშ-ს თუ არ ჩავთვლით, 1990 წლისთვის ჩინეთის მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობასთან ურთიერთობები ნორმალიზდება. მიანგ წემინის დროს „მრავალპოლარული სამყაროს“ კონცეფცია შემუშავდა და ქვეყნებთან სტრატეგიული ურთიერთობები მყარდება, რაც ნიშნავს აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე გადასვლას.

ჩინეთი ძალიან ცდილობდა ახალ მსოფლიო წესრიგში ჩართულიყო და ქვეყნის მიმართ აღედგინა მსოფლიოს ნდობა, რაც მას

ეხმარებოდა ქვეყნის შიგნით სიტუაციის დასტაბილიზირებაში. გარდა ამისა, ძიანგი ბევრს მუშაობდა იმაზე, რომ მსოფლიოს დაეწახა აქტიური და მომხიბვლელი მთავრობა, რომელსაც არ სურდა ყოფილიყო იზოლირებული და გაეზიარებინა სსრკ-ს დასუსტების ბედი.

როგორც აღვნიშნეთ, სსრკ-ზე უკვე საუბრობდნენ როგორც დასუსტებულ ძალაზე და არა საფრთხეებზე მისი მხრიდან, ციენ ციჩენმა აღიარა, რომ გორბაჩოვმა ეკონომიკური დახმარება სთხოვა მას. რუმინეთში ჩაუშესკოს ჩამოგდება და კომუნისტური ხელისუფლების დამხობა და სხვა აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური ხელისუფლების დამხობა (1990 წელს აღმოსავლეთ გერმანიის, ჩეხეთისა და რუმინეთის კომუნისტური ხელისუფლებების დამხობა), აძლიერებდა აშშ-ს პოზიციებს. ექსპერტების ნაწილი აცხადებდა, რომ ჩსრ-ის დამხობის დღეც მალე დადგებოდა. ჩინეთი იზოლაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ტენგი აგზავნის პარტიის წევრებთან მკაცრ გაფრთხილებას: „ამჟამინდელ საერთაშორისო ვითარებაში მოწინააღმდეგის ყურადღება იქნება გადატანილი ჩინეთზე და არ უნდა გამოაყენებინონ ვინმეს ვითარება სათავისოდ, უკიდურესად საჭიროა სტაბილურობა. მომავალი რამდენიმე წელი განსაკუთრებით რთული იქნება. თუ გავუძლებთ, ჩვენი საქმეები უფრო სწრაფად განვითარდება. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ რეგრესს, შესაძლოა რამდენიმე ასეული წლით უკან გადავეშვათ (Yang, B., 1996).

ძიანგი ხშირად მონაწილეობდა საგარეო აქტივობებში, ხვდებოდა ჩინეთში ვიზიტით მყოფ უამრავ დელეგაციას. ძიანგს ამაში ხელს უწყობდა საგარეო საქმეთა მინისტრი ციენ ციჩენი, რომელიც ძალიან ბევრს მოგზაურობდა და მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში, გაბედულად ერთვებოდა ინტერვიუებში. სწორედ რომ ეს აქტიური და ოპტიმისტური დიპლომატიური ნაბიჯები ეხმარებოდა ძიანგს მსოფლიო საერთაშორისო ინსტიტუტებთან, მათ შორის დასავლეთთან მომხიბვლელი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთს დიდად არ მოსწონდა სკეპტიკურად და კრიტიკულად განწყობილი დასავლეთი.

**ჩინეთი და აშშ.** ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსები-დან 30 წლის შემდეგ ჩინეთ-ამერიკის დაახლოება განპირობე-ბული იყო საბჭოთა კავშირის სამხედრო ექსპანსიითა და ურთი-ერთსარგებლიანი ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტ-ივით.

ქვეყნებთან ეკონომიკის სფეროში ურთიერთობა ურთიერთსა-რგებლიანობის პრინციპის საფუძველზე აქტიურ ფაზაში შევიდა. ჩინეთისა და აშშ პოზიციები სხვადასხვა საკითხზე უფრო ხში-რად ემთხვეოდა ერთმანეთს 1980 წლიდან 1989 წლამდე (Wuthnow, J., 2013).


1981 წლიდან 1989 წლამდე გრძელდება საერთაშორისო პლო-ბლემებზე ჩსრ და აშშ-ს პოზიციების დაახლოება, რაც ფიქსი-რდება გაეროს უსაფრთხოების საბჭოზე ხმისმიცემის პროცესით. ჩინეთი გაეროს ტრიბუნებზე თავს არიდებს ზესახელმწიფოების თემაზე პოლემიკას. პრიორიტეტული ხდება ძლიერ სახელმწიფ-ოებთან, გაეროს სტრუქტურებთან და საერთაშორისო ინსტრუ-ტებთან, მათ შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება (Wuthnow, J., 2013).

უნდა აღინიშნოს, რომ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ, აშშ ისევ ამარაგებდა თაივანს შეიარაღებით, რაც დროდადრო ძაბავდა ურთიერთ-ობებს. ისმოდა განცხადებები თაივანის მხარდაჭერის შესახებ, რაც ცუდად აისახებოდა ურთიერთობებზე, ჩინეთი აღიკვამდა აშშ-ს მიერ ჩინეთის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, შიდა პოლიტიკაში ურთიერთჩაურევლობის პრინციპის დარღვევად. აშშ-მ პირობა დადო, რომ შეამცირებდა სამხედრო იარაღით მომარაგებას და ცოტა მოგვიწებით საბო-ლოოდ შეწყვეტდა, მაგრამ უწინდებურად აგრძელებდა თაივან-ისთვის იარაღის მიწოდებას, რაც, პერიოდულად, იწვევდა დაპი-რისპირებას ორ ქვეყანას შორის. თუმცა, აქაც ჩინეთი მოქმდებდა ჭოუ ენლაის<sup>5</sup> პრინციპით – „თანამშრომლობის ნიადაგის

<sup>5</sup>იგივე ჯოუ ენლაი, აქ გათვალისწინებულია „ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფციატრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები“ (ჯიბლაძე et al. 2019-2020).

მოსინჯვა”<sup>6</sup>. ტენგი ცდილობს ურთიერთობების ნორმალიზების ბოლომდე მიყვანას, რადგან მას სჭირდება აშშ-ს მხარდაჭერა სხვადასხვა მიზნებისა და სვლების განსახორციელებლად, რის გამოც, ჩინეთის მხრიდან ხდება აშშ-ს ამ ნაბიჯების იგნორირება და პროცესების გამწვავების თავიდან არიდება. აშშ-მ კონტინენტურ ჩინეთსაც შესთავაზა იარაღი, რათა მოკავშირე არ დაეკარგათ და ისევ სსრკ-ს არ დაახლოებოდა. მიუხედავად ამ საკითხში უთანხმოებისა, ისინი აგრძელებდენ თანამშრომლობას.

#### **სურათი N 3 ჩსრ-აშშ ურთიერთობების (1980-1989) სქემა**



1980 წლიდან მოყოლებული, ჩინეთ-აშშ ურთიერთობებში, მიუხედავად პერიოდული დაპირისპირებებისა, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნოლოგიურ, სამხედრო საქმეში, კულტურში და სხვა სფეროებში აგრძელებენ ურთიერთობების განვითარებას. აქტიური კომუნიკაცია ჩანს მაღალი დონის ურთიერთვიზიტებიდან. დიაგრამა ასახავს ურთიერთვიზიტების (მათ შორის, ოფიციალური შეხვედრა ყველაზე ხშირია) სიხშირეს 1983 წლიდან 1989 წლამდე:

#### **სურათი N 4 ჩსრ და აშშ ურთიერთვიზიტების დიაგრამა**

<sup>6</sup> სიტყვასიტყვით: „ემებო საერთო, მიუხედავად არსებული განსხვავებისა თუ პრობლემისა „, როგორც ურთიერთობებში სხვადასხვა სახის უთანხმოების მოვარების ძირითადი გზამკვლევი და მეთოდი, რომელმაც არაერთი დიპლომატიური წარმატება მოუტანა ჩინეთს.



აშშ-ჩინეთის ურთიერთობები 1980-1989 წლებში სტაბილურად ვითარდება, ხოლო 1989 წლის თიენანმენის ინციდენტის შემდეგ, ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის დაიძაბა. მართალია, ეძებენ თანამშრომლობის გაგრძელების გზებს, თუმცა ორივე მხარეს პოზიციების დათმობა უჭირს.

მართალია, ჩინეთი „აცხადებდა, რომ მათი კარი ყოველთვის ღია არის“ და „ამ ორ ქვეყანას უამრავი საერთო ინტერესი აქვს“ (H. Kissinger, 2014), თუმცა ძიანგმა ასევე განაცხადა, რომ ჩინეთი წყვეტდა აშშ-თან ცალმხრივ დათმობებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად და მოითხოვა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა აშშ-სგან. მისი თქმით, აშშ-სთან მხოლოდ თაივანის საკითხზე იყო პრობლემა, რადგან „არც საერთო საზღვარი აქვს ამ ორ ქვეყანას და ინტერესების ფუნდამენტური კონფლიქტი არ არსებობდა, ამიტომ ურთიერთობების ნორმალიზებას ხელს არაფერი უშლიდა“, თუმცა ეს უნდა მომხდარიყო „თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე“. ძიანგი თვლიდა, რომ ჩინეთის შიდა პრობლემებზე აშშ-ს რეაქცია იყო არაადეკვატური. მან დაახასიათა ეს ქმედება როგორც მშვიდობიანი თანაარსებობის ერთ-ერთი პრინციპის - „შიდა საქმეებში ურთიერთჩაურევლობის პრინციპის“ დარღვევა.

ჩინეთმა აშშ დაადანაშაულა ამ ინციდენტის ხელშეწყობაში და გარკვეული პირობები წაუყენა აშშ-ს, თუმცა ძალიან მალე, აშშ-ში ჩინეთის თემა დროებით აღარ იყო აქტუალური, რადგან აღმოსავლეთ ევროპაში რევოლუციები დაიწყო, ბერლინის კედელი დაინგრა, რამაც განაპირობა „ცივი ომის“ პერიოდის საგარეო პოლიტიკის ცვლილება. თანაც მალე იგეგმებოდა ბუშის შეხვედრა გორბაჩოვთან. აშშ-ს დასაგეგმი ჰქონდა მოქმედების ტაქტიკა და სტრატეგია. აშშ მოგვიანებით გაგზავნა საგანგებო წარმომადგენლობა ჩინეთში, თუმცა აშშ-ს კონგრესში და პრესაში დისკ-

უსიებისგან თავის არიდების მიზნით, მეორეხარისხოვნად და ნაკლებად პრიორიტეტულად გამოაჩინეს აღნიშნული ვიზიტი.

ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხი, ამერიკელი დამცველების წინააღმდეგობისდა მიუხედავად, გარკვეული პერიოდით, ეკონომიკურმა ინტერესმა გადაწონა, მით უმეტეს, რომ ჩინეთი საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის ცდილობდა არ ყოფილიყო აშშ-ზე დამოკიდებული და შეძლებოდა თავისი პოზიციის გახედულად დაფიქსირება თუ დაცვა.

1990 წლის 11 სექტემბერს, აშშ-ს პრეზიდენტმა ბუშმა კონგრესზე პირველად გააკეთა განცხადება „ახალი მსოფლიო წესრიგის“ შექმნის შესახებ, რომელიც „მშვიდობას უზრუნველყოფდა“ და „აღმოსავლეთის ქვეყნები იქნება თუ დასავლეთი, ჩრდილოეთისა თუ სამხრეთისა, ყველა უნდა განვითარდეს და ჰარმონიაში იცხოვროს“. ჩინეთმა ჩათვალა, რომ ამ „ახალი მსოფლიო წესრიგის“ მთავარი არსი იყო აშშ-ს, როგორც წამყვანის როლის ხაზგასმა, რამაც გამოავლინა „აშშ-ს სპეციფიკა“, მართალია „აშშ ნამდვილად არის გამორჩეული ეკონომიკური და სამხედრო ძალა“, მაგრამ „მსოფლიოს მაგალითზე დაანახა აშშ-ს დიპლომატიის პარადოქსი, იდეალისა და რეალობის პარადოქსი“ (Yuan Ming, 2012:380).


მიუხედავად ჩინეთის გახსნილობისა, საერთაშორისო ღონისძიებებში აქტიური ჩართულობისა, აშშ-ს მიერ გამოცხადებული „მსოფლიო წესრიგი“ მისთვის რთული მისაღები აღმოჩნდა. რომ გავიხსენოთ ჩინეთის ისტორიული წარსული, ჩინეთს საკმაოდ ცუდი გამოცდილება აქვს მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ევროპული მსოფლიო წესრიგთან, რომელიც იყო შექმნილი ძალის ბალანსის დასაცავად, ძირითადად, ევროპულ სახელმწიფოებს შორის, ქმნიდნენ კოლონიებს და ამ ქმედებებს ამართლებდნენ ე.წ. „დიდი მისიით“. მართალია, დიდი მასშტაბების გამო მაშინ ვერ მოახერხეს მთელი ჩინეთის დაპყრობა, მაგრამ დააკარგვინეს მას საშინაო პოლიტიკის საკვანძო საკითხებზე კონტროლი, რამაც ჩინელი ხალხის ცნობიერებაში ღრმა კვალი დატოვა (H. Kissinger, 2020).

აშშ მიიჩნევდა, რომ აზიაში ძალების დაბალანსების საჭიროების გარდა, არსებობს საომარი მოქმედებების რისკი, რადგან

ჩინეთი დროდადრო საჯაროდ აცხადებს იმის შესახებ, რომ ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით მზად არის გამოიყენოს სამხედრო ძალა (H. Kissinger, 2020). თუმცა, ამ დროისთვის ჩინეთის მთავარი მიზანია განვითარდეს ინტელექტუალურად, ეკონომიკურად და მხოლოდ თავდაცვის მიზნით გამოიყენოს „ძალა“. ის მომართულია ჩინეთის სტაბილურობასა და განვითარებაზე და მთელი კაცობრიობის მშვიდობასა და განვითარებაზე (Li Zhiping, 2014).

ამ პერიოდში აშშ და ჩინეთი წარმოადგენდნენ „ზესახელმწიფოსა და ძლიერი სახელმწიფოს“ ურთიერთობას.

### სურათი N 5 ჩსრ-აშშ ურთიერთობების (1989-1991) სქემა



**ჩინეთი და საბჭოთა კავშირი.** სსრკ-სთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ეს პერიოდი იყო ძალიან დაძაბული და გეოპოლიტიკურად არცთუ ისე სახარბიელო ჩინეთისთვის. 1979 წლიდან სსრკ-ს შეჰვას ჯარი ავღანეთში, რასაც ჩინეთი აღიქვამს სამხედრო მუქარად ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე; მონღოლეთში ჯარი ჩააყენა, ვიეტნამში კი აქტიურად იყენებდა სამხედრო-საზღვაო ბაზას. ჩინეთმა ეს შეაფასა როგორც სსრკ-ს მიერ ჩინეთის სტრატეგიული ალყაში მოქცევა. თუმცა უკვე 80-იანი წლების დასაწყისიდან შეიმჩნევა ჩინეთ-სსრკ-ს ურთიერთობების გაუმჯობესების მცდელობები, 1982 წლის მარტში ჩინურ მხარეს სსრკ-ს ლიდერების განცხადებებიდან ესმის მათი ჩინე-

თთან ურთიერთობების აღდგენის სურვილი. ჩინეთი აცხადებს, რომ ხედავს ჩინეთ-სსრკ ურთიერთობებში სამ ძირითად დაბრკოლებას, შესაბამისად, მოითხოვს:

- შეწყვიტოს ავღანეთში შეჭრა;
- შეწყვიტოს ვიეტნამის კამბოჯაში შეჭრის მხარდაჭერა;
- შეამციროს და გაიყვანოს ჯარი ჩინეთ-სსრკ-ს და ჩინეთ-მონღლოლეთის სასაზღვრო ზოლიდან.

1982 წლის ოქტომბრიდან 1988 წლის ივნისამდე, ჩინეთისა და სსრკ-ს საგანგებო წარმომადგენლები 12 საკონსულტაციო შეხვედრას მართავენ. ჩინეთი აღნიშნავს, რომ ამ სამი დაბრკოლებით რეალურად სსრკ-ს ჩინეთის სტრატეგიულ ალიაში მოქცევას ცდილობს, რაც პირდაპირ ემუქრება ჩინეთის სახელმწიფო უსაფრთხოებას, მაგრამ სსრკ-ს საბაბად მოჰყავს მესამე ქვეყნის ინტერესების გათვალისწინება და უარს აცხადებს ამ თემების მოგვარებაზე.

მხოლოდ მიხეიილ გორბაჩოვის თავმჯდომარედ დანიშვნის შემდეგ გააქტიურდა ჩინეთ-სსრკ-ს შორის ურთიერთობების დალაგებაზე მუშაობა. 1987 წლის იანვარში სსრკ-მ განაცხადა, რომ მონღლოლეთიდან ჯარის ნაწილის გაყვანას დაიწყებდა. 1988 წლის თებერვალში განაცხადა, რომ მაისიდან დაიწყებდა ავღანეთიდან ჯარის გაყვანას და 10 თვეში გაყვანის პროცესს დაასრულებდა. კამბოჯის საკითხის თაობაზე, დამატებით საკონსულტაციო შეხვედრაზე გადაწყდა, რომ 1989 წლის ივნისის ბოლოს დაიწყებოდა და იმავე წლის დეკემბრის ბოლომდე ვიეტნამი კამბოჯიდან ჯარს გაიყვანდა ეტაპობრივად. ამავდროულად, სსრკ-ჩინეთის სასაზღვრო ზოლზე ჯარის შემცირებაზე და, ზოგადად, სასაზღვრო ზოლზე მოლაპარაკებები ორივე მხარეს გარკვეული წინსვლა ჰქონდა, თუმცა შეფერხებებით, რაზეც ედუარდ შევარდნაძე თავის მემუარებშიც აღწერს. ამიტომ, ამ პერიოდისთვის ეს „სამი დაბრკოლება“ მირითადად მოიხსნა, რამაც განაპირობა ჩინეთ-სსრკ ურთიერთობების დარეგულირება (Geng Xiangdong, 2014).

იმდროინდელი ჩსრ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის ციენ ციჩენის ჩანაწერის მიხედვით, 1988 წლის 1 დეკემბერს ციენ ციჩენი

სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის მიწვევით სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა მოსკოვში. ეს იყო 1957 წლის შემდეგ 30-იანი პაუზის შემდეგ მინისტრის პირველი ვიზიტი საბჭოთა კავშირში, რომლის მიზანი იყო ორ ქვეყანას შორის მაღალი დონის შეხვედრის მომზადება. მიუხედავად შევარდნაძესთან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციაზე რამდენიმე შეხვედრისა, ეს იყო პირველი ვიზიტი, რომელიც შეფასდა როგორც ყინულის ლღვობა ურთიერთობებში, ანუ ურთიერთობების დალაგების დასაწყისი, რაც არ იყო მარტივი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების თავისებურებიდან და რთული გარემოებებიდან გამომდინარე და უამრავ უხერხულობას ქმნიდა. ოფიციალურ შეხვედრებზე გაიმართა მოლაპარაკებები ვიეტნამი-კამბოჯის პრობლემებზე და მონღოლეთ-ჩინეთის, სსრკ-ჩსრ-ს სასაზღვო ზოლზე ჯარის შემცირების და, ზოგადად, სასაზღვრო საკითხებთან დაკავშირებით, რომლის გადაჭრაზე შეთანხმება უნდა ყოფილიყო უმაღლესი დონის შეხვედრის წინაპირობა.

ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების ედუარდ შევარდნაძისა და ციენ ციჩენის დიდი ძალისხმევის შედეგად, 1989 წლის 6 თებერვალს ორივე მხარემ გაავრცელა განცხადება და გორბაჩოვის ჩინეთში ოფიციალური ვიზიტი ჩაინიშნა (შევარდნაძე, 2018).

ტენგ სიაოფინგმა რამდენიმე წინადადებით დაარიგა დიპლომატიურ სამსახურს დახვედრის ცერემონიასთან დაკავშირებით: „საკმარისია ხელის ჩამორთმევა, არ ვეხვევით“, რაც განპირობებული იყო არა მხოლოდ გარკვეული პროტოკოლით, არამედ ჩინეთსა და სსრკ-ს შორის ურთიერთობების თავისებურებით, მთავარ თემად კი დაასახელა „დავასრულოთ წარსული, დავიწყოთ თავიდან“.

1989 წლის 16 მაისს გორბაჩოვის ოფიციალური ვიზიტი და ისტორიული შეხვედრა შედგა, რომელზეც ტენგ სიაოფინგმა შეაჯამა წარსული, ბოლო 100 წლის განმავლობაში ძლიერი სახელმწიფოების ჩინეთზე წნების შედეგად მიღებული ზარალი და მოსალოდნელ საშიშროებებზე ისაუბრა. ტენგმა ასევე შეაჯამა ორ ქვეყანას შორის რთული პერიოდები და ხაზი გაუსვა ფაქტს, რომ

სწორედ სსრკ-შ მიუჩინა ჩინეთს მცდარი, არასათანადო ადგილი, მიუხედავად დადებითი დასაწყისისა. ხაზი გაუსვა, რომ იხსენებს წარსულს, რათა პროგრესი იყოს სამომავლო ურთიერთობები და ამოსავალი წერტილი უნდა გახდეს მომავალი.

გორბაჩივმა, მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-ს გარკვეულ საკითხებში თავისი ხედვა და შეფასება გააჩნიაო, მაინც აღიარა, რომ სსრკ-შ გარკვეული შეცდომები დაუშვა და პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, დაეთანხმა იმას, რომ ამით უნდა დასრულებულიყო წარსულზე საუბარი.

ტენგ სიაოფინგის განცხადებით, წარსულში კავშირში გაერთიანების, ურთიერთდაპირისპირების და მესამე ქვეყნაზე მომართულობის წარუმატებლობის გამოცდილების გათვალისწინებით, ორ ქვეყანას შორის დამყარდეს კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთოებები, რომელიც მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპზე უნდა იყოს აგებული. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზება არ უნდა აისახოს უარყოფითად მესამე ქვეყნის ინტერესებზე. თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ტენდენცია არის ორგანულად ერთიანი. ორი ქვეყნის ურთიერთობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ ორი ქვეყნის ხალხის ფუნდამენტურ ინტერესებს და ემსახურებოდეს მსოფლიოს მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვას.

ჩინური მხარის შეფასებით, ამ უკანასკნელმა შეხვედრამ დაასრულა რამდენიმე ათწლეულის არაჯანსაღი მდგომარეობა და თავიდან სცადა ქვეყნებს შორის ურთიერთოებების ნორმალიზება. ეს შეხვედრა იყო წარსულში დაშვებული შეცდომების აღიარებისა და ჩინეთ-სსრკ-ს ურთიერთობების ნორმალიზების განხორციელება (Qian Qichen, 2003).

აღსანიშნავია, რომ სსრკ არ შეუერთდა დასავლეთის სანქციებს და აქტიურად აგრძელებდა ჩინეთისთვის სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების მიწოდებას. იმ დროისთვის ჩსრ-ს და სსრკ-ს სამხედრო და ეკონომიკის სფეროებში თანამშრომლობა აკავშირებდათ.

სსრკ-ს დაშლამდე ცოტა ხნით ადრე მოსკოვთან „თბილი“ ურთიერთობების აღდენა, შემდეგ კი გაძლიერება განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

- სსრკ-ს ექსპანსიონიზმის უნარის დაკარგვამ;
- დასუსტებულ სსრკ-სთან სადავო საკითხების მოგვარების სურვილმა;
- აშშ-სთან თაივანის პრობლემებმა;
- დასავლეთთან, განსაკუთრებით კი, აშშ-სთან ურთიერთობების დაზიანებამ, კერძოდ კი, დასავლური სამყაროს მიერ სანქციების დაწესებამ თიერანმენის ინციდენტის გამო.
- ფინანსურად დაუძლებულ სსრკ-ს მოძლიერებულ ჩინეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების სურვილმა (რამაც ნაწილობრივ განაპირობა ჩინეთის მიმართ სანქციების დაწესებაზე უარის თქმა).

გორბაჩოვის 1989 წელს ვიზიტზე საპასუხოდ, 1991 წლის მაისში უკვე ძიანგ წემინი ეწვია მოსკოვს ხუთდღიანი ვიზიტით, რომელიც 1957 წელს მაო წეტუნგის ვიზიტის შემდეგ იყო ჩინეთის ლიდერის პირველი ვიზიტი. ძიანგი აცხადებდა, რომ ვიზიტის მიზანი იყო „საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური ურთიერთობების გაგრძელება“. ოთხწლიანმა მოლაპარაკებებმა დადებითი შედეგი გამოიღო, ორივე მხარემ მოაგვარა სადავო საკითხები (Robert Lawrence Kuhn, 2005).

მართალია, ექსპერტებმა შეხვედრა ჩსრ-სსრკ-ს თანამშრომლობის „ახალი ეპოქის დასაწყისად“ შეაფასეს, თუმცა აშკარა იყო, რომ ორი ქვეყნის განვითარების გზები გაიყო და, რაც ყველაზე მთავარია, საბჭოთა კავშირი დაშლის პირას იდგა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძიანგი ბევრს მუშაობდა იმაზე, რომ მსოფლიოს დაენახა აქტიური და მომხიბვლელი მთავრობა, რომელსაც არ სურდა ყოფილიყო იზოლირებული და გაეზიარებინა სსრკ-ს დასუსტების ბედი. ერთი ფაქტი ნათლად გვიჩვენებს ჩინეთის დასუსტებული სსრკ-სადმი დამოკიდებულებასა და განცდას. ძიანგმა 1991 წლის თებერვალში ჩინეთში ვიზიტით მყოფ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ლიდერს გადასცა ფინანსური კრედიტი ეკონომიკურ ჩიხში მოქცეული სსრკ-სთვის, რაც მოულოდნელად დიდი პროპაგანდა აღმოჩნდა არა მხოლოდ ჩინეთისთვის და ჩინეთის კომუნისტური პარტიისთვის, ამ ნაბიჯით დაანახა მსოფლიოს, რომ ის არ ჰგავს სსრკ-ს და „ჩინურმა სოციალიზმა აჯობა სსრკ-სას“, პირადად ძიანგისთვისაც აღმოჩნდა

მნიშვნელოვანი და გარდამტები ისტორიული მომენტი, რომელიც ახსენებდა წლებს, როდესაც ჩინეთი იყო მთლიანად დამოკიდებული საბჭოთა კავშირის ფინანსურ მხარდაჭერაზე, ხოლო სსრკ-მ მიატოვა, გაიწვია ყველა მრჩეველი უკან და დატოვა მძიმე მდგომარეობაში (Robert Lawrence Kuhn, 2005).

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად დიპლომატიური მოლაპარაკებისა, რომელზეც ჩინეთმა სსრკ-ს შეცდომები გაუხსენა და სსრკ-მ აღიარა, სსრკ-სთან ურთიერობის სამი ძირითადი დაბრკოლების მოხსნის უფრო რეალური მიზეზები იყო ჩინეთისა და აშშ-ს ზეწოლა და მალების დისბალანსი, ზოგადად, საერთაშორისო სამყაროს ზეწოლა და, რაც მთავარია, თავად სსრკ-ს უსახსრობა და დაუძლეურება, რასაც თავის მემურებში შევარდნაძე ადასტურებს (შევარდნაძე, 2018).

მალევე, მსოფლიომ სწრაფი და კარდინალური ცვლილებები განიცადა, საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა დესტაბილიზაცია და არეულობა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრამ საფუძველი დაუდო მომავალში ორ ქვეყანას (მომავალში უკვე ჩინეთსა და რუსეთს) შორის „კეთილმეზობლური და პარტნიორულ ურთიერთოებების განვითარებას“. ჩინეთი კი, ამ პერიოდიდან იწყებს გამოწვევებთან შეჭიდებას (Qian Qichen, 2003).

მოვლედ, რომ შევაფასოთ ჩინეთის საგარეო პოლიტიკა სსრკ-ს დაშლამდე, თავდაპირველად ჩინეთი ურთიერთობს აშშ-თან, მაგრამ არ არის მასთან კავშირში შეკრული, აწარმოებს დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ყოველგვარი გავლენის გარეშე, თამაშისთვის კი ყოველთვის მზადყოფნაშია წინასწარი გათვლებით. ზედმეტი პირობების წაყენების გარეშე ჩანს აშშ-სთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენის სურვილის გარდა, სსრკ-სთან ურთიერთობების დალაგების ფაქტი.

### დასკვნა.

წინამდებარე კვლევის დასახული მიზანი, გავაკეთოთ სსრკ-ს დაშლამდე პერიოდში ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზი. მიღწეულია და დასმული შეკითხვები პასუხაცემულია.

1979 წლისთვის ტენგ სიაოფინგმა დაიწყო პოლიტიკის დეიდეოლოგიზირება და ეკონომიკური რეფორმები, რამაც

დადებითი გავლენა მოახდინა როგორც ჩინეთზე, ისე მსოფლიოზე. 1980 წლამდე ჩინეთის მთავარი კონცეფცია იყო „პოლიტიკა განსაზღვრავს ცხოვრების ყველა სფეროს“, რომელიც 1980 წლიდან ტენგ სიაოფინგმა ჩაანაცვლა კონცეფციით „ეკონომიკა განსაზღვრავს ცხოვრების ყველა სფეროს“. 80-იანი წლების დასაწყისიდან, ჩინეთი იწყებს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებას, რაც ითვალისწინებდა გეოპოლიტიკური და საგარეო პოლიტიკური ინტერესების გაფართოებას, საერთაშორისო არენაზე გააქტიურებას. თიენსნმენის ინციდენტმა ჩინეთს დასავლეთთან ურთიერთობა მნიშვნელოვნად გაურთულა, დაუწესდა სანქციები. თუმცა ტენგი მტკიცედ აგრძელებს რეფორმების გატარებას, მიუხედავად რთული საგარეო ვითარებისა. საგარეო პოლიტიკური კურსის ნაწილია სიფრთხილის გამოჩენა, ჩრდილში დარჩენა და ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირება. ძიანგ წემინის საგარეო პოლიტიკა მომართულია „მრავალპოლარული სამყაროს“ კონცეფციაზე. იგი წარმატებით აგრძელებს რეფორმების ავტორის ტენგ სიაოფინგის საქმეს, მართალია, სიტუაციის ცვლილების შემთხვევაში პოლიტიკის გადახედვას აწარმოებს ხოლმე, თუმცა ჭოუ ენლაისა და ტენგ სიაოფინგის ძირითად პრინციპებს ძალაში ტოვებს და დროდადრო იყენებს. იგი აგრძელებს შშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის საფუძველზე ყველა ქვეყანასთან ურთიერთობის განვითარებას. სსრკ-ს დასუსტებამ მსოფლიოში გამოიწვია ჩინეთის მომავალში შესაძლო დასუსტების შიში, რაც ჩინეთისთვის ახალი გამოწვევა გახდა და მას სხვადასხვა ნაბიჯებისა და ქმედებების დემონსტრირებით ებრძოდა. ჩინეთის აშშ-თან ეკონომიკური ურთიერთობა ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაყრდნობით 1989 წლამდე წარმატებით ვითარდებოდა. დაბრკოლებას წარმოდგენდა თაივანის საკითხი, რომელიც დროდადრო ურთიერთობებს ძაბავდა. თუმცა ჩინეთი ზოგჯერ პრობლემის გამწვავებისგან თავის არიდების მიზნით დროებით საკითხის იგნორირებას ახდენდა. აშშ-ც ცდილობდა თავის მხრივ ჩინეთთან ურთიერთობის გართულებას, რათა ჩინეთი ისევ სსრკ-ს არ დაახლოებოდა, სანამ ეს

უკანასკნელი ჯერ კიდევ სახიფათო ძალას წარმოადგენდა. 1989 წელს თიენანმენის ინციდენტმა მოშალა აშშ-ჩსრ ურთიერთობები, თუმცა საბოლოოდ ისევ ეკონომიკურმა დაინტერესებამ გადაწონა დაპირისპირება. ძიანგ წემინი აღნიშნავდა, რომ აშშ-ს მხრიდან სანქციები, ჩინეთის შიდა პოლიტიკაში ჩარევის მცდელობა იყო და, რეალურად, თაივანის საკითხის გარდა, სხვა უთანხმოება არ არსებობდა, ცივი ომის დასრულებამ აშშ-ს მისცა ჩსრ-თან გულგრილი დამოკიდებულების შენარჩუნების საშუალება, დროდადრო აცხადებს, რომ ჩინეთი მზად არის დაიცვას თავისი ეროვნული ინტერესები, თუ საჭიროა, ძალის გამოყენებითაც, თუმცა ჩსრ აცხადებს, რომ მისთვის პრიორიტულია მშვიდობა და განვითარება. ჩსრ-სსრკ ურთიერთობები გორბაჩივის გამოჩენამდე დამაბული იყო, მიუხედავად შერიგების გარკვეული მცდელობებისა. ჩინეთი მზად იყო სსრკ-სთან თანამშრომლობისთვის თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სსრკ 1989 წლის სანქციებს არ შეუერთდა, ჩინეთი ძველ წყენას ვერ ივიწყებს და ფრთხილობს მის მიმართ მოქმედებებში, გარდა ამისა, მათი გზები თითქოს გაიყო: იზოლაციაში მყოფ სსრკ-სთან შეხების წერტილის პოვნაც საკმაოდ რთული აღმოჩნდა ჩინეთისთვის ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური სხვაობის გამო. ჩინეთი გრძნობს იმასაც, რომ სსრკ-ს ფინანსურმა დაუძლეურებამ გადაადგევინა გარკვეული ნაბიჯები ჩინეთთან ურთიერთობების აღსადგენად და განაპირობა მათ შორის ურთიერთობის სამი დაბრკოლების მოხსნაზე მოლაპარაკებების დაწყება.

სსრკ-მდე პერიოდში უსაფრთხოება საზღვრებზე ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ რჩებოდა, რაც აფერხებდა თავისუფალ მოქმედებას ეკონომიკური განვითარებისთვის.

არსებულ გეოპოლიტიკურ ველზე, ჩინეთი თანმიმდევრული, წინდახედული და, საჭიროების შემთხვევაში, სწრაფი მოქმედებებით, მალევე შეანარჩუნებინა მას ადგილი საერთაშორისო არენაზე.

საბოლოო ჯამში, სტაბილურობამ, სწორმა საგარეო პოლიტიკამ და მაქსიმალურმა კონცენტრირებამ განვითარებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, ჩინეთს მოუტანა ეკონომიკური

განვითარება. ჩინეთი ხდება გამორჩეული, შეიძლება არა როგორც ზესახელმწიფო ზესახელმწიფო ორგანიზაციებს შორის, მაგრამ ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო. ამაში ასევე ხელს უწყობს ურთიერთობებში ნეიტრალიტეტის შენარჩუნება, ტენგის პოლიტიკა „აშკარა და აგრესიული შეჯიბრება სხვა ქვეყნებთან იწვევს გლობალურ დამაბულობას“ ამოქმედებულია. ჩინეთი არ ივიწყებს წყენას, მართალია, სამაგიეროს არ უხდის მოწინააღმდეგეს, თუმცა ვერ პატიობს იმ თვალსაზრისით, რომ ნდობა შემცირებულია და ფრთხილია ურთიერთობებში. მიუხედავად წარსული წყენისა და, ზოგჯერ, იმ კონკრეტული მომენტისთვის უთანხმოებისა, როგორიც იყო, მაგალითად, დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციები ან აშშ-თან თაივანის საკითხი, მაინც აგრძელებდა თანამშრომლობას „ურთიერთსარგებლიანობის“ და „თანამშრომლობის ნიადაგის მოსინჯვის“ პრინციპების თანახმად. ეს, პირველ რიგში, ხდებოდა თავის ქვეყნაში კონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის და რეფორმების წარმატებით რეალიზებისთვის.

ჩინეთის სსრკ-სთან ურთიერთობების გაუმჯობესების ფაქტი, მიუხედავად გარკვეული სარგებლისა, კიდევ ერთხელ მეტყველებს აშშ და სსრკ-ს შორის ჩინეთის ლავირებაზე, რითაც ხაზს უსვამს, რომ იგი არავისზე იქნება დამოკიდებული და დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებს. ეს, შეიძლება ითქვას, რომ დამახასიათებელი ხდება ჩინეთისთვის და, პერიოდულად, ასე გრძელდება დღემდე.

შედეგად, ნაშრომში წარმოჩნდა, რომ ჩინეთი ცდილობს გაატაროს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, მუშაობს ახალ კონცეპციებზე ძველის შენარჩუნებით და დროდადრო მათი გამოყენებით; ცდილობს ქვეყნებთან ურთიერთობებში იპოვოს საერთო შეხების წერტილი და დროებით გადადოს სადაც საკითხები, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ეს ჩინეთის ინსტერესებს ემსახურება, თუმცა, ამის პარალელურად, თავის დაზღვევის მიზნით, ალტერნატივის შექმნაზეც ზრუნავს.

სამეცნიერო სიახლე. წინამდებარე ნაშრომის საფუძველზე გვეძლევა საშუალება გამოვავლინეთ: საგარეო პოლიტიკაში

ჩინეთის დიპლომატიური სვლების თავისებურებების დეტალები; ჩინეთის საკუთარი ინტერესის პრინციპული, მაგრამ მოქნილი დაცვის მექანიზმი; ჩინეთის ფრთხილი, წინდახედული და, ამავდროულად, ქმედითი პოლიტიკის გატარება საერთაშორისო არენაზე; ჩინეთის დიპლომატიური ნაბიჯების თანმიმდევრობის სპეციფიკა.

პრაქტიკაში გამოყენება. ნამრომი ღირებულია როგორც თეორეტიკოსი მკვლევრებისთვის, ისე პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის. პროგნოზის სახით გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია დიპლომატიურ საქმიანობაში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- Henry, Kissinger. (2014). *On China*. Moscow: AST Publishers;
- Henry, Kissinger. (2014). *The World Order*. Moscow: AST Publishers;
- Henry, Kissinger. (1994). *Diplomacy*. Moscow: AST Publishers;
- William, Keylor. (2011). *The Twentieth-Century World and Beyond: An International History*. New York: Oxford University Press;
- Wuthnow, J. (2013). *Chinese Diplomacy and the UN Security Council: Beyond the veto* (pp. 1–220). Taylor and Francis, from <https://doi.org/10.4324/9780203082041>;
- Yang, B. (1996). *Deng Xiaoping and the Making of Modern China*. Richard Evans. The China Journal, 35, from <https://doi.org/10.2307/2950291>;
- Yu Han (2016), *Development of modern foreign policy of the People's Republic of China*, Nauchno-tekhnicheskiye vedomosti SPbGPU. Gumanitarnyye i obshchestvennyye nauki, No. 1 (239), pp. 84–91, (in Russian).
- შევარდნაძე, ედუარდ. (2018). ფიქრი წარსულსა და მომავალზე: მემუარები. გაზეთი, პალიტრა L: თბილისი; ჯიბლაძე, მარინე. ბოლქვაძე, თინათინ. ლიონ, ჩაო. ლიანგ, ქუნგქუნგი. ქელბაქიანი, ნიკო. თეთრაძე, მავა. (2019–2020). „ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ

- ენათე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვ-  
ანგლო წესები“, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი.  
ბიულეტენი, II: 18-37, from [http://enadep.gov.ge/uploads/Bulletin\\_II\\_2019-2020.pdf](http://enadep.gov.ge/uploads/Bulletin_II_2019-2020.pdf));
- 钱其琛 《外交十记》 [*Qian Qichen. Ten Stories of a Diplomat Qian Qichen*], 北京: 世界知识出版社, 2003年12月
- 郑言 《外交纪实》 [*Zheng Yan. Diplomatic Episodes*], 北京: 北京  
: 世界知识出版社, 2007;
- 王红续, 孙造等/著 《邓小平与中国外交》 [*Wang Hongxu. Deng Xiaoping and Foreign Affairs*], 北京: 中国民主法制出版社  
, 2017
- 邓小平 《邓小平在中国共产党第十二次全国代表大会上的开幕词  
》 [*Deng Xiaoping. Deng Xiaoping's Speech at the 12th National Congress of the Communist Party of China*], 人民日报  
1982.09.02  
<http://cpc.people.com.cn/GB/64162/64168/64565/65448/4429495.html>
- 王逸 《中国外交六十年（1949-2009）》 [*Wang Yi. Sixty Years of China's Diplomacy*], 北京: 中国社会科学出版社, 2009;
- 秦亚青 《国际体系与中国外交》 [*Qin Yaqing. The International System and Chinese Diplomacy*], 世界知识出版社, 2009年12  
月;
- 杨公素,张植荣《当代中国外交理论与实践（1949-2001）》 [*Yang Gongsu, Zhang Zhirong. Contemporary Chinese Diplomacy Theory and Practice*], 北京: 励志出版社, 2002;
- 耿向东 《图解中国外交》 [*Geng Xiangdong. Illustration of Chinese diplomacy*], 人民出版社, 2014 年 1月 ;
- 罗伯特·劳伦斯·库恩 《他改变了中国: 江泽民传》 [*Robert Lawrence Kuhn. The Man Who Changed China: The Life and Legacy of Jiang Zemin*], 上海译文出版社, 2005;
- 袁明 《国际关系史》 [*Yuan Ming. History of International Relations*], 北京大学出版社, 2012年3月;
- 李志萍等 《邓小平军事战略思想及战略决策》 [*Li Zhiping. Deng Xiaoping's Military Strategic Thought and Strategic Decision*],  
2014

<http://cpc.people.com.cn/n/2014/0723/c69113-25326384.html>;  
中国外交部官方网站 [*Foreign Ministry of Georgia*]: [www.fmprc.gov.cn](http://www.fmprc.gov.cn);  
人民日报 [*Renmin Ribao*]: [www.new.cn](http://www.new.cn).

## REFERENCES:

- Henry, Kissinger. (2014). *On China*. Moscow: AST Publishers;
- Henry, Kissinger. (2014). *The World Order*. Moscow: AST Publishers;
- Henry, Kissinger. (1994). *Diplomacy*. Moscow: AST Publishers;
- William, Keylor. (2011). *The Twentieth-Century World and Beyond: An International History*. New York: Oxford University Press;
- Wuthnow, J. (2013). *Chinese Diplomacy and the UN Security Council: Beyond the veto* (pp. 1–220). Taylor and Francis, from <https://doi.org/10.4324/9780203082041>;
- Yang, B. (1996). *Deng Xiaoping and the Making of Modern China*. Richard Evans. The China Journal, 35, from <https://doi.org/10.2307/2950291>;
- Yu Han (2016), *Development of modern foreign policy of the People's Republic of China*, Nauchno-tekhnicheskiye vedomosti SPbGPU. Gumanitarnyye i obshchestvennyye nauki, No. 1 (239), pp. 84-91, (in Russian).
- Shevardnadze, Eduard. (2018). *Fikri Ts'arsulsa da Momavalze /Thinking about the past and the future*: Memuarebi. Gazeti, P'alit'ra L: Tbilisi;
- Jibladze, Marine. Bolkvadze, Tinatin. Liou, Chao. Liang, Kelngungi. Kelbakiani, Nik'o. Tetradze, Mak'a. (2019-2020). „*Chinuri enis Martsvalta Sist'emis Kartul Enaze T'ransk'riftsia-T'ranslit'eratsiis Sakhelmdzghvanelo Ts'esebi*“ [*Guideline for Transcription-Transliteration of the Chinese Language Syllable System in Georgian*], Sakhelmts'ifo Enis

- Dep'art'ament'i. Biulet'eni, II: 18-37, from [http://enadep.gov.ge/uploads/Bulletin\\_II\\_2019-2020.pdf](http://enadep.gov.ge/uploads/Bulletin_II_2019-2020.pdf)).
- 钱其琛 《外交十记》 [*Qian Qichen. Ten Stories of a Diplomat Qian Qichen*], 北京: 世界知识出版社, 2003年12月
- 郑言 《外交纪实》 [*Zheng Yan. Diplomatic Episodes*], 北京: 北京: 世界知识出版社, 2007;
- 王红续, 孙造等/著 《邓小平与中国外交》 [*Wang Hongxu. Deng Xiaoping and Foreign Affairs*], 北京: 中国民主法制出版社, 2017
- 邓小平 《邓小平在中国共产党第十二次全国代表大会上的开幕词》 [*Deng Xiaoping. Deng Xiaoping's Speech at the 12th National Congress of the Communist Party of China*], 人民日报1982.09.02  
<http://cpc.people.com.cn/GB/64162/64168/64565/65448/4429495.html>
- 王逸 《中国外交六十年（1949-2009）》 [*Wang Yi. Sixty Years of China's Diplomacy*], 北京: 中国社会科学出版社, 2009;
- 秦亚青 《国际体系与中国外交》 [*Qin Yaqing. The International System and Chinese Diplomacy*], 世界知识出版社, 2009年12月;
- 杨公素, 张植荣 《当代中国外交理论与实践（1949-2001）》 [*Yang Gongsu, Zhang Zhirong. Contemporary Chinese Diplomacy Theory and Practice*], 北京: 励志出版社, 2002;
- 耿向东 《图解中国外交》 [*Geng Xiangdong. Illustration of Chinese diplomacy*], 人民出版社, 2014年1月;
- 罗伯特·劳伦斯·库恩 《他改变了中国: 江泽民传》 [*Robert Lawrence Kuhn. The Man Who Changed China: The Life and Legacy of Jiang Zemin*], 上海译文出版社, 2005;
- 袁明 《国际关系史》 [*Yuan Ming. History of International Relations*], 北京大学出版社, 2012年3月;
- 李志萍等 《邓小平军事战略思想及战略决策》 [*Li Zhiping. Deng Xiaoping's Military Strategic Thought and Strategic Decision*], 2014 <http://cpc.people.com.cn/n/2014/0723/c69113-25326384.html>;

中国外交部官方网站 [Foreign Ministry of Georgia];  
www.fmprc.gov.cn;  
人民日报 [Renmin Ribao]: www.new.cn.

## **China's foreign policy before the collapse of the USSR (1980-1991)**

**Marine Jibladze**

Doctor of Chinese Philology, Professor  
Free University of Tbilisi, PhD student in History

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities, Tbilisi, 1 Ilia Tchavtchavadze

Avenue, 0179, Georgia, +995599414716. [marine.jibladze@tsu.ge](mailto:marine.jibladze@tsu.ge),  
<https://orcid.org/0000-0002-9001-0426>

### **Abstract.**

The paper discusses China's foreign policy before the collapse of the Soviet Union. The aim of the study is to do an analysis of Chinese foreign policy in the period before the collapse of the USSR, in particular, discussing China's relations with the US and the USSR and the triangle of these relations at different times and circumstances. A set of methods that include the historical-descriptive method, the retrospective method and a systematic analysis of historical processes. Despite obstacles and some difficulties along the way, China, with consistent, prudent and, if necessary, swift action, quickly became one of the most powerful and influential players on the international arena. Stability along with a correct foreign policy, prioritizing national interests and focusing on matters that are crucial for development, have brought steady economic progress to China.

The scientific novelty is that we demonstrate China's ability to react sharply and swiftly remodel their foreign policy; Details of the peculiarities of diplomatic moves in foreign policy; A principled but flexible defense mechanism of one's own interest; Careful, prudent and, at the same time, effective policy on the international arena; The

specifics of the sequence of diplomatic steps; Priorities in the geopolitical environment before the collapse of the USSR.

As for the practical value of the paper, it is possible to reasonably understand and use future opportunities in diplomatic activities. The paper is valuable for both theoretical researchers and practicing specialists.

**Keywords:** China; USA; Soviet Union; Foreign Policy; Diplomacy; Geopolitics.

ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა  
LINGUISTICS, LITERARY CRITICISM

---

---

-sA სუფიქსის ფუნქცია თურქულ ენაში

გიგა ქამუშაძე  
ფილოლოგის აკადემიური დოქტორი,  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი. ქ. ქუთაისი,  
თამარ მეფის №59, 4600, საქართველო,  
+995593601388, giga.kamushadze@atsu.edu.ge,  
<https://orcid.org/0000-0002-2206-5537>

**აბსტრაქტი.**

აღნიშნულ სტატიაში გამოვივლიეთ სუფიქსი -sA, რომელიც განეკუთვნება თხრობითი კილოს ფორმას და გრამატიკულ სახელმძღვანელოებში მოხსენიებულია, როგორც პირობით -ნატვრითი კილო. ჩამოყალიბების რამდენიმე ეტაპი განვლო: ძველ თურქულში -sar, -ser ფორმით გამოიყენებოდა, შემდგომ კი -r ბგერის დაკარგვით -sa, -se ფორმა მიიღო. -sa/-se სუფიქსს, საშუალო თურქულიდან მოყოლებული, ფორმობლივ-სტრუქტურულად ორი სხვადასხვა კილოს წარმოების ფუნქცია აკისრია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ვითარება დღევანდელ თურქულშიც ნარჩუნდება. ფორმისა და ფუნქციის თვალსაზრისით, ორი სხვადასხვა სუფიქსის დროთა განმავლობაში შეერთების გამოა, რომ მან შეითავსა ორი ფუნქცია, გამოხატოს ნატვრითი და პირობითი კილო. თურქული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებშიც მას აკისრია პირობით-ნატვრითი კილოს (dilek-şart) გამოხატვა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სუფიქსს აქვს „სურვილის, პირობის, ბრძანების, შესაძლებლობის, შედარების, კონტრას-

ტული და სურვილის, აგრეთვე, პირობის გამოხატვის ფუნქციები, განსხვავდება არსებითი და ზმნის მიხედვით. მნიშვნელოვანია მარტივი და რთული წინადადება, მარტივი და რთული ზმნები. შესაბამისად, სუფიქს „სურვილი“-ს ფუნქციაა ზმნურ ფრაზებში, მარტივ წინადადებებსა და ზმნის მარტივ ფორმებში კი მას აქვს „პირობის“ ფუნქცია.

**საძიებო სიტყვები:** გრამატიკა; პირობითი კილო; -sA სუფიქსი.

### შესავალი.

-sA სუფიქსთან თურქულ ენათმეცნიერებაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. ძველ თურქულში -sar, -ser ფორმით გამოიყენებოდა, Dîvânü Lugâti't-Türk' ში „პირობის“ ფუნქციის გამო, -sa/-se სუფიქსის გამოყენებას ვხედავთ. საშუალო თურქულიდან მოყოლებული, ფორმობლივ-სტრუქტურულად ორი სხვადასხვა კილოს წარმოების ფუნქცია აკისრია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ვითარება დღევანდელ თურქულშიც ნარჩუნდება. ფორმისა და ფუნქციის თვალსაზრისით, ორი სხვადასხვა სუფიქსის დროთა განმავლობაში შეერთების გამოა, რომ მან შეითავსა ორი ფუნქცია, გამოხატოს ნატვრითი და პირობითი კილო. თურქული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებშიც მას აკისრია პირობით-ნატვრითი კილოს (dilek-şart) გამოხატვა.

### მეთოდი.

აღნიშნული ნაშრომი ეფუძნება -sA სუფიქსის მნიშვნელობას, მის აგებულებასა და დროში ცვალებადობას. მოვახდინეთ მისი სისტემიზაცია, საგნობრივი მიმართება დაწყებული ძველი თურქულიდან საშუალო თურქულამდე და, ბოლოს, თანამედროვე თურქულით დამთავრებული. ემპირიულ და სამეცნიერო მასალაზე დაყრდნობით და გავაანალიზეთ -sA სუფიქსის სემანტიკა და ფორმა, გამოვარკვიეთ მათ შორის მიმართებები. საბოლოოდ კი, მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის საფუძველზე გავკეთეთ შესაბამისი დასკვნები.

### შედეგები.

კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა იმისა, რომ დაგვედგინა ის საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებები, რაც ისტორიუ-

ლად -sar, -ser, ხოლო მოგვიანებით, -sa, -se სუფიქსს ახასიათებს. კერძოდ, ფორმისა და ფუნქციის თვალსაზრისით, ორი სხვა-დასხვა სუფიქსის დროთა განმავლობაში შეერთების გამო, მას შეუთავსებია ორი ფუნქცია, გამოხატა ნატვრითი და პირობითი კილო. ამჟამადაც, თურქული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებშიც მას აკისრია პირობით-ნატვრითი კილოს (dilek-şart) გამოხატვა. თუმცა, იყო შემთხვევებიც, როცა ის ბრძანების შემცველ სემანტიკასაც გამოხატავდა.

### დისკუსია.

-sA სუფიქსმა, რომელიც თურქულ ენაში ნატვრით-პირობითი (dilek-şart kipi) კილოს მაწარმოებელი სუფქსია, ჩამოყალიბების რამდენიმე ეტაპი განვლო: მველ თურქულში -sar, -ser ფორმით გამოიყენებოდა, შემდგომ კი -r ბგერის დაკარგვით -sa, -se ფორმა მიიღო (Ergin, 1972: 309). Dîvânü Lugâti't-Türk'-ში „პირობის“ ფუნქციის გამო, -sa/-se სუფიქსის გამოყენებას ვხედავთ: O, eve giderse - თუ ის სახლში მიდის (Atalay 1999: 207). -sA სუფიქსი, „ნატვრის“ ფუნქციით-sA ეფუძნება სახელიდან ზმნის მაწარმოებელ sA-სუფიქსა და ზმნიდან მიმღეობის მაწარმოებელ-k-s შეერთებით მიღებულ (+sAk)სუფიქსს.

ზ. ქორქმაზი აღნიშნავს, რომ -sa/-se სუფიქსს, საშუალო თურქულიდან მოყოლებული, ფორმობლივ-სტრუქტურულად ორი სხვადასხვა კილოს წარმოების ფუნქცია აკისრია (Korkmaz, 1995: 164). უნდა აღინიშნოს, რომ ეს ვითარება დღევანდელ თურქულშიც ნარჩუნდება. ფორმისა და ფუნქციის თვალსაზრისით, ორი სხვადასხვა სუფიქსის დროთა განმავლობაში შეერთების გამოა, რომ მან შეითავსა ორი ფუნქცია, გამოხატოს ნატვრითი და პირობითი კილო. თურქული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებშიც მას აკისრია პირობით-ნატვრითი კილოს (dilek-şart) გამოხატვა.

არსებობს აზრი, რომ აღნიშნულ კილოებს დრო არ მოეპოვება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ენათმეცნიერი აღნიშნავს, რომ -sA სუფიქსი სხვა კილოების სუფიქსებისაგან განსხვავებით, ერთადერთია, რომელიც დროის გამომხატველ სუფიქსს დაერთვის (Üstünova, 2004:682). Geldiyse, gelmişse, geliyorsa, gelecekse,

*gelirse* و *da* *şəz*. Əməkçılığın söz konusu olurken \**geldiye*, \**gelmişe*, \**geleyora*, \**geleceğe*, \**gelire* yada \**geldimeli*, \**gelmişmeli*, \**geleyormeli*, \**geleyormalı*, \**gelecekmeli*, \**gelirmeli* kullanımın söz konusu deyildir. Bozkurt“: (1994: 123-4). Aşağıda, əmək *şəz*ə კილოების სუფიქ्सის –sA სუფიქ्सის ფორმის მსგავსად ვერ დაერთვიან დროს მაწარმოებელ სუფიქ्सებს.

Şəhərinin შიგნით –sA სუფიქ्सის არსებობა ორი ფორმულის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ: 1. ზმნა+ დროის სუფიქ्सი + sA + პირის ნიშანი (*gel-se-m*); 2. ზმნა +sA + დროის სუფიქ्सი + პირის ნიშანი (*gel-se-ydi-m*).

–sA სუფიქ्सი აღნიშნავს, რომ მოქმედება ჯერ არ შესრულებულა, მაგრამ არის შესრულების სურვილი და შემსრულებელს აქვს მისი შესრულების სურვილი. ნატვრის ეს ცნება ორად იყოფა: არარეალურად და არარეალიზებულად. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ –sA სუფიქ्सით გადმოცემული ნატვრისა და პირობის გამოხატვა ერთმანეთთან ახლოს დგას, ამიტომ მათ ერთად, როგორც ნატვრით-პირობით კილოდ მოიხსენიებენ. Aşağıda, აღნიშნავს კიდევ ბილგეგილი, რომ ნატვრისა და პირობის ფუნქციას გადმოცემს (Bilgegil, 1982: 268). ბენზერის აზრით, „*sa* აბოლოოდ ხდება ისე, რომ ნატვრისა და პირობის ცნებები ერთმანეთთან ახლოს მდგომი ცნებებია“ (Benzer, 2010: 223). გენჯანი კი მათ არქმევს *istek*-ს (ქართულად ეს კილოც ითარგმნება, როგორც ნატვრითი). დღეს *dilek* (ნატვრითი) კილოსათვის გამოიყენება –sA, *istek* (ნატვრითი) კილოსათვის კი -*Aşufiğisi* გამოიყენება.

დემირისა და ილმაზის აზრით, –sA სუფიქ्सი ერთადერთია, რომელიც რთულ წინადადებას ქმნის და მასში გამოიყენება, როგორც აბსოლუტივი (Demir ve Yilmaz, 2003: 191). როგორც თიმურთაში აღნიშნავს, აღნიშნულ სუფიქ्सს ძველი თურქული ენის პერიოდმი როგორც ნატვრითი, ასევე პირობითი კილოს ფუნქცია ეკისრა (Timurtas, 1981:131). უზმანი კი ამტკიცებს, რომ სუფიქ्सს თავდაპირველად პირობითი კილოს ფუნქციის გამოხატვის მისა ქონდა, საშუალო თურქულის ტექსტებში კი შეინიშნა, რომ ნატვრითი კილოს გამოხატვის ფუნქციაც დაეკისრა (Uzman, 1992:9). მ ერგინიც ემხრობა იმ აზრს, რომ –sA

სუფიქსი, როგორც პირობითი კილოს მაწარმოებელი სუფიქსი, ზოგჯერ ნატვრითი კილოს მაწარმოებლადაც გამოიყენება (Ergin, 1972:310). მისი აზრით, „ამ შემთხვევაში პირობა არა, უფრო სურვილი ჩანს“. მაგ: *Yarin bari hava güzel olsa!* - ხვალ რომ კარგი ამინდი იყოს! ისიც გასათვალისწინებელია, რომ სურვილიც მთლიანად პირობაზეა დამოკიდებული და პირობა იქცევა ნატვრად. აღნიშნულს ებმიანებიან გოქსელი და ქერსლაქე და მოყავთ ნიმუში: „*Çabuk bitirseler bari*“ - სწრაფად დაასრულებდნენ ნეტავ. გამოთქვამენ აზრს, რომ ამ ნიმუშში ნატვრა და სურვილი ერთადაა. გამოვლინდა, რომ ნატვრისა და პირობის ერთად თანაარსებობისათვის *bari* ვითარების ზმნიზედის არსებობა აუცილებელია. იმ შემთხვევაში, თუკი წინადადებაში აღნიშნული ზმნიზედა არ მოიპოვება, ასეთი წინადადებები ან პირობის, ან და ნატვრის შინაარსს გადმოცემენ.

ვნახოთ მათ შორის განსხვავებები:

მარტივ წინადადებებში სუფიქსი „ნატვრის“ ფუნქციით გამოიყენება:

Tatile çıkabilsek დასასავენებლად რომ შევძლოთ წასვლა  
Her şeyi yapabilsek ყველაფრის გაკეთება რომ შევძლოთ  
რთულ წინადადებებში სუფიქსი,,პირობის“ ფუნქციით  
გამოიყენება:

Parası olsaydı, düşünmeden alırdı- ფული რომ ქონებოდა, დაუფიქრებლად იყიდდა. ბოზქურთის აზრით, ნატვრის ფუნქციაში პირობის არარსებობის გამოა, რომ სუფიქსი დამოკიდებულ წინადადებაში ამ ფუნქციას არ ატარებს (Bozkurt, 1994: 33).

ამის საპირისპიროდ ჰატიპოღლუ ვარაუდობს, რომ რთულ წინადადებაში სუფიქსი პირობის ფუნქციის ნაცვლად ნატვრის ფუნქციას ასრულებს (Bozkurt 1994: 33. s.148). “*Gençler bilebilse, ihtiyacılar muktedir olabilse.*” თუმცა, ამჯერად უკვე **keske, bile** ზმნიზედები გამოიყენება წინადადებას პირობის ნაცვლად შეუძლია, რომ ნატვრის ფუნქცია გადმოცეს: *Ayşe keşke okula gelse...* ნეტავ აიშე სკოლაში მოვიდეს. მარტივ და რთულ ზმნებში გამოიყენებისას სუფიქსის ფუნქცია მარტივსა და რთულ ზმნებზე დართვით იცვლება. ზოგიერთი ენათმეცნიერი გამოთქვამს ვარაუდს, რომ აღნიშნული სუფიქსი ასეთი განსხვავებული გამოიყენების

დროს მხოლოდ პირობის ფუნქციას ასრულებს (Şahin: 2003:160), თუმცადა -sA სუფიქსი მარტივი ზმნების შიგნით ნატვრას, რთულების შემთხვევაში - პირობის ფუნქციას იძენს (Gencan, 1996: 198). ჩვენთის საყურადღებო აზრს ავითარებენ ერკმან-აკერსონი და ოზილი: პირველ რიგში მათ დაამკვიდრეს ახალი ტერმინი: dilek-kosul კილო და მათ მიერ მოყვანილ ყველა რთულ წინადადებაში სუფიქსის გამოყენებისას დაასკვნეს, რომ -sA სუფიქსი მხოლოდ პირობის ფუნქციით გამოიყენება: Yarın hava güzel ol-ur-sa, yüzmeye gideceğiz! - თუ ხვალ კარგი ამინდი იქნება, საცურაოდ წავალთ! (Gerçekleşme şarta bağlı, gerçekleşebilir - შესრულება პირობაზე დამოკიდებული, შესაძლოა შესრულდეს!). Ayşe gel-seydi bizi ar-ardı აიშე რომ მოსულიყო, ჩვენ დაგვირევავდა! (Gerçekleşme yok განხორციელება არაა, şart yerine gelmemiş პირობა არ შესრულდა!; Ayşe'yi ara bakalım, işini bitirdiyse bize gelsin აიშეს დაურევე, საქმე თუ დაასრულა, ჩვენთან მოვიდეს! (Gerçekleşme şarta bağlı, gerçekleşebilir! პირობაზე დამოკიდებული, შესაძლოა შესრულდეს).გარდა ამისა, ბასარაკი აღნიშნავს, რომ მარტივი ზმნების უღლების შიგნით მთელი მახვილი სუფიქსზე მოდის, რაც რთული ზმნების უღლების პირობებში არ ხდება (Bassarak, 1997: 33).

არის შემთხვევები, როდესაც -sA სუფიქსი ბრძანების შემცველ კონტექსტში გამოიყენება: ბანგოულლუ აღნიშნავს, რომ აღნიშნული სუფიქსის ბოლოს რომ a ხმოვანია, დაჟინებულ თხოვნასა და ასევე დაჟინებულ ბრძანებას გამოხატავს(Banguoğlu, 1998: 468), Baksan a!, Anlasanız a!, O da ağızını tutsa ya! და სხვ. (Özdemir, 1967: 188).

როცა -sA სუფიქსი ორერთასადაიმავე ზმნას დაერთვის, ვარაუდის ფუნქციას ითავსებს: Bu projeyi kazansa kazansa doktorlar kazanır ამ პროექტს თუ მოიგებს, ექიმები მოიგებენ..

Bu kazadan kurtulsa kurtulsa iki kişi kurtulur ამ ავარიას თუ ვინმე გადაურჩება, ორი ადამიანი გადაურჩება. ქოჩი კი წინადადებაში: "Öküz mü desem ხარი რომ ვთქვა?" ვარაუდობს, რომ mi კითხვითობის ნაწილაკი -sA სუფიქსთან ერთად ვარაუდის ფუნქციას გამოხატავს (Koç, 1996: 103). როცა -sA სუფიქსი i-დამხმარე ზმნასთან არის შერწყმული (ise ფორმით), კავშირის

მოვალეობას ასრულებს და არც ნატვრის ფუნქცია გააჩნია და არც პირობის: „Hava yağmurlu ise haremeyin tıraş წვიმიანი-ამინდია, buğ dayıya varıştır.“ აღნიშნული წინადადების შესახებ მ. ერგინი გამოთქვამს აზრს, რომ ise პირობის ფუნქციას, „Su soğuk, hava ise yağmurlu idi - წყალი - ცივი, ამინდი კი წვიმიანი იყო“ ანდა “Onlar yukarıda idi, biz ise aşağıda idik - olsun ზემოთ იყვნენ, ჩვენ კი ქვემოთ ვიყავით” - წინადადებებში კი კავშირის ფუნქციას ასრულებსო (Ergin, 1972:361). თანაც, ise-ში, როგორც კავშირში, არავითარი კილო და პირის ნიშანი არ არსებობს.

### დასკვნა.

მოკლედ: როცა -sA სუფიქსი i- დამხმარე ზმნასთან არის შერწყმული (ise ფორმით), კავშირის ფუნქციით, შედარება-შეპირისპირებას გამოხატავს: Helikopterlerin sesi bizim için mutluluk; teröristler için ise korkudur- ვერტმფრენის ხმა ჩვენთვის ბედნიერება, ტერორისტებისთვის კი შიშის მოგვრელია. ან კიდევ: Yemeği ben beğendim, kardeşim ise beğenmedi საჭმელი მე მომეწონა, ჩემ ძმას კი არ მოეწონა .

აიდინი გამოთქვამს საინტერესო აზრს: „İmdeks gəmə, rəmə -sA სუფიქსis ფუნქცiyəbəri əsətənədən ərəb ərəb გəməxşənələri, təzərəkələri ənənəs შəmşəfəzələləri შəmədəgər ərəb წინədədəbəs əməri: “Ayşe dersçalışırsa sınıfını geçer - tıraş iməcədənəbəs, əsər შəmədəgər კლასში გადავა.” და “Ayşe ders çalişsasınıfini geçer.” - ərəbədələl განსხვავებას ვერ გაიგებს-ო.

ფორმისა და ფუნქციის თვალსაზრისით, ორი სხვადასხვა სუფიქსის დროთა განმავლობაში შეერთების გამოა, რომ მან შეითავსა ორი ფუნქცია, გამოხატოს ნატვრითი და პირობითი კილო. თურქული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებშიც მას აკისრია პირობით-ნატვრითი კილოს (dilek-şart) გამოხატვა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- Acarlar, Kevser. (1969). „*Fil Kiplerindeki Anlam Kaymalarının Nedenleri*.“ Türk Dili. 213 (20), 250-254. Ankara;
- Ahmet, Benzer (2010). -sA ekinin işlevleri ve Dilek-Şart ayrımı, Selçuk Üniversitesi, TÜRKİYAT Araştırmaları dergisi. Konya;

- Aydın, Özgür. (1999). „*İkinci Dil Olarak Türkçe Öğretiminde Türkçe Dilbilgisi Betimlemelerinin Görünümü*“. Çağdaş Türk Dili. 137-138, 33-41. Ankara;
- Banguoğlu, Tahsin. (1998). *Türkçenin Grameri*. Türk Dil Kurumu Yayınları, 5. Baskı. Ankara;
- Bassarak, Armin. (1997). „*Türkçe Zaman Kiplerinin Doğallık Dereceleri*“. Türk Dili Araştırmaları Yıllığı Belleten – 1995. Türk Dil Kurumu Yayınları, 31-36. Ankara;
- Bilgegil, M. Kaya. (1982). *Türkçe Dilbilgisi*. Dergâh Yayınları, 2. Baskı. İstanbul;
- Bozkurt, Fuat. (1994). *Türkçe Çağdaş Dilbilgisi*. İnkılâp Kitabevi. İstanbul;
- Demir, Nurettin. Yılmaz, Emine. (2003). *Türkçe El Kitabı*. Grafiker Yayınları. Ankara;
- Develi, Hayati. (1997). „*{Sa} Morfemli Yardımcı Cümleler ve Bunlarla Kurulan Birleşik Cümleler Üzerinde Bir İnceleme*“. Türk Dili Araştırmaları Yıllığı Belleten -1995. Türk Dil Kurumu Yayınları, 115-152. Ankara;
- Ergin, Muhammed. (1972). *Türk Dil Bilgisi*. Bayrak Yayınları. İstanbul;
- Erkman-Akerson, Fatma. Ozil, Şeyda. (1998). *Türkçede Niteleme Sıfat İşlevli Yan Tümceler*. SimurgYayınları. İstanbul;
- Gencan, Tahir Nejat. (1966). *Dilbilgisi*. Ahmet Sait Basımevi. İstanbul;
- Korkmaz, Zeynep. (1995). „*-sa / -se Dilek – Şart Kipi Eklerinde Bir Yapı Bırılığı Var Midir?*“ Türk Dili Üzerine Araştırmalar I. Türk Dil KurumuYayınları.160-167. Ankara;
- Korkmaz, Zeynep. (2003). *Türkiye Türkçesi Grameri (Şekil Bilgisi)*. Türk Dil Kurumu Yayınları. Ankara;
- Özdemir, Emin. (1968). „*Türkçede Fiillerin Çekimlenişine Toplu Bir Bakış*“. Türk Dili Araştırmaları Yıllığı Belleten – 1967. Türk Dil Kurumu Yayınları. 177-203. Ankara;
- Uzman, Mehmet. (1992). *Türkçe de Şart ve Emir Kipinin Tarih İçindeki Gelişimi*. Trakya Üniversitesi, Türk Dili Edebiyatı Ana Bilim Dalı, Yüksek Lisans Tezi. Edirne;
- Atalay, Besim. (1999). *Divanü Lügati't-Türk Tercümesi III*. Türk Dil Kurumu Yayınları. Ankara.

## **Function of the suffix -sA in Turkish**

**Giga Kamushadze**

Academic Doctor of Philology, Assoc. Professor of  
Akaki Tsereteli State University, Kutaisi,  
Tamar Mepe st., №59, 4600, Georgia,  
+995593601388, giga.kamushadze@atsu.edu.ge,  
<https://orcid.org/0000-0002-2206-5537>

### **Abstract.**

In this article we have investigated the suffix -sA, which belongs to the form of indicative mood and is referred to in grammar textbooks as the conditional mood which has gone through several stages of formation: In Old Turkish it was used with the form of -sar, -ser. Later, with the loss of the sound-r, it took the form of -sa, -se.

From Middle Turkish, suffix -sa / -se formally, has the function of producing two different moods. It should be noted that this situation remains in Turkish today. In terms of form and function, due to the connection of two different suffixes over time, it combined two functions, to express the subjunctive and conditional mood.

In Turkish grammar textbooks, it is also used to express subjunctive -conditional mood (dilek-şart).

Research has shown that suffix has the function of expressing desire, condition, command, ability, comparison and contrast, » Also, the functions of expressing the condition, differ according to the noun and the verb. Simple and complex sentences, simple and complex verbs are important. Accordingly, the suffix is a function of "desire" in verb phrases, while in simple sentences and simple verb forms it has the function of "condition".

**Keywords:** grammar; conditional mood; -sA suffix.

ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა  
LINGUISTICS, LITERARY CRITICISM

---

---

მარადიდული კლარჯული წარატივის ენობრივი  
თავისებურებანი

წარმომადგენლობის მეცნიერებათა კანდიდატი,

განვითარებული მნიშვნელობა მივანიჭეთ საუბრის  
დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი,  
საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35.  
+995 577 179 744; natia.phartenadze@bsu.edu.ge,  
ORCID identifieris0000-0001-7919-8635

**აბსტრაქტი.**

მარადიდული კლარჯული თხრობის თავისებურებების გამო-  
სავლენად განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭეთ საუბრის  
მანერას, როგორიცაა: ინტონაცია, მეტყველების ტემპი, საწარ-  
მოთქმო და გრამატიკული თავისებურებები, მოდალურ-ექსპრე-  
სიული მოქცევები, ლექსიკა-ფრაზეოლოგია და ა. შ. მართალია,  
ნებისმიერი დიალექტის ენობრივი მახასიათებლები განსაკუ-  
თრებულად წარმოჩნდება ბუნებრივი, გაბმული საუბრის პრო-  
ცესში, თუმცა თქმულის ქაღალდზე ზუსტად გადატანა და  
მკითხველამდე მიტანა შეუძლებელია, ნებისმიერი კარგად  
ჩაწერილი ტექსტი მხოლოდ მიახლოებით ასახავს ზეპირმ-  
ეტყველებას, მაგრამ ჩვენ მიერ წარმოდგენილი მარადიდული  
კლარჯული თხრობისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი  
მარადიდელთა მეტყველების ფაქტია, რომელსაც ხშირ შემთხ-  
ვევაში შინაგანი, იმანენტური კანონზომიერებანი განაპირობებს,  
ზოგ შემთხვევაშიც კი - ლექსიკური მარაგის სიმწირე.

**საძიებო სიტყვები:** დიალექტი; მეტყველება; თხრობა; თავისებურება; ინტონაცია; ტემპი; მოდალურ-ექსპრესიული მოქცევები.

### **შესავალი.**

ნებისმიერი დიალექტის ენობრივი მახასიათებლები განსაკუთრებულად წარმოჩნდება ბუნებრივი, გაბმული, ცოცხალი საუბრის პროცესში. ლინგვისტურად საინტერესოა ამა თუ იმ კუთხის მკვიდრთა თხრობის მანერა, გამოთქმა, ზეპირი მეტყველება ზოგადად. სტატიაში მიზნად დავისახეთ გამოგვეკვეთა მარადიდული ნარატივის თავისებურებანი. ვეყრდნობით ზემო და ქვემო მარადიდასა და საქარის სოფლებში მცხოვრებ მარადიდელ მუჟაჯირთა შთამომავლების მეტყველებაზე ჩვენს უშუალო დაკვირვებას. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩაწერილი ტექსტი ხშირად ვერ ასახავს თქმულს, სხვაგვარად, ყველაფრის ქაღალდზე გადატანა ვერ ხერხდება.

### **მეთოდები.**

წარმოდგენილი ნაშრომი ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: დიალექტური მასალის ლინგვისტური ანალიზი სინქრონისა და დიაქრონის ჭრილში, სტრუქტურული ანალიზი, დედუქცია, ინდუქცია, ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი.

### **მსჯელობა და შედეგები.**

დიალექტს, როგორც ენის ნაირსახეობას, „ახასიათებს თავისებური ენობრივი იმუნიტეტი, რაც განაპირობებს სამეტყველო თავისათავადობის შენარჩუნებას“ (ჯორბენაძე, 1989:40). ვინაიდან დიალექტი ზეპირი მეტყველების წარმოჩენაა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საუბრის მანერას, როგორიცაა: ინტონაცია, მეტყველების ტემპი, საწარმოთქმო და გრამატიკული თავისებურებები, მოდალურ-ექსპრესიული მოქცევები, ლექსიკა-ფრაზეოლოგია და ა. შ. ამ მხრივ საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესოა მარადიდული კლარჯული თხრობა და მასთან დაკავშირებული თავისებურებანი. ზოგადი სურათის ნათელსაყოფად და შთაბეჭდილებისთვის წარმოგიდგენთ საუბრის ფრაგმენტებს და ცალკეულ ფრაზებს. ქვემოთ კი შევეცდებით დეტალურად განვიხილოთ თითოეული შემთხვევა:

მე გურჯი დამაბიწყდა. ჩემები ბათუმიდან მოვდენ. მე აქ დევსვი, აქ დავბერდი. მე მიყვირიან ღარჭებმა, რომ არ იქნება, მე გიმიგონია, ჩემები ბათუმიდან მოსულანდა...

- შენ ნუ უქროლავ, გოოო...
- ამან რები იცის, რები...

მე ახლა უნუთგანი გავხდი, ჭოოო, ჰამა რა ვთქვა: „რა ვთქვა და რა მევგონო, შენ თქვი და მე გევგონო..., თელი რომ დამაბიწყდა, ახლა რა ვქნა, ლამაზავ!“.

- ლოცვა ერთმა არკადაშმა იცოდა, მე დამაბიწყდა, ჰიჩ არ ვიცი, არ გიმიგონია. მუბაარექმა ღმერთმა გამჩენელმა კარქობა მოქცონ, ძალა მოქცონ, ჭკვა მოქცონ, თავი მოქცონ... Áა ჭკვა გაქვან, Áა - არა, რატომ იარებით? მე ბაბას სახში სამი თვე არ ავსულვარ და თქვენ იარებით, რა კაია...

- პური საჭარები ვექცეოდით, ჰამა გადავარდა.
- ყანაში რაის ხებერი იქნებოდა, ვიღალებით, გაბანცილი, გამობანცილი, ის იმკენ გდია, ეს - ამკენ, მოღალილი. ახლებს ბერებიო არ უნდანან. არც კაცებს უნდანან, არც არვის. საქმე არ უნდანან. ყანები და ბახჩები დარჩა. ჯიფეში არ აქ, ჭამაზე მივა. სოფელში ჰადმე ქათამი არაა, ძროხები არაა, ახლებმა არ იჯებიან. ახლა კითხვაზე მიდიან. სოფლიელი არ კადრულობენ.

ენწინ შიშა მევტანდით, შიშა გავყიდიდით, ბახჩა მოვთხოდით, ძროხა შევხედვიდით, ჰაივანს შევხედვიდით, ზამთარში-ზამთრულაÁ, ზაფხულში-ზაფხულურაÁ. ზამთარი'ნა მოვდეს და არ იცი, თუ?, ჭკვა არ გაქ, თუ?

ეს გახლავთ ფრაგმენტი მარადიდიდან წასული და საქარიაში მცხოვრები 85 წლის ქალბატონის მონათხრობიდან.

ზეპირი მეტყველების პროცესში საუბრის მანერას მნიშვნელოვნად განაპირობებს მოლაპარაკის ტონი და ინტონაცია, რითაც მთხრობელი გამოხატავს თავის ემოციურ დამოკიდებულებას ნათქვამისადმი. ამასთანავე, „ინტონაციას არა მარტო

გამოხატვის ფუნქცია აკისრია, არამედ თავისი შინაარსიც აქვს, როგორც წინადადების სტრუქტურის აუცილებელ კომპონენტს“ (ჟღენტი, 1963:78). მსგავსი სტრუქტურის წინადადებები მრავ-ლად დაიმებნება მარადიდელთა მეტყველებაში. კერძოდ: მოსაუბრის ინტონაციური მიმოქცევა ქმნის **რომ**’ კავშირიანი ქვეწყობილი წინადადების თავისებურ შეკუმშულ კონსტრუ-ქციას, ის უმეტესად მთელი დამოკიდებული წინადადების მაგივრობასაც ეწევა და ყოველთვის დადებით, ცოტა გადაჭარ-ბებულ მოქმედებაზე მიუთითებს. მას ხშირად თავის მოწონების მიზნითაც იყენებენ:

ხორციდან იმდონი საჭმელი არი, **რომ**...; კაÁ ქორწილი იყო, დამკრელით, იმით... იმფერი სიმღერით მომიყვანეს, **რომ**...; იმფერი კაÁ დედამთილი მყავდა, **რომ**...; რამ არ მაძლევენ, **რომ**...; ჩვენ იმდონი სიმინდი მაქვან, **რუმე**...; იმან ისე ილაპარიკებდა, **რომ**...; წინ-წინ იმფერი ალიყურები იყო, **რომ**...

მოცეულ შემთხვევებში **რომ**’ კავშირის ხმოვანი გრძლად წარმოითქმის და სწორედ ამ ინტონაციაში დევს შინაარსი და მთავარი აზრიც.

მარადიდულ კლარჯულში მკაფიოდაა გამოკვეთილი **თუ**’ და **და**’ კავშირ-ნაწილაკის ინტონაციურ-ექსპრესიული ფუნქცია, რაც განსაკუთრებით ხელშესახებია კითხვაპასუხიან შეკუმშულ კონსტრუქციებში, ძირითადად ბოლოკიდურა პოზიციაში:

- სალდათმა უთხრა, ღმერთი არი **თუ**?
- კაცი’ნა გეახლოს, მოგიკტა **თუ**?
- რისთვინ წერავთ, მაკითხო’ნა **თუ**? კაÁ რამეა **თუ**?
- ჩვენ **თუ**? ბაბა ანეÁდან, ნენეÁდან, სხვაÁ ვისგან’და დეÁწავლო გურჯული?
- შავი ლობიო არი **თუ**? მოხარშული სიმინდი არი **თუ**? ისი ყველა ოჯალში ვერ ნახეფ. ახლა ვინცხა მოვა, გარეთ, ქალაქიდან, იკითხვებენ: მოხარშული სიმინდი არი **თუ**? მოხარშული სიმინდი რამითი წვალება აქვა, იცი **თუ**?
- ჰელბეთ მანქანაში საყიდო რამ გაქვან, ყიდავთ **თუ**?
- რაები ვწიეთ, იცი **თუ**?
- ამათი ხისიმები ცნობილოფ **თუ**?

- მე და შენ ერთი ვართ თუ?
- ბათუმი აქავრზე კატა თუ?
- სუზმე თუ?... აოლურთი ჩავაყენავ თორბაში, გავწურავ, იქნა სუზმე;
- ერთა ახლა თქვენ რატო მოხველით? ფეხით თუ?
- ჰატავრობაში წეხველით, ჰად იყავთ? იმკენ წეხველით თუ?
- თქვენი იქ არა? იჯებით თუ?
- კაცი'ნა გეახლოს, მოგიკტა თუ?
- შენ ჭკვა არ ქონებია, რისთვინ წერავთ, მაკითხო'ნა თუ?
- ნასამი არ მაქვან თუ?
- მამათილმა თუ? ვინმემა რავარ დაკლიდა საქონელი, ვინ დაგაკლევიებდა!
- ახლა რომ ეჭენებიან, მასე იყო თუ?
- ქორწილი რაფერ იქნება არ იცი თუ?
- ძალი ჩემთანაა თუ? - ქალაქშია; რამ არ უშავს, რამ ეტყვის თუ?
- წეხვიდეთ, თუ?...
- იშვიათია თუ' კავშირ-ნაწილაკის შუა პოზიცია:
- იცი თუ ბატონამი? სხვა'ნა მოხვიდეთ თუ კიდო? იქაურობაში ილაპატე თუ ქომო?...
- რაც შეეხება და'-ს ფუნქციას, ის ძირითადად სამხრული კილოებისთვისაა დამახასიათებელი და კარგადა გამოკვეთილი მარადიდულ კლარჯულში, რომელსაც ზოგ შემთხვევაში თხოვნის ინტონაცია აქვს და უმეტესად აღარ მოითხოვს აზრის გაგრძელებას, გაგრძელებული ინტონაციით მთავრდება წინადადება ან, იშვიათად, ხდება მისი დაზუსტება. მაგალითად:
- თურქეა'და, გადადრევილი თურქეა. სხვა ენა არ აქვან.
- მეტი კად თურქე არ აქვან;
- იარეთ, კაცო, დელიყანი კაცები ხართ, ჭვირთი არ წიკავ, იარებით'და;
- აშლილი იყო აა იქავრობა, დაბეჩდა'და;

- გელინლიქი – ჩასაცმელები, დოდოფლების ჩასაცმელი’და, დუგუნზე ჩედცვამდა;
  - გაბიწყდება’და, ბევრი დრო გემარა;
  - გურჯი ვარ’და, ჩემი ლაპარიკი ვერ არიგებენ;
  - მოთხვე’და!;
  - დევწავლეთ’და, მაწავლებელი ქურთი იყო;
  - არქადაშები იყვენ’და იმნებიდან წერვიდადა დევწავლეთ’და;
  - ომი იქნა, საზღვარი მოჭრენ, თურქი ფული რამე არ იყო’და;
  - შაჟამელი, ფული რამე არ იყო’და;
  - იქიდან [საქართველოდან] წამუელონ მა[რ]წყვის ლეჩერი, რაცხაები წამუელო, არ ექნებიან და ვჭამთო’და;
  - წისქვილმა ტეხავს’და... ამტრევს’და წისქვილმა; ვაფქვევთ’და წისქვილზე;
  - ბიჭები წევლენ’და!; ინშალლა რამე ზარალი არ მიმივლენ’და;
  - ნენეს ნენი იტყვით’და? ჩვენც ნენი ვიტყვით. ჩვენებური - ანნე. ამან ანნე;
  - ამან მეტი სამმეობა არ იცის’და;
  - ახლა ი ჭვა არ მაქ, დავბერდი’და;
  - აქ’ნა იმცხოვრონ, ეყო’და ეს სახლი, ისაქმოს და ჭამოს. მე ვსაქმოფ, ვჭამ’და, მანც ისაქმოს და ჭამოს;
  - მიყვარს’და;
- ბეჭედი რომ არ მექნა თითზე, დიდი იქნა’და, ეÁდა რომ მითხრა შიგიცვალო’ნდაო, გევქნიე;
- ჩემთინ ფრობლემი არაა’და;
  - ქათამი მოვხარშავთ, იმის უკან დაფქვევლი ჯევიზი ჩავაყრით, კაკალი ჩავაყრით’და;
  - სახლობა ვიჯებოდი, გარეთობა, ძროხა მყავდენ, თეელი ვიჯებოდი’და;
  - აბა, არ დამავიწყდება’და!

– ვილაპარიფე’და, სხვა რამ არ ვიცი...

საუბრისას იმდენად მნიშვნელოვანია ინტონაციის ფაქტორი, რომ ოდენ მისი საშუალებით იქმნება წინადადების სპეციფიკური კონსტრუქცია, რითაც გამჟღავნდება მთქმელის დამოკიდებულება მონათხრობი ამბისადმი.

გაბმული მეტყველებისას მარადიდელი ხშირად იყენებს **მერე/მემრე** ზმნიზედას, რომელსაც ზოგჯერ ენაცვლება იმავე მნიშვნელობით გამოყენებული ფორმა - **იმის უკან**. აღნიშნული ფორმები ასეთ შემთხვევაში მიერთებითი კავშირებია და გადმოგვცემს არა რომელიმე კონკრეტულ დროს, არამედ მთელი წინადადების დროითი მსაზღვრელია და მიერთებულ ზმნაშემასმენელთან ერთად გვიჩვენებს წინადადების წინამავალი ამბის შედეგს, ან მოქმედების პროცესის ინტენსივობას, ჩვეულებითობას...

– ყურძენი პირველათ მოვკრიფავ, **მერე** ერთი დღე გავაჩერავ დიდი პლასმასის ბანკის შიან, **მერე** დავზილავ ლამაზათ, დილა-საღამოზე უურევ, **მერე** თუთხმეტი დღეს იქნება, **მერე** ისემები ავწევ ჭაჭაები, **მერე** ათი დღე ცოტა შექერი მივცემ, ცოტა წყალი, **მერე** ოზდახუთი დღე იქნება, გამოვწურავ, შლანგი ვაძლევ იმის შიან, **მერე** ადულდება, გედევა, შევხედავ, რომ არ იქნება, **მერე** დავწურავ და ვინცხას უნდა მივცემ.

– სამი სუ ბარდალი ძე, ორი კვერცხი, სამი კაშუდი Áუღურთი, ერთი ჩაÁ ბარდალი ზეითუნი Áაღი, კარქა’ნა მოზილო, მოზილავ, იმას უკან ჰარი ლისტი მოჭრან’ნა. Áაღით მოვზილეთ, მემრე გამუაცხო’ნა ლამაზი, იმის უკან შერბეთი’ნა აადუღო, შერბეთში არი წყალი და შექერი, ჰაწაÁ ლიმონი, **მერე** Áაღი ზეÁდან’ნა მუასხა.

– ფხალი მოვკრიფავთ ლამაზათ, გაარჩევ, გარცხავ, **მერე** მოჭღლიმავ ასე, კაÁ’ნა დაჟღლლიმო, იმის **მერე** წყალი აადუღავ, იმ დუღარე წყალში ჩაყრი ფხალი, ზეÁდან ზეთი, კარაქი ძროხისა, დააყრი პირპირას, მარილი, ცოტა იდუღავს, მეÁხარშება, ღერს რომ შეხედავ, იმის **მერე** ბიბერი დაჭრი, **მერე** ტომატისი დაჭრი, სიმინდი, თუ გექნება სიმინდი, თუ არა - ბრინჯი გადააყრი.

– **მერე** სახში დაჯდებოდენ, საჭმელები-მაჭმელებს იქნებოდა ბოური, **მერე** საჭმელი-მაჭმელი მოთავდებოდა, იმის **მემრე**

დედწყებდენ ხუმრობა, გელინი მოვდა და ახლა ასე დაქდებოდენ ქენარზე, ბიჭიც დუუდებოდა, დედწყებდენ სამა, ერთხელა ისამებდენ, ისე დამთავრდებოდა...

აშკარაა, რომ ზმნიზედა მერე/შემრე/შემრენ//იმის უკან՝ ქმნის მომავალი დროის სემანტიკურ ველს, თუმცა მოცემულ კონტექსტებში მასთან მიერთებული ზმნა-შემასმენლები გამოხატავენ არა კონკრეტულ დროს, არამედ მას განუსაზღვრელი, ზოგადი დროის მნიშვნელობა აქვს და ამასთანავე შეიცავენ მოქმედების მრავალგზისობის გაგებასაც.

ეს ყველაფერი კი ადასტურებს აღიარებულ დებულებას, რომლის მიხედვითაც „ზოგადდროულობა და ჩვეულებითობა თითოეული დროის შიდასივრცულ განზომილებაშია საძიებელი“ (ჭიკაძე, 2017: 677).

მარადიდულ კლარჯულ თხრობაში ყურადღებას იქცევს რეალური და გრამატიკული დროის ურთიერთმიმართება. ხშირად მოსაუბრისათვის უფრო მნიშვნელოვანია ფარდობითი დრო, ვიდრე გრამატიკული, რაც მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ „დრო არის ოდენ სემანტიკური კატეგორია და არა გრამატიკული“ (გოგოლაშვილი, 2011: 324). ამავე საკითხს უკავშირდება დროის გადაწევის ფაქტორი:

საუბრისას აწყობის მომხდარი მოქმედება გადატანილია წარსულსა და მომავალში:

– მე შენთან ვიღაპარიკავ, ერთი კაცმა წევა, ჟანდარმას ეტყვის, მოვა წევეყვანს;

– რატონ მოხველი და ახლა შიმიყვარდენ და არ'ნა დამავიწყონ;

– ჩვენი რესმი გამოჩდა და ჩვენ გველმეშაპი გვგონიან;

– გველმეშაპი ფთები ქონებია, ფრენს, უკან გობი მოკიდული ქონებია, იმ გობში შენ გდეფს, საცხან მივა და ჭამს ინსანი;

– პური ბორჩხაში დათესევდენ, აქ არ დიმინახია.

მოცემულ შემთხვევაში აწყობითი გადმოცემული მოქმედება გაგებულია, როგორც წარსულში მომხდარი ან მომავალში მოსახდენი, თუმცა არ შეიცავს კონკრეტული დროის გაგებას. ფაქტობრივად, ესაა ზოგადი აწყობ, რაც მოგვითითებს ზოგად-სივრცულ აზროვნებაზე.

მარადიდელთა თხრობაში შეინიშნება წინადადების სტრუქტურული ყალიბის გარდამავალი საფეხური, რაც გამოკვეთილია პარატექსულ კონსტრუქციებში. კერძოდ, ეს ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც საუბრისას ინტენსიურად მეორდება ერთი და იგივე სიტყვა-წევრი, განსაკუთრებით კი ზმნა-შემა-სმენელი:

- მე მაქინა მაქვან, ყველაფერი მაქვან... მველი იმსწოდის უსტობა არ მაქვან;
- სელს დავთესებდით, პური დავთესებდით...
- ჩიტები მოვდოდენ ბევრი; პურმა თავი მიცემს, იმა შიან პარკები მიცემს;
- ჩვენი დიდვანებმა რუსებისთვინ გონჯი არ იტყოდენ, ერმენისთვინ - კავ არ იტყოდენ;
- ჩვენი ლაპარიკი სხვაფურია, ქლასკურის გურჯიჯეს არ ეწყობა: ხებასას ეწყობა, ბორჩხას ეწყობა, მაჭახლისას, ქლასკურისას არ ეწყობა;
- იმნებისა წორი გურჯია, ჩემი დერდი ვაგნებიეფ, ჰამა კარქა ვერ ვაგნებიეფ;
- შავშეთში ბომნე მღერობენ, მეტი საქმე არ აქვან, ჩავ არ აქვან, თხილი არ აქვან...;
- გელინო, გელინო, რომს მოხველი, კავ ფეხით მოხველი, აქევრობას შეეჩიო, კავ გელინობა ქნაო;
- ოქრუები, ალთუნები იქნებოდა, გელინლული იქნებოდა;
- ასე, ზომო, სოფლებისკე ქალი არ მიცემდენ, არ გავათხოვდით. ქვედამ მარადიდი, კირნათი... გავათხოვდით;
- იმან იჭირავს, ქალმა იჭირავს;
- ჩემი ღარჭებმა კიდე არიგებენ, რძალი ვერ არიგავს, მიყვარხარ, ჰამა ვერ ვარიგავთო, იქ მეზობლებმა;
- გაზაფხულზე ენწინ ბოსტანი მოვთხრით, მაკიდო, პამი-დორი დავთესავთ, ხახვი დავარგავთ, სიმინდი დავარგავთ, გავმარგლავთ ლამაზი;
- მახარებელაÁ რომ მოვა, რახი მეÁთხოვავ, ხილი მეÁთხოვავ, ბაქლავა მეÁთხოვავ, ქათამი მეÁთხოვავ. სუფრას დეÁჭირვენ, გოგოს თარაფები წინდაწინ მოვლენ, დაუდებინ მასაზე და მაშინ მეÁთხოვებენ;

- ხორც გადავხრაკავთ, სარმა გავაკეთავთ, წვანე ლობიო გავაკეთავთ; ფილავი გავაკეთავთ, ბაქლავა გავაკეთავთ;
- წინ ბრინჯი დავთესევდით, თუთუნი დავთესევდით;
- დეტავლისო. არა, მარა, არა, მარა, გააჩხოვიენ იმ თარაფმა, დედეა დააჯერენ, ანეაც დააჯერენ;
- ერთი პაწაÁ ქენერი ბახჩა მაქ. გოგვები ყველაÁ გაათხოვა, სიძეები ყავს, ბადიშები ყავს, უვლის...;
- ბახჩაში ყველამფერი იყო, ჰამა ქინძი არ ურთობენ. ბიბერი ურთობენ, მაკიდონი ურთობენ, ჰამა ქინძი არ ურთობენ;
- გირტყმიდა, რომ არ დეტავლებდი, გირტყმიდა, ჩემი დროში ასე გირტყმიდენ, ამაზე გირტყმიდენ;
- გელინი მყავს, საქმობს, ძროხა გვყავს, ბახჩა გვაქ, სიმინდი გვაქ;
- ბიჭმაც ჩაÁ იგებს, თხილ იგებს...;
- სილორი იქმენ, მანთი იქმენ... მე რა ვიცი რავაÁნაÁ იქმენ;
- შენ ჩემზე ბერი ხარ, ჰამა დაპა კაÁხარ, ჩემზე კაÁხარ;
- ძროხა მყავდენ, ქათმები მყავდენ, თელი მუუვლავდით იმნებს;
- ლიმონი ჩავაყრით, ფულებეÁ ჩავყრით, კარაბეÁ ჩავყრით, კარა ბიბერი და ჩირდინ გავაკეთავთ, მოხარშილი ფქვილი გუურევ, ბორჯამზე დაასხავ, კაკალი მოასხავ, ზეითუნ მუასხავ ზეÁდან, მემრე ჭამო'ნა, დაჟდე'ნა;
- ალთუნი ევლეფთ, ჩასაცმელები ევლეფთ, რაცხა უნდანან ის ეÁღებენ;
- ტათლი მეÁთხოვდენ. ბიჭის სახში გოგოს თერეფი მეÁთხოვდენ ქათამი, თხილი...

ასევე ხშირია „ზოგად-განუსაზღვრელი მნიშვნელობის შემცველი არის“ ზმნა-შემასმენელი, როდესაც ის ფუნქციურად დამოუკიდებელია და არა შედგენილი შემასმენლის ნაწილი“ (ლოლაძე, 2004:98). კერძოდ:

აქ ყველაფერი არი: ჩაი არი, თხილი არი, სხვა რამ არ არი...; ჩოქელელიც არი, ჩლეჩილი ფეინირიც არი, კურუთი აკეთავენ...

გარდა ზმნა-შემასმენლისა, დასტურდება სხვა სიტყვა-წევრის ინტენსიური გამეორებაც:

- პაწაÁ ლობიაÁ, პაწაÁ სიმინდი, პაწაÁ ბიბერი მაქ დარგილი;

– ზოგმა ისამავდა, ზოგმა იმღერავდა...

მარადიდულ კლარჯულში ხშირია მიმართვის ფორმების გამოყენება წინადადების ბოლოს განსხვავებული ინტონაციით, რომელიც მარადიდელთა თხრობას განსაკუთრებულ ელფერს სძენს:

- ეÁდა ჩემი თავი დუუწავლებიან, გოოო!
- ქართულ აგნეფ, ჭოოო?
- ზათი ვერ ვიქავთ, ჰაივანია, ისროლება, კაცოო!
- სახელები ბოვრი დამბიწყდა, ჯოოო!
- ი დელი ვინ ეÁყვანს, გოოო!
- კიდოვ ვერ გიცანი, ჭოოო!
- ძვალი გეეზარდა, ჭოოო, მენჯში...

განსაკუთრებით თვალში საცემია თურქული იშტე' ნაწილაკი (თურქ. *İste* – აი! ჩვენებითი ნაწილაკი), რომელსაც ჩვენებითის ფუნქცია არ აქვს მარადიდულ კლარჯულში და იყენებენ საუბრის დასრულებისას ან შეწყვეტის შემთხვევაში, როცა მთხრობელი, ან ვერ აგრძელებს, ან არ სურს საუბრის გაგრძელება:

- ანნემა იტყვის, რომ დღეს საქმობელი ინსნები მყავდენ, ვასაქმე, საჭმელი გუუკეთე, მევდალე იშტე';
- მიორე არ მეÁყვანა, ნიშანლია ჯერ, მიორე დანიშნული მყავს, ზამთარში მეყვანონდა იშტე';
- ერთი ბიჭი ქალაქშია, იმას ბალნებიც ყავს, ძალიც ყავს... არიან იშტე';
- ვჭამთ, ვსვამთ, ვართ იშტე'; შენ რა გაგანებიო იშტე'...

ერთგვარი დანანება - სევდის გამომხატველია ეი კიდი//ჰაÁ კიდი' შორისდებული:

- ეი კიდი, ჩეთინი იყო ცხოვრება;
- ეი კიდი, თეელი რამე ავსილია-მეთქი აქ, ადრე რამ არ იყო;
- ჰაÁ კიდი, რა კაÁ დრო იყო....

მარადიდულ კლარჯულ თხრობაში განსაკუთრებით თვალში საცემია დუბლირებული კომპოზიტები, რომლის მეორე ნაწილი ყოველთვის მ'- პრეფიქსიანი ფორმაა და რომელსაც ძირითადად

იყენებენ ისეთ შემთხვევებში, როცა ერთი რიგის სახელებია ჩამოსათვლელი:

- არ დარჩენ ხალხი. დომუზებმა **თხილი-მილი** ჭამდენ, ახლა კიდევ ჭამვენ, **თოფი-მოფი** აყრიან...;
- მერე სახში დაჯდებოდენ, **საჭმელები-მაჭმელებს** იქნებოდა ბოური, **საჭმელი-მაჭმელი** მოთავდებოდა, იმის მემრე დეიწყებდენ ხუმრობა; სახლები დააქციენ. შაჭმელი მიცენ: **ფილავი-მილავი**, **შეჭამენ**, დარჩენ;
- ამნებს არ ეამებოდა მოკლეკლავიანი, **აჩუღი-მაჩუღი**;
- ბებიამისი, ბაბუამისი წეველით, გოგო მოვთხვეთ, დავაბით ბეჭედი, **ქორწილი-მორწილი**, ვსიო;
- მისი სულისთინ უკითხებენ, **ღვინო-მინო** არ ალი;
- ყველი-მელი არ ვაკეთავთ, ერთი ძროხა მყავს;
- ქალაქი-მალაქი არ ვიცი. ჩემი ბიჭი იქ ნასაქმია და იცის;
- **ტათლი-მათლი** გავაკეთავთ, წუუღებდით წასლიხან. ახლა არა, ახლა მაღაზიაშია ხაზირი;
- არ დარჩენ ხალხი. დომუზებმა **თხილი-მილი** ჭამდენ, ახლა კიდევ ჭამვენ, **თოფი-მოფი** აყრიან...;
- მერე სახში დაჯდებოდენ, **საჭმელები-მაჭმელებს** იქნებოდა ბოური, **საჭმელი-მაჭმელი** მოთავდებოდა;
- ძროხას ვარჩენდი, **ხობო-მობო** ვზდიდი;
- თუ ნაჭიჭყი-მაჭიჭყი ქალია და ფეხით მეგემ დადის მაინც არ იყიდიან;
- მე **სურათი-მურათი** არ მინდა...

საუბრისას საინტერესო და თავისებურ ინტონაციას ქმნის **უნდა**’ ნაწილაკის განსხვავებული ვარიანტები, რომელიც სამი ფორმით გვხვდება მარადიდულ კლარჯულში. ის დაერთვის თითქმის ყველა მეტყველების ნაწილს და შეიძლება ერთ წინადადებაში რამდენჯერმე იქნეს გამოყენებული:

**უნდა’→ნა’/და’/ნდა’:**

- სოდადები ჩემწერო’ნა? რათ გინდა?;

- აქ წამომთო, უთქმია დედეს. მაქ **რა’ნა** ვქანათ ფეხჩორუზიან თურქეფშიო, დარჩენილან, არ წამოვდეს;
- კაცზე მეტი კად **არ’ნა** თქვაო, **არ’ნა** მუუღობოო, არ შექჩესო;
- **კარი’ნა** დუუტიო;
- არ მიქნიაო, მარა წამოვალო. წალამდი **საჭმელი’ნა** გაჭამოთ’ნაო, შორიდან მოხველითო;
- შენ ნავში’ნა დადგეო თუ წეხვიდეო;
- უყვირია! სალდათმა ფიშელი მიცა, **მოგვლა’ნაო**;
- ახლა ამას ადგილის სახელები უნდა, ვუთხრათ, **ყველაფერი’ნა** იცოდეს, ქითაბიზა დაჭირდება;
- **ენა’ნა** გატეხო, რომ თქვა; ის მამამისის სახში, მისი’ნა მოკრიფოა, დილად წევდა;
- ერთი მუსაფირები მომივდა...; **წევდე’ნა**;
- ამ ქალმა მალაპარიკავს. სხვა **რა’ნა** გითხრა, გავათავე; **რატონ’ნა** გიმიკვირდენ?
- ჩენ არ ვიცით რომ, **რა’ნა** გითხრათ;
- იმამ ხოფეÁდან მექთები გამუუგზანა ფაფაზ, **მუსლიმანი’ნა** გახდე თუ **არ’ნა** გახდეო; **არ’ნა** გავხდეო;
- ეთხოვა, **ჩამოსულიყო’ნა** აქდა ბოვრი კაცი’ნა ყაჩიმიდან, ძგაფ, აჭრიან...
- მაგინავს, **მუზიკად’და** მინახოვო. დავულჯი ვნახე, ზურნაჯი – ვერა;
- ზამთარში ვინმე არაა, **ვიზ’და** შევდეს, რაში ჭირია?
- დიდმა **რაფერ’და** დევძახოს; ხელი **წუუსვა’და**, ფარა’და აგართვა’და გომა;
- წინეთ **ბაბა-ნენეს’და** მოწონდენ, სხვა თეელი ვერ ითხოვდი;
- დედეს უთქმია, ტილიანი თურქი **რათ’და** ვქნაო, მერე აქ მოსულა;
- ამოსულან სალდათები, **წიგიყვანოთ’დაო**, უთქმიან ამ კაცისთინ;
- რუსმა გზავნიდა კაცებს, **დეეწავლა’და** **რამდენი** ჯარია, კაცია...;
- ჩემი ბაბამა იტყოდა, ჩემი გოგო **ახლოს’და** იყოს, ფეშტემალი უმუხსნელი მოვდესდაო;
- **თეელი’და** მედტანო;

– მე ბორჩხას გაზდილი ვარ და დედამთილს ვუთხარი, ისინი თავღია’და მოვდონ, პანტალონები’და ეცვან და მე’და ჩევცვა?

- ბიჭის თარაფმა თევლი’და მეატანონ;
- სახში ქონდა, მარა შენი შენ ქქონდეს’და;
- ზამთარში ვინმე არაა, ვინ’და შევდეს, რაში ჭირია?...
- კაცმა უთხრა, შენი ასე ნაქნი გულგნიანო, წიგიყვანონ’ნდაო;
- აქავრი საქმე იქ უძლევია, იქავრი – აქა. უთქმიან, დაგუარქო’ნდაო;

– შვილო, ერთი სოფლიდან ჩემი თანაკლასელია და დაგა-ქორწილო’ნდა, ჰამა, ერთი ინსიტუტში წევდა, იქიდან ითხოვა, ერთი ართვინიდან ითხოვა.

არის შემთხვევები, როცა ერთ წინადადებაში ორივე შემოკლებული ფორმა ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა წევრთან გამოიყენება:

- ის მამამისის სახში, მისი’ნა მოკრიფო’და, დილად წევდა;
- ალი რომ არ დეეცეს ორმოცამდე’და უფრთხილო, გარეთ არ’ნა გაახედიო, რომ ალი დეეცემა, მოარიდო’ნა;
- დღეს’ნა ჩამოვდენ ისე გავს, ამადა’და ჩამოვდენ...

თავისებური ინტონაციით წარმოთქვამენ წინადადების ბოლოს კითხვით ნაწილაკისა და შორისდებულის ფუნქციით გამოყენებულ მავ//აა ელემენტს.

რამდენი ვიცინე, მავ?: ზარალი აძლევს თურქეთშიო, მავ?:  
თუნელი გამეआრეთ, აა?

მიუხედავად იმისა, რომ შეძლებისდაგვარად წარმოვადგინეთ მარადიდული კლარჯული თხრობის თავისებურებანი, მაინც შეიძლება ითქვას, რომ თქმულის ქაღალდზე ზუსტად გადატანა და მკითხველამდე ზუსტად მიტანა შეუძლებელია, ნებისმიერი კარგად ჩაწერილი ტექსტი მხოლოდ მიახლოებით ასახავს ზეპირმეტყველებას, როგორც პროფ. მ. ფაღავა აღნიშნავს: „დიალექტური მასალის ჩაწერა რთული საქმეა. მკვლევარი ვალდებულია და ცდილობს კიდევ ჩაწერილ ტექსტს მაქსიმალურად შეუნარჩუნოს ბუნებრივი ჟღერადობა..., როგორ ჩაიწეროს მასალა ისე, რომ მკითხველმა სწორად აღიქვას დიალექტური წარმოთქმის თავისებურება, როგორ ასახოს დიალექტურ ტექსტში ცოცხალი მეტყველებისთვის დამახასიათებელი, ვთქვათ, დინჯი

საუბარი, რაც ასე განასხვავებს ერთმანეთისაგან ერთი სოფლისა თუ ხეობის მეტყველებას მეორისაგან“ (ფაღავა, 2015: 127-128). ასეთ თავისებურებებზე ზოგჯერ რესპოდენტიც მიგვანიშნებს: „მარადიდლებმა მეტი სხვანაირი ლაპარიკი იცან, ტეხნიკური გიაში“ (ცინცაძე, 1952:1). „ყიაში სიტყვის ტეხა“ შეუძლებელია ჩაიწერო და გააგებინო მკითხველს, რომლისთვისაც უცხოა მოცემული დიალექტი. ამიტომაცა, რომ ჩაწერილი დიალექტური მასალა სწორად აღიქმება და გაიგება მხოლოდ ამ დიალექტის მატარებლისთვის, რადგან: „სხვა დიალექტზე მეტყველისათვის მისი აღქმა-გაგების ხარისხი იკლებს კილოურ თავისებურებათა ზრდის შესაბამისად“ (გვანცელაძე, გვანცელაძე, 2000:47).

**დასკვნა.** ამრიგად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი მარადიდული კლარჯული თხრობისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი მარადიდელთა მეტყველების ფაქტია, რომელსაც ხშირ შემთხვევაში შინაგანი, იმანენტური კანონზომიერებანი განაპირობებს, ზოგ შემთხვევაშიც კი - ლექსიკური მარაგის სიმწირე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- გვანცელაძე, გ. გვანცელაძე, თ. (2000). ქართულ დიალექტთა ურთიერთმიმართება და დიალექტური ტექსტის აღქმა-გაგების ხარისხი. XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბილისი;
- გოგოლაშვილი, გ. (2011). თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი;
- ლოლაძე, ნ. (2004). არის' ზმანა ქართველურ ენებში (ფუნქციური ანალიზი). გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი;
- ჟღენტი, ს. (1963). ქართული ენის რიტმულ - მელოდიკური სტრუქტურა. თბილისი;
- ფაღავა, მ. (2015). სამხრული კილოუბი - შესწავლის მდგრამარეობა და კვლევის პერსპექტივები. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XIII, თბილისი;
- ცინცაძე, მ. (1952). დაკვირვებანი ბათუმის მკვიდრთა მეტყველებაზე. საქართველოს სსრ სტუდენტთა IV სამეცნიერო

კონფერენციის, მოხსენებათა გეგემა და თეზისები, თბილისი;

ჭიკაძე, რ. (2017). კახური ნარატივის ენობრივი იმუნიტეტი. „კულტურათაშორისი დიალოგები“, IV, თბილისი;

ჯორბენაძე, ბ. (1989). ქართული დიალუგებოლოგია. I, თბილისი.

#### **REFERENCES:**

- Gvantseladze, G., Gvantseladze T. (2000). *Kartul Dialekt'ta urtiertmimarteba da dialekt'uri tekstis aghkma-gagebis khariskhi*. XX respublikuri dialektologiuri sesiis masalebi, Tbilisi;
- Gogolashvili, G., (2011). *Tanamedrove kartuli enis morfologia. gamomtsemloba „meridiani“*, Tbilisi;
- Loladze, N. (2004). *aris' zmna kartvelur enebshi (punktsiuri analizi). gamomcemloba „tsodna“*, Tbilisi;
- Zhghent'i, S. (1963). *Kartuli enis rit'mul-melodikuri st'rukt'ura*. Tbilisi;
- Paghava, M. (2015). *Samkhruli kiloebi – shestsavlis mdgomareoba da kvlevis perspekt'ivebi, kartvelur enat'a st'rukturis sakitkhebi*. XIII, Tbilisi;
- Tsintsadze, M. (1952). *Dakvirvebani Batumis mkvidrta met'qvelebaze. Sakartvelos st'udent'ta IV sametsniero konperentsiis mokhsenebata gegma da tezisebi*. Tbilisi;
- Gh'ikadze, R. (2017). *Kakhuri narat'ivis enobrivi imunit'et'i. „kult'uratashorisi dialogebi“*, IV. Tbilisi.
- Jorbenadze, B. (1989). *Kartuli dialektologia*. I, Tbilisi.

## Narrative features of Maradidi Klarjuli

Natela Phartenadze

Assoc. Professor

Department of Georgian Philology,  
Batumi Shota Rustaveli State University  
Georgia, Batumi, Ninoshvili st. 32/35  
+995 577 179 744, natia.phartenadze@bsu.edu.ge  
ORCID identifieris 0000-0001-7919-8635

### Abstract.

Dialect, as a kind of language, is characterized by a type of linguistic immunity, which contributes to the preservation of verbal originality. Since the dialect is a presentation of oral speech, special importance is attached to the manner of speech, such as: intonation, tempo of speech, grammatical and expressive features, modal-expressive forms of behavior, vocabulary-phraseology, etc. In this regard, the narrative of Maradidi Klarjuli and its features are very diverse and interesting.

The manner of speech in the process of oral speech is significantly influenced by the tone and intonation of a speaker, thereby the narrator expresses his emotional attitude to what is being said. In addition, intonation performs not only the function of expression, but also has its own content as an essential component of sentence construction. Sentences of this structure are often found in Maradidi's speech. In particular, the intonational circulation of the interlocutor creates a kind of compressed construction of a complex sentence with the conjunction რომ ("that"), it mostly concerns the entire dependent sentence and always indicates a positive, somewhat exaggerated action. It is often used for personal praise (ჩვენ იმდონ სიმინდი მაქვან, რუმე...). In such cases, the vowel sound in the conjunction რომ is pronounced for a long time, and it is in this intonation that the content and main meaning lie.

The intonational-expressive function of the conjunction-particles **თუ** - “or” and **და** - “and” is clearly expressed in Maradidi Klarjuli, what is especially noticeable in the question-answer compressed constructions, mainly in the final position (- მე და შენ ერთი ვართ **თუ?** – ბათუმი აქავრზე კაÁა **თუ?** – ძალი ჩემთანაა **თუ?** - ქალაქშია; რამ არ უშავს, რამ ეტყვის **თუ?** – წეხვიდეთ, **თუ?**...).

A conjunction-particle can be rarely found in the middle position (იცი **თუ** ბაÁრამი? სხვა’ნა მოხვიდეთ **თუ** კიდო?...).

The conjunction-particle **და**-“and” is mainly characteristic of the southern dialects and is well expressed in Maradidi Klarjuli, which in some cases has the intonation of a request and often no longer requires continuation of the thought; the sentence ends with the prolonged intonation or, occasionally, is continued with a clarification (- გაბიწყდება’**და**, ბევრი დრო გედარა; - გურჯი ვარ’**და**, ჩემი ლაპარივი ვერ არიგებენ; - მოთხვე’**და!**; - ვიღაპარივე’**და**, სხვა რამ არ ვიცი...).

The intonation factor is so important in a conversation that it creates a specific sentence construction, thereby revealing the speaker's attitude to the narrated.

The adverb **მერე//მემრე** -“then” is often used in the Maradidi dialect. However, it is sometimes replaced by the form with the same meaning - **იმის უკან**. The above forms in this case are conjunctions and do not convey a specific time; but they are time determiners of the entire sentence and, together with a joined verb-predicate, show the result of the previous narrative, or the intensity of the action process, the usual action...

Obviously, the adverbs **მერე//მემრე//მემრენ//იმის უკან** create a semantic field of the future tense, although in these contexts the verb-predicate, attached to it, expresses not a specific time, but an indefinite, general time, and also includes an understanding of the plurality of action .

All this confirms the generally accepted position, according to which universal timeliness and ordinariness are sought in the internal dimension of each tense.

Maradidi Klarjuli's narration focuses on the relationship between real and grammatical tense. For a speaker, relative tense is often more important than grammar, what supports the notion that "time is a somewhat semantic category, not a grammatical one". The same question is related to the time transfer factor: an action taking place in the present is transferred to the past and future (რატონ მოხველი და ახლა შიმიყვარდენ და არ' ნა დამავიწყო...).

In this case, the action transmitted by the present is understood as something that happened in the past or will happen in the future, but does not contain a specific understanding of time. In fact, this is a common present, which points to a common spatial thinking.

In the narration of Maradidi, a transitional stage of the structural form of the sentence is observed, what is manifested in paratactical constructions. In particular, this applies to cases when the same word-member is intensively repeated in a conversation, especially a verb-predicate (- მე მაქინა მაქვან, ყველაფერი მაქვან... ძველი ინსნების უსტობა არ მაქვან; – ალთუნი ევლეფთ, ჩასაცმელები ევლეფთ, რაცხა უნდანან ის ერგებენ; – ტათლი მეათხოვდენ. ბიჭის სახში გოგოს თერჯო მეათხოვდენ ქათამი, თხილი...).

The verb-predicate **არის**—"to be" is also often used with a common-indefinite meaning, when it is functionally independent and is not part of the compound predicate (აქ ყველაფერი არი: ჩაი არი, თხილი არი, სხვა რამ არ არი...).

In addition to the verb-predicate, the intensive repetition of another word-member is also confirmed (– პაწაჟი ლობიაჟი, პაწაჟი სიმინდი, პაწაჟი ბიბერი მაქ დარგილი...).

In the Maradidi narrative, duplicated composites are especially striking. The second part of them is always a form with the prefix **მ-** and they are used mainly in cases where a number of things need to be listed. (თხილი-მილი; თოფი-მოფი; საჭმელები-მაჭმელებს; ღვინო-მინო...)

Various variants of a word **უნდა** -“should/must”, found in three forms, create an interesting and peculiar intonation in a speech. It is attached to almost every part of speech and can be used several times in one and the same sentence: **უნდა’→ნა’/და’/ნდა’**.

It can be said that it is impossible to accurately convey what was said both on paper and to a reader, any well-written text only approximately reflects oral speech. The researcher is obliged and tries to preserve as much as possible the natural sound of the written text, how to write the material so that the reader correctly perceives the peculiarity of the dialect pronunciation, how to reflect in the dialect text the characteristics of live speech, for example, restrained conversation, which thus distinguishes the dialect of one village or valley from another. That is why the written dialect material is correctly perceived and understood only by the native speaker of the given dialect, since for a speaker of another dialect, the degree of his perception-understanding decreases with the increase in dialectical features.

**Keywords:** dialects; speech; narration; feature; intonation; timbre; modal-expressive forms of behavior.

ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა  
LINGUISTICS, LITERARY CRITICISM

---

---

კულტურულ-სპეციფიკური სიტყვების თარგმანი  
„ვეფხისტყაოსნის“ თურქულ თარგმანში

ნონა ნიქაბაძე  
დოქტორანტი,  
შპს „გეორასინი“, საქართველო, 6010,  
ბათუმი. ზ. გორგილაძის 2/9  
+955555540887, nona.nikabadze@gmail.com  
ORCID ID 0000-0001-5315-5848

**აბსტრაქტი.**

ნაშრომში წარმოგიდგენთ „ვეფხისტყაოსნის“ თურქული თარგმანის კულტურულ-სპეციფიკური ფაქტორებით განპირობებულ სირთულეებს. ტექსტების შედარების საფუძველზე ემპირიულად დავადგენთ ორიგინალი ტექსტის სამიზნე ტექსტთან სიახლოვეს და შევაფასებთ თარგმანის მხატვრულობას. მხატვრული ტექსტის თარგმანის ხარისხის შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წყარო-ტექსტში გამოყენებული მხატვრული საშუალებების მიზან-ტექსტში გადატანის საკითხს, როგორიცაა, მაგალითად, ეპიტეთებისა და მეტაფორების გადატანა „ვეფხისტყაოსნის“ თურქულ თარგმანში. ასევე საყურადღებოა სოციოკულტურული კონცეპტების თარგმანიც.

ჩვენი მიზანია, გამოვიკვლიოთ ეკვივალენტების შერჩევის პრინციპი და შევაფასოთ მთარგმნელის სტრატეგიები.

**საძიებო სიტყვები:** ვეფხისტყაოსანი; თარგმანი; ეკვივალენტობა; თურქული თარგმანი; კულტურა.

**შესავალი.**

თარგმანის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ადეკვატურად შეძლო მთარგმნელმა ორიგინალ ტექსტში მოცემული

შინაარსის გაგება როგორც ენობრივი, ასევე ფილოსოფიური თვალსაზრისით. მთარგმნელი თარგმნის პროცესში ხშირად აწყდება სირთულეებს, რადგან ის არაა იმ კულტურის წარმომადგენელი, რომელ ენაზეც ტექსტის თარგმნის. მან თარგმანში უნდა მოძებნოს წყარო ტექსტის ანალოგიური ფორმა, რათა შექმნას შესაბამისი შთაბეჭდილება, რომ თარგმანი ორიგინალის ეკვივალენტია.

### მეთოდი.

კვლევის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს წარმოადგენს - „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალი ტექსტისა და თარგმანის კორპუსლინგვისტური ანალიზი. მუშაობის პროცესში გამოყენებულია კორპუსლინგვისტური მეთოდი, რომელიც თანამედროვე ჰუმანიტარულ კვლევებში აქტუალურია. ამ მეთოდის გამოყენება დიდი მოცულობის ემპირიული მასალის სწრაფად და ეფექტურად დამუშავების საშუალებას იძლევა.

### შედეგები.

როგორც წინასწარმა კვლევამ გვიჩვენა თარგმანში დასტუდება კულტურულ-სპეციფიკური კონცეპტების სხვადასხვა ფორმით გადატანა. ტექსტების შედარების საფუძველზე ემპირიულად დავადგინეთ ორიგინალი ტექსტის სამიზნე ტექსტთან სიახლოვე და შევაფასეთ მთარგმნელის სტრატეგია. აღვწერეთ თარგმანში მხატვრული ხერხებისა და სოციოკულტურული ლექსიკური ერთეულების ორიგინალ ტექსტთან შესაბამისობა.

### დისკუსია.

სამიზნე ენაში ხშირად ვხვდებით კულტურულ-სპეციფიკურ შესატყვისებს, როდესაც მთარგმნელი ცდილობას საკუთარ კულტურას მოარგოს ორიგინალ ტექსტში არსებული ლექსიკური ერთეულები. ორიგინალ ტექსტში ხშირად ვვხვდება მეტაფორები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში შესატყვისით გადატანილი არაა თარგმანში (არა იმიტომ რომ შესატყვისი არ არსებობს), არამედ განსხვავებას ორ კულტურას შორის არსებული ლინგვოეთნიკური ბარიერი განაპირობებს. პირველ რიგში განვიხილავთ კონცეპტებს მზესა და მთვარეს თურქულ თარგმანში.

105 ადგა და კარსა მივიდა, ჰქონდა მზისაც ცილობა

დინდ.: Geldi şahin kapısına, o gül yüzlü **aya** benzer (მოვიდა შახის კართან, ვარდის სახიანი მთვარის მსგავსი).

ორიგინალ ტექსტში მეტაფორა **მზე**, რომელიც თინათინის მშვენიერებას უსვამს ხაზს, თარგმანში გადატანილია მეტაფორით **მთვარე**. მთვარის სიმბოლიკა, რომელიც ხშირად გვხვდება მუსლიმურ კუტურაში, მშვენიერებას გამოხატავს და ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლურ ლიტერატურაში. თურქულ კლასიკურ ლიტერატურაში (დივანის ლიტერატურა) არამხოლოდ მთვარის, არამედ მზის მეტაფორასაც ვხვდებით, თუმცა მთვარე თავისი მშვენიერებით ყოველთვის ჩრდილავს მზეს. „შეყვარებულის მწველი, მთვარის მსგავსი ქათქათა სახე, სიკაშკაშით მზესაც კი ჩრდილში ტოვებს“ (Onan, 1991: 36). „შეყვარებულის ადგილი მიჯნურის თვალში იმდენად სრულყოფილი და აძალლებულია, რომ ზეცის ხელმწიფე მზეც კი მთვარის სახიანი შეყვარებლის მონაა“ (Ay, 2009:151). (თარგმანი ჩვ. ნ. ნ.). მთვარის მეტაფორა ასევე გვხვდება სპარსული ლიტერატურის გამორჩეულ პოეტ ნიზამი განჯელის პოემებში „ხოსროვ და შირინ“, სადაც ასულისა და ვაჟის სილამაზის დასახატავად პოემაში უმთავრესად მთვარეა გამოყენებული. „ლეილა და მეჯნუნში“ ლეილას სილამაზე ძირითადად მთვარის სილამაზითაა გადმოცემული. პოემაში „შვიდთა ლამაზთა ასულთა“ მთვარესთან შედარება უფრო ხშირად გვხვდება ვიდრე მზესთან (ნიზამე, 1957:151). როგორც უკვე აღვნიშნეთ აღმოსავლურ ლიტერატურაში მშვენიერების გამოსახატავად ხშირად გვხვდება მზისა და მთვარის მეტაფორა ან ეპითეტი, თუმცა სილამაზის მთვარესთან შედარება უფრო გავრცელებულია, ვიდრე მზესთან.

საინტერესოა მთარგმნელის სტრატეგია უშუალოდ ლექსიკური ერთეულის **მთვარის** თარგმნისას, როგორ გადააქვს ის სამიზნე ტექსტში, პირდაპირი თარგმანით, ინტერპრეტაციით თუ უშუალოდ თურქულ ლიტერატურაში გავრცელებული შესატყვისით. მომდევნო ტაეპში **მთვარე** თარგმნილია, როგორც *Dolunay*.

38 მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითამცა ჰეთადრა მტერობა?!

დინდ.: **Dolunayın** huzurunda yıldız olmaz mı hiç zelil?! (სავსე  
მთვარის წინაშე განავარსკვლავი მცხრალი არაა?!)

**Dolunay** - ქართულ-თურქულ ლექსიკონში განმარტებულია შემდეგნაირად: 1) სავსე მთვარე, ბადრი მთვარე (გურგენიძე, ჩლაიძე, 2001:369). ეს სიტყვა თურქულ ლიტერატურაში სილა-მაზის მეტაფორად ხშირად გამოიყენება და მთვარის ყველაზე ლამაზ მდგომარეობად მიიჩნევა. ბადრი მთვარის შესახებ სხვადასხვა წყაროში ვხვდებით ინტერპრეტაციას. მაგ: „ბადრი მთვარე მთვარის ყველაზე ლამაზი მდგომარეობაა, ბადრი მთვ-არე მზის ჩასვლამდე ამოდის“ (Erçel, 2020:39). დივანის ლიტე-რატურის ცნობილი პოეტი ფუზული ერთ-ერთ ბეითში (ბეითი - დივანის ლიტერატურაში ორ სტროფიანი ლექსი) წერს:

Çıhma yârim giceler ağıyar te'nindan sakın

Sen **meh-i** evc-i melâhatsin bu noksândır sana

„საყვარელო, შუაღამით გარეთ არ გახვიდე, უცხო თვალს ერიდე. შენ ცის მშვენიერების უმაღლეს მწვერვალზე მდებარე ბადრი მთვარე ხარ, ღამით სიარული შენ არ შეგშვენის, ნაკლად ჩაგითვლიან“ (İpekten, 1991:115-116). (თარგმანი ჩვ. ნ. ნ.). როგორც მაგალითებიდან ჩანს სიტყვა **dolunay** - ბადრი მთვარე, ასტროლოგიური სხეულისა და მხატვრული ხერხის მნიშვნელობით ითარგმნება. წყარო ტესქტში არსებული „მთვარე“ მეფე როსტევანს მიემართება და ეს ლექსიკური ერთეული შეგვიძლია ვთქვათ რომ სამიზნე ტექსტში ადეკვატურადაა გადატანილი.

ჩვენ განვიხილეთ კონცეპტ „მზისა“ და „მთვარის“ თითო შემთხვევა თუ როგორაა გადატანილი თურქულ თარგმანში. ეს კონცეპტები „ვეფხისტყაოსანში“ სხვადასხვა სახით გვხვდება - ტექსტში დასტურდება ასტროლოგიური სხეულის, მხატვრული ხერხისა თუ ფიცის ფორმულის შემთხვევები, რომლებზეც უფრო ვრცლად სხვა დროს ვისაუბრებთ. მომდევნო კულტურულ-სპეციფიკური სიტყვებია ალვა და კენარი.

51 მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია

**Çoñçço:** Cömertlik şahlar için cennetteki **tuba ağacı**

ალვის ხე „ვეგხისტყაოსანში“ სხვადასხვა მხატვრული ხერბ-ითაა წარმოდგენილი, ხშირად ის მეტაფორის, შედარების და ეპითეტის სახით გვხვდება, რაც ტექსტში მთავარი გმირის მშვენიერებასა და ტანწერწეტობას გამოხატავს, ასევე იწოდება „ედემის ხედ“. მოცემულ ტაქტში ის სწორედ „ედემის ხის“ მნიშვნელობითაა წარმოდგენილი. ლია წერეთელის მიხედვით „ალვა ედემს დანერგული“ მოაზრებულია „სიცოცხლის ხის“ ფუნქციით, რომელიც სურნელს გამოსცემს, ღვთის მადლის მოძფენია“ (წერეთელი, 2011-2012:60). ეს სიტყვა თურქულ თარგ-მანში გადატანილია შემდეგნაირად: **tuba ağacı**, რაც ქართულად ნიშნავს - 1) სამოთხის ხე; ხე, რომლის ქვეშაც არის სამოთხე (გურგენიძე, ჩლაიძე, 2001:1374). **Tuba ağacı**-ს ასე ახასიათებენ: „ფესვები მაღლა, ტოტები დაბლა აქვს. მუსლიმურ კულტურაში მიღებულია რომ თუბას ხის ქვეშა მოქცეული მთელი სამოთხე“ (Yücel, 2013:41). ისლამურ კულტურაში ხის სიმბოლიკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. რელიგიური კონცეპტი **tuba ağacı** მუსლიმთა წმინდა წიგნში ხშირადაა ნახსენები, ის არამხოლოდ ედემის ხის, „არამედ სიცოცხლის ხის სახითაც გვხვდება“ (Ağac, Sakarya, 2015:8), როგორც დასტურდება ქართულ და თურქულ ენებში ალვის ხეს საერთო მნიშვნელობები აქვს.

მომდევნო ტაპში თარგმნილი არაა ეპითეტი კენარი, რაც ნოდარ ნათაძესთან განმარტებულია შემდეგნაირად - „ტანწერწეტი ხე. ეს ეპითეტი წერწეტ ტანს“ აღნიშნავს (ნათაძე, 2007:29).

60 ადგეს სოგრატ და ავთანდილ ტანითა მით კენარითა,

დინდ.: Sokrat ile Aftandil'in ellerinde birer kadeh (*სოგრატი და ავთანდილი ხელში თითო სასმისით*).

მოცემული სიტყვის შესატყვისით თურქულ ლიტერატურაში კვიპაროსის ხეა - *selvi/servi/ ağaç*. „დივანის ლიტერატურაში ყველაზე ხშირად ხეების სახეობებიდან კვიპაროსის ხე გახვდება. კვიპაროსი, გრძელი და სწორი ხეა. დივანის ლიტერატურაში სიმაღლის გამო შეყვარებულს კვიპაროსს ადარებენ. შეყვა-

რებულის ტანი კვიპაროსივით წვრილი/თხელი და გრძელია“ (Hakverdioğlu, 2016:218). უფრო მეტიც, შეყვარებულის ტანი დივანის კლასიკურ ლექსში ფართოდ გავრცელებული ელემენტია, რომელზეც პოეტები ყველაზე ხშირად საუბრობენ (Aksu, 2017: 125). მიუხედავად იმისა რომ კენარის ეკვივალენტი თურქულ კლასიკურ ლიტერატურაში (დივანის ლიტერატურაში) კვიპაროსის ხეა, მთარგმნელი მას უგულებელყოფს.

თარგმანში ხშირად გვხვდება სოციოკულტურული ფაქტორით განპირობებული განსხვავებები. მაგ: მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკურ ერთეულ „მეფე“-ს თურქულ ენაში აქვს ზუსტი ეკვივალენტი **kral** - მეფე, ხელმწიფე (გურგენიძე, ჩლაიძე, 2001:881), თურქულ თარგმანში მთარგმნელს ეს სიტყვები გადააქვს შემდეგაირად – ფადიშაპი, შაპი, სულთანი, შაპინშაპი.

61 დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიცინის პირიო

დინდ.: Vezir dedi **padişahım**, değişildi cemaliniz (ფადიშაპი)

62 რა მეფემან მოისმინა, გაცინებით შემოჰედნა

დინდ.: **Şah** bu sözleri dinleyip, ona baktı güle güle (შაპი)

35 მეფემან იხმნა ვაზირნი, თვით ზის ლალი და წყნარია

დინდ.: Birgün tahta çıktı **sultan** azametle, vezirleri (სულთანი)

117 მე ამას ვარჩევ: მეფე ხარ, მეფეთა ზედა მფლობელი

დინდ.: Ey **şahenşah**, işte sana son nasihatimdir bu (შაპინშაპი)

აღსანიშნავია რომ მთარგმნელის მიერ გამოყენებული ლექსიკური ერთეულები აღმოსავლურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული სიტყვებია, წოდებით კი ფადიშაპი, შაპი, სულთანი და შაპინშაპი ერთმანეთის სინონიმებია. მთარგმნელი ცდილობს სამიზანე ენაში მოძებნოს შესაბამისი შესატყვისები. ის სიტყვა მეფეს თავის კულტურაში არსებული სხვადასხვა სინონიმებით თარგმნის. მთარგმნელის სტრატეგია საკუთარ კულტურულ

კონტექსტს მოარგოს მოცემული ლექსიკური ერთეულების თარგმანი მართებულად მიგვაჩნია.

## დასკვნა.

ჩვენ შევეცადეთ „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალ ტექსტსა და თურქულ თარგმანზე დაყრდნობით წარმოგვედგინა კულტურულ-სპეციფიკური განსხვავებები. განვიხილეთ მხატვრული ხერხებისა და სოციოკულტურული ლექსიკური ერთეულების გადატანა წყარო ენიდან სამიზნე ენაზე. ზოგიერთ შემთხვევაში თარგმანში სრულიად ვერ ხერხდება ავტორის აზრების სრულფასოვნად ასახვა, თუმცა გასაგებია რომ განსხვავებული კულტურის მატარებელი მთარგმნელისთვის ეს რთულ ამოცანას წარმაოდგენს. ზოგჯერ კი მთარგმნელი გვთავაზობს საკუთარ კულტურულ კონტექსტზე მორგებულ სიტყვებს, რაც იმას ნიშნავს რომ ის ყურადღებას ამახვილებს კულტურულ შესაბამისობაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- გურგენიძე, ნ. ჩლაიძე, ლ. (2018). თურქულ - ქართული ლექსიკონი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. სტამბოლი;
- ნათაძე, ნ. (2002). „ვეფხისტყაოსანი“ (სასკოლო გამოცემა).
- თბილისი;
- ნოზაძე, ვ. (1957). „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“. სანტიაგო დე ჩილე;
- წერეთელი, ლ. (2011-2012). რუსთველოლოგია, ტომი. VI. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამოძემლობა;
- Ağaç, S. (2015). *Menekşe Sakarya. Hayat Ağacı Sembolizmi*. International Journal of Cultural and Social Studies (IntJCSS);
- Akarsu, C. (2017). *DİVAN ARASINDA LUTFİ DİVANI'NIN TAHLİLİ*. Post Yayınevi. İstanbul;
- Ay, Ü. (2009). *Divan Şiirinde Güneşin Sevgili Tipine Yansımı Hakkında Bir Değerlendirme*. Divan Edebiyatı Araştırmaları Dergisi 2. İstanbul;
- Erçel, G. (2020). *Edebiyat Sözlüğü*. Kafekitap yayinevi;

- İpekten, H., (1991). *Fuzûlî, Hayatı, Edebi Kişiliği ve Bazı Şiirlerinin Açıklaması*, Ankara;
- Onan, N. H. (1991). *İzahlı Divan Şiiri Antolojisi*. MEB Yayınevi. İstanbul;
- Yücel, Ö. (2013). *Dîvân Şiirinde Ağaç: Ağaçlara Dair Söz Varlığı ve Tasrif Usulleri*. Journal of Research in Turkic Languages. London.

#### **REFERENCES:**

- Gurgenidze, N. Chlaidze, L. (2001). *Turkul-Kartuli Leksikoni [Turkish-Georgian Dictionary]*. Sakartvelos Metsnierebata Akademiis Aghmosavletmtsodneobis Inst'it'ut'i. St'amboli;
- Natadze, N. (2002). „*Vepkhist'qaosani*“ (Sask'olo Gamotsema). Tbilisi;
- Nozadze, V. (1957). „*Vepkhist'qaosnis Mzismet'qveleba*“. Sant'iago de Chile.;
- Ts'ereteli, L. (2011-2012). *Rustvelologja. [Rustvelology]*. Tomi. VI. Tbilisi: “lit'erat'uris Inst'it'ut'is Gamomtsemloba”;
- Ağaç, S. (2015). *Meneğe Sakarya. Hayat Ağacı Sembolizmi*. International Journal of Cultural and Social Studies (IntJCSS);
- Akarsu, C. (2017). *DİVAN ARASINDA LUTFİ DİVANI'NIN TAHLİLİ*. Post Yayınevi. İstanbul;
- Ay, Ü. (2009). *Divan Şiirinde Güneşin Sevgili Tipine Yansımısı Hakkında Bir Değerlendirme*. Divan Edebiyatı Araştırmaları Dergisi 2. İstanbul;
- Erçel, G. (2020). *Edebiyat Sözlüğü*. Kafekitap yayınevi;
- İpekten, H., (1991). *Fuzûlî, Hayatı, Edebi Kişiliği ve Bazı Şiirlerinin Açıklaması*, Ankara;
- Onan, N. H. (1991). *İzahlı Divan Şiiri Antolojisi*. MEB Yayınevi. İstanbul;
- Yücel, Ö. (2013). *Dîvân Şiirinde Ağaç: Ağaçlara Dair Söz Varlığı ve Tasrif Usulleri*. Journal of Research in Turkic Languages. London.

**Translation of the cultural-specific words in the Turkish  
translation of „The Knight of the Panter’s Skin“**

**Nona Nikabadze**

PhD student,

„Georasin“ LTD, Georgia, 6010,

Batumi. Z. Gorgiladze 2/9.

+995555540887, [nona.nikabadze@gmail.com](mailto:nona.nikabadze@gmail.com)

ORCID ID 0000-0001-5315-5848

**Abstract.**

The paper presents the difficulties due to the cultural-specific factors of the Turkish translation of "The Knight of the Panter's Skin". Based on the comparison of the texts, we will empirically establish the proximity of the original text to the target text and evaluate the literary translation of the text. In assessing the quality of the translation of a literary text, particular importance is attached to the question of the artistic expressions used in the source text and transferred to the target text, such as, for example, the transfer of epithets and metaphors to the Turkish translation of "The Knight of the Panter's Skin". The translation of sociocultural concepts is also noteworthy.

Our aim is to explore the principle of selecting equivalents and evaluate translator strategies.

**Keywords:** The Knight of the Panter's Skin; Translation; Equivalence; Turkish Translation; Culture.

## ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა

LINGUISTICS, LITERARY CRITICISM

---

პლატონის „გამოქვაბულის მითის“ მხატვრული  
ტრანსფორმაცია კლაივ ლუისის „ნარნიის ქრონიკებში“

ნინო ნიკოლაიშვილი  
ფილოლოგის აკადემიური დოქტორი,  
ითიაი ჰოლდინგი, საქართველო, 6010,  
ბათუმი, ფარნავაზ მეფის №136  
+95599 10 08 86, ninonikolaishvili1209@gmail.com  
ORCID ID 0000-0002-4582-4631

### აბსტრაქტი.

ფერტეზის ჟანრის კლასიკური ნაწარმოები ლუაივ ლუისის „ნარნიის ქრონიკები“, მთელი თავისი არქეტიპული და მითოლოგემური არსენალით მითოლოგიურ ტრადიციას მიჰყვება. „ქრონიკები“ კოსმოგონიური მითონარატივების კიდევ ერთი უნიკალური ვერსიაა, რომელიც ლიტერატურულად არის გადამუშავებული და შესაბამისად, კოსმოგონიების მითოსურ იდეას ბევრად სცდება. მითოსურ-არქეტიპული ქარგის შესაბამისად, „ქრონიკებშიც“ პოსტკოსმოგონიურ ეპოქას „ოქროს ხანა“ (კრეტა-იუგა) იწყებს, რომელიც თანმიმდევრული რეგრესირებადი იუგებით გრძელდება და საბოლოოდ ესქატოლოგით-სამყაროს აღსასრულით სრულდება.

კლაივ ლუისის „ნარნიის ქრონიკებში“ არა მხოლოდ მითოლოგიურ და რელიგიურ არქეტიპებსა და პარადიგმებს ვხვდებით, არამედ მასზე ფილოსოფოსების გავლენაც თვალნათლივ შეიმჩნევა. განსაკუთრებით საყურადღებოა პლატონის ფილოსოფია, მისი იდეათა სამყარო და გამოქვაბულის მითი.

ლუისის მხატვრული ლიტერატურა პლატონური ელემენტებითაა გაჯერებული, რომელიც ყველაზე მეტად თვალსა-

ჩინოა „უკანასკნელ ბრძოლაში“, სადაც ნარნია, რომელიც წინა ექვს თავში გვხვდებოდა, განსხვავდება „უკანასკნელ ბრძოლაში“ არსებული ნარნიისგან.

პლატონის გავლენა ღუისის „ნარნიის ქრონიკებში“ აშკარაა. ღუისის ტექსტებში ნათლად სჩანს პლატონის ნაშრომების ცოდნა და მის მიმართ დიდი ინტერესი. ასევე აშკარად სჩანს პლატონის იდეების შერწყმა საკუთარ იდეებთან და მითოლოგიურ, ქრისტიანულ და ფილოსოფიურ ჭრილში დანახვა. ღუისის მხატვრულ ლიტერატურაში ქრისტიანული პლატონიზმის ზოგიერთი ელემენტები ადვილად ამოსაცნობია, ხოლო ზოგიერთი ისეა შერწყმული ღუისის საკუთარ თეოლოგიაში, რომ ისინი თითქმის არ განირჩევა, ან ძნელად თუ მივხვდებით, რომ ბერძნული წარმოშობისაა.

ღუისის „უკანასკნელ ბრძოლაში“ გადმოცემული ცის კონცეპცია, ძველი ნარნიის გაუჩინარება და ახალი, ნამდვილი, ზეციური ნარნიის შექმნა რომელსაც ჩვენ მანამდე არ ვიცნობდით, „ფორმისა“ და „ასლის“ იდეასთან თანაზიარია. ის ნარნია, რომელშიც ბავშვები მოგზაურობდნენ და მუდმივად მისი გათავისუფლება უხდებოდათ მტრებისგან თუ ჯადოქრებისგან, თურმე ასლია, მოჩვენებითია, წარმავალია ნამდვილი, მარადიული ნარნიისგან განსხვავებით.

ორთავეს, პლატონსაც და ღუისსაც სჯეროდათ იდეების უცვლელი სამყაროსი, რომელიც მოიცავდა მარადიულ, ობიექტურ და ეთნიკურ სტანდარტებს. მათ ასევე დაასკვნეს, რომ ეს ამჟამინდელი, წარმავალი სამყარო არის უფრო რეალური სამყაროს ჩრდილი, რომელიც მიღმაა.

ღუისის „უკანასკნელი ბრძოლა“ სინკრეტული ხასიათისაა. მასში ასახული მოვლენებით აშკარად იგრძნობა გავლენა ქრისტიანული ესქატოლოგიის, სკანდინავიური მითოლოგიის და ბერძნული ფილოსოფიის.

**საძიებო სიტყვები:** ნარნია; არქეტიპები; პლატონის გამოქვაბულის მითი; ფორმის და ასლის იდეა.

## **შესავალი.**

კლაივ ლუისის „ნარნიის ქრონიკებში“ არა მხოლოდ მითო-ლოგიურ და რელიგიურ არქეტიპებსა და პარადიგმებს ვხვდებით, არამედ მასზე ფილოსოფისების გავლენაც თვალნათლივ შეიმჩნევა. განსაკუთრებით საყურადღებოა პლატონის ფილო-სოფია, მისი იდეათა სამყარო და გამოქვაბულის მითი.

პლატონის გავლენა ლუისის „ნარნიის ქრონიკებში“ აშკარაა. ლუისის ტექსტებში ნათლად სჩანს პლატონის ნაშრომების ცოდნა და მის მიმართ დიდი ინტერესი. ასევე აშკარად სჩანს პლატონის იდეების შერწყმა საკუთარ იდეებთან და მითოლოგიურ, ქრისტიანულ და ფილოსოფიურ ჭრილში დანახვა. ლუისის მხატვრულ ლიტერატურაში ქრისტიანული პლატონიზმის ზოგიერთი ელემენტები ადვილად ამოსაცნობია, ხოლო ზოგიერთი ისეა შერწყმული ლუისის საკუთარ თეოლოგიაში, რომ ისინი თითქმის არ განირჩევა, ან ძნელად თუ მივხვდებით, რომ ბერძნული წარმომობისაა.

## **მეთოდი.**

კომპარატივისტული მეთოდის საშუალებით ნაშრომში შესწავლილია პლატონის გავლენა კლაივ სტეპლ ლუისის შემოქმედებაზე.

## **შედეგები.**

კლაივ ლუისის „ნარნიის ქრონიკებში“ არა მხოლოდ მითოლოგიურ და რელიგიურ არქეტიპებსა და პარადიგმებს ვხვდებით, არამედ მასზე ფილოსოფოსების გავლენაც თვალნათლივ შეიმჩნევა. განსაკუთრებით საყურადღებოა პლატონის ფილო-სოფია, მისი იდეათა სამყარო და გამოქვაბულის მითი.

## **დისკუსია.**

კლაივ ლუისის „ნარნიის ქრონიკებში“ არა მხოლოდ მითო-ლოგიურ და რელიგიურ არქეტიპებსა და პარადიგმებს ვხვდებით, არამედ მასზე ფილოსოფოსების გავლენაც თვალნათლივ შეიმჩნევა. განსაკუთრებით საყურადღებოა პლატონის ფილო-სოფია, მისი იდეათა სამყარო და გამოქვაბულის მითი.

პლატონის გავლენა ლუისის „ნარნიის ქრონიკებში“ აშკარაა. ლუისის ტექსტებში ნათლად სჩანს პლატონის ნაშრომების ცოდნა და მის მიმართ დიდი ინტერესი. ასევე აშკარად სჩანს

პლატონის იდეების შერწყმა საკუთარ იდეებთან და მითოლოგიურ, ქრისტიანულ და ფილოსოფიურ ჭრილში დანახვა. „ლუისის მხატვრულ ლიტერატურაში ქრისტიანული პლატონიზმის ზოგიერთი ელემენტები ადვილად ამოსაცნობია, ხოლო ზოგიერთი ისეა შერწყმული ლუისის საკუთარ თეოლოგიაში, რომ ისინი თითქმის არ განირჩევა, ან ძნელად თუ მივხვდებით, რომ ბერძნული წარმოშობისაა“ (William, 1986:76).

მართალია, ლუისის მხატვრული ლიტერატურა პლატონური ელემენტებითაა გაჯერებული, მაგრამ ეს განსაკუთრებით ყველაზე მეტად თვალსაჩინოა „უკანასკნელ ბრძოლაში“, სადაც ნარნია, რომელიც წინა ექვს თავში გვხვდებოდა, განსხვავდება „უკანასკნელ ბრძოლაში“ არსებული ნარნიისგან. ეს განსხვავება კარგად ჩანს, როდესაც თავლის კარტიდან სხვა სამყაროში მოხვედრილ გაოცებულ ლუსის, პიტერს და სხვა ბავშვებს უხსნის დიგორი, რომ ისინი ახლა ნამდვილ ნარნიაში იმყოფებიან და არა იმ ნარნიაში, რომელიც აღარ არსებობს და ასლი იყო ნამდვილისა. „როდესაც თქვენ ლომმა ასლანმა გითხრათ, რომ ვეღარასოდეს დაბრუნდებოდით ნარნიაში, მან იგულისხმა, ის ნარნია რომელსაც შენ იცნობ. მაგრამ ეს არ იყო ნამდვილი ნარნია. მას აქვს დასაწყისი და დასასრული. ის იყო მხოლოდ აჩრდილი, ასლი ნამდვილი ნარნიისა, რომელიც ყოველთვის აქ იყო და აქ იქნება: როგორც ჩვენი ქვეყანა, ინგლისი და ყველა ქვეყანა, არის აჩრდილი, ან ასლი რაღაცის ასლანის სამყაროში. მთლიანი ნარნია, ყველა ძვირფასი არსება, ყველა გადმოყვანილია კარგების მეშვეობით ნამდვილ ნარნიაში და, რა თქმა უნდა, განსხვავებულია, როგორც ნამდვილი თავისი აჩრდილისგან და როგორც ცხადი სიზმრისგან. და თან დაამატებს - ეს ყველაფერი პლატონშია, ყველაფერი პლატონშია“ (Lewis, 2007:150). მ. ელიადე თავის წიგნში „მარადიული დაბრუნების მითი“, ლაპარაკობს ირანულ კოსმოგონიაში არსებულ ზერვანიზმის ტრადიციაზე. „ზერვანიზმის ტრადიციის თანხმად, „ყველა დედამიწისეულ მოვლენას“, აბსტრაქტულს თუ კონკრეტულს, თავისი ტრანსცენდენტური უჩინარი ანალოგი, პლატონისეული გაგებით, ერთგვარი „იდეა“ შეესაბამება ზეცაზე. თითოეულ საგანს, ყველა ცნებას დუალიზმი, ორმაგი რაობა

ახასიათებს: მენოკი(ზეციური) და გეტიკი (მიწიერი). ხილული ზეცა თუ არსებობს, ესე იგი მენოკის ზეცაც არის, რომელიც უხილავია. ჩვენს დედამიწას თავისი ზეციური ანალოგი აქვს“ (ელიადე, 2017:25). „პლატონის ყველაზე თვალსაჩინო ადგილი, რომელსაც შესაძლოა დიგორი გულისხმობდა, არის „სახელმწიფოს“ მეშვიდე წიგნში თავისი ცნობილი მღვიმის ალეგორიით. ან, როგორც ვალტერ ჰუპერი ვარაუდობს, შესაძლოა „ფედონი“ იყოს, რომელშიც პლატონი განიხილავს უკვდავებას და ცვალებადი ფორმების უცვლელ რეალობას“ (William, 1986:78). პლატონს „სახელმწიფოში“ აღწერილი აქვს მღვიმე, როგორც ხილული სამყარო, რომელშიც ადამიანები ჯაჭვითაა დამბული და უკან დანთებული ცეცხლის სინათლის მეშვეობით ხედავენ გამოსახულებებს, საგანთა ანარეკლს და აჩრდილებს. მაგრამ თუ ისინი მოახერხებენ ამ მღვიმიდან გამოსვლას, შეძლებენ უფრო მეტის დანახვას. უფრო რეალურის, ნამდვილი საგნების, სინათლის. აქედან გამომდინარე, პლატონის აზრით, ადამიანებს, მხოლოდ იმის შესახებ იციან რასაც ხედავენ, მათთვის რეალური და ხილული მატერიალური სამყაროა. მაგრამ არსებობს უფრო მეტი, ამ ყველაფრის არსი, უფრო რეალური და მარადიული. „მღვიმე ხილული სამყაროა, ხოლო სინათლე, რომელსაც ცეცხლი ასხივებს, მზის ნათელის მსგავსია. მაღლა ასვლა და ნამდვილი საგნების ჭვრეტა სხვა არა არის რა, თუ არა სულის აღმასვლა გონით საწვდომი სამყაროს მიმართ; პირადად მე ასე მგონია, ცოდნით კი ღმერთმა იცის, მართალია თუ არა იგი. გონით საწვდომი სამყაროს ზღვარი სიკეთის იდეაა, რომელსაც ძნელად თუ გაარჩევს გონების თვალი, მაგრამ საკმარისია ბუნდოვნად მაინც აღიქვათ, რომ აქედან უშუალოდ გამოგვაქვს დასკვნა: სწორედ სიკეთის იდეა ყოველივე ჭეშმარიტისა და მშვენიერის მიზეზი, ხილულ სამაროში ის ბადებს ნათელს და მის მეუფეს, გონით საწვდომ სამყაროში კი თვითონვეა მეუფეც და მზრძანებელიც. რომლისგანაც დასაბამს იღებს ჭეშმარიტება და გონიერება; ამიტომ სწორედ მის ჭვრეტას უნდა ცდილობდეს ყველა, ვისაც სურს გონივრულად იქცეოდეს როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც“ (პლატონი, 2003: 168). სწორედ თავლიდან ნამდვილ ნარნიაში გასულ ადამიანებს შეუძლიათ

შეიცნონ ჭეშმარიტება და ეზიარონ მარადიულობასა და მარადიულ იდეებს. დენის ფიშერიც აღნიშნავს თავის სტატიაში პლატონის გავლენას ლუისის ნაწარმოებებზე და დიგორის მიმართვას ბავშვებისადმი მიიჩნევს ლუისის პლატონისადმი ინტერესს „ფორმისა“ და „ასლის“ იდეასთან. ის ასევე ამბობს, რომ ორთავეს, პლატონსაც და ლუისსაც სჯეროდათ იდეების უცვლელი სამყაროსი, რომელიც მოიცავდა მარადიულ, ობიექტურ და ეთნიკურ სტანდარტებს. მათ ასევე დაასკვნეს, რომ ეს ამჟამინდელი, წარმავალი სამყარო არის უფრო რეალური სამყაროს ჩრდილი, რომელიც მიღმაა. მისივე თქმით, ქრისტიანები არიან ორ სამყაროს შორის, დროებითია რომელშიც უნდა იცხოვრონ, მაგრამ მათი მარადიული სახლი, არის საბოლოო რეალობა (Fisher, 2010: 13). ასევე ბიბლიაში, კერძოდ „მეორე კორინთელთა მიმართ“, გვხვდება ცნობა მარადიულ და რეალურ სამყაროზე: „როცა ხილულს მივაპყრობთ მზერას, არამედ უხილავს; ვინაიდან ხილული წარმავალია, უხილავი კი - წარუვალი“ (2 კორ., 4:18).

ეს ყველაფერი „ნარნიის ქრონიკებიდან“ თვალსაჩინოა განსაკუთრებით „უკანასკნელ ბრძოლაში.“ „ლუისის ქრისტიანული ცის კონცეფცია მკაფიოდ ასახავს პლატონურ აზროვნებას. პლატონს სწამდა „ფორმის“ ერთიანობა, რომელიც უზრუნველყოფს „კონკრეტულის“ ან „ასლის“ უწყვეტობას. ხილული სამყარო მხოლოდ მარადიული იდეების საბოლოო რეალობის ბუნდოვანი ჩრდილია“ (Fisher, 2010: 11). მარადიულ, რეალურ ნარნიაში და არა მარტო ნარნიაში, სხვაგანაც ყველაფერი სხვაგვარია. ედმუნდის კითხვაზე, იყო თუ არა ეს ინგლისი და სჩანდა თუ არა პროფესორის სახლი, რომელიც ბავშვებს უკვე დანგრეული ეგონათ, ფავნი პასუხობს „კი, ის დაიწერა, მაგრამ თქვენ უყურებთ ახლა ინგლისს ინგლისში, ნამდვილ ინგლისს და ამ ნამდვილ ინგლისში კარგი არ ნადგურდება“ (Lewis, 2007:159). ბალიც, ასევე, რომელსაც ისინი მიადგებიან და სადაც მათ ძველი მეგობრები შეეგებებიან, არის სრულყოფილების, მარადიულობის სიმბოლო, რომელიც გარედან პატარა მოსჩანს, მაგრამ შიგნით დიდი და უკიდეგანოა, რომელსაც არ აქვს საზღვრები და დასასრული, რომელიც რეალური და ნამდვილია. „გასაგებია, ახლა ვხვდები,

ბაღი თავლას ჰგავს. ის გაცილებით დიდია შიგნით, ვიდრე გარეთ მოსჩანს“ (Lewis, 2007: 158). ლუსი გაოგნებული ჩანდა, ეს არა მხოლოდ ბაღი იყო, არამედ მთელი სამყაროა, საკუთარი მდინარეებით, ტყეებით, ზღვით და მთებით. მან ეს ყველაფერი იცნო. „ეს ისევ ნარნიაა, მაგრამ უფრო რეალური და უფრო ლამაზი, ვიდრე ის ნარნია“ (Lewis, 2007:158). ასევე თვალსაჩინოა მსგავსება პლატონის მიერ აღწერილ, მიწისქვეშა დილეგში გამომწყვდეულ ადამიანებსა და ლუისის მიერ „უკანასკნელ ბრძოლაში“ აღწერილ ჯუჯებს მორის, რომელთაც თვალის ჩინი წაერთვათ და მხოლოდ სიბნელეს ჭვრეტენ. ჯუჯებს ისევ თავლაში, სიბნელეში ჰგონიათ თავი, ვერ აღიქვამენ ვერც სინათლეს და ვერაფერს, რაც იმ სამყაროში ხდება. მათი ხედვა თავიანთივე უმეცრების გამოა შეზღუდული, „მაშინ, როცა ჯუჯათა სიბრმავე მეტაფორულია, პლატონი „მხედველობას“ განიხილავს როგორც პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით; და „სახელმწიფოში“ ის მიუთითებს, რომ ხედვა განსხვავებულია სხვა შეგრძნებებისგან. იმისთვის, რომ რაღაც დაინახო, არა მხოლოდ უნდა არსებობდეს ობიექტი, რომლის დანახვა შესაძლებელია, არამედ ამ საგანზე უნდა არსებობდეს სინათლე. საუკეთესო შემთხვევაში, ეს შუქი იქნება მზე. პლატონისთვის მზე და სინათლე მთავარი გამოსახულებებია და როგორც თვალი, ყველაზე ნათლად ხედავს მზეს შუქზე თავის ობიექტს“ (William, 1986: 84). ამგვარად, „გონება აცნობიერებს ყველაზე კარგად, როდესაც ის ხედავს თავის საგანს სიკეთის იდეის ფონზე. სწორედ ეს არის, რაც აძლევს ცოდნის ობიექტებს მათ ჭეშმარიტებას და ვინც ამას ხვდება, - ცოდნის ძალას“ (William, 1986: 84). ჯუჯები სადაც გაიხედავენ, ყველაგან სიბნელეს ხედავენ, რასაც შეჭამენ, ყველაფერი უგძმური ეჩვენებათ და რასაც დაყნოსავენ, თუნდაც სურნელოვანი და ლამაზი იყოს, ვერც სილამაზეს აღიქვამენ და ვერც სურნელებას გრძნობენ. „ისინი ძალიან უცნაურად გამოიყურებოდნენ. არც დადიოდნენ, არც ერთობოდნენ და არც ისვენებდნენ. ისინი ისხდნენ ძალიან ახლოს ერთმანეთთან წრეში და ერთმანეთის პირისპირ იყურებოდნენ. ისინი არ იხედებოდნენ ირგვლივ და ყურადღებსაც არავის არ აქცევდნენ“ (Lewis, 2007: 126). როდესაც ლუსიმ ასლანს

სთხოვა ჯუჯებს დახმარებოდა, ასლანმა უპასუხა ლუსის: „მე დაგანახებ ორთავეს, მე რა შემიძლია და რა არ შემიძლია“ (Lewis, 2007: 128). ჯუჯებისთვის ყველა ასლანის ქმედება მათვის უჩვეულო და შემაშფოთებელი იყო, მაინც ყველგან სიბნელეს ხედავდნენ და ვერაფერს ამჩნევდნენ ირგვლივ სასიამოვნოს, უფსკრული იყო მათ შორის. „მათ არ უნდათ რომ ჩვენ დავეხმაროთ. რწმენას მზაკვრობა არჩიეს, მათი ციხე მხოლოდ თავიანთ გონებაშია, ამიტომაც არიან ამ ციხეში; მათ ისე ემინიათ ტყვეობის, რომ მათი აქედან გამოყვანა შეუძლებელია“ (Lewis, 2007: 130) - ეტყვის ლომი, ასლანი ლუსის. სწორედ ჯუჯების მსგავსია „ჯადოქრის დისწულში“ აღწერილი ბიძა ენდრიუ. როდესაც ისინი ნარნიის შექმნის მომსწრენი ხდებიან, ძია ენდრიუსაც ჯუჯების მსგავსად არ ესმოდა ლომის სიმღერა. მას მხოლოდ ღრიალი ესმოდა. ვერც ლომს აღიქვამდა, როგორც ნარნიის შემოქმედს, არამედ ჩვეულებრივი მხეცი ეგონა. ეს მისი გონებისთვის იყო მიუწვდომელი და თვალთათვის უხილავი. „პლატონის ელფერი ორთავე შემთხვევაში (ბიძა ენდრიუ და ჯუჯები) თვალსაჩინოა. ჩვენ შეგვიძლია ისინი დავაკავშიროთ პლატონის მღვიმეში მყოფ პატიმრებთან. როგორც პლატონი ამბობს, ისინი შეიცნობენ რეალობად მხოლოდ ხელოვნური საგნების აჩრდილებს. ამ პატიმრების მსგავსად, ორთავე ბიძა ენდრიუც და ჯუჯებიც მიჩვეულნი არიან მხოლოდ თავიანთი სამყაროს ხედვას. თქვენ შეგიძლიათ ისინი ამ სამყაროდან გამოიყვანოთ, მაგრამ თქვენ ვერ შეძლებთ მათი სამყარო გამოდევნოთ მათგან“ (Jöeckel, 1997: 9).

ასევე შეგვიძლია დავინახოთ მსგავსება პლატონის გამოქვაბულში არსებულ ტყვეებსა და ტირიანს შორის. „გაკვირვებული მეფე ტირიანი, რომელიც თავლის კარებიდან აღმოჩნდა სხვა სამყაროში, გაიხედავს პატარა ხვრელში. ტირიანი ჯერ მხოლოდ სიბნელეს დაინახავს, შემდეგ კი წითელ, ელვარე კოცონს და მის ზემოთ, შავ ცაზე, ვარსკვლავებს. შემდეგ მან დაინახა შავი ფიგურები, რომლებიც მოძრაობდნენ მასსა და ცეცხლს შორის. უეცრად მან გააანალიზა, რომ ის იყურებოდა თავლის კარების გავლით იმ ადგილას, სადაც მას უკანასკნელი ბრძოლა ჰქონდა“ (Lewis, 2007: 122).

როგორც ეს უკვე აღვნიშნე, პლატონს „სახელმწიფოში“ აღწერილი აქვს მდვიმე, როგორც ხილული სამყარო, რომელშიც ადამიანები ჯაჭვითაა დამბული და უკან დანთებული ცეცხლის სინათლის მეშვეობით ხედავენ გამოსახულებებს, საგანთა ანარეკლს და აჩრდილებს. პლატონის გამოქვაბულის და შიგ მყოფი პატიმრების მსგავსება ასევე კარგად სჩანს ლუისის მეექვსე წიგნში „ვერცხლის სკამში“. პრინცი, რილიანი, მეფე კასპიანის შვილი, გაიტაცა ჯადოქარმა და მოჯადოვა. ის არის გამოკეტილი და ვერცხლის სკამზე მიბმული მიწისქვეშეთში (*underland*), რომელიც საკმაოდ ცხად ასოციაციას ქმნის პლატონის გამოქვაბულისა და გამოქვაბულის პატიმრებისა. რილიანისთვის არსებობდა მხოლოდ ის სამყარო, რომელშიც ის იმყოფებოდა და ჯადოქარი, რომელსაც ის მუდმივად ხედავდა. მისი ცნობიერების სივრცე მხოლოდ ამით შემოისაზღვრებოდა, რადგან მისთვის არ არსებობდა მიწისქვეშეთის გარდა სხვა სამყარო, არც კი იცოდა მისი არსებობის შესახებ. როგორც დიგორი ეუბნება ბავშვებს ნარნიის შესახებ, რომ ის ნამდვილი ნარნიაა და ის რომელსაც ისინი იცნობდნენ ასლია ამ ნამდვილი ნარნიისა, ასევე ეუბნება დედოფალი რილიანის დასახსნელად მისულ ბავშვებს და პადლეგლამს (*Puddleglum*): „თქვენ დაინახეთ ნათურა და წარმოიდგინეთ უფრო დიდი და უკეთესი ნათურა და უწოდეთ მას მზე. თქვენ ნახეთ კატები და წარმოიდგინეთ უფრო დიდი და უკეთესი კატა და მას დაარქვით ლომი. შეხედეთ, თქვენ ვერაფერს ვერ თხზავთ რეალური სამყაროდან კოპირების გარეშე, ჩემი სამყაროდან, ეს არის მხოლოდ ერთადერთი სამყარო. არ არსებობს არც ნარნია, არც ზეციური სამყარო, არც ცა, არც მზე და არც ასლანი“ (Lewis, 2007:128) - ამბობს ჯადოქარი, რომელსაც უნდა დაარწმუნოს ყველა იქ მყოფნი, რომ სხვა სამყარო არ არსებობს გარდა ის სამყაროსა, რომელშიც ისინი იმყოდებოდნენ ამჟამად.

ამდენად, პლატონის გავლენა კ. ს. ლუისის შემოქმედებაზე საკმაოდ მკაფიოდ ჩანს. ძალიან ახლოსაა „ფორმის“ და „ასლის“ იდეასთან თავისი ახალი, ზეციური ნარნია, რომელიც „უკანასკნელ ბრძოლაში“ გამოჩნდა და რომელსაც ჩვენ მანამდე არ ვიცნობდით. ის ნარნია, რომელშიც ბავშვები მოგზაურობდნენ

და მუდმივად მისი გათავისუფლება უხდებოდათ მტრებისგან თუ ჯადოქრებისგან, თურმე ასლია, მოჩვენებითია, წარმავალია ნამდვილი, მარადიული ნარნიისგან განსხვავებით.

## დასკვნა.

ლუისის მხატვრული ლიტერატურა პლატონური ელემენტებითაა გაჯერებული. ლუისის ტექსტებში ნათლად სჩანს პლატონის ნაშრომების ცოდნა და მის მიმართ დიდი ინტერესი.

ორთავეს, პლატონსაც და ლუისსაც სჯეროდათ იდეების უცვლელი სამყაროსი, რომელიც მოიცავდა მარადიულ, ობიექტურ და ეთნიკურ სტანდარტებს. მათ ასევე დასკვნეს, რომ ეს ამჟამინდელი, წარმავალი სამყარო არის უფრო რეალური სამყაროს ჩრდილი, რომელიც მიღმაა.

ლუისის „უკანასკნელი ბრძოლა“ სინკრეტული ხასიათისაა. მასში ასახული მოვლენებით აშკარად იგრძნობა გავლენა ქრისტიანული ესქატოლოგიის, სკანდინავიური მითოლოგიის და ბერძნული ფილოსოფიის.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- ბიბლია. (2013). საქართველოს საპატრიარქო. თბილისი: გამომცემლობა, პალიტრა L;
- ელიადე, მ. (2017). მარადიული დაბრუნების მითი. თბილისი: გამომცემლობა, „ალეფი“;
- პლატონი. (2003). „სახელმწიფო“. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“;
- Fisher, Dennis. J. C.S. Lewis. (2010). „*Platonism, and Aslan's Country: Symbols of Heaven in the Chronicles of Narnia*“. <https://www.jstor.org/stable/26281851>;
- Jonson G, William, Houtman K. Marcia, (Spring 1986). „*Platonic Shadows in C.S. Lewis' Narnia Cronicles*“. published by Johns Hopkins University press. <https://www.jstor.org/stable/26281851>;
- Joeckel, T. Samual. (1997). „*In Search of Narnia on a Platonic Map of Progressive Cognition*“. <https://dc.swosu.edu/mythlore/vol2/2/iss1/3/>;

Lewis, C. S. (2007). „*The silver chair*“. Harper Collins e-books; file: //C:/Users/asus/Downloads/The%20Chronicles%20of%20Narnia%2006%20-%20The%20Silver%20Chair%20by%20by%20C.S.%20 Lewis%20(z-lib.org).pdf;

## REFERENCES:

- Biblia [BIBLIA]*. (2013). Sakartvelos Sap'at'riarko. Tbilisi: Gamomts emloba, P'alit'ra L.;
- Eliade, M. (2017). *Maradiuli Dabrunebis Miti. [The myth of eternal return]*. Tbilisi: Gamomcemloba, „Alef“;
- Plat'oni. (2003). *Saxelmts'ifo. [State]*. Tbilisi: Gamomcemloba, „Nekeri“;
- Fisher, Dennis. J. C.S. Lewis. (2010). „*Platonism, and Aslan's Country: Symbols of Heaven in the Chronicles of Narnia*“. <https://www.jstor.org/stable/26281851>;
- Jonson G, William, Houtman K. Marcia, (Spring 1986). „*Platonic Shadows in C.S. Lewis' Narnia Cronicles*“. published by Johns Hopkins University press. <https://www.jstor.org/stable/26281851>;
- Joeckel, T. Samual. (1997). „*In Search of Narnia on a Platonic Map of Progressive Cognition*“. <https://dc.swosu.edu/mythlore/vol22/iss1/3/>;
- Lewis, C. S. (2007). „*The silver chair*“. Harper Collins e-books; file: //C:/Users/asus/Downloads/The%20Chronicles%20of%20Narnia%2006%20-%20The%20Silver%20Chair%20by%20by%20C.S.%20 Lewis%20(z-lib.org).pdf.

# **The artistic transformation of Plato's „cave myth” in the Chronicles of Narnia by Clive Lewis**

**Nino Nikolaishvili**

Academic Doctor of Philology,

ETI HOLDING, Georgia, Batumi,

6010, №136, Parnavaz Mepe Street.

+95599 10 08 86, ninonikolaishvili1209@gmail.com

ORCID ID 0000-0002-4582-4631

## **Abstract.**

The classic works in the fantasy genre of C.S. Lewis' „The Chronicles of Narnia” follow the mythological tradition with all their archetypal and mythological arsenal. The Chronicles are another unique version of cosmogonic myths, which are reworked and, therefore, go far beyond the mythical idea of cosmogony. According to the myth-archetypal embroidery, the Chronicles also begin the post-cosmogonic era of the „Golden Age“ (Crete-Yuga), which continues with successive regressive yugas and ends with the end of the eschatological world.

In the Chronicles of Narnia by Clive Lewis, we find not only mythological and religious archetypes and paradigms, but also the influence of philosophers on them. The philosophy of Plato, his world of ideas, and the myth of the cave deserve special attention.

Lewis' fiction is saturated with platonic elements. This is most evident in The Last Battle, where Narnia, described in the previous six chapters, differs from Narnia in „The Last Battle“.

Plato's influence is evident in Lewis's Chronicles of Narnia. Knowledge of the works of Plato and a great interest in him is visible in the texts of Lewis. It is also evident that Plato's ideas merged with his own and were viewed in mythological, Christian, and philosophical terms. Some elements of Christian Platonism in Lewis' fiction are easily recognizable,

while some of them are so embedded in Lewis's theology that their Greek origins are almost indistinguishable or difficult to understand.

Lewis's vision of the sky, conveyed in the final battle, the disappearance of old Narnia and the creation of a new, real heavenly Narnia that we did not know before, corresponds to the idea of "form" and "copy". Narnia, in which children traveled and constantly had to free themselves from enemies or witches, turns out to be a copy, imaginary, in contrast to the real, eternal Narnia.

Both, Plato, and Lewis both believed in an immutable world of ideas that included eternal, objective, and ethnic standards. They also concluded that this current, transitory world is a shadow of a more real-world outside of it.

Lewis's „Last battle“ is syncretic. The events reflected in it clearly show the influence of Christian eschatology, Scandinavian mythology, and Greek philosophy.

**Keywords:** Narnia, archetypes; the myth of Plato's cave; the idea of "form" and "copy".

თარგმანი  
TRANSLATION

---

კოიძუმი იაკუმო (1850-1904) - იუკი ონნა ( 雪女 )

„თოვლის ქალბატონი“

მარიამ ჩალაბაშვილი

ისტორიის მაგისტრი,

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო

უნივერსიტეტის შორეული აღმოსავლეთის

ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტი,

იაპონისტის მიმართულება. საქართველო,

ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1, 0179,

+95571103101, Chalabashvili.mariam@gmail.com

ORCID identifier: 0000-0002-8411-8676

**აბსტრაქტი.**

იაპონურ ფოლკლორში იოკაის (არამიწიერი არსებები, სულ-ები, მონსტრები და ა.შ.) მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ერთ-ერთი ასეთი არამიწიერი არსება იუკი ონნა (雪女 -თოვლის ქალბატონი), რომლის შესახებაც სხვადასხვა ლეგენდა არსებობს. როგორც ავტორი<sup>7</sup> აღნიშნავდა, მან ეს ამბავი მოისმინა ჩოფუს ფერმერისგან, მუსამის პროვინციიდან. ამბობენ, რომ იუკი ონნა პირველად მურომაჩის პერიოდში (1336-1573) გვხვდება (რენგას პოეტი სოგი (1421-1502) - „სოგი შოკოკუ მონოგატარი“). თოვლის ქალბატონს მოიხსენიებენ სხვადასხვა სახელით, როგორიცაა: „იუკი ონაგო“ (თოვლის გოგონა), „იუკი ონბა“ (თოვლის ბებია) და სხვა.

**იაპონურიდან თარგმნა მარიამ ჩალაბაშვილმა  
საძიებო სიტყვები:** მინოკიჩი; იუკი; თოვლის ქალბატონი.

<sup>7</sup> კოიძუმი იაკუმო - Patrick Lafcadio Hearn (1850-1904), რომელიც ბრწყინვალედ დაუუფლა იაპონურ ენას, ეროვნებით იაპონელი არ იყო, მას მამა - ირლანდიელი, დედა კი ბერმენი ჰყავდა. 1890 წელს ის ჩავიდა იაპონიაში, სწორედ იქ ცოლად შეირთო კოიძუმი სეცუ სამურაის ოჯახიდან, გახდა იაპონიის მოქალაქე და სიცოცხლის ბოლომდე იქ ცხოვრობდა. მას ხორცი შეასხა იმ ლეგენდებსა თუ მითებს, რომელებიც წერილობითი სახით ფაქტობრივად არ არსებობდა.

## „თოვლის ქალბატონი“

იყო და არა იყო რა, იყო ორი შეშისმჭრელი მინოკიჩი და მოსაკუ მუსამის პროვინციის სოფლიდან. თვრამეტი წლის მინოკიჩი მოხუცი მოსაკუს თანაშემწედ მუშაობდა. ტყეში ხის მოსაჭრელად, მდინარის ნავით გადაკვეთა უწევდათ. ყოველი წყალმოვარდნისას მდინარეზე გადებული ხიდი ირცხებოდა.

ზამთრის ერთ სუსხიან დღეს, როგორც ყოველთვის, ორივე ერთად ხეს ჭრიდა. თვალის დახასმამებაში თოვლი ნამქერში გადაიზარდა. რადგან სხვა გზა არ ჰქონდათ, საქმეს თავი მიანებეს და შინისაკენ გაუდგნენ გზას. თუმცა, მდინარესთან მისულებს, მენავე წასული დახვდათ, ნავი კი მდინარის მეორე მხარეს იყო მიბმული. ცურვისათვის შესაბამისი ამინდი არ იყო. სხვა გზა არ იყო, სანამ ძლიერი თოვლი შეწყდებოდა, მდინარის კალაპოტთან, მენავის ქოხში შესვლა გადაწყვიტეს. ქოხში ცეხბლის დანთება შეუძლებელი იყო და ფიცარზე დაგებულ ტატამზე წამოწვნენ. მოსაკუს მალევე ჩაეძინა. მინოკიჩი კი ფხიზლად იყო, უსმენდა ქარის შემაძრწუნებელ ხმას და ფიქრობდა, რომ ცოტა ხნის შემდეგ ქარბუქი ჩაწყნარდებოდა.

მდინარე ბობოქრობდა, ქოხი კი ისე ირხეოდა, როგორც იაპონური ნავი ზღვაში და უცნაურ ხმას გამოსცემდა. სიცივე თანდათან ძლიერდებოდა, მაგრამ ამის მიუხედავად, მინოკიჩისაც ჩაეძინა. თოვლის ფანტელები ბიჭს სახეზე ეცემოდა, რის გამოც მინოკიჩის გამოეღვიძა. ქოხის კარი გაღებულიყო და თოვლი შიგნით შემოდიოდა. მინოკიჩიმ მაშინვე მოსაკუსკენ გაიხედა, სადაც სრულიად თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი ქალი იდგა. ის მოხუცს თეთრი ჰაერის ნაკადს აორთქლებდა, რომელსაც თანდათან სახე და ხელები უფითრდებოდა. სულ მალე ქალი მინოკიჩისკენ შემობრუნდა, რომელმაც ხმის ამოღებაც კი ვერ გაბედა. ქალი მისკენ ისე დაიხარა, თითქოს ბიჭის სახეს შეეხო. მიუხედავად იმისა, რომ მისი თვალები მინოკიჩის შიშს ჰგვრიდა, ქალი ულამაზესი იყო. ბიჭს აკვირდებოდა, გაეღიმა და ჩასჩურჩულა: ვფიქრობდი, რომ შენც ამ კაცივით მოგქცეოდი, მაგრამ მებრალები, რადგან ახალგაზრდა ხარ, მომხიბვლელი,

ამიტომ არაფერს გავნებ, მაგრამ უნდა დამპირდე, რომ მომხდა-  
რის შესახებ არავის ეტყვი და თუ მაინც ვინმეს ეტყვი, მოკვდები.  
გასაგებია?! არ დაივიწყო, რასაც გეუბნები!  
ქალმა ეს უთხრა, ქოხიდან გავიდა და ქარბუში გაუჩინარდა.  
მინოკიჩიმ როგორც კი იგრძნო, რომ მოძრაობა შეეძლო, წამოხტა  
და გარეთ გაიხედა, ქალი იქ აღარ იყო, თოვლი კი ქოხში  
შემოდიოდა, სასწრაფოდ კარი დახურა და შიგნიდან გაამაგრა.  
მინოკიჩიმ ისიც კი გაიფიქრა, თოვლის ქალბატონზე სიზმარი  
ხომ არ ნახა, მოხუცს დაუძახა, მაგრამ რომ არ გააგონა, მაშინვე  
მოსაკუსთან მივიდა. ის ყინულივით გაქვავებულიყო. მოხუცი  
გარდაიცვალა.

ქარბუქი რომ ჩადგა, მენავე ქოხში დაბრუნდა, სადაც გონდა-  
კარგული მინოკიჩი და გარდაცვლილი მოსაკუ დახვდა. ბიჭი  
გონს მალე მოეგო, მაგრამ შემაძრწუნებელი და ცივი ღამის  
შედეგად, დიდ ხანს ცუდად იყო. თოვლის ქალბატონზე მას  
არავისთვის არაფერი უთქვამს. როგორც კი გამოჯანმრთელდა,  
მინოკიჩი თავის საქმიანობას დაუბრუნდა. ყოველ დღე ხის  
მოსაჭრელად ტყეში მიდიოდა და საღამოს შეშით ბრუნდებოდა,  
დედა კი მის გაყიდვაში ეხმარებოდა.

ამ ამბის შემდეგ, დაახლოებით ერთი წელი გავიდა. ერთ  
დღეს, მინოკიჩი, როდესაც სახლში ბრუნდებოდა, ლამაზი,  
თეთრი ახალგაზრდა ქალი დაინახა და გამოესაუბრა. ქალის ხმა  
ჩიტის გალობას ჰგავდა, რაც მინოკიჩის სიამოვნებას ჰგვრიდა.  
მას სახელად იუკი ერქვა. ქალმა უამბო, რომ მშობლები  
გარდაეცვალა და ახლა ედოში მიდიოდა, იქ ხელმოკლე ნათესა-  
ვები ჰყავდა, რომლებიც სამსახურის პოვნაში დაეხმარებოდნენ.  
მინოკიჩის სევდა შემოაწვა, რაც მეტს უყურებდა, მით უფრო  
ლამზად ეჩვენებოდა. მან იუკის ჰკითხა ჰყავდა თუ არა საქმრო,  
რაზეც ქალმა იუარა. იუკიც დაინტერესდა, რაზეც მინოკიჩიმ  
მიუგო, რომ დაქორწინებული არასდროს ყოფილა და მოხუცი  
დედა ჰყავდა. გულწრფელი საუბრის შემდეგ, დიდი ხნის  
განმავლობაში ისინი გზას მდუმარედ მიუყვებოდნენ, მაგრამ  
ნათევამია, რომ „როცა რამეს გრძნობ, თვალებიც იმავეს ამბობენ,  
რასაც პირი“.

იმ დროისთვის, როდესაც ისინი სოფელში მივიდნენ, კიჩისა და იუკის უკვე ერთმანეთი ძალიან მოსწონდათ. ვაჟმა იუკის თავის სახლში დასვენება შესთავაზა. ცოტაოდენი ჭოჭმანის შემდეგ, ისიც დათანხმდა. შინ მინოკიჩის დედა შეეგებათ და სტუმარს თბილი საჭმელი მოუმზადა. მოხუცსაც ისე მოეწონა იუკი, რომ დარჩენა შესთავაზა, რის შემდეგაც ქალი ედოში აღარც წასულა. საბოლოოდ, ისინი დაოჯახდნენ. ვალების წინ მინოკიჩის დედის სიტყვები იუკისადმი სიყვარულით იყო განმსჭვალული. მალე ცოლ-ქმარს მიყოლებით ათი ბავშვიც ინათ. უკლებლივ ყველა ლაპაზი და თოვლივით ქათქათა ბავშვი იყო. სოფლის მოსახლეობა იუკის ალმაცერად უყურებდა, გან ადგილობრივი ქალები წლებთან ერთად თუ იცვლებოდნენ, ათი ბავშვის გაჩერის შემდეგაც კი იუკი კვლავ ისეთი ახალგაზრდა და მშვენიერი იყო.

ერთ საღამოს, როდესაც იუკიმ ბავშვები დააძინა და კერვას შეუდგა, მინოკიჩი მეუღლეს უმზერდა და უწინდელი, მენავის ქოხში ნანახი ქალი გაახსენდა.

-იუკი, როცა სინათლეზე შენს სახეს ვუყურებ, მახსენდება ამბავი, რომელიც თვრამეტი წლის ასაკში გადამხდა. ერთი ქალი ვნახე, შენ გგავდა, შენსავით ქათქათა თეთრი იყო.

იუკის ხელსაქმიდან თავიც კი არ აუდია ისე იკითხა, თუ რა გადახდა მინოკიჩის.

მანაც უამბო ამბავი, რომელიც თითქოს სიზმარს ჰგავდა, მაგრამ სიზმარი არ იყო, ქალი იუკის ჰგავდა, მაგრამ ადამიანი არ იყო და თოვლის ქალბატონი უნდა ყოფილიყო. უეცრად, იუკიმ მოისროლა რასაც კერავდა, მინოკიჩის შემაძრწუნებელი მზერა მიაპყრო და თქვა:

-ის მე ვიყავი. გითხარი, არავისთვის გეთქვა, მაგრამ პირობა დაარღვიე. არ მოგკლავ ჩვენი მძინარე შვილების წინ, მაგრამ ამის ნაცვლად, გთხოვ, გიყვარდეს და იზრუნე ჩვენს შვილებზე.

იუკიმ ეს სიტყვები დაიბარა, მისი თოვლის სხეული თეთრ ნისლად იქცა და ჭერის პატარა ფანჯრიდან გაუჩინარდა.

**წყარო:**

[https://www.aozora.gr.jp/cards/000258/files/50326\\_35772.html](https://www.aozora.gr.jp/cards/000258/files/50326_35772.html)

**Koizumi Yakumo (1850-1904) – Yuki-onna ( 雪女 )  
„Snow woman“**

**Mariam Chalabashvili**

Master of Arts in History,  
major in History of Far East, Ivane  
Javakhishvili Tbilisi State University  
Department of Far East Modern and  
Contemporary History, Japanology.

1 Ilia Tchavtchavadze Avenue, 0179 Tbilisi, Georgia,  
+95571103101,Chalabashvili.mariam@gmail.com  
ORCID identifier: 0000-0002-8411-8676

**Abstract.**

Yōkai ( class of supernatural monsters, spirits or demons ) plays an important role in Japanese folklore, such as Yuki-onna – Snow woman. There are distinctive variations of Yuki-onna. As the author notes he heard this story from a farmer who lived in Musashi Province. The Snow woman is first mentioned during Muromachi period (1336-1573) *Sōgi Shokoki Monogatari* by the renga poet Sōgi (1421-1502). There are different names of Snow woman: Yuki-nago ( snow girl ), Yuki-onba ( snow granny ) and etc.

**Translated from Japanese by Mariam Chalabashvili**

**Keywords:** Minokichi; Yuki; Snow woman.

**თარგმანი**  
**TRANSLATION**

---

**ორპან ქემალი (1914-1970) – „საოცარი ბავშვი“**

ასმათ ჯაფარიძე  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო,  
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1, 0179,  
+95599503356, japaridzeasmat@yahoo.com  
Orcid ID : 0000-0001-6594-6049

**აბსტრაქტი.**

ორპან ქემალი თურქი რეალისტი მწერალია. მისი ნამდვილი სახელია მეჰმეთ რაშით ოღუთჩუ, თავდაპირველად პოეზიაში ცადა ბედი, მაგრამ ნაზიმ ჰიქმეთის რჩევით, რომელიც ციხეში გაიცნო, დაიწყო მოთხრობებისა და რომანების წერა.

ორპან ქემალი თავის ნაწარმოებებში გვაცნობს „პატარა ადამიანების“ ცხოვრებას. სოციალური პრობლემები მისი შემოქმედების მთავარი თემაა.

**თურქულიდან თარგმნა ასმათ ჯაფარიძემ**

**საძიებო სიტყვები:** მწერალი; პატარა ადამიანები; ბავშვი.

**„საოცარი ბავშვი“**

მეგობრის სანახავად წავედი, რომელსაც სტამბისთვის ოთახი ჰქონდა ნაქირავები ორსართულიან შენობაში. შენობა კონტეინერს მოგაგონებდათ და იქ ისეთი სუნი იდგა, რომ სუნთქვა გაგიჭირდებოდათ. გვერდით ოთახებში იყო ორცხობილას, შოკოლადის, ზეითუნის ზეთის, საპნის საწარმოები და პატარა საამქროები. მეგობარი ვერ ვიპოვე. როცა უკან დაბრუნებას ვაპირებდი,

ის დავინაზე. კარის გვერდით მოზრდილ ხის სკივრში იჯდა, პურს, ყველსა და პომიდორს სჭამდა. ჭუჭყანი, ხუჭუჭა ყვითელი თმა ჰქონდა, სახე მანქანის ზეთით მოთხუპნოდა, მისი საოცრად მწვანე თვალებიდან შინაგანი ნათელი მოდიოდა....

- მესტამბეს ეძებთ?
- დიახ!
- ცოტა ხნის წინ ქაღალდის დასაჭრელად წავიდა, მალე მოვა.

გადმოაბრუნა ხის ყუთი, რომელიც გვერდით ედგა და მითხრა:

- დაბრძანდით!

ისე საყვარლად მიყურებდა, რომ ჩამოვჯექი. პური შუაზე გატეხა და გამომიწოდა. ვუთხარი, რომ არ მშიოდა.

- თუ იმიტომ არ ჭამ, ხელები რომ ჭუჭყანი მაქვს?!
- არა, რას ამბობ!
- ჩვენს საქმეში ხელები სუფთა ვერ გექნება.

მე ვიფიქრე, რომ შეგირდად იყო საამქროში და ვკითხე:

- რას საქმიანობ?
- ჩარხი, გასწორება...
- რა...?!

გადაიხარხარა:

- ვინც გაიგებს, ყველას უკვირს. თუმცა უკვე თორმეტი წლის ვხდები სექტემბერში...
- ესე იგი, ყველანაირი სამუშაოს შესრულება შეგიძლია, რაც ჩარხს ეხება?
- რა თქმა უნდა, შემიძლია. მამაჩემს ჰქონდა სახელოსნო. დილაობით სკოლაში დავდიოდი, ნაშუადღევს სახელოსნოში მივდიოდი.
- რამდენი კლასი დაამთავრე?
- ოთხი.
- მერე?
- მერე დედა გარდაიცვალა. ორი ძმა მყავს. დავჩით უპატრონოდ. მამა ცუდ ქალს გადაეკიდა....
- და შენც სკოლას თავი დაანებე, არა? გიყვარდა სკოლა?

ამოიობრა:

- მერედა როგორ!
- ვინ გინდოდა რომ გამოსულიყავი?
- კაპიტანი. მინდოდა ზღვებში, აზვირთებულ საშიშ ტალღებში მეცურა, ევროპასა და ამერიკაში წავსულიყავი. ეკვატორის გადალახვისას გემზე დიდი მხიარულება ყოფილა, მართალია?
- მართალია...
- შემდეგ თავისუფლების ქანდაკება ნიუ-იორკის ნავსადგურში. რამდენი მეტრია? დიდია?
- არ ვიცი.
- „რობიზონ კრუზო“ წაკითხული გაქვს?
- წაკითხული მაქვს.
- როგორ შეძლო უკაცრიელ კუნძულზე ცხოვრება, არა? ასეთი რამ მართლა შეიძლება მოხდეს?
- უკეთესი არ იქნება, რომ არ მოხდეს?
- უკეთესი იქნება, მაგრამ ასეც ხდება ან მწერალმა მოიგონა ეს ყველაფერი. კარგად კი მოუფიქრებია. ყოჩად რობიზონს. უკაცრიელ კუნძულზე გულხელდაკრეფილი არ იჯდა, მაშინვე საქმეს შეუდგა. არ მოკვდა, გადარჩა. ეს დიდი ნიჭია.

ჯიბიდან მანქანის ზეთით დასვრილიცხვირსახოცი ამოილო. თვალი მოვკარი შუშის სათამაშო ბურთულებს, რომლებიც

კომბინიზონის ფართო ჯიბეში ეწყო. ისიც მიხვდა, რომ დავინახე. ამოიღო, მუჭში ააჩხარუნა და თქვა: რა ვქნა, სულ საქმე, საქმე, საქმე.... ბეზრდება კაცს. შესვენებაზე ათეშ ალისთან ერთად ვთამაშობ.

- ათეშ ალი ვინ არის?
- ქვემო სართულზე ორცხობილას საწარმოში მუშაობს. ჩვენი უბნელია. ყოველ დილით ერთად მოვდივართ სამუშაოზე. მე დედა არ მყავს, მას - მამა. ყველგან ერთად დავდივართ - ფეხბურთის მატჩზე, კინოში...
- ბურთულები უფრო გიყვარს, კინო თუ ფეხბურთი?
- ფეხბურთი, მაგრამ სტადიონზე გაწილებულნი ვრჩებით.
- რატომ?
- დანომრილი ადგილები ჩვენთვის არაა. ერთ ლირას ვაძლევთ და გულშემატკივართა ტრიბუნაზე გვიშვებენ. იქ კი სიმაღლე ხელს არ გვიწყობს. სტადიონის აშენებისას ბავშვებზე საერთოდ არ უფიქრიათ.
- და თქვენც...
- და ჩვენც კინოში დავდივართ. რა თქმა უნდა, კვირაობით. მამა თუ სახლშია, დილაადრიან გავრბივარ... პირდაპირ შეჰვადებაშისკენ.
- თუ სახლში არაა?
- თუ სახლში არაა, ვერ წავალ. წყალი უნდა გავაცხელო, სარეცხი დავრეცხო, ძმები დავბანო...
- რამდენს გიხდიან ჩარხზე მუშაობაში?

- კვირაში ათ ლირას.
- გყოფნის?
- ამ სიძვირეში რას მეყოფა. სხვა საამქროებში ოცდახუთ ლირას უხდიან, მაგრამ ვერ მივდივარ.
- რატომ?
- ოსტატი მამაჩემის მეგობარია.
- რამე ფარული გარიგება არ იყოს?!
- მაგის ეჭვი მეც მაქვს, მაგრამ მამაა, რაც არ უნდა იყოს. არ მინდა, ცუდი რამ ვიფიქრო.

ბევრი ვილაპარაკეთ. ამასობაში გავიგე, რომ ყოველ დილით ხუთ საათზე მაღვიძარას ხმაზე იღვიძებდა, ცეცხლზე ჩაიდანს დგამდა, ჭურჭელს რეცხავდა, ბაზარში პურსა და ყველს ყიდულობდა, ექვსი საათისთვის მმებს ასაუზმებდა, შვიდის ნახევარზესხვა მუშებთან ერთად გემზე ადიოდა, შვიდზე ხიდზე გადადიოდა, რვის თხუთმეტ წუთზე კი უკვე საამქროში იყო და მუშაობას იწყებდა.

- ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მომავალზე რას ფიქრობ?
- რას გულისხმობ, ბიძია?
- შესაძლებლობა რომ მოგეცეს, კვლავ ისურვებდი, რომ გესწავლა და კაპიტანი გამხდარიყვავი?

თვალები სიხარულისგან გაუბრწყინდა, შემდეგ ჩაუქრა და ერთ წერტილს მიაშტერდა.

- რას იტყვი, ისწავლიდი?
- ვისწავლიდი, მაგრამ...
- მაგრამ...?
- ჩემი ძმები...., მამას ვერ ვანდობ, ისევ გადაეკიდება ცუდ ქალს...

გული შემეკუმშა.

- ჩემმა დრომ ჩაიარა უკვე. შუათანა მმა სწავლობს. უმცროსი ჯერ პატარაა. რომ გაიზრდება, მასაც სკოლაში შევიყვან. მაშინ უკვე კვირაში ორმოცდათი ლირა მექნება, ალბათ....

უცემ მკითხა:

- ბიძია, მე სულ ასეთი დაბალი ვიქწები?
- რატომ მეკითხები? არ იზრდები?
- დედა სანამ გარდაიცვლებოდა, კედელზე ფანქრით მოვნიშნე ჩემი სიმაღლე. ისევ იმხელა ვარ. ჯუჯა ხომ არ დავრჩები?

მოუთმენლად ელოდა, რას ვუპასუხებდი. ამ დროს მტვრით სავსე, ხმაურიან დერეფანში ერთი ახმახი კაცი გამოჩნდა. ტანსაცმელი და ხელ-პირი მასაც დასვრილი ჰქონდა:

- აიჰან!

ბავშვი ყუთიდან ამოხტა.

- კიდევ არ დაგიმთავრებია ჭამა?
- დავამთავრე.
- თუ დაამთავრე, წადი და მილებზე კუთხვილები ამოჭერი!
- კარგი, ოსტატო!

მე გადავავიწყდი. გაიქცა. ქვედა საამქროში შევიდა. უკან გავყევი. საამქროს ფანჯრის კუთხიდან ვუყურებდი მღელვარებით. ჩარხს ვერ სწვდებოდა, ამიტომ იდგა გადმობრუნებულ ხის ყუთზე და ასე მუშაობდა. ჩარხი კი ბავშვს მიჩვეული ცხოველივით ემორჩილებოდა, ძირს ხვეულ-ხვეული, მოელვარე რკინის ფანტელები ცვიოდა.

## **Orhan Kemal (1914-1970) – “Wonderful Child”**

**Asmat Japaridze**

Tbilisi Ivane Javakhishvili State Universitu  
Tbilisi , Ilia Chavchavadze Avenue №1, 0179,  
Georgia, +95599503356, [japaridzeasmat@yahoo.com](mailto:japaridzeasmat@yahoo.com)  
Orcid ID : 0000-0001-6594-6049

### **Abstract.**

Orhan Kemal is a Turkish realist writer. His real name is Mehmet Raşit Üçü. In the beginning, he tried his luck at writing poetry, but later, following the advice of Nazim Hikmet, whom he met in prison, he started writing stories and novels instead.

In his writings, Orhan Kemal introduces us to the lives of "little people." Social problems are the main theme of his work.

**Keywords:** writer; little people; child.

**Translated from Turkish by Asmat Japaridze**

თარგმანი  
TRANSLATION

---

---

ომარ ხაიამი (1048-1131) - ო ბ ა ი ე ბ ი

თინა შიოშვილი

პროფესორი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი. ბათუმი, 6010. ნინოშვილის ქ. 32/35.  
საქართველო, +995593-217-655  
tina.shioshvili@bsu.edu.ge.  
Orcid ID :0000-0002-4745-9260

**აბსტრაქტი.**

ომარ ხაიამის, უდიდესი ირანელი პოეტისა და მოაზროვნის, სახელს იცნობს და უდიდეს პატივს სცემს მსოფლიოს მრავალი ხალხი და მათ შორის - ქართველები. ომარ ხაიამის ღრმა-აზროვანი რობაიები იძენად შეიყვარა და გაითავისა ქართველმა ხალხმა, რომ ზოგიერთმა მათგანმა ფოლკლორიზაციაც კი განიცადა და ვარიანტები გაიჩინა.

ომარ ხაიამის რობაიების პირველი ქართული პწყარედული თარგმანი დაიბეჭდა 1924 წელს (თარგმნა იუსტინე აბულაძემ), პირველი პოეტური თარგმანი კი - 1946 წელს (თარგმნა ამბაკო ჭელიძემ). ხაიამის მთარგმნელები არიან, აგრეთვე: მაგალი თოდუა, ვახუშტი კოტეტიშვილი, თამაზ ჩხენკელი, ალექსანდრე ელერდაშვილი.

ომარ ხაიამის პოეზიას აქტიურად თარგმნიან „საქართველოს მთარგმნელთა ასოციაციის“, წევრები, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენლის - პროფესორ თინა შიოშვილის თარგმანებს ვაცნობთ საზოგადოებას.

**საძიებო სიტყვები:** ომარ ხაიამი; რობაია; ფოლკლორიზაცია; ვარიანტი; ღვინო; დოქტორი; ბედი; სიკვდილი; მიწა; თიხა; სიკეთე; ბოროტება; სატრფო; ცხოვრება; სიბრძნე.

**თარგმნა თინა შიომვილმა**

### რობაიები

მოდი ლამაზო, მომეთბე მზე ვით,  
ამხსენ ვარამი მაგ შენი ქცევით!  
ეს ერთი დოქტორი ღვინო დავლიოთ,  
ვიდრე სადოქტე მიწად ვიქცევით!

\*

\*

ბედისწერა რომ ყოფილიყო სამართლიანი,  
დაეგებოდნენ მაშინ ფერხთით ვარდნი, იანი;  
თუ სამართალი იქნებოდა მეგზური მისი,  
ტანჯული კაცი იქნებოდა მაშინ სვიანი.

\*

\*

არავინ იცის, რას მოგვიტანს დღე ხვალინდელი,  
დღეს იხალისე და განაგდე დარდები მწველი;  
დალიე ღვინო მთვარის შუქზე, რადგანაც მთვარე  
სულ იციაგებს, ჩვენ მოგვცელავს სიკვდილის ცელი.

\*

\*

ზურმუხტი მდელო აყვავილდა, შეხედე, მწვეო!  
თუმც ერთ კვირაში ეს მიდამო, ასე რომ მზეობს,  
იქცევა მიწად. შესვი ღვინო, დატკბი სურნელით,  
ვიდრე ქცეულა მიწად ვარდი და თივად – მდელო!

\*

\*

ორი რამ არის ცხოვრებაში სიბრძნისა წყარო  
და სჯობს, მისდიო, თუკი გინდა, რომ გაიხარო:  
ყველაფრის ჭამას შიმშილობა გიჯობს, არჩიო,

და სიმარტოვე, ვიდრე ყველა რომ შეიყვარო.

\*

\*

ვიდრე გამოსცლი სასიკვდილო მწარე ფიალას  
და ბედმა ვიდრე წაღმა-უკუღმა გატრიალა,  
ამქვეყნად უნდა მოიხვეჭო სახელი კაცის,  
იქ წასაყოლი სახელია, ფული კი არა.

\*

\*

უფალო, თიხად შენ მომზილე, მე რა ბრალში ვარ?  
შენ გამომძრწე ერთიანად, მე რა ვალში ვარ?  
თუ რამ სიკეთე-ბოროტება ჩამიდენია,  
მე რად მამწყრალებ, შენ მიბიძებ, მე რა ბრალში ვარ?

\*

\*

მიკიუინებენ, მოყვარული რომ ღვინისა ვარ,  
მეუბნებიან, ლოთი ვარ და ცუდი ზნისა ვარ.  
ჩემს გარეგნობას ნუ უყურებთ, მერწმუნოთ უნდა,  
რომ სულიერად რაც ვიყავი, ისევ ისა ვარ.

\*

\*

ხაიამ, ცალკე რომ გაშალე შენი კარავი,  
კარვის კარი რომ გადარაზე, არ გსურს არავინ,  
სოფლიურ ღვინის წვეთი რომ ხარ, უნდა იცოდე,  
ზეციურმა მწდემ შენნაირი შექმნა მრავალი.

\*

\*

ჩემი გაჩენით რა შევმატე ზეციერს, ნეტა?  
არც ჩემი წასვლით გაბრწყინდება ამაზე მეტად.  
არც არასოდეს არავისგან გამიგონია,  
რატომ დამბადა ან სიკვდილი რად დამიბედა.

\*

\*

განთიადისას სიოს მოჰყვა შენი სურნელი  
და გულში გრძნობა გააჩაღა განუკურნელი;

ახლა ეს გული შენ გეკუთვნის, სულ შენ დაგემებს,  
შენ დაგემგვანა, აღარ არის ჩემი მსურველი.

\*

\*

\*

ყოველი წამი ცხოვრებისა შეირგო უნდა,  
უსიხარულოდ ვინც გახარჯა, გზა გაიმრუდა.  
ელოლიავე და გახსოვდეს, ცხოვრება შენი  
ისე ჩაივლის, როგორადაც შენ თვითონ გსურდა.

\*

\*

\*

ის კაცი არ ვარ, მაშინებდეს სიკვდილის ცელი,  
სააქაოს ან საიქიოს კეთილს არ ველი.

სული რომ მიდგას, ესეც ღმერთმა მომაბარა და  
დრო მოვა, მასვე ჩავაბარებ – ერთგული მცველი.

\*

\*

\*

ფერიებიაო სამოთხის მშვენება,  
მე ყურძნის ნაჟურით დაკბობა მენება;  
ეს ნაღდი სჯობია, რად გინდა ნისია,  
შორიდან დოლის ხმაც გეამოს , ეგება.

\*

\*

\*

ოი, ზეცაო, ეს რა წესი დაგიდგენია,  
ყველა სიკეთე ნაძირლისითვის მიგირთმევია!  
კეთილშობილი პურის ქერქსაც ყიდულობს ვალით,  
ასეთ სამართალს რა ვუთხარი, შემირცხვენია!

\*

\*

\*

ყველა მიწიერ სიკეთისგან სახელი რჩება  
და, ღვინის გარდა, ყველა გტოვებს შენ ნება–ნება.  
თუ მაჯას ძალა შერჩენია, აიღე დოქი,  
ასე სჯობს, ხელში მხოლოდ ღვინის ჯამი შეგრჩება.

\*

\*

\*

ბრძენო მოხუცო, ნუ აყოვნებ, წადი, იჩქარე

და იმ ყმაწვილკაცს, მიწას რომ ცრის, მკაცრად უთხარი,  
ფრთხილად მოეპყროს, რადგან მიწა ქაიყობადის<sup>8</sup>  
თავის ტვინია და თვალები ფარვიზის არი.

\*

\*

ნუ დანებდები, თუკი ბედი მოგექცა ავად,  
წარსულს შეეშვი, ნუ გაიხდი დარდის მთესავად;  
ვით სატრფოს დალალს, მოეკიდე გულსაც ხალისით,  
დალიე ღვინო, ნუ იმწარებ სიცოცხლეს თავად.

\*

\*

ადექ, ღვინო მომიტანე, რა დროს ლაპარავი არი,  
ქვეყანაზე ჩემი სარჩო შენი ბაგე რავი არი,  
ჩამომისხი მაგ ღაწვებისფერი ღვინო საამური,  
გამფანტვია რწმენა, როგორც შენი დალალ—კავი არი.

\*

\*

შემოქმედმა ჩვენნაირი თესა, მომკა, ლეწა ბევრი,  
მომავალზე ნუდარ ფიქრობ, მოიშორე დარდის ტევრი!  
მაშ, გამივსე ღვინით თასი, ხელის გულზე დამიდევი,  
მოსახდენი მოხდება და არ სჭირდება ენა მჭევრი.

\*

\*

ზეცისაგან, სულ რომ ბრუნავს, ავს ელოდე მარტო,  
ჩათვალე, ხარ მარტოსული, შენზე არვინ დარდობს;  
არც გუშინდელს გაეტირო და არც ხვალეს უხმო,  
ვიდრე შეძლებ, დარჩი ვინც ხარ, არვის შეეფარდო.

\*

\*

სიბრძნის მარგალიტს ვინც გონებით შეავლო ხელი  
და ვინაც უფლის დედაარსზე იუბნა ბევრი,  
ვერვინ მიაგნო საიდუმლო გორგალის ბოლოს,  
დატოვეს სიტყვა და არჩიეს სიზმრების ტევრი.

\*

---

<sup>8</sup> ქაიყობადი – ირანის მითიური მეფე.

\* \* \*

გამოარჩია ის განგებამ უმრავლეს სხვაში  
და ვარსკვლავეთის სიმაღლეზე ატყორცნა ცაში;  
როს ვერ შეიცნო ჭეშმარიტი ბუნება ზეცის,  
განცვიფრებისგან თავი მძიმედ ჩაჰკიდა მაშინ.

\*

\* \* \*

ზამთრის მიღევას გაზაფხული მოსდევს საამო ,  
თუმცა ჟამთასვლა დღეს გვიმოკლებს, სიავეს ლამობს;  
დალიე ღვინო, ნურას ნაღვლობ, რჩევაა ბრძენის:  
„დარდი შხამია, ღვინო არის მისი მალამო“.

\*

\* \* \*

მწდეო, ერთ დღესაც, ალბათ, ჩემი გულიც გაცვდება,  
მაგრამ სად წავა? ამ სამყაროს ხომ ვერ გასცდება?  
იქნება ღვინოდ გადაიქცეს, შესვამს დერვიში,  
ერთ წვეთს შესვამს და ისიც თავში აუვარდება.

\*

\* \* \*

სანამ შეძლებ, რინდებს<sup>9</sup> უნდა შეაშვლო ხელი,  
ლოცვა—მარხვა ნუ გგონია მხოლოდ სულის მხსნელი.  
გესმას ომარ ხაიამის ეს მართალი სიტყვა:  
ღვინო სვი და ჰქმენ სიკეთე, იყავ მუდამ წრფელი.

\*

\* \* \*

სჯულის კანონზე მე რომ ხელი მიმიწვდებოდეს,  
მას ჩემებურად გადავწერდი და, თანაც, ოდეს  
ამ სამყაროდან განვდევნიდი სევდა—კაეშანს,  
სიხარულისგან ზეცის თაღებს გული სწვდებოდეს.

\*

\* \* \*

სულსაც შევწირავ, ვისაც ღმერთმა უბოძა გონი,  
ფიანდაზადაც დავეგები, მისი გამგონი.

---

<sup>9</sup> რინდები – მოხეტიალენი, რომლებიც გაჭირვებულებს ეხმარებოდნენ და  
არავის საქმეში არ ერეოდნენ.

თუ გსურს, შეიცნო ჯოჯოხეთის ნამდვილი არსი,  
ელაპარაკე ბრიყვს და მაშინ მიხვდები, მგონი.

\*

\*

\*

სამწუხაროა, რომ ასე, სულ ცუდუბრალოდ, დავბერდით,  
ქარტეხილები გვარბევდა, ვერ გავუმკლავდით, ავბედითს.  
დარდვაებაში საწუთრო თვალდახელშუა დაგვიდნა,  
ვერ ავიხდინეთ ოცნება, იმქვეყნად ისე წავედით.

\*

\*

\*

ღვინის გარეშე ჩვენი ყოფა გასაჭირია,  
სტვირი თუ ჰანგებს არ გამოსცემს, რაღა სტვირია?!  
ლხინის გარეშე ეს სამყარო ყოფილა ფუჭი,  
მე ვამბობ, ვისი ცხოვრებაც რომ დასატირია.

\*

\*

\*

შენს არსებობას ნუ ირთულებ ახალ-ახლებით,  
არ ღირს, ისურვო მასზე მეტი, რაც გაქვს ნარგები.  
არსთა გამრიგებ საიმქვეყნოდ რომ გაიმეტა,  
ის არის შენი, არც მეტი და არცა – ნაკლები.

\*

\*

\*

მექოთნებმა, თიხასთან რომ გამართეს ომი,  
სულ ცოტა ჭკუა თუ მოიხმეს, სულ ცოტა გონი,  
აღარასოდეს დაუწყებებ ჭყლეტას და თელვას,  
მოეპყრობოდნენ მამების მტვერს სათუთათ, მგონი.

\*

\*

\*

რაც მოგველის, საიდუმლოდ მოგახსენებ მყისვე,  
მოკლედ გეტყვი, სიყვარული, გულს რომ სევდას მისევს,  
დამამიწებს, მაგრამ ისევ შენი ტრფობის ძალა  
დამაბრუნებს ყვავილებად, რომ გიყურო ისევ.

\*

\*

\*

მერიქიფის წყალობაა, დღე თუ დამრჩა ორიოდე,

ხალხთა ამო საუბარი გულიდან ვერ მოგხსნის ლოდებს;  
გუშინდელი ღვინიდანაც ჯამს წვეთიც არ შერჩენია,  
ნეტავ, სოფლად რა დარჩება, საიქიოს წავალ ოდეს?

\*

\*

ღვინის სახლიდან ხმა გაისმა გამთენისას:  
ჰეი, ლოთებო წარმავალი წუთისოფლისა,  
შევავსოთ თასი ღვინით, ვიდრე თავის ქალები  
გადაგვექცევა სასმისებად მიწის ღვინისა!

\*

\*

იმას, ვინაც რომ ამ ფიალის შექმნა ინება,  
მემთვრალეთათვის არ დაურთავს გატეხის ნება.  
თუმცა, ამდენი ლამაზმანი ვის გამო შობა,  
ანდა, ვის გამო მიუსაჯა მათ მოკვდინება?

\*

\*

მოხუცებულნიც და ჭაბუკნიც, დღეს რომ არიან,  
ყველა იმქეყნად მიმავალი, ყველა მგზავრია;  
ამ სამყაროში მუდმივად ხომ არავინ რჩება –  
მოდის... მიდის და... წავა – ყველა წარმავალია.

\*

\*

ლამაზმანები ვინც შეამკო მომღიმარ ბაგით,  
ჭირისუფლები – ცრემლთა დენით, წვითა და დაგვით,  
თუკი მუდმივად სიხარული ვეღარ გვიბოძა,  
არაფერია, ბევრი ცხოვრობს დარდით და ახით.

\*

\*

მერა რა, თუკი ლამაზი მაქვს დალალ–კავები,  
ტანით კვიპაროსს, ლოყით ტიტას დავედარები;  
საოცარია, მარადიულ მხატვრის ყალამმა  
დროებით ბაღში რად ჩაგვხატა დახშულ კარებით?

\*

\*

შენი პური არსობისა ღმიერთმა მოგცეს უნდა,  
ბევრია თუ ცოტა არი, გეყოს ერთი გუნდაც;  
ნუ გაწუხებს, რაც არა გაქვს, მოიშორე დარდი,  
რაც გებოძა, კმაყოფილი იმით დარჩი მუდამ.

\*

\* \* \*

სიკვდილის შემდეგ დამიკარგეთ ძვალთშესალაგი,  
ხალხს კი უამბეთ ჩემს შესახებ ჭკუის სავარგი,  
მერე, მტვრადცეულს, თუკი ვინმე დამასხამს ღვინოს,  
მაქცეს აგურად, მით მოპირეთ ქვევრის ალაგი.

\*

\* \* \*

ვიდრე ნამსხვანში ერთად არის ხორცი და ძვალი,  
იყავი ფხიზლად, დაიცავი რაც შენი არი!  
ქედს ნუ მოუხრი, თუნდ წინ გედგას როსტომ–ზაალი<sup>10</sup>,  
ნურც ჰათემთაის<sup>11</sup> ქონებაზე დაგრჩება თვალი.

\*

\* \* \*

ვარდფურცლობისთვის ნოვრუზობის სიოა მარგი,  
მწვანე მდელოზე – სატრფოს სახე, ეშხით ნაქარგი.  
რაც წარიტაცა გუშინდელმა, ნუღარ ინაღვლებ,  
მაშ, მოილხინე, დღევანდელი დღე არის კარგი!

\*

\* \* \*

შეუცნობელის წვდომით, ნეტავ, ვინ გაიხარა,  
ვერც შენ ჩასწვდები განსწავლულთა სიბრძნეს ანკარას;  
ლალისფერ ღვინით აქ მოიწყე სამოთხე, გულო,  
იმ სამოთხემდე ან მიაღწევ, ან კიდევ – არა.

\*

\* \* \*

იმ ერთი ხარის სამყოფელი ზეცაა შორი,  
მეორე მიწის წიაღშია ჩამდგარი, მგონი;  
თუ ჭკუა გიჭრის და აზრზე ხარ, ირწმუნე ერთი:

<sup>10</sup> „შაჰნამეს“ გმირები.

<sup>11</sup> სიმდიდრით განთქმული პირები.

ვირების ნახირს დაინახავ ამ ხარებს შორის.

\*

\*

უფალო, რატომ დამიმსხვრიე ღვინის ხელადა?  
სიხარულისთვის, ხომ იცი, რომ ესღა მებადა!  
დაუნანებლად ღვინო ძირში რომ დამიქციე,  
მაპატიე და, შენც დათვერი? დახვალ ხელადა?

\*

\*

ჩქარობს ცხოვრების ქარავნი, მიდის და მიდის...  
ამ სიამესაც გადაფარავს დრო-უამის ბინდი;  
მაშ, ნუღარ ჯარვობ, მოიშორე ხვალის წუხილი,  
მომეც ფიალა, მერიქიფევ, ეს ღამეც მიდის!

\*

\*

ცოდვილი არის ეს ქვეყანა, მეც ვცოდავ, ვიცი –  
ლალისფერ ღვინის სიყვარულით დღემუდამ ვიწვი;  
ამბობენ, ღმერთი შეუნდობსო ცოდვიანს ყველას,  
არ შემინდობს და არც მჭირდება შენდობა მისა!

\*

\*

ღვინის სარდაფში ადგილია მხოლოდ ღვინისა,  
წაბილწულ ნიჭით არ ეგების ქმნა კეთილისა;  
ეს სათხოების ტალავარიც ისე დავფლირთეთ,  
აღარაფრად ღირს ხელმეორედ ჩაცმა იმისა.

\*

\*

უფლის შენდობის იმედი ყოველთვის გქონდეს, იცოდე,  
რაგინდ ცოდვაში ჩავარდე, სასოწარკვეთით იწვოდე!  
უგონოდ მთვრალი, თუ ხელებს უმწეოდ გულზე დაიკრებ,  
შენს ძვლებსაც მიუტევებენ, შეგინდობ-შეგიცოდებენ.

\*

\*

ცხოვრებას ღვინით ეფინება სულ სხვა იერი,  
ღვინო გვავიწყებს, რაც ტკივილი გვაქვს მიწიერი;

მომეცით ხელში სავსე ჯამი, რადგან სიცოცხლე  
წარმავალია, უნდობარი და წამიერი.

\*

\*

\*

სევდას მეგობრად ნუ გაიხდი, ნუ მისცემ ნებას,  
აგედევნოს და უკურნებელს შეგყაროს სნებას!  
შენს ცხოვრების წიგნს არ დაკლო ფურცელიც ერთი,  
ვიდრე ცოცხლობ და ვიდრე მიწა შენით დათვრება.

\*

\*

\*

ნეტავ, ამ ღამით ასე მთვრალთან ვინ მოგიყვანა?  
ჰარამხანიდან ჩემთან სატრფოდ მოხვედი განა? –  
რომ უშენობით ალმოდებულ მიჯნურის სუნთქვას  
მაცოცხლებელი ნიავივით მოედო, განა?

\*

\*

\*

გუშინ ბაზარში შევესწარი, მექოთნე ერთი  
თიხის გუნდას რომ გამალებით ურტყამდა ფეხით,  
ხოლო თიხა კი ღაღადებდა მისეულ ენით:  
მეც კაცი ვიყავ, ნუ მაწვალებ, იწამე ღმერთი!

\*

\*

\*

დაფიქრდი და გონს მოეგე, და უჭკუოდ ნუ იქცევი, –  
შიშვლად მოხველ და შიშველი წახვალ, როცა წაიქცვი!  
თურმე, ღვინოს შემოსწყერი, გითქვამს: „მომკლავს, აღარ  
დავლევ!“

გინდ დალიე და გინდ არა, სიკვდილს ვერსად გაექცევი!

\*

\*

\*

ვაგლახ, წიგნი ჩემი ყრმობის ჩაიფურცლა, ჩაინაცრა,  
ჩაირბინა ცხოვრებამ და გაზაფხულის შემრჩა არც რა.  
სიჭაბუკედ რომ უხმობენ, ის ჩიტიც ხომ გამიფრინდა,  
აფსუს, ვერა გავიგე რა – ვერც მოსვლა და ვერცა – წასვლა!

\*

\* \* \*

მიწოდე რაც გსურს, არ დამინდო აცერთი წამით,  
თქვი, რომ უზნეო, ურწმუნო ვარ, ფიცხი და ავი;  
მზადა ვარ, ყველა სალანძღვი სიტყვა მივიღო,  
მაგრამ შენ რაც ხარ, არ დამალო ამხილე თავიც.

\* \* \*

თუნდ გულისწორთან გაატარო სიცოცხლე შენი,  
თუნდ წუთისოფელს გამოსტაცო სიამე მთელი,  
თუ დასაბამით სიკვდილია ყველაფრის ბოლო,  
ეს ყოველივე სიზმარია, სხვა – არაფერი.

\* \* \*

ღრუბელმა მინდორს დააწვიმა ცრემლების რემა,  
უღვინოდ ქვეყნად ვერ მიაღწევ ვერაფერს, მჯერა.  
დღეს ეს სიმწვანე, ჩვენს გულებს რომ ასე ახარებს,  
ჩვენს საფლავებზე რომ ამოვა, ვის მოჰვრის ლხენას?

\* \* \*

რა კარგი დღეა! არცა ხვატია და არცა – თქეში,  
ჟუჟუნებს წვიმა, ეფერება ყვავილებს ეშხით;  
მთვრალი ბულბული ვარდის ტოტზე ზის და იძანის:  
„ახლა კი დროა, სავსე ჭიქა აიღოთ ხელში!“

\* \* \*

ამბობენ, ლოთებს დახშული აქვთ სამოთხის კარი,  
ვერ დავიჯერებ! აბა, ეს რა სარწმუნო არი?!  
თუ ლოთს და მიჯნურს ჯოჯოხეთი ელის სასჯელად,  
ხვალისთვის იყოს, დღეს ვსვათ ღვინო გულგასახარი!

\* \* \*

მოლავ, თუმც ვლოთობთ და აღარა გაგვეგონება,  
იცოდე, შენზე ფხიზელი გვაქვს თვალი გონების!  
ჩვენ ვეწაფებით ღვინოს, შენ კი სისხლს სვამ კაცისას,  
ვინ უფრო მეტად ცოდვილი ვართ, გაგეგონება.

\*

\*

\*

ღვინო უძლურსაც გოლიათის მიმადლებს ღონეს,  
ბორკილიც ედოს, მწუხარებას არ მოაგონებს;  
თვითონ ეშმაკსაც, თუკი წვეთი ღვინო დალია,  
დაჩოქილს ნახავ, მის ლოცვასაც კი გაიგონებ.

\*

\*

ღვინის სარდაფებს ვასულდგმულებთ მხოლოდ ლოთები  
და ათასობით ცოდვა გვადევს, როგორც ლოდები,  
მაგრამ თუ ცოდვას არ ჩავიდენთ, რას შეგვინდობენ?  
შენდობას ცოდვა აციაგებს ნათლის ზოდებად.

\*

\*

არცა მეჩეთის მრევლი ვარ და არც – ცოდვის ბილწის,  
რა თიხითაც ვარ მოზელილი, უფალმა იცის;  
ღვთის მგმობელი ვარ თუ ბოგანო ვარ მაწანწალა,  
არცა სამოთხის იმედად ვარ, არც – დედამიწის.

\*

\*

ყვავის მიდამო... რა სჯობია წყაროს ანკარას,  
გვერდით კი – ქალწულს თვალისმომჭრელს, ტუჩებთაკარას,  
დოქით კი – ღვინოს და ფიალაც თუკი ხელთა მაქვს,  
არც მეჩეთი მსურს, არც სამოთხე და არც – აღარა!

\*

\*

ყოველგვარ სასოს წარგივვეთავს სიკვდილის ხელი,  
თუნდ ყვავილებად მოგეზვენოს, საშველს ნუ ელი;  
ვით უდაბნოში დაცემული თოვლის ფიფქები,  
უცებ გაქრება და გადნება ცხოვრება შენი.

\*

\*

უნდა მოვეშვათ საწუთოზე წუხილს ამაოს,  
ვილხინოთ, ვიდრე ეს ქვეყანა წარამარაობს;  
შეხედეთ, დატკბით დედამიწის აზურმუხტებით,

დასწევდით ფიალას, სადაც ღვინის ეშხი ნანაობს.

\*

\*

ვერ აიცილებ თუკი სიკვდილს, გარდუვალია,  
მაშინ რას დარდობ, აბა, რაღა საწუხარია!  
არარაობა არის თუკი სხეული შენი,  
მისთვის წუხილი სიცოცხლის ჟამს რაღა ვალია?!

\*

\*

ჩემივე ცოდნით ავისრულე მე ყველაფერი,  
ავხსენი ბევრი საიდუმლო სიბრძნის საფერი;  
მოხერხებითაც ეს ცხოვრება გავიადვილე,  
სიკვდილს კი მაინც ვერ გავუგე მე ვერაფერი.

\*

\*

სიცოცხლე დნება, როს სიბერემ ხელი დამრია,  
მიახლოვდება სიკვდილი და ვდარდობ ძალიან, –  
იმ ქვეყნიდან კი დაბრუნებულს ვერვის წავაწყდი,  
რომ ეთქვა მაინც, წასულები როგორ არიან.

\*

\*

გულო ჩემო, აწყმო სანდო აღარ არი,  
მისგან ოდენ ტკივილი გაქვს, საწუხარი;  
შენი თავის შემწე შენვე უნდა იყო,  
არვინ იცის, როგორია მომავალი.

\*

\*

მერიქიფევ, ჩვენზე ადრე გაემგზავრა ვინაც,  
შავ მიწაში დაიძინა, იქ დაიდო ბინა;  
მაშ, შეავსე ფიალა და გაიგონე ჩემი:  
აბა, მითხარ, ვინც არა სვამს, მან რა შეიძინა?

\*

\*

თუ ორიოდე დღის სამყოფი გეგულვის პური  
და პირწატეხილ დოქშიც გიდგას წყალი სარწყული,

აბა, რად უნდა დაემონო შენზე უარესს,  
ანდა, შენ თვითონ რადად გინდა სხვათ სამსახური?

\*

\*

\*

მე ვეძებ შემწეს და სადაა მწეობა შენი?  
გულში ღამეა, ჩაქრა სხივი სიცოცხლის მფენი;  
შენ მე სამოთხეს რომ მპირდები მორჩილების წილ,  
ეს ვაჭრობაა და სად არის წყალობა შენი?

## Rubaiyat of Omar Khayyam - (1048-1131)

Tina Shioshvili

Professor

Batumi Shota Rustaveli State University  
Georgia,6010. Batumi, Ninoshvili st. 32/35.  
+995593217655. tina.shioshvili@bsu.edu.ge  
Orcid ID :0000-0002-4745-9260

### **Abstract.**

The name of the greatest Iranian poet and thinker, Omar Khayyam, is known and respected by many people around the world, including Georgians. Omar Khayyam's deep-seated Rubaiyats were so loved and embraced by the Georgian people that some of them even underwent folklorization and create variants.

The first Georgian interlinear translation of Omar Khayyam's Rubaiyats was published in 1924 (translated by Justine Abuladze), and the first poetic translation - in 1946 (translated by Ambako Chelidze). Translators of Omar Khayyam are also: Magali Todua, Vakhusheti Kotetishvili, Tamaz Chkhenkeli, Alexander Elerdashvili.

Omar Khayyam's poetry is being actively translated by members of the Georgian Translators' Association, one of whom is Professor Tina Shioshvili, whos works are being introduced to the public.

**Translated by Tina Shioshvili**

**Keywords:** Omar Khayyam; Rubaiyat; Folklorization; Variation; Wine; Jug; Fate; Death; Ground; Clay; Goodness; Badness; Sweetheart; Life; Wisdom.

# იუბილე JUBILEE

---

---

## გიორგი სანიკიძე - 60



იღვიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორს, აღმოსავლეთმცოდნეობის ღვაწლმოსილ მეცნიერსა და ისტორიკოსს, გიორგი სანიკიძეს, დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

საიუბილეო წერილები ბიოგრაფიული ელემენტების გარეშე წარმოუდგენელია. ტრადიციას ვერც აქ დავარღვევთ და მკითხველს მოკლედ გავაცნობთ გიორგი სანიკიძის საინტერესო ცხოვრების ზოგიერთ დეტალს.

ბატონი გიორგი სანიკიძე დაიბადა 1962 წლის 24 ოქტომბერს, თბილისში. 1979 წელს დაამთავრა თბილისის 54-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალობით, რომლის სრული კურსი დაასრულა 1984 წელს.

1986 - 2002 წლებში მუშაობდა აკადემიკოს გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად.

1996-2002 წლებში იყო თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი და ამავე ფაკულტეტის პროფესორი.

2001-2005 წლებში გიორგი სანიკიძე გახლდათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი.

2006-2010 წლებში კი ეკავა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის აკადემიური თანამდებობა.

2010-2021 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი.

2002-2010 წლებში გახლდათ აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი.

2010 წელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის გაერთიანების შემდეგ, მან გააგრძელა დირექტორის თანამდებობაზე მუშაობა.

გიორგი სანიკიძე 2010 წლიდან დღემდე გახლავთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი.

1990 წელს გიორგი სანიკიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის სადისერტაციო საბჭოზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ისმაილიანთალმწიფოს შექმნა ირანში“ და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის აკადემიური ხარისხი, ხოლო 2001 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის სადისერტაციო საბჭოზე, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „შიიზმი და სახელმწიფო ირანში“ და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი.

პროფესორ გიორგი სანიკიძის სამეცნიერო ინტერესის სფეროებია: ახლო აღმოსავლეთის (უპირველესად ირანის) ისტორია და თანამედროვე მდგრადრობა; საქართველოსა და კავკასიის ისტორიული ურთიერთობები აღმოსავლეთის ქვეყნებთან; თანამედროვე ისლამთან და ისლამურ მოძრაობებთან დაკავშირებული პრობლემები; „ორიენტალიზმის“ საკითხი და აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობები; აღმოსავლური ისტორიოგრაფია და სხვა.

პროფესორი გიორგი სანიკიძე მაღალკვალიფიციური დექტორია. წლების განმავლობაში მიჰყავს სასწავლო კურსები

შემდეგ დისციპლინებში: საერთაშორისო ურთიერთობათა შესავალი; ახლო აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ისტორია; ახლო აღმოსავლეთის ახალი და უახლესი ისტორია; ახლო აღმოსავლეთის ისტორია; პოლიტიკური პროცესები თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში; ისლამი და პოლიტიკა; ისლამი და სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში; ისლამი და პოლიტიკა კავკასიაში; საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიული ურთიერთობები; აღმოსავლეთი და დასავლეთი – ურთიერთობების და ურთიერთაღმის ისტორია; საერთაშორისო ტერორიზმი; ირანის ძველი და შუა საუკუნეების ისტორია; ირანის ახალი და უახლესი ისტორია; თანამედროვე ირანი - პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება; აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობების ისტორია და სხვა.

პროფესორი გიორგი სანიკიძე აქტიურადაა ჩართული მომავალი თაობის აღზრდა - განათლების საქმეში და ბევრ ახალგაზრდას გაუკვალა გზა მეცნიერებისაკენ. მისი ხელმძღვანელობით სადოქტორო დისერტაცია დაიცვა არაერთმა ნიჭიერმა ახალგაზრდა მკვლევარმა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან.

პროფესორი გიორგი სანიკიძე სხვადასხვა დროს მიწვეული მკვლევრის სტატუსით მუშაობდა პარიზი-სორბონა-III-ისა და პარიზი-სორბონა-IV-ის უნივერსიტეტებში, კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტში, ჰოკაიდოსა და ოსაკას უნივერსიტეტებში. მიღებული აქვს ფულბრაიტის, დიდროს, იაპონიის ფონდის, ჰოკაიდოს უნივერსიტეტის, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის, კარნეგის ფონდის, რუსთაველის ფონდის, ამსტერდამის სოციალური ისტორიის ინსტიტუტის, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“, „ევრაზიის“ ფონდის, INTAS-ის სტიპენდიები და გრანტები.

არის დაახლოებით 70 სამეცნიერო პუბლიკაციის, რომლებიც, საქართველოს გარდა, გამოქვეყნებულია 10 ქვეყანაში, არაერთი სახელმძღვანელოსა და საგაზეთო სტატიის ავტორი. მონაწილეობდა 80-მდე საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმში. წაკითხული აქვს ლექციები კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტში; მონტანას, სორბონა-III-ისა და სორბონა-IV-ის,

ვასედას, ჰოკიდოს, ოსაკასა და კიოტოს, მეზიკოს იბეროა-მერიკანას და ანაპუაკის უნივერსიტეტებში.

არის არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციისა და საზოგადოების წევრი: „ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის კვლევის ასოციაციის“, „ირანული კვლევების საერთაშორისო საზოგადოების“, „ცენტრალური ევრაზიის პროექტის (CNRS და EHESS) წევრი. ასევე „სპარსულენოვანი საზოგადოებების კვლევის საერთაშორისო ასოციაციის“ წევრი და რეგიონული ოფისის ხელმძღვანელი; საფრანგეთის ინსტიტუტისტებობის ჯგუფის „ირანული და ინდური სამყარო“ ასოცირებული წევრი;

2012 წელს მიენიჭა „ფარაბის საერთაშორისო პრემია“ ირანისტიკისა და ისლამმცოდნეობის დარგებში განხორციელებული კვლევებისათვის (იუნესკოს და ისესკოს (ირანისტიკისა და ისლამმცოდნეობის კვლევითი ცენტრი, ირანი) ერთობლივი კონკურსი).

ფსიქოლოგები თვლიან, რომ ადამიანი, რომელიც ცხოვრებას ძირითადად ახალგაზრდების გარემოცვაში ატარებს გვიან ბერდება და ჭარბაზობაშიც ინარჩუნებს ჭაბუკურ მუხტს. სწორედ ბატონ გიორგი სანიკიძეზე ითქმება ეს. ალბათ, ძნელად დასაჯერებელია, რომ ამ ენერგიით სავსე ადამიანმა უკვე ექვსი ათწლეული შესარულა და 30 წელი მუხჩაუხრელად მოღვაწეობს განათლების სისტემაში.

ბატონი გიორგი სანიკიძე დიდებულ მაგალითს წარმოადგენს ბევრი ახალგაზრდა კოლეგისთვის.

ასობით სპეციალისტის აღმზრდელ, ღვაწლმოსილ პედაგოგს 2022 წელს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

ასე მიდის ერთი უანგარო, დამსახურებული და უპრეტენზიო მოქალაქის, პროფესორ გიორგი სანიკიძის ცხოვრება.

მრავალეამიერ ბატონო გიორგი!

პროფესორი გიორგი სანიკიძე სტუდენტებზე და კოლეგებზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცია. თქვენ რჩებით სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებლებისათვის ქართველ კაცობისა და ჭეშმარიტი მოქალაქის სიმბოლოდ და მაგალითად.

ბატონი გიორგი, გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, გის-ურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, აქტიურ საქმიანობას და მოღვაწეობას როგორც სამეცნიერო, ისე ქვეყნის სამსახურში.

### **პროფესორი ემზარ მაკარაძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი

გახსენება  
IN MEMOTY OF

---

---

გოჩა ჯაფარიძე - გახსენება

ქართულმა აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლამ და საერთოდ, ქართულმა მეცნიერებამ და საზოგადოებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. 2020 წლის 15 ნოემბერს გარდაიცვალა აღმოსავლეთმცოდნე - ისტორიკოსი, არაბისტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი - გოჩა ჯაფარიძე (1942 წ. 10 ივლისი - 2020 წ. 15 ნოემბერი).



გოჩა ჯაფარიძე დაიბადა 1942 წლის 10 ივლისს ქ. თბილისში. 1959 წელს, ქ. თბილისის 62-ე სამუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაასრულა აღმოსავლეთის ისტორიის განხრით, აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსის კვალიფიკაციით. 1964-1967 წწ. იგი სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში. 1968 წლის 15 მაისს გოჩა ჯაფარიძემ, 25 წლის ასაკში, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „არაბული ნუმიზმატიკისა და მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIII.)“ და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიიღო. 1968 წელსვე გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი (1977 წლამდე). ამ ინსტიტუტში

სხვადასხვა დროს მუშაობდა უფროს (1977-1988 წწ.) და წამყვან (1988-1995 წწ.) მეცნიერ თანამშრომლად, მახლობელი აღმოსავ-ლეთის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგედ (1995 წწ.) და შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილების გამგედ (2004-2007 წწ.).

1994 წლის 27 ივნისს დაიცვა დისერტაცია თემაზე „**საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში**“ და მიიღო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. დისერტაცია ერთი წლის შემდეგ წიგნად გამოიცა. აღნიშნულ თემაზე ფუნდამენტურად გამოკვლეული წიგნი, ფაქტობრივად, იყო პირველი, რომელმაც იმ დროს ქართველ მკითხველს, განსაკუთრებით სამეცნიერო საზოგადოებას, ფართოდ გაუღო კარები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის დეტალურად შესწავლის საქმეში. 1999 წელს გ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით და თანაავტორობით საქართველოში, ქართულად, პირველად გამოქვეყნდა „**ისლამის ენციკლოპედიური ცნობარი**“, რომელიც შედგება 450 სტატიისაგან და აქედან 202 მისი დაწერილია.

პროფესორ გოჩა ჯაფარიძის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა დიდწილად უკავშირდება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. იგი უნივერსიტეტზე ყოველთვის და ყველგან ამობდა, რომ „ის იყო პირველი, არის პირველი და იქნება პირველი, რომ მას ვერცერთი სხვა სასწავლებელი ვერ შეედრებოდა“. 2005 წელს, 1 მარტიდან - 28 აგვისტომდე, მას ეკავა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა. 28 მარტიდან იგი ახლადჩამოყალიბებული ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი გახდა, რომელიც დაკისრებულ მოვალეობას 2006 წლის 11 აპრილამდე წარმატებით ასრულებდა.

სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა, პროფესორი გოჩა ჯაფარიძე აგრეთვე ეწეოდა დიპლომატიურ საქმიანობასაც. ის სხვადასხვა დროს დანიშნული იყო ჯერ დესპანის, ხოლო შემდეგ სანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე. დიდ დიპლომატიურ ასპარეზამდე გოჩა ჯაფარიძე არაბულ ქვეყნებში ხანგრძლივი მივლინებებით იმყოფებოდა.

1968-1969 წლებში იგი სირიაში, ჰალაბის რკინიგზის ხაზების მთავარი სამმართველოს არაბული ენის თარჯიმანი იყო, ხოლო 1979-1983 წლებში სირიის არაბთა რესპუბლიკაში, ქალაქ დამასკოში, სსრ კავშირის კულტურის ცენტრის დირექტორად დაინიშნა. 1998 წელს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საქართველოს საელჩოში, ქალაქ კაიროში, საგანგებო და სრულუფლებიან დექანად გაიგზავნა. პროფ. გოჩა 2007-2009 წლებში, ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იყო ქუვეითსა და სპარსეთის ყურის 5 ქვეყანაში (საუდის არაბეთი, კატარი, ბაჰრეინი, ომანი, არაბთა გაერთიანებული საემიროები). მინიჭებული აქვს დესპანის (2000 წ.) და ელჩის (2009 წ. 20 იანვარი) დიპლომატიური რანგები. 2009-2010 წლებში ის ეგვიპტისა და სირიის არაბთა რესპუბლიკებში საქართველოს საელჩოში გადაიყვანეს, აგრეთვე საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ გოჩა ჯაფარიძის არაბულ ქვეყნებში მოღვაწეობამ ბევრი საინტერესო აღმოსავლური ლიტერატურა შესძინა ქართულ მეცნიერებას. ის დიდი სიხარულით პატრონობდა ქართველ სტუდენტებს, რომლებიც გაცვლითი პროგრამით სასწავლებლად ჩადიოდნენ არაბული ქვეყნების სხვადასხვა უნივერსიტეტებში.

ეგვიპტეში ელჩად ყოფნისას და ქართველი მამლუქების საფლავების მიეგბისას, გოჩა ჯაფარიძემ ამ საკითხთან დაკავშირებით დოკუმენტური ფილმის გადაღებაც გადაწყვიტა და ეს საქმე რეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილთან ერთად შეასრულა. მათ გადაიღეს დოკუმენტური ფილმი სახელად - „ინზილ ია, ბაშა! (არაბ : شاشي اينزلي ، რაც არაბულიდან ითარგმენაბ, როგორც - „ჩამოეთრიე ფაშა!)“, სადაც XVIII საუკუნის ეგვიპტის ისტორიაში ქართველ მამლუქთა მართვა-გამეცხლობა არის ასახული.

2010 წლიდან გოჩა ჯაფარიძე დაუბრუნდა მშობლიურ უნივერსიტეტს და განაგრძო სტუდენტებისა და თაობების აღზრდა. მისი ეგვიპტეში მოღვაწეობა მისივე სამეცნიერო ინტერესისთვის დიდი წარმატების მომტანი აღმოჩნდა. მას სურდა, რომ ეგვიპტეში ქართველ მამლუქთა საფლავებისათვის მიეკვლია და მიაკვლია კიდევ. ის ჯერ კიდევ მეხუთე კურსზე გადადიოდა, როდესაც ეგვიპტიდან საქართველოში გამოგზავნილ წერილს

მიაკვლია და სამეცნიერო სტატიის სახით ქართულ ისტორიოგრაფიას კიდევ ერთი დიდი ნაშრომი აჩუქა. მამლუქების ისტორიის შესწავლა და მათი მონოგრაფიის სახით გამოცემა გოჩა ჯაფარიძემ 2016 წელს შოთა რუსთაველის ფონდის გრანტის ფარგლებში შეძლო, სათაურით „**საქართველო და ეგვიპტის მამლუქები**“ მამლუქების გარდა მისი სამეცნიერო ინტერესები ასევე ეხებოდა წმინდა მიწაზე არსებულ ქართულ მონასტრებს, რომლებზე შრომებიც დრო და დრო სტატიების სახით ქვეყნდებოდა, მაგრამ 2018 წელს უკვე სრული მონოგრაფიის სახე მიიღო და სათაურით : „**ქართველთა სავანეები და სამოხასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII სს.**“, შოთა რუსთაველის ფონდის დაფინანსებით, გამოიცა.

გოჩა ჯაფარიძის ერთ-ერთი იმ მრავალთაგანი წარმატებული კვლევებიდან გამოსარჩევია წმ. მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძისადმი (1899-1942), რომელიც პოლონეთში ნაცისტებისაგან დევნილ მოსახლეობას იფარებდა და ამასვე შეეწირა, მიძღვნილი ნაშრომი - „**უცხოელ პილივრიმთა ცნობები პალესტინის ქართველ ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ - გრიგოლ ფერაძე**“ (1942), რომელიც გამოსაცემად მან დიდი შრომის შედეგად მოამზადა. მისი ღვაწლი წმ. გრიგოლ ფერაძისადმი იმდენად დიდი იყო, რომ ვარშავის უნივერსიტეტმა წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემია მას და გორისა და ატენის მიტროპოლიტს, ანდრია გვაზავას მიანიჭა. დაჯილდოვება 2018 წლის 17 სექტემბერს ვარშავის უნივერსიტეტის ტიშკევიჩების სასახლეში გაიმართა. ხოლო ამავე წლის 6 დეკემბერს უკვე დაჯილდოვება უნდა შემდგარიყო, მაგრამ ლაურეატები პოლონეთში ვერ ჩავიდნენ. ვინაიდან ვარშავაში ლაურეატები ვერ გამოცხადდნენ, 2019 წლის 5 თებერვალს, დაჯილდოების ცერემონია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა, სადაც, საქართველოში პოლონეთის ელჩმა - მარიუშ მაშკიევიჩმა, პროფესორ გოჩა ჯაფარიძესა და მიტროპოლიტ ანდრია გვაზავას მედალი და დიპლომი გადასცა. ამავე დაჯილდოვებაზე გოჩა ჯაფარიძე უნივერსიტეტის რექტორმა უნივერსიტეტის ოქროს მედლით დააჯილდოვა.

ჩემს დიდ მასწავლებელზე წარსულში წერა ძალიან რთული და მტკიცნეული აღმოჩნდა. არ არსებობდა, ვინმეს მისთვის რაიმე ეთხოვა და უარი ეთქვა დახმარებაზე; წიგნი ეთხოვათ და არ ეჩუქებინა, ან ეშოვნა; მისი სტატია ან რაიმე რესურსი დამჭირვებოდა და იმ დღესვე არ გამოეგზავნა; რჩევისთვის დამერეკა და მასაც ენერგიულად არ ეპასუხა, ბოლომდე ხელი არ გაემართა. მინდა გავიხსენო ერთი შემთხვევა უამრავიდან : 2018 წელს, იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კათედრის წევრმა - ირინე ნაჟყებიამ გამოსცა წიგნი „**ნაპოლეონის დაბლომატიური მისიები ირანში და საქართველოს საკითხი (XIX საუკუნის პირველი ათწლეული)**“, რომელიც იმ დროს ვერ ვიშოვნებ და ამის შესახებ ბატონ გორგასთან ლექციაზე უბრალოდ ვახსენე, ვერაფრით ვერ ჩავიგდე ხელში-მეთქი. შემომხედა და მითხრა, ორი წუთი მაცადე და ჩათვალე, რომ წიგნი გაქვსო. დაურეკა ავტორს და წიგნის ორი ეგზომპლიარი სთხოვა. ორ დღეში დამირეკა და მითხრა, რომ წიგნი V კორპუსის ბიბლიოთეკაში დაგიტოვა ავტორმა, მიდი და აიღეო. არ არსებობდა მისგან დახმარებაზე უარყოფითი პასუხი მიეღო ვინმეს, განსაკუთრებით საქმე წიგნს თუ ეხებოდა, ის ყველა ღონეს იხმარდა სტუდენტის და კოლეგის დასახმარებლად.

ბატონი გოჩა ჩემთვის, და არა მარტო ჩემთვის, იყო უძვირფასესი ადამიანი, დიდი მასწავლებელი, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის „უკანასკნელი მოპიკანი“, „ქართველი მამლუქი“, პატრიოტი, საქართველოს ჭეშმარიტი ისტორიოგრაფიის მუდმივად ფრონტის წინა ხაზზე მდგომი და უბრალოდ – დიდებული ადამიანი. ჩემთვის სტუდენტობის დროს ბევრჯერ უთქამს, ვერ ვარ კარგად, ჩემი წასვლის დრო დადგამ და სიტყვას მაშინვე შევაწყვეტინებდი ხოლმე, დიდხანს უნდა გვყავდეთ, კარგად უნდა იყოთ - მეთქი, მაგრამ დადგა მძიმე გამომშვიდობების დრო.

პროფესორი გოჩა ჯაფარიძე გარდაიცვალა 2020 წლის 15 ნოემბერს, 78 წლის ასაკში, და თითოეულ ჩვენთაგანს დიდად დაგაწყვიტა გული. ზემოთ წარმოდგენილი მოხსენება, რომელიც დიდ ადამიანს, პატრიოტს, დიპლომატს, ღვაწლმოსილ

მეცნიერს, პროფესორს, ისტორიკოსა და ორიენტალისტს - გოჩა ჯაფარიძეს ეხება, ცრემლიანი გახსენება. მას უდიდესი დამსახურება მიუძღვის: ისლამური და ქართული წუმიზმატიკის, მეტროლოგიის, საქართველოს ისლამურ სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოში ისლამის ისტორიის, ვექსილოლოგიის, ონომასტიკური ძიებების, ქართველი მამლუქების და წმინდა მიწაზე არსებული სამონასტრო თემის, ასევე არაბული ნარატიული, ეპიგრაფიკული და დოკუმენტური წყაროების შესწავლაში და მათ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანაში. ის დიდი ქომაგი იყო ახალგაზდა მკვლევრების.

მისი წასვლა ამ ქვეყნიდან უსათუოდ დიდი დანაკლისია ქართული მეცნიერებისათვის. ის მუდამ იქნება ჩვენს გულებში და მახსოვრობაში, როგორც ნიჭიერი, უაღრესად განათლებული, საკუთარი საქმის პროფესიონალი, ძვირფასი უფროსი კოლეგა, დიდი ადამიანი, საუკეთესო ლექტორი და მეცნიერი.

### გიორგი ახალგაციშვილი ისტორიკოსი / თურქოლოგი

#### **Gocha Japaridze – Reminding**

Georgian school of the oriental studies and generally Georgian science and society felt the irreparable loss. Orientalist and historian, Arabian, doctor of the history's learning, a leader of the oriental studies' teaching and scientific institute of the humanitarian learning faculty of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University, a leader of the chair of history of the east – Gocha Japaridze died on November 15 2020 (10 July 1942 – 15 November 2020).

Gocha Japaridze was born on July 10 1942 in Tbilisi. In 1959, after finishing secondary school N62 of Tbilisi, he was enrolled at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University at the humanitarian learning faculty, that he finished with a great success for history of the east, with the qualification of the orientalist and historian. In 1964-1967

he was learning at the Georgian National Academy of Science of postgraduate studies. On 15 May 1968 at the age of 25 Gocha Japaridze defended a candidate's dissertation on "*from the history of Arabian Numismatics and Metrology (IX-X Centuries.)*" and he got a candidate degree of history of Science. In 1968 he became Georgian National Academy of Science's scientific collaborator of Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies (till 1977). At this Institute at the different times he was working as a head (1977-1988) and a leader (1988-1995) scientific collaborator, as a manager of the department of new and the newest history of the near east (1995) and as a manager of the department of History of the Middle Ages (2004-2007).

He defended a dissertation on "*Georgia and Isis of the near east of one third of XII-XIII Centuries*" and he got a doctor's degree of history of Science. One year later dissertation was published as a book. Fundamentally investigated book about an indicated topic, actually was the first one, which has opened the door widely to the Georgian readers of those times, especially to the theosociety in the case of learning history of the near east in detail. In 1999 "*Isis encyclopedic reference*" on Georgian was published for the first time led and authorshipped by Gocha Japaridze, which includes 450 articles and 202 of them are written by him.

Pedagogic and scientific works of professor Gocha Japaridze mostly are connected to the Ivane Javakhishvili Tbilisi State University. He was saying all the time and everywhere that "It was the first, is the first and will be the first, that no other Univeristy can be compared to it". In 2005 from the March 1<sup>st</sup> to August 28<sup>th</sup> he was working as a dean of the Orientals' faculty. From March 28 he became a dean of the newly-created humanitarian faculty, that he was doing entrusted duty with a great success till 11 April 2006.

In addition to the scientific and pedagogic works, professor Gocha Japaridze also did diplomatic activities. At the different times he was appointed firstly as an envoy, and then as an Extraordinary and Plenipotentiary Ambassador. Before a big diplomatic arena Gocha Japaridze was in the Arab Countries on the long-term missions. In 1969 he was the main management's Arabic interpreter of the Halabi

Railway Lines in Syria, and in 1979-1983 years He was appointed as a director of the cultural centre of USSR in Damascus, Syrian Arab Republic. In 1998 he was sent as the Extraordiary and Plenipotentiary envoy in the embassy of Georgia of the Arab Republic of Egypt, in Cairo. In 2007-2009 professor Gocha was an Extraordinary and Plenipotentiary Ambassador in the 5 countries of the Persian Gulf and Kuwait (Saudi Arabia, Qatar, Bahrain, Oman, United Arab Emirates). He has granted diplomatic ranks of envoy (2000) and ambassador (January 20 2009). In 2009-2010 he was taken to the embassy of Georgia, Arab Republics of Syria and Egypt, also was appointed as the Extraordiary and Plenipotentiary Ambassador. It should be definitely noted that Gocha Japaridze's works in the Arab countries acquired a great many interesting eastern literature to the Science of Georgia. He was taking care of Georgian students gladly, who were going to the different Universities of Arab countries for learning by the exchange programs.

While being an Ambassador of Egypt and searching for the cemeteries of Georgian Mamluks, Gocha Japaridze decided to make a documentary film about this theme and he fulfilled this work with the director Merab Kokochashvili. They made a documentary film named – “Inzil Ya,Basha! (Arab: اشباب يا لزنا , that can be translated as – “come down sir!”), where is depicted governance of Georgian Mamluks in history of Egypt of XVIII Century.

From 2010 Gocha Japaridze reverted to the national University and he continued educating students and generations. His works in Egypt proved greatly felicific for his scientific interests. He wanted to find out the cemeteries of Georgian Mamluks in Egypt too and he found them out. He was going to the 5<sup>th</sup> course when he found a letter sent from Egypt to Georgia and he gave away one more big work to Georgian historiography in scientific article's shape. In 2016 Gocha Japaridze was able to learn history of Mamluks and public them in monography's shape within the range of the grant of Shota Rustaveli's Fund, named ***“Georgia and Mamluks of Egypt”***. In addition to Mamluks his scientific interests were about Georgian Monasteries situated on the Saint Lands and works about that have been published

in the form of articles from time to time, but in 2018 it got a form of the full monography and was published with the financing by fund of Shota Rustaveli with the name: "*Georgian deserts and monasterial community on the Saint Lands in the XI-XVIII Centuries*".

There should be distinguished a one research of a Georgian ecclesiast St.Grigol Peradze (1899-1942) from one of the many successful works of Gocha Japaridze, who was sheltering persecuted population from Nazis in Poland and was sacrificed for it, dedicated work – "**Knowledges of Foreign Pilgrims about Georgian monks of Palestine and Georgian monasteries – Grigol Peradze**"(1942), that he prepared due to hard work for publish. His merit to St.Grigol Peradze was so great that the University of Warsaw awarded Premium in the name of St.Giorgi to him and Metropolitan of Ateni, Andria Gvazava. Rewarding was taken place in the palace of Tishkevichebi of the University of Warsaw on September 17, 2018. At the same year on December 6 there should be assembled the rewarding, but honorees couldn't arrive to Poland. In view of the fact that they couldn't declared in Warsaw, on February 5 ceremony of rewarding was taken place in the Tbilisi State University, where an Ambassador of Poland, Mariush Machkievich consigned medal and diploma to the professor Gocha Japaridze and Metropolitan Andria Gvazava. At this rewarding Gocha Japaridze was awarded with the Golden Medal of University by the rector of University.

Writing about my great teacher in the past detected really difficult and painful. There was no chance, he had been requested by someone about something and he rejected for help: being requested to the book and not to be given as a present or procured; If I needed his article or some resources he was sending me at the same day; If I called him for advice he answered me with a great energy and supported thoroughly. I would like to remember one case from countless of them: In 2018 a member of the Ilia State University and G.Tsereteli Institute of Oriental Studies' department – Irine Natchkhebia published a book "*Diplomatic missions of Napoleon in Iran and Georgia's theme (The first decade of the XIX Century)*", which I couldn't find in this time and I just said about this caseat the lecture with Mr.Gocha. He looked

at me and said: “wait for me for two minutes and take as you have this book”. He called to the author and he requested two copies of the book. Two days later he told me that my book was put at the library of V Building by the author, I only have to go and take it. There was no chance to be rejected someone’s request by him, especially if the topic was about the books, he would use all the strengths to help a student or a collaborator.

Mr.Gocha was very precious person both for me and not only me. He was a great teacher, “Last Mohican” of the Oriental Studies of Georgia, “Georgian Mamluk”, patriot, always standing in front of the front-lines of the veritable historiography of Georgia and simply – a majestic person. He told me for many times at the ages of studentship: “I’m not okay, It is time for me to go” and I instantly outtalked that we would have him well for a long time, but the time of a heavy goodbye has come. Professor Gocha Japaridze died at the age of 76 on November 15 2020 and he pained to all of us. Above-mentioned report, which is about a great person, patriot, diplomat, honoured scientist, professor, historian and orientalist – Gocha Japaridze, is a tearful reminding. He has a great achievement in Isis and Georgian Numismatics, Metrology, Georgia’s interrelation with Isis countries, history of Isis in Georgia, vexillology, onomastic researchs, learning Georgian Mamluk’s and monastery theme situated on the Saint Lands, also Arabian narrative , epigraphic and documentic sources and their scientific introducing. He was a big supporter of the young investigators.

His going from this World is certainly big loss for Georgian scientists. He will always be in our hearts and memories as a talented, exceptionally educated, a professional of his own works, a precious older colleague, a great person, the best lecturer and scientist.

**George Akhalkatsishvili**  
Historyan / Orientalist

